

1522
2009



რეტენატურა და სეროენება

N9
9/2009

ბ.ფ

ტაო-კლარჯეთი

შაყვალა

ბიორგი ბიბაური

შაყვალა

მერაბ შათირი

ქანა

ოთარ იოსელიანი

შაყვალა

ვერა ფალავა

ქანა

სუსიშვილაზი პარიზში

თეატრი

ვანო ყუბიტაშვილი

თეატრი

ეჟან იონესკო

Nantes ⇄ Tbilissi ⇄ 30



კერა ფაღავა



ლიტერატურა და სეროენება

N9(45)

9/2009

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ვერა ფალავა

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge



ნომერი იბეჭდება
ქალაქ თბილისის მერიის
თანადგომით

ს ა რ ჩ ე ვ ი

3. გიგი უჯუღავა - ნანტი-თბილისი-30

თახმანი

39. ევენ იონესხოს ბოლო ჩანაწეხების ფეხგმენეები
(ფეხნეგელიდან თახგმნა
დავით ეახაბეხმა)

ინოზა, ლოჟია

- 9. გიოხგი გიგაეხი - ეეეეეეე
- 11. დედო ეახაძე - მიწიატეეეე
- 15. ხონ აბეხელიძე - ეეეეეეე
- 17. მეხაბ შათიხი - ეეა და ეეშაეის
მომეეეეეეე (გაეეეეეეე)
- 39. მანანა ეეეეეეე - ეეეეეეე
- 41. ფეხნა ეეეეეეე - მოთხეეეე

ეეეეეეე

- 44. ავთანდიდ ნეეეეეეეეეეე - თეეეეეეე - ეეეეეეეეეეე
- 51. ეეეეეეე შენეეეეეე - გაბიეეეეე მიეეეეეეე

ხლოზა

55. ჰეეეეეეე ჩაეეეეეეე - ეეეეეეე

ლოლოლოლოლო

57. ნეეეეეეე ოთინაშვილი - ეეეეეეეეე ეეეეე

ინეეე

59. ნანა მიეეეეეეეეე - ეეეეეეეეე მხაეეეეეეე
გაბეეეეე საეეეეეეეეე ეეეეეეეეე

ენეე

61. მაია ეეეეეეეეე - ოთახ იოსეეეეეეე

ეეეეეეეეეეე

65. თენგიზ ეეეეეეეეე - სეეეეეეეეეეე ეეეეეეეეე

სეეეეეეეეეეე ეეეეეეეეეეე

70. მახიკა ეეეეეეეეეეე - ტამ-ეეეეეეეეეეე

თეეეეე

77. მანანა თეეეეეეეეე - ვასო ეეეეეეეეეეე

მხაეეეეეეე

81. ეეეეეეეეე ეეეეეეეეეეე - ეეეეე ეეეეეეე

„ჩოგორიჲ უფავლო, სამშობლო, ერთიჲ ქვეყანაზედა!“

რადიელ ერისთავი

•
იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია მტერო,
შენთვის რომ ღედა მეტირა,
ღღეს იქნებოდი მტვერი...
იმაზე ცოტა თბილი ვარ,
შენ რომ გგონია ძმაო...
რა მწარე გაკვეთილია —
არტანუჯი და ტაო...
იმაზე კარგად ვმღერივარ,
შენ რომ გგონია ქალავ,
ლერწამის ორი ღერი ვართ,
გვწვავს სიყვარულის ძალა...
ქარი ვარ შარახვეტია,
გზები რომ აგიმტვერო,
იმაზე ცოტა მეტი ვარ,
შენ რომ გგონია მტერო!..

ვაჟა ოთარაშვილი

ჟურნალის ეს ნომერი ეძღვნება ნანტი–თბილისის
დაძმობილებების 30–ე წლისთავს

Ce numéro de journal est dédié au 30-ème anniversaire du
jumelage des villes de Tbilissi et de Nantes.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ნანტელო მეგობრებო!



საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის და სწორედ მას უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ევროპეიზმთან თანაზიარობის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, ხოლო უახლოესი ისტორია გვახსენებს, რომ საფრანგეთი გახდა ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტის დიდი ნაწილის თავშესაფარი, რამაც დასაბამი მისცა ახალი მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას.

1979 წელს თბილისსა და საფრანგეთის ქალაქ ნანტს შორის დაძმობილების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობას თითქმის ყველა სფეროში – საინტერესო პროექტები ხორციელდება განათლების, კულტურის, სამედიცინო, კეთილმოწყობის, ტურიზმისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების საკითხებში. ნანტში განათლებას იღებენ ქართველი სტუდენტები, მიმდინარეობს თანამშრომლობა ნანტის მთავარ ბიბლიოთეკასა და თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას შორის; პერმანენტულად ეწყობა ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენები. მათ შორის ყველაზე მეტად აღსანიშნავია ნიკო ფიროსმანის გამოფენა, რომელიც 1999 წელს გაიმართა ნანტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

2004 წელს საქართველოში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით, ნანტში გაიმართა „საქართველოს კვირეული“, რითაც ფრანგი ხალხი აქტიურად გამოემართა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას.

ნანტის სახვითი ხელოვნების მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში 2008 წელს, ფრანგული მხარის მიწვევით, მოეწყო თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა „მოგზაურობა თბილისში“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

რუსული აგრესიის შემდეგ, ნანტის მერი – ჟან-მარკ ერო, რომელიც ამავე დროს საფრანგეთის პარლამენტის წევრი და ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა საფრანგეთში, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თბილისს ჰუმანიტარული მისიით ეწვია და ამით უდიდესი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს სახელმწიფოსადმი.

2009 წელს თბილისისა და ნანტის ურთიერთობების საიუბილეო – 30-ე წლისთავი აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, ნანტში ხელი მოეწერა თანამშრომლობის სამწლიან ხელშეკრულებას, რომელიც არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მიმდინარე წლის ოქტომბერში ქ.თბილისის მერია ნანტის დელეგაციას უმასპინძლებს, რაც ამ ორ ქალაქს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

ქ. თბილისის მერი

გივი უგულავა



Eugène Ionesco

ეჟენ იონესკო

ბოლო ჩანაწახების ფხაბმენსები

სიბერის მკაცრი სიმათლა

ვგიჟდები. ამას ველოდი და არც ველოდი. ველოდი, ჭალარა მომერეოდა, ყავარჯნით ვივლიდი, მაგრამ გონებრივ დეგრადაციას არ ველოდი, დღესაც ვერ ვეგუები. ოცი-ოცდაათი წლის ასაკში ყველამ იცის, რაც მოელის; იცის, როგორ არ იცის, მაგრამ ყველა ეგუება, რადგან არსებობს სიცოცხლის ინსტინქტური სურვილი, სიკვდილის შიში, რომელიც წამებასა და ყველა ავადმყოფობას აღემატება. ახალგაზრდობაში მოგვიანებითაც, ყველამ, ბუნებრივია; იცის, რომ დაბერდება, იცის და არც იცის. სიბერე, რომ გავიგოთ, უნდა დავბერდეთ. ვიცი, უარესიც არსებობს: კიბო, სხვა განუკურნებელი დაავადებები, ან, როცა ნაძირალები დაგესხმიან თავს ან კიდევ წამება. დიახ, უარესიც არსებობს, და ეს „უარესიც არსებობს“, ჩვენშია ჩაბუდებული, იგი ეწინააღმდეგება წამებას, სიკვდილს.

სევდიანი სინაზე მიპყრობს, როცა ჩემი საყვარელი, საამური მეუღლის ხელებს ვეხები; ოდესღაც როგორი სასიამოვნო, მშვენიერი ხელები ჰქონდა; ახლა სტიკია, მეც მტ-

კივა ხელები, ფეხებიც (ჯერ არ მითქვამს, ართროზი მაქვს, სიარული მიჭირს). დიახ, დიახ, მაგრამ ეს ყველაზე უარესი არ არის, ოღონდ არც უმნიშვნელოა; და, როცა ჩემი საცოდავი მეუღლის ხელს ვეხები, — ისეთი ნატიფი, ისეთი თეთრი ხელები ჰქონდა, — როცა ხელს ვკიდებ და მახსენდება რა თეთრი, ნატიფი ხელები ჰქონდა, მწარე, ტკივილიანი სინაზე მიპყრობს; როგორ კარგად ვგრძნობ მასთან თავს, ისეა წელში მოხრილი, კუზიანი გეგონება, მაინც კარგად ვგრძნობ მასთან თავს. საბრალო, ისეთია თითქოს მინას ჩაეზარდაო.

სინამდვილეში, უფალმა ღმერთმა, სიმათლელ დაგვიძალა. ყველა გაცოცხლებულია: ახალგაზრდობაში გამართული და ტანწერნეტა ადამიანი, სიბერეში რატომ იხრება წელში, რატომ ტყდება და ამის გამო რატომ თავს არ იკლავს; ვერ ავხსენი — გაუგებრობაა. არ შეიძლება უარყო, დიახ, უარყო ის, რომ, გარდა ცხოვრების მიმართ ზიზღისა, არსებობს კიდევ ერთი სასწაული — სიყვარული. მე ასე მესმის: თუ რამეს მივალწიე, და ჩემში არის რაიმე ღირებული, რამაც ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მწერლად მაქცია, — ასე მწამს და მჯერა, — ამისთვის საზღაური უნდა გადავიხადო. ყოველ შემთხვევაში, იმისთვის მაინც, რომ ვცოცხლობ.

ბეკეტი ერთ თავის პიესაში ერთ პერსონაჟს მეორეს მიმართ ათქმევინებს: „ის იტანჯება, მამასადამე, ცოცხლობს“. მკაცრი ანბანური ჭეშმარიტებაა: ადრე თუ გვიან, თითოეულ ჩვენგანს იგი კარს მიუკაკუნებს. ტანჯვა მიუწვდომელია. რატომ იტანჯებოდა ღმერთის სიყვარულით წმინდა ტერეზა ლიზიელი? ანდა წმინდა ტერეზა ავილიელი? ბანალურად ვმსჯელობ, ნუ ვიკამათებთ, მეტისმეტად ბანალურად, უფრო ბანალური, ალბათ, არც იარსებებს რამე, სანამ სიცოცხლე ჩქეფს. და თუ ას წლამდე მივალწიე — რა საშინელება იქნება, ალბათ, ბედნიერებაც; — მაგრამ მსურს თუ არ მსურს ეს? — მსურს და არც მსურს. — ჩემთან სახლში ჩემი ქალიშვილია; საცოდავი ჩემი გოგონა; გააფთრებული იბრძვის ჩემი სიცოცხლისთვის, საუკეთესო ექიმებს ეძებს, საუკეთესო წამლებს შოულობს, მივლის, მივლის და მივლის. მხოლოდ ჩვენ ორით — დედამისითა და ჩემით — არის დაკავებული.

...უჰ, ეს არამზადა ჟან ჟენე³: პარადოქსები გამცემლობაზე, ცდილობს სკანდალური ქცევებით გააოცოს ბურჟუა; ერთ თავის პერსონაჟს ასე ალაპარაკებს: „ესროლო საკუთარ მეგობრებს, დიდებული ტრიუკია“, და სხვა. საბოლოო ჯამში, მართალიც არის და არც არის; მე „ქაჩალ მომღერალ ქალს“ ვამჯობინებ, დიდებით მოსილი უგნურობა იყო... ჩემს ცოლს, პატარა, ძალიან თეთრი ფეხები

ჰქონდა. „თეთრ თაგუნებს“ ვეძახოდი. ახლა ართროზისგან ტერფები დაებრიცა.

არსებობს თუ არ არსებობს იგი — სულერთია პასუხი უნდა აგოს.

მორის დე განდილიაკი⁴ მეუბნება, ღმერთს არ სჭირდება, რაც შეუქმნია ყველაფერზე მბრძანებლობდესო.

ეს ზუსტად იგივეა, რასაც მე ვფიქრობდი, ასეც არის, მაგრამ მეტისმეტად მოკლეა, ხანმოკლე. მეძნელედა ვამტყიცო ან მოვიგონო კიდევ სხვა რამ. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს დიდი მარათონის შემდეგ ფინიშთან აქოშინებული მივედი. თავში რაღაც აზრები მიტრიალებს, ხვალ ჩამოვაყალიბებ.

სასონარკვეთილებაში მაგდებს ჟან მარესა და მიშელ მორგანის ჭალარა, მიშელ სეროს⁵ გათეთრებული უღვაში. ჟან მარე, მიშელ მორგანი, მიშელ სერო ჭალარას ისე ეგუებიან, თითქოს დაბერება „ბუნებრივი“ მოვლენა იყოს; ბედისწერას სიხარულით ემორჩილებიან.

მე კი ეს დაუშვებელი მგონია; ყველაფერი დაუშვებელია, სიცოცხლეც დაუშვებელია. ცხოვრების კანონზომიერების შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ მის წინააღმდეგ ამბოხია შესაძლებელი. მთელი კაცობრიობა უნდა აღუდგეს წინ ასეთ კანონზომიერებას.

სიბერეზე და ყველა დაავადებაზე არანაკლებ მახეზრებს თავს მონყენილობა. დღეს ნაკლებად ვარ მონყენილი, ვიდრე სხვა დროს, ალბათ, იმიტომ, რომ რამდენიმე აზრის ჩანერა გამომივიდა, შევძელი და რაღაცა ვთქვი, რაღაცა ვთქვი.

მონყენილობა უკან იხევს თუ დგახარ ან ზიხარ; პოზაზეა იგი დამოკიდებული. ნოლაზე უარესი არაფერია. მონყენილობა ტალღასავით ვრცელდება — მონყენილობის ტალღა. მალე, ალბათ, მონყენილობისგან უფრო მეტად ვიკვნესებ, ვიდრე ტკივილისგან, ხოლო, როცა მონყენილობას სევდაც დაემატება — უღმობელი ნაღველი, სასტიკი სევდა, მკაცრი მღელვარება, — საშველი აღარ იქნება.

სიხარულის განცდა გამიქრა: აი, ყველაზე მეტად რა მაკლია. განა ასე ცხოვრება შეიძლება? არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვცოცხლობ...

იბადები, რომ მოკვდე, კვდები, რომ დარჩე. სამოთხე: ადგილი, სადაც სიკვდილი არ არის; ადგილი, სადაც ყველა ცოცხალია. მარადიული სიცოცხლე, როცა ყველა არსებობს. აქ კი, ედემის გარეთ ეგრეთ ნოდებულ იმ ადგილას, რომელსაც „ყველგან“ ჰქვია, ადამიანები იბადებიან, რათა დაიხოცნენ. ყველაფერი იბადება, რომ დასასრულამდე მივიდეს. ყველაფერი იბადება, იზრდება, ცოცხლობს და — ზვავის ფანტასტიკური სისწრაფით

სიკვდილის, არყოფნის შესახვედრად მიექანება. ფინჯან ყავას ვსვამ, იმიტომ, რომ ბოლომდე გამოვცალო; სკოლაში დავდივარ, რომ დავამთავრო; სპექტაკლზე მივდივარ, ბოლომდე რომ ვუყურო და ასე შემდეგ. მოკლედ, ამქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს, ეს ცნობილი ამბავია. აი, სიკვდილი კი პირიქითაა, კვდები, რომ ხელახლა დაიბადო. მაშასადამე, სიკვდილი, ეტყობა, რაღაც ისეთია, სიცოცხლისკენ გადასვლის მსგავსი; დიახ, სამოთხე უნდა იყოს და, ალბათ, არის ის ადგილი, სადაც ყველა არსებობს. აგონია: დაბადების ტანჯვა?

ჩემი წარსული ჩემთან გამოცალკევდა

სიბერეში არ უნდა ელოდო, რომ ჯანმრთელობა მოწესრიგდება. რა წამალიც უნდა მიიღო, საქმე, სულერთია, ცუდად და ცუდად მიდის. არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი წარსულისგან არიან შექმნილნი. ასე მგონია, ჩემი წარსული, რაღაცა აზრით, ჩემგან გამოცალკევდა და მე არ მეკუთვნის. ხომ ვიცი, მე დავწერე „ქაჩალი მომღერალი ქალი“, „სკამები“ და სხვა; რომ დიდი ხანია უკვე მყავს ქალიშვილი, სახელად მარიფრანსი და ცოლი როდიკა. მაგრამ წარსული ჩემს არსს არ განსაზღვრავს. იმ მე-მ, ახლა რომ ჩემში ცხოვრობს, ყველა დანარჩენი შთანთქა.

საათი — ყოველთვის ერთი და იგივე არ არის. დროის აღქმა სხვანაირიც არსებობს, ზოგჯერ საათი ოც, ოცდაათ ნუთს ან მეოთხედ საათს უთანაბრდება, ზოგჯერ, პირიქით, უფრო გრძელდება. ობიექტური დრო არ არსებობს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, არ არსებობს ობიექტური დროის აღქმა; როცა მონყენილი ვარ, — რაც არცთუ იშვიათად ხდება — დრო ინელება, ინელება, ინელება. ზოგჯერ დრო გადის, ზოგჯერ კი ადგილზე დგას. როცა, თუნდაც, ათი ნუთი ელოდები — ეს უფრო დიდი დროა, ვიდრე ის ერთი საათი, როცა მონყენილი არა ხარ.

ბერიკაცები ბოროტდებიან, დედაბრები ჯადოსნობენ; პატარ-პატარა საძაგლობებს სჩადიან საცოდავი დედაბრები.

სიბერისგან ვერასოდეს განიკურნები, გრიპი კი არ არის. გადის ცოტა დრო და განკურნების მაგივრად იგივე ხაფანგში ებმები. რაღაც სენს თავს დააღწევ, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანებობდე, სიბერე ისევ გააგრძელებს თავის დამანგრეველ საქმიანობას.

რაც დავიბადე, აღტაცება და შიში არ მშორდება. რომელი უფრო ძლიერია? ახლა ჩემთვის — შიშია უფრო ძლიერი.

მომვლელი ქალი ჩივის: „ტანჯვა. აი, რა მარცხებს. თუ ადამიანი მორწმუნეა, მაშ, ასე რატომღა იტანჯება? გაცეხული ვარ, უფრო და უფრო გაცეხული. ვკითხულობ წმინდა ტერეზა ლიზიელის ქადაგებებს; ვკითხულობ წმინდა ტერეზა ავილიელის წიგნებს და გაცეხული ვარ, გაცეხული“.

ასე ვცხოვრობ გაცეხასა და შიშის, ალტაცეხასა და ძრწოლვას შორის.

ცოლი მიმტკიცებს: „ვერც კი წარმოიდგენ როგორ მიყვარხარ. როცა მოკვდები, მაშინვე უკან გამოგყვები!“ მართალია, მე პირველი უნდა წავიდე. აღარ შემიძლია სიცოცხლე. მკლავები, თითები, ფეხები — გადაულახავ პრობლემებს მიქმნის. ხვალ, საერთოდ, ვეღარ გავინძრევი.

საკუთარ თავს ვეკითხები: სად გადაიკარგა ყველა? ადვილი სათქმელია — არსად არიან. იმის თქმა კი, რომ სადღაც არიან, შეუძლებელია.

ჩვენ სამივე — არასახარბიელო მდგომარეობაში ვართ. როგორ მიგვიღებენ? ან ის როგორ მოგვექცევა? რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, უფრო მემატება გაცეხა და შიში.

ნუხელ ცოლი დამესიზმრა. მასაც დაესიზმრა, რომ მოკვდის; მწუხარებისგან სახე შეშლოდა; რა საყვარელი იყო. ასეთი არასოდეს ყოფილა. გაიღვიძა და თქვა: თუ მოკვდები, ვერ გადავიტანო.

სიბერეზე ნაკლებს ლაპარაკობენ. ვისაც ამის შესახებ საქმის ცოდნით შეუძლია ლაპარაკი, ძალიან ბებერია. სიბერე, წერილობითი სახით არ არსებობს.

კი ბატონო, შეიძლება გეჯავრებოდეს კიურეები, პრელატები, მათი ბლაგვი ენა, მაგრამ ისინი იმდენად არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში, რომ იციან კიდევ, როგორ გაუძლონ ახალგაზრდობასაც და სიბერესაც.

აბა, რა სასიამოვნოა დაბერება? ხედავ, როგორ ბერდებიან სხვებიც. ორი წელია არ მინახავს ერთი ჩემი კარგი მეგობარი. ორი წელი გავიდა და ვნახე — ბებერი, გათეთრებული, შემუშებული, უაზრო გამომეტყველებით.

ჩვენი დაბერების ყოველი წამის მონიშვნა და შედარება შეიძლება წინა წამთან. ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი განცდა ცხოვრებაში — სიბერეა; იმის შეგნება, რომ ბერდები. დავბერდი გუშინდელი დღიდან, გასული წლიდან, ბოლო ათი, ოცი წლიდან დავბერდი.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ცხოვრებაში გავაკეთე ისაა, რომ **დავბერდი**.

უფალო, ჰამენ ესე, რომ გინამო

მასაჟი არ მშველის. აი, ამ წუთში, მიუხედავად ყველაფრისა, ისეთი ტკივილები მაქვს, წერა არ შემიძლია. როცა ტკივილი ასეთი მწარეა, აზრები იფანტება. მალე ხუთი საათი გახდება, ღამე ახლოვდება; მეჯავრება ღამე, მაგრამ, ზოგჯერ საოცრად ნეტარ, ტკბილ ძილს მგვრის. ჩემს პიესებს თითქმის მთელ მსოფლიოში დგამენ, მე კი მგონია, მათ სანახავად მისულ ადამიანებს, იცინიან თუ ტირიან, ნამდვილი ტანჯვისა არაფერი გაეგებათ. მესმის, მალე ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ყოველი დღე — მოგებაა. ცოლი განუწყვეტელივ მომმტერებია, ამის გამო თავს უფრო ცუდად ვგრძნობ. ვიცი, სადაც ვარ, თუმცა ცოტა თავს ვიკატუნებ, ვითომ მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ-მეთქი; და მაინც ვიცი, სადაც ვარ: სავარძელში, საიდანაც ჩემი განჩიკული ცოლის, ანდა ქალიშვილის, ან, რაც ყველას სჯობია, ჩვენი ჯანიანი ქალის, საოჯახო საქმეებში რომ გვეხმარება, ახლა ასე ეძახიან მოსამსახურეებს, დაუხმარებლად მიჭირს ადგომა.

ზოგჯერ რომელიმე ერთგული მეგობარი მომინახულებს. ძალიან მსიამოვნებს მათი ნახვა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ვიღლები. რა გამიკეთებია სასარგებლო? მგონი, ამაოდ ვიხარჯებოდი, მხოლოდ ცხოვრების დინებას მივყვებოდი. თავში სიცარიელეს ვგრძნობ, აზროვნება მიძნელდება, არა, ტკივილის გამო არა, ეგზისტენციალური სიცარიელის გამო, რომლითაც გაჯერებულია სამყარო. თუ შეიძლება ასე ითქვას: სამყარო სიცარიელითაა სავსე. გარდა რძიანი ყავისა, ჩემს ცხოვრებას მხოლოდ ორი სათაყვანებელი არსება ავსებს, და კიდევ, თუ დასაშვებია ერთად მოვიხსენიო: სადილები და ვახშმები, რომლებიც, საუზმეებთან ერთად, ჩემი ცხოვრების უდიდეს მოვლენას წარმოადგენს. ვფიქრობ, აი, ახლა ავდგები, მაგრამ წარმოადგენა არა მაქვს, რა უნდა გავაკეთო იმ დროში, რომელიც შვიდის ნახევრამდე ან შვიდამდე რჩება, როცა ვახშამი იქნება, და თანაც, როგორც ყოველთვის, მგონია, რომ შეიძლება დღეს საღამოს მოვკვდე, უკეთეს შემთხვევაში, ხვალ ან ზევ. ანდა იქნებ — ვინ იცის? — უფრო მოგვიანებითაც. როცა ყველაზე უარესზე, თავზარდამცემზე არ ვფიქრობ, მონყენილი ვარ, ძალიან მონყენილი. ზოგჯერ მგონია, ვლოცულობ. აი, ახლა, ჩემთან მეგობარი მოვიდა, და, საბედნიეროდ, სიცარიელე, მოკლე ხნით, უკან იხევს, და ვინ

იცის, იქნებ სიცარიელის მაგივრად რაღაც დარჩეს, რაღაც დარჩეს. იქნებ, სიხარულიც მოვიდეს. ნეტავი, ღმერთს როგორი ფორმა აქვს? ასე მგონია, ღმერთს ოვალური ფორმა აქვს...

ჩემი, როგორც ამბობენ, ცხოვრების გზაზე, ბევრი ადამიანი დამეხმარა, რომელთა წინამძღვრად ვალში ვარ. უპირველეს ყოვლისა, დედაჩემისგან ვარ დავალებული, რადგან ამ ქვეყანას მომავლინა: უჩვეულოდ ალერსიანი და მხიარული ქალი იყო, მიუხედავად იმისა რომ ერთი შვილი ძალიან ადრე მოუკვდა, ქმარმა კი, ამ უზარმაზარ პარიზში, მიატოვა და მარტო დარჩა; მერე თავისი და, სესილი მოძებნა, რომელსაც მხოლოდ პატარა კუთხის შეთავაზება შეეძლო თავის ბინაში, სადაც ერთად ცხოვრობდნენ პაპა ჟანი, ბებია ანა და დეიდაჩემი, სრულიად ახალგაზრდა ქალი, სესილი. მოგვიანებით, მე სანყალმა, სამუშაოს მსგავსი რაღაც ვიპოვე — კონვერტებზე წარწერებს ვაკეთებდი იმ სკოლებისთვის, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებელ გამოცდებს რომ იბარებდნენ. მაშინ სწავლის გაგრძელება მინდოდა. დირექტორმა ქალმა, კონვერტებზე მისამართების წერა რომ შემომთავაზა, მითხრა: „მგონი, ეს თქვენს პროფესიასთან რაღაც კავშირშია — ხომ მასწავლებელი იყავით. იმედი მაქვს, არაფერი შეგეშლებათ“. თავის დროზე მამაჩემიც, რომელიც ბუქარესტში ცხოვრობდა, ჩამოვიდა ჩემს დასახმარებლად: საშუალო განათლების მიღება მაიძულა, უმაღლესში კი თვითონ ვისწავლე. მაგრამ ყველაზე მეტად ცოლი როდიკა და ქალიშვილი მარი-ფრანსი მედგნენ მხარში. მათ გარეშე, ცხადია, ვერაფერს გავაკეთებდი, ვერც დავწერდი. მთელ ჩემ შემოქმედებას მათ უნდა ვუმაღლოდე; ყველა ჩემი წიგნი მათ მივუძღვენი. მერე, მოგვიანებით ბუქარესტის ლიცეუმის ყველა მასწავლებელი დამეხმარა, ლიცეუმის დირექტორიც — მისი ძალდატანებით, მიუხედავად ჩემი სიზარმაცისა (სკოლაში არაფერი მისწავლია), დავდიოდი ბიბლიოთეკაში და ვკითხულობდი წიგნებს. შტეფან პოპისგან იმით ვარ დავალებული, რომ ბაკალავრის ხარისხი მივიღე, მაგრამ ეს იმ დახმარებას ვერ შეედრება, ჩემმა მეუღლემ რომ გამინია, — მოგვიანებითაც, როგორც მაშინ, სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევდა.

ძალიან ვარ დავალებული გაიძვერა კერცისგან, რომელმაც ნიუ-იორკში „მარტორქის“ ბოლო წარმოდგენის ჩაგდება მოაწყო, რამაც მას 40000 დოლარი მოუტანა, მე კი სახელი გამითქვა შეერთებულ შტატებში, თავისდაუნებურად დიდი სამსახური გამინია. მერე იყო მარგარეტ რამსეი, ჩემი ლიტერატურული აგენტი; ინგლისელი და ფრანგი კრიტიკოსები, მათ შორის ჟან-ჟაკ გოტიე და რობერტ კამპი, რომლებიც გააფთრებულნი მესხმოდნენ თავს და მათდაუნებურად ჩემი აღიარება განამტკიცეს; „მონდის“ კრიტიკოსები „ფიგაროს“ კრიტიკოსების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და პირიქით; თანაც, დასაწყისში, მემარცხენეები ფიქრობდნენ, რომ მემარცხენე ვიყავი, მემარჯვენეებს კი — მემარჯვენე ვეგონე. ორივე მხარემ, თავადაც რომ ვერ მიხვდნენ, ბევრი კარგი საქმე გამიკეთა, მათ შორის იყო ბარტი და ერთი სხვაც, ახლა მისი სახელი არ მახსენდება. და ისევ ჩემი ცოლი, ისევ ჩემი ცოლი — მან მაიძულა ლიცენციატის ხარისხის მიღება, მაიძულა მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა. შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს, ფრანგმა დირექტორმა სტიპენდია დამინიშნა პარიზში სწავლის გასაგრძელებლად და სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად, რომელიც არ დამინერია. მას ალფონს დიუპონი ერქვა, ამას წინათ გარდაიცვალა 89 წლის ასაკში. კიდევ დამეხმარა, თუმცა ცუდის გაკეთება უნდოდა ჩემთვის, მამაჩემის მეორე ცოლი — ლოლა. მამაჩემის სახლიდან გამომაძევა. თავად მომიწია ცხოვრების მოწყობა და წარმატებასაც მივალნიე. დამეხმარნენ წმინდა საბასახელობის ლიცეუმის მასწავლებლები, რომლებმაც სასწავლებლიდან გამომავდეს; მათი წყალობით ბაკალავრის ხარისხი პროვინციაში მივიღე, სადაც ცოლისდამ, ანჟელამ შემეფარა, რომელსაც ლიცეისტი ჭაბუკებისთვის პანსიონი ჰქონდა გახსნილი და, რომლებმაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწიეს. სახლიდან სახლში მოვმთაბარეობდი, ოჯახიდან ოჯახში გადავდიოდი. მიუსაფარი ვიყავი, მანანწალა. ბოლოს მონპარნასზე მშვენიერი საცხოვრებელის მფლობელი გავხდი. დაბოლოს, ცოტად თუ ბევრად, მორეული ნათესავებიც მეხმარებოდნენ — დეიდა საბინა, დეიდა ანჟელა, მასწავლებლებიც — მათი წარმოდგენით, ნიჭიერი ვიყავი. 1940 წელს, ომის დროს კი, სიდედრი, ანკა დამეხმარა, გულდათუთულმა, მწუხარებას სძლია და სიძე და ქალიშვილი საფრანგეთში გავგზავნა. მთელი ცხოვრება პარიზში ჩამოსვლაზე ოცნებობდა, სიკვდილის პირასაც ამაზე ოცნებობდა. დამეხმარა

უფალი ღმერთიც, როცა პარიზში დევნილის მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან ბუქარესტელ კომუნისტებთან საქმის დაჭერა არ მინდოდა. ერთხელ, ორმოციან წლებში, კალათი ავიღე და ბაზარში წავედი, თუმცა ფული არ მქონდა, მაინც წავედი და მინაზე დაგდებული 3000 ფრანკი ვიპოვე. აი, რამდენი გარემოება დამეხმარა. იქნება, ცხოვრებაში, და ყველაფერშიც, რასაც ვაკეთებდი — ღმერთი მიწყობდა ხელს, მე კი ვერ ვამჩნევდი. და კიდევ, კლოდტერასის ქუჩის სახლის მეპატრონე მომეხმარა, ბატონი კოლომბელი, უფალი ფარავდეს, არ ისურვა ლტოლვილის სახლიდან გაგდება, რომელიც ბინის ქირას ვერ იხდიდა, ისიც, იქნებ, უფლის წარმოგზავნილი იყო. ვინ იცის. აი, ასე, ხელიდან ხელში გადავდიოდი, დასასრულ, სახელგანთქმული კაცი დავდექი, მე და ჩემმა ცოლმა, ორივემ, ოთხმოც წელსაც მივალნიეთ, ოთხმოცდაერთ ნახევარსაც კი და სიკვდილის შიშით და კაეშნით განამებულმა, ვერც კი მივხვდი, რომ ღმერთმა მაინც გამიკეთა კარგი. მართალია, ჩემი გულისთვის სიკვდილი არ გააუქმა, და ეს, მგონი, დაუშვებელია; მაგრამ სიცოცხლეს მომცა, ჯანმრთელობა, დაავადებებისგან მხსნელი მკურნალი ექიმები, იმ დაავადებებისგან ჩემი გაუფრთხილებლობით, უგუნური ქცევებით რომ დავიტყუე თავს.

მიუხედავად ჩემი და ღვთისმსახურთა დიდი მცდელობისა, მაინც არ გამომივიდა უფლის გულში ჩახუტება. ბოლომდე მაინც ვერ ვირწმუნე, არ გამომივიდა. ვაი, რომ იმ ადამიანს ვგავარ, რომელიც ყოველ დილა ასე ლოცულობს: „უფალო, ჰქმენ ესე, რომ გინამო“. როგორც ყველამ, არც მე ვიცი, იმ ქვეყნად არსებობს რამე თუ არ არსებობს. პაპი იოანე-პავლე II-სავით მეც ასე მგონია, რომ ბნელეთისა და სიკეთის ძალებს შორის საყოველთაო ომია. ცხადია, სიკეთის გამარჯვებისა მჯერა, ოღონდ, როგორ მოხდება ეს, არ ვიცი. ვინ ვართ — სამყაროს ნამსხვრევები თუ არსებები, რომელთაც მკვდრეთით აღდგომა ელით? იქნება, ყველაზე მეტად ცოლთან და ქალიშვილთან განშორება მიმძიმებს გულს? იქნებ, საკუთარ თავთანაც! იმედი მაქვს, დროსთან, დროზე და დროის გარეშე თვითგაიგივების უნარს არ დავკარგავ. ქალიშვილის დახმარებით დიდი გაჭირვებით დავდივარ. ქალიშვილი მეხვევა, ფეხზე მამაგრებს, მე კი მეშინია — ყოველ ნაბიჯზე დავარდნის საშიშროება მელის.

ადამიანები დედამინაზე იმისთვის როდი მოდიან, რომ იცოცხლონ. მოდიან იმიტომ, რომ ჩამოხმნენ და დაიხოცნონ. ბავშვობას გაატარებენ, დაიზრდებიან და უმალ დაბერებას იწყებენ, და მაინც ძნელია სამყაროს წარმოდგენა უღმერთოდ. და მაინც ვჯობია, იფიქრო, რომ ღმერთი არსებობს.

ეტყობა, თანამედროვე მედიცინა და გერონტოლოგია, ძალას არ იშურებენ, ცდილობენ, ადამიანი მთელი მისი სისრულით წარმოგვიდგინონ; იმად, რაც ვერ შეძლო დეტაბრივმა სანყისმა — აღამალლოს სიბერეზე, გონების დაქვეითებაზე, უძლურებაზე და სხვა. კვლავ შექმნას ადამიანი მთელი თავისი სიდიადით — უკვდავი, რისი გაკეთებაც არ ისურვა ან ვერ შეძლო უფალმა ღმერთმა.

ადრე, ყოველ დილა, სანოლიდან ადგომისას ვამბობდი: დიდება უფალს, რომელმაც კიდევ ერთი დღე მიბოძა. ახლა ვამბობ: კიდევ ერთი დღე წამართვა **მან**. ნეტავ რა უყო ღმერთმა იმ შვილებსა, და მთელ მის საქონელს, იობს რომ წაართვა?

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, მე მწამს ღმერთი, იმიტომ, რომ მწამს ბოროტების არსებობა. თუ არსებობს ბოროტება, მაშინ არის ღმერთიც!

1993-1994 წ.წ.

ფრანგულიდან თარგმნა
დავით კახაბერმა

-
1. ფრანგი მქადაგებელი
 2. ესპანელი მონაზონი
 3. ფრანგი მწერალი
 4. ფილოსოფიის ისტორიკოსი
 5. ფრანგი მსახიობები



გორგო გოგაყრი

გვარი

გვარი — ხმალალი,
 გვარი — ფრთიანი,
 მტრისთვის განწული მწარე სილაქი,
 გვარი — გზამკვლევი ადამიანის,
 გამონაშუქი ჯიშის, ჯილაგის.
 გვარი — ურყევი სანგარი თემის
 და გალავანი სალოცავ ტაძრის,
 ამჯანყებელი სისხლის და ცრემლის,
 ამწონ-დამწონი ცოდვის და მადლის.
 ერთი გობიდან გამტეხი პურის,
 ვარსკვლავთა ხომლზე უფრო მრავალი,
 გვარი — სინათლე თვალის და გულის,
 მზე გორის ფხაზე ამომავალი.
 საუკუნეთა მხრებით მზიდველი,
 შორით მოსული,
 შორს გამხედავი,
 ისარი მშვილდის, გოზანთელის,
 ხეტარი ხმალის, გაუტეხავის.
 გვარი-წარსული, აწმყო, მყობადი,
 კაცთა თანმდევი ძირისძირამდე,
 ალბათ, მაღალი უფლის ნობათი,
 სამუდამოდ რომ დაგვიბინადრეს.
 ...მაშ, ცოდვილებო, ნუ იცვლით გვარებს,

ყრმანი წინაპრის კვალზე მოდიან,
 გერჩიოს შენი
 გინდ იყოს მდარე,
 ნათხოვარს მიწყევ შენი სჯობია.

უსენებელი

უკვე რამდენჯერ გატეხე ფიცი,
 გზა გაუხსენი მიზანს ნამალევს,
 უხსენებლო, მზიანი მიწის,
 არ გელირსება თბილი სამარე.

უკვე რამდენჯერ იცვალე ფერი,
 გონებით ბეცო,
 სულით მურდალო,
 მოგენატრება დედროვნის ცრემლი, —
 მოგებკუროს და მოგესუდაროს.

უკვე რამდენი მოკალი შურით
 ტაძრის ამგები,
 ყანის მომკალი,
 ვაჟკაცობაში ვერ დასდე წუნი,
 კეთილს გირჩევდა, მაინც მოკალი.

უკვე რამდენჯერ გაყიდე ერი,
 ჩაისვი გველი ბინძურ უბეში,
 გაუსაძლისი დაისი გელის,
 ტყვია გახდება შენი ნუგეში...

ვაჟას

შენია მთები,
 თეთრი არაგვი,
 შავი არაგვი,
 ლურჯი იორი,
 მთაწმინდა,
 შენი ძვალჩასალავი,
 დასალოცავი სვეტი სიონის.

შენია ნუკრი, თვალცრემლიანი,
 არწივის მართვე,
 ბედზე მტირალი,
 ლაშარის გორზე მოლი ცვრიანი,
 წყარო ქარაფზე ჩამომდინარი.

შენია ცაზე ვარსკვლავთ ნახირი
 და ყვავილები,
 მზეს რომ ელიან,
 მაგრამ მაგ გულის ამოძახილი
 ლექსთა ლაშქარი უკვე ჩვენია...

აფსუპის უბნურება

კბილით რომ გლეჯავ
წმინდა მინას,
მგლის ნაშიერო,
სიკეთისათვის ასე გვიხდი
სამაგიეროს?!

გაგითავისეთ,
გაგალაღეთ კაენის ჯიშის
და უდიერად შეგვიბლაღე
ხატიც და ნიშიც...

აბოჟირებულთ ალქაჯებად,
არაკაცებად,
გელით შერისხვა, შეძულება,
გელით დაცემა.

აფსუს, რომ შევცდით,
რომ აქამდე ვერ შეგიცანით,
რომ შეგაგებეთ მაღლი მიწის,
სხივნი ცისანი.

რომ გაგიშალეთ თბილი კალთა
ეშმას სახიანთ...
ახია ჩვენზე, რასაც ვიმკით,
მართლაც ახია!

ხუცესის ნათქვამი

ხუცესი შემხვდა ხატის კარს,
თავისიანად მიგულა,
ჯერ იახსარი ადიდა,
მერე მომმართა ჯიქურად:
— მომრავლდნენ მიტმასნილები,
მაფიქრებს მათი სიმრავლე,
ჩამოურიგეთ სილები,
თორემ ბოლოჟამს ინანებთ.
გვმართებს გაკიცხვა სატანის
და ბრძოლისათვის მოთელვა,
სიმტკიცე ჭირის ამტანი,
შემართებაც და მოთმენაც!..
ხატის კარს იდგა ხუცესი,
მხრებზე ნაბადით შავითა,
გმობდა უხამსს და უნესოს,
ღვთით კურთხეული რაინდად.

ჩემი ვაშლის ხე

ზამთარმა ბალი გაძარცვა უცებ,
სდუმან ბუჩქები — თეთრი კრავები,
ხეები ქარებს უღერენ მუშტებს,
იზმორებიან შიშველ მკლავებით.

და ნამქერები ბებერ მუხებთან
ჩამწკრივებულან ბროლის გედებად,
თოვლის მანდილი ვაშლსაც უხდება,
მაგრამ ზამთრისთვის არ მემეტება...

ქედების იქით ისევ ქედები,
ხევების იქით ისევ ხევები,
ივრის მიდამო — მთების ედემი
საასპარეზოდ იქცა დევების.

აუნყვეტია ზვავებს შფოთიანს,
სითეთრე შვენის ფანტელს ონავარს,
ეს სილამაზე სანდო როდია...
მე სილამაზის მაინც მონა ვარ.

ჩემი ვაშლის ხე, როგორც ფერია,
ქარბუქის ტბაში დაეხეტება,
თეთრ მოსასხამში მომხიბვლელია,
მაგრამ ზამთრისთვის არ მემეტება.

ცის გახსნამ დაიგვიანა

ცის გახსნას დიდხანს ველოდი,
ცის ნაცვლად მიწა იხსნება,
მიახლოვდება დაისი,
მზე შუბის ტარზე იხრება.
ფიქრი სიბნელეს მიარღვევს,
კალამი წერით იღლება,
ამაოდ სწუხან ლანდები,
ცრემლიც ამაოდ იღვრება...
ცის კარის გახსნის მაგივრად
სულეთის კარი იღება,
მშვიდობით, უნდა ვიჩქარო,
უფალს შევთხოვო მიღება!





რადიო წახარბი

მინიახუხები

მესამე დღეა წვიმს...

წვიმის წვეთები ფანჯრის რაფაზე მორზეს ანბანით დაშიფრულ ტექსტს თხზავენ...

ვინ იცის რამდენი საიდუმლოა ამ გზავნილებში...

ზღვის სანაპიროზე ქოლგები სეირნობენ...

ნაღვლიანი თვალელები ჰორიზონტს მისჩერებინან...

ვიბრაციაზე ჩართული მობილური ტელეფონი ვილაცის ჩემდამი ყურადღებას მაგრძნობინებს...

— რა? როდის? ვინ იქნებიან? ვერ გავიგე, სად?

— ყველაფერი გასაგებია...

წვიმის წვეთებით აკინძული საიდუმლოს ასახსნელად მეპატიჟებიან დუქანში...

დუქანშიც წვიმს, ოღონდ წყვეტილად...

— კაცის ხსოვნას გაუმარჯოს საქმეში დატოვებულს...

— ქალის სიყვარულს გაუმარჯოს...

— სარკეში დანახულ ორეულს გაუმარჯოს...

— დედას გაუმარჯოს...

— მოდი, წვიმას გაუმარჯოს, ცის ცრემლებს გაუმარჯოს...

ბახუსის მეგობრული სიტბო სითამამეს გვმატებს.

— მოდი, გარეთ გავიდეთ, ტანზემთ გავიხადოთ და წვიმის საიდუმლოთა გასაღების ძებნა დავიწყოთ...

ჩვენს ტაბლას მიმტანი უახლოვდება...

— თქვენი სუფრა გადახდილია...

— ვინ? ვინ, როგორ გაბედა?

— ასე თქვა წვიმის კაცი ვარო, გადაიხადა და წვიმას შეუერთდა... ვინ იცის, იქნებ თქვენმა სადღეგრძელოებმა წვიმის საიდუმლოთა გასაღები აპოვნინა...

— წვიმას გაუმარჯოოს...

მესამე დღეა წვიმს...

ხვალაც წვიმაა გამოცხადებული...

უგუნებოდ ვარ. გუშინ ყური მოვკარი მეგობრისათვის ღვინის სმა აუკრძალიათ, გულს შეუნუხებია თითქოს. არადა უდარდელი მეგონა, სულ კარგ ხასიათზე შეგხვდებოდა ხოლმე. გულს არ მოიყვანდა არაფერზედ, ერთობ სანყენიც რომ შეხვდებოდა რამ. იცოცხლე, იმან ღვინის სმა, ფასი და ლაზათი იცოდა. „ღვინო ენის წვერისაა, ბიჭო, სტომბაქის კი არა, ყლუბ-ყლუპით უნდა დალიო, კი არ უნდა ჩაისხა“-ო. — იტყოდა მეცნიერული დაბეჯითებით და ტუჩებს გამრიელად დაანკლაპუნებდა, ვითომდა გასინჯული გემოს დასტურად.

რა ყოფილა ეს მუხთალი სიბერე. ღვინო აუკრძალიათო, კაცო, ღვინო. მაშ, შესაძლოა მეც ამიკრძალონ, არა. მერე... მერე სვი ნაბელავი, ბორჯომი, თეთრი ბლის კომპოტი, ბრონეულის წვენის ოყნები იკეთე, ილაპარაკე პოლიტიკაზე, გააკრიტიკე ახალგაზრდები, გაუნყერი ონავრებს, გაიხსენე მესხი, მეტრეველი, იამანიძე, ათვალიერე ალბომები, ყოველ დილით მონდომებით გაიპარსე პირი, გაეპრანჭე შენს თავს სარკეში და... ნადი, შენი დედაც ვატირე...

— ალო, რას შვრები, შე ღვთისპირიდან გადავარდნილო. ოცი ლიტრი წარაფი მაქვს, გუდა, ცხელი შოთები, მუავე კიტრი „მალასოლნი“, ცივად მოხარშული დედალი, ამოლესილი ქოთნის ლობიო, შენი საყვარელი მუყუყი. ნამოილე ჯონჯოლი და ათ ნუთში აქ იყავი, ძალიან მაინტერესებს რატომ აგიკრძალეს ღვინის სმა. დიაგნოზი, დიაგნოზი არ დაგავინყდეს, ელექტრო და ექო კარდიოგრამა. ჰო, ერთი შენი ექიმის ტელეფონის ნომერი

გამახსენე. როგორ თუ რად მინდა? შენი სა-
დღეგერძელო უნდა დავალევიზო ჩემი საყვა-
რელი წელში გამოყვანილი საუკუნე გამოვ-
ლილი ჭიქით. იქნებ ვერდიქტი შევაცვლევიზო
მაგ დალოცვილს. შენ და უღვიზობა? ასეთი
განაჩენის გამოტანა ხომ ჩემი სიკვდილის
ტოლფასია, შე ბემურაზო.

ტელეფონის ყურმილში გულნატკენი
წყვეტილი ზუმერი მაფხიზლებს.

ნეტავი დღეს როგორ არის...

ახლავე წვერს გავიპარსავ და პალატაში
ვინახულებ. ნაბელლავს ნავულებ, იქნება და
ესიამოვნოს...

თან ამ ჩანახატსაც ნავუკითხავ, ერთი მაინ-
ტერესებს რა ნიშანს დამინერს გულმოსულ
ნაცოდვილარში...

რუსუდან, ნავედი საავადმყოფოში. თუ
ვინმემ დამირეკოს, უთხარი გვიანობამდე არ
იქნება-თქო-ო...

— ძველი რამდენი მაქვს დარჩენილი?

— 7 და 50 თეთრი.

— დღევანდელი სამი ლარიც დაამატე და
ორშაბათს გაგისტუმრებ.

— ორშაბათი თარსია, სამშაბათი იყოს, ან
თუ გინდა...

— არა, არა იქით ვერ გადავწევ, ორშაბათს
დიდი საინტერესო შეხვედრა მაქვს დაგეგმი-
ლი. მერე შეიძლება ეგრევე ნავიდე.

— სად მიდიხარ? რითი? რა საშუალებებით?
ვისთან?

— არი რა ერთი, შესახედავად ვერ აგინერ,
ისე ყველას შველის ხოლმე გამოუვალი გა-
საჭირის დროს, ასე ამბობენ, რა ვიცი...

— ჰო, კარგი, როგორც გინდა, თუ გინდა
„ვააბშეც“ ნუ მოიტან, ჩემი ფეშქაში იყოს
„დიდი“ საქმის წინ.

— არა, ჯიგარო, ვალი ვალია, როდესმე ყო-
ფილა რომ...

— „ხარაშო“. მაშინ ის მაინც მითხარი, ის
გოგო ვინ იყო, გუშინ აქ შენი ჯვარი რომ
აჩუქე, რალაც ადრე არასოდეს მინახავს ეგ
„კრასავიცა“.

— მაგის მამას ვიცნობდი. ერთხელ გადამა-
რჩინა. ხუთი ჭრილობა მქონდა, ყველა შემა-
ვალი. ღმერთმა გადაგარჩინა — ასე მითხრა
გამონერის დღეს, მე მხოლოდ საშუალება
გახლდით. მეორე დღეს სოხუმში გაფრინდა.
საოპერაციოში მოუკლავთ ოპერაციის დროს,
„საკეისროს“ აკეთებდა თურმე ეგ დალოცვი-
ლი...

— ო, საშინელი დრო იყო, საშინელი... რამ-
დენი მოტყუებული ადამიანი შეენირა, კარ-

გად დაწერილ ვერაგულ პოლიტიკურ სცე-
ნარს. მაგათმა დიდი ფული იშოვნეს გულან-
თებული ბიჭების სიცოცხლის ფასად, არმად
შერგებოდეთ... ისე, ღმერთი მაღალია, ყვე-
ლას გადაუხდის თავისი წილი „დამსახურე-
ბის“ შესაბამისად...

— ჰოდა, ერთხელ მითხრეს გოგო დარჩაო.
მეც ავიღე და ჩემი ყველაზე ძვირფასი ნივთი,
ნივთი კი არა, ჩემი ავგაროზი ვაჩუქე. ისიც
ექიმი და...

....

— ვა, ე რა უქნია? როდის? რატომ, მაგ სა-
ცოდავმა? „დიდი“ საქმე მელოდებოა რომ ამ-
ბობდა, ალბათ ეგ იყო რა. მამ პატარა საქმეა,
ყველა მინიერი ვალი გაისტუმრო და უფლის-
გან ნასესხები სულიც სუფთად დააბრუნო
სასუფეველში. „დიდი“ საქმეა, დიდი, ჩემმა
მზემ...

....

„იყიდება საქენერგოს ვალები, 137 მილიონი
დოლარი“...

„იყიდება სოხუმის პორტი, ფასი შეთანხმე-
ბით“...

„იყიდება ერაყში გასაგზავნი სიცოცხლე,
ჩალის ფასად“...

„ვიყიდი ბაკურიანს, ლიკანს, გუდაურს,
ბორჯომს, ბათუმს, ვაკის სასაფლაოს ტერ-
იტორიას წყნეთთან ერთად დაგროვილი
ვალების საფასურად“...

....

„დიდი“ საქმე ყოფილა მართლაც ვალების
გასტუმრება ჩემმა მზემ, „დიდი“ საქმე...

— რა ამბავია, რა მოხდაო ვითომ, რამდენი
ხალხი შეკრებილა, რა გვინდაო ნეტა?

— არ მოგვწონსო?

— ვინ, ვინ არ მოგვწონსო?

— მთავრობა.

— ვისი, ვისი მთავრობა?

— ვისი და უგანდის, ჩვენი, კაცო, ჩვენი.

— რომელი?

— რომელი და მამია ორახელაშვილის,
სერგო ორჯონიკიძის, ლავრენტი ბერიასი,
სტალინის.

— კი მარა, რას ვერჩითო?

— როგორ თუ რას ვერჩითო, კაცო. პენ-
სია არ გეყოფნისო, ხელფასები ინფლაციამ
შეგვიჭამაო, ტერიტორიები დარღვეული
და წართმეული გვაქვსო, მეზობლები გვემ-
დურინანო, სამსახური არა გვაქვსო და კიდევ
რას ჩამოთვლი, იმდენი რამ არა გვაქვსო, შე
კაცო.

— მერე და ესმით იმათ ჩვენი გასაჭირი?

— ესმით, რავა არ ესმით, მარა რა ქნან, თვი-
თონაც გასაჭირში არიან ჩავარდნილები.

— ვითომ რა გასაჭირიაო ასეთი?

— როგორ და გვაცალეთო ცოცხალი. ხელს
გვიშლითო მუშაობაში, გონების და აზრების
თავმოყრაშიო. გაგიმართავთ აყალმაყალი,
ღრიანცელი, დროშების ფრიალი. ყველაფერი
კარგადაა. ცოცხლები ხომ ვართო ჯერო.

— კი, ცოცხლები კი ვართ, ბატონო, მა-
გრამ ჩვენს ყოფას უფრო ცოცხალმკვდარი
მოუხდება, მგონი ასე უფრო შესატყვისი უნდა
იყოს.

— თუ ასეა, იქ რატომ არ ხარ შენც, დალ-
ოცვილო?

— მიტინგებს ვერ ვიტან. სიტყვები არ
მესმის, გაფუჭებული ტელეფონივითაა, ერთს
ამბობენ და ჩემამდე სხვანაირად აღწევს.

— ვითომ ეგ როგორაო?

— როგორ და ასე, ჩემო ბატონო. ყველა
ვინც იქ გამოდიოდა სიტყვით ერთი და იგ-
ივეს ამბობდა, საქმით კი არაფერი არასოდეს
დამთხვევია ნათქვამს. ისე, ტელევიზორს
უსმინო ჯობია. იქ ნათქვამს კადრები მაინც
ემთხვევა ხშირად. თან დიქტორებიც გაგამხ-
ნევენ მსოფლიო რეიტინგში წინ წანევის
ამბის ხარებით. მერე ჰიშნი. მუსიკა და ტექს-
ტიც ემთხვევა, რაც ცოცხალი შესრულებისას
შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში ასე იყო
აქამდე და რა ვიცი.

— სალოლ, აბა მე გეტყვი ერთ რამეს. სახ-
ლში მშვიერი უსმენ მაგ სიმართლეებს და არ
გირჩევენია მიტინგზე ცხელი კერძის თანხ-
ლებით ტყუილებს უსმინო?

— ისე, მართალი ხარ, ხომ იცი, შე
ჭკუისკოლოფო. წამო მივიდეთ. მეც არ ვი-
ფიქრე ეს გემრიელი სადილის სუნი საიდან
მოდის-თქო.

— წავიდეთ, წავიდეთ. ხომ ხედავ მშვიერი
ხალხი როგორ ეტანება, რიგი და ადგილი
არ დავკარგოთ, ჩემო ძმაო. ხომ გაგიგონია
დღევანდელი კვერცხი გერჩინოსო-ო.

ვინც მოვიდა, გაუპარჯოს

სუსხი ძვალსა და რბილში ატანს. ეს ქარიც
რომ არ მეშვება. სახეში მცემს, თვალებიდან
ცრემლს მდენს. კარში გაგდებულივითაა და
სახლში შემოსვლის ნებას ძალით ითხოვს.
პალტოს გაცრეცილი საყელო კისრის ნაწილს
მიფარავს. კაშნე ერთ მათხოვარს ვაჩუქე.
ეხლა გამახსენდა. მთვრალი ვიყავი. შემე-
ცოდა. ტელეფონი გამორთული მაქვს ავან-
სის ამონაწერის გამო. ჯიბეში ნახევარი კაცის
სამყოფი „დანაზოგი“ მეგულება ჩარჩენილი.
წვერიც არ გამიპარსავს. გაზი და წყალიც გამ-

ორთული მაქვს. მანანა სამი დღეა არ დამიქო-
ქავს. ალბათ აკუქმულატორიც დამიჯდარია.

ეჰ, სადაა ეხლა ჩემი „პადოშა“. შევუვლიდი
და „ველიამინოვის“ ცხელი ხინკლით გამი-
მასპინძლებოდა. (ეზოს ბინადრებს, ვე-
ლიამინოვის 8-ში, ხინკალი უფასოდ ეძლეო-
დათ სანიტარულ ნორმებზე თვალის დახუ-
ჭვის გამო. ამ მდგომარეობით თანაბრად
სარგებლობდნენ თავები და ადამიანები).

ვანიკოს ხომ არ გავუარო. იმას „პადვალში“
„ნზ“ — ხელშეუხებელი მარაგები ყოველთვის
აქვს „საომარი მდგომარეობისათვის“ შემო-
ნახული. ისე, გაჭირვება იმას არ ჰქონია და
ეს „ნზ“ საიდან მოიგონა, არ ვიცი. გავუვლი.
ვეტყვი, ახალი ლექსი ან ჩანახატი დაწერე-
მეთქი. წავუკითხავ. ვიცი, საღერღელი აემლე-
ბა. ლევანს, გიას და მერაბს დაურეკავს, ისე,
მე რომ არ გავიგო და „ქუხნაში“ „მოგუდული“
სუფრა გაიშლება, ერთობ მიმზიდველი.

კარგი აზრია, ნამდვილად კარგი.

კარებზე ვაკაკუნებ, იმიტომ, რომ ზარის
ლილაკი უსაქმოდაა. მასაც შუქი აქვს გამ-
ორთული, ოღონდ გადაუხდებლობის კი არა,
ავარიის გამო. კაბელია დაზიანებული ბაზა-
ლეთისა და ფალიაშვილის კუთხეში

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მე. გამიღე, კაცო კარი, ყინავს გა-
რეთ.

— მოდი, შენ შემოგველე. ეხლა შენზე
ვფიქრობდი. გუშინ ისეთი მთვრალი იყავი,
დარწმუნებული ვარ რალაცას დანერდი. ბი-
ჭები მზად არიან და გელოდებით.

— ჩემს გულში იჯექი, შე ოჯახქორო?

— შენს გულშიც და შენს ტვინშიც. დასაწ-
ევად სამი ჭიქის დაღვევა მოგიწევს. დათოს
ღვინოა და გიმკურნალებს.

— ვინც მოვიდა, გაუპარჯო-ო-ოს.

კითხვაზე ნაკლებად არც წერას უყვარს სი-
ჩუმე. სიჩუმე უყვარს ძილს, კარგი ფილმის
ყურებას. საყდარში ხომ ბატონია სიჩუმე. რა
ფაქიზია ღმერთთან საუბარი. თბილი, მონი-
ნებული. სიჩუმე უყვარს აღსარების თქმას,
სიყვარულის ახსნას, საიდუმლოს გამხელას.
სიჩუმეში იბადებიან ფიქრები, აზრები, იდეე-
ბი. სიჩუმე უხდება სადღეგრძელოს. თეატრი
და ოპერა ხომ სიჩუმეში მოსმენისთვისაა შე-
ქმნილი.

რალაც იდუმალებაა თვით სიჩუმე. სიჩუმეში
პატარა ჩქამსაც თავისი დატვირთვა აქვს. სი-
ჩუმისა და სიმშვიდის მომგვრელია აკვანთან
ნამღერი ნანა. გალობა ხომ ჩუმი ღალადისია
საერთოდ.

განმარტოებულა სიჩუმე. ოთახში მაგიდის

ნათურა ბჟუტავს. ფანქარი ფეხაკრეფით მოძრაობს დაუსვრელ ფურცელზე. ფიქრი ტვინის ხვეულებში გახლართულა. აუცილებლად დააღწევს თავს ლაბირინთს და აზრიც დაიბადება უთუოდ.

„ჩუმად იყავით, ადამიანებო, ჩუმად. ნუ ბრაზობთ, ნუ უყვირიხართ ერთმანეთს. ბილწ სიტყვებს უშვერად ნუ ისვრით. მოუსმინეთ როგორ ჩურჩულებენ ფოთლები სიოსთან, როგორ ეფერებიან ყვავილებს მზის სხივები. არ იხმაუროთ, გაყურდით. ჩვილებს სძინავთ უდრტვინველი ძილით და რა იცით, რას ნახულობენ სიზმრად. არ დაუფრთხოთ ანგელოზები“...

ფანქარი ფურცლის გვერდს ბოლომდე მოეფერა...

სიჩუმეა. რა საოცარია სიჩუმეში მუშაობა...

„შუმერები“

— შუმერები ვინ არიან?

— ჩვენი წინაპრები.

— შენი წინაპრები შუმერები კი არა მაიმუნები არიან. შუმერები იაკობის წინაპრები იყვნენ, ალბათ.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ წერა-კითხვა შენ არ იცი და იმან კი „დედაენა“ დაგვიტოვა საგანძურად.

— მერედა, ვის რაში სჭირდება დღეს ეგ „დედაენა“. დღეს „თინეიჯერული“ ლექსიკონია მოდაში. იმ „დედაენა“-ში მათი სიტყვები საერთოდ არაა ნახსენებიც კი. „ჩეთაობა“ იცი, შენ რას ნიშნავს, მაგალითად?

— არა.

— ჰოდა, „ჩეთაობა“ „ინტერნეტში“ მიმოწერით საუბარს ნიშნავს „ვირტუალურ“ მოსაუბრესთან. „ვირტუალური“ იცი, რას ნიშნავს?

— ვირთან თუა კავშირში, თორემ ისე არაფერს მეუბნება განსაკუთრებულს.

— „ვირტუალური“, ანუ წარმოსახვითი, მოგონებულნი, „მირაჟული“. გაიგე?

— გავიგე. მერე და რაზე „ჩეთაობენ“? საუბარს თავისი ქარგა და შინაარსი აქვს.

— შინაარსი კი არა, მომინდომე რა შენც. სასიყვარულო ამბებს უყვებიან ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ იმას ამას უშვრებოდა, ეს სად იყო მაშინ და ა.შ.

— ო, საინტერესო ყოფილა. მაგი მეც მაინტერესებს. მაგათ დედებს იგინი რომ ამას უშვრებოდნენ, მაგათი მამები სად იყვნენ მაშინ. საინტერესოა, საინტერესო. მეც დავინყებ „ჩეთაობას“ და იმდენ საიდუმლოს ავხდნი ფარდას, რომ შენც კი გაგიკვირდება, ჩემო იაკობ. აბა, მითხარი, როგორ უნდა მაგის დანყება...

— რუსუდან, ჩემი წიგნი სადაა?

— ნიკოლოზს აქვს თავქვეშ ამოდებული, თუ მაგარი ხარ ისე გამოიღე, არ გააღვიძო.

— სათვალეები? სათვალეები სადაა?

— სათვალეები ანდრიას აქვს შეჩურთული თავისი ბალიშის ქვეშ. თუ ძალიან გინდა პრესას გადაავლო თვალი დაესესხე, ოღონდაც იცოდე, თუ გააღვიძებ, შენივე დასაძინებელი იქნება.

— მოდი, ბაბუ, შენ შემოგველე, ჩემი ბაკუშები, ჩემო ბუკუშ-ბაკუშები, ჩემი სიხარულეები...

„დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის შვილი დააკავეს, ჰუმანიტარული აქციის — „ნავთობი — პროდუქტების სანაცვლოდ“ — პროექტის განმახორციელებელი. სამასი მილიონი დოლარის მაქინაცია ედება ბრალად“.

— ბიჭოს, ამ ამბავს მიმაღავდით, თქვე მაძაღლებო? არ გინდოდათ ნერვები ამშლოდა? გაიხარეთ. არ იცით, რა ტვირთი მომხსენით ბეჭებიდან. ეს ამბავი ნახევარი საათის წინ რომ გამეგო, სულ სხვანაირად დატრიალდებოდა ნუთისოფლის ნამზომი. როგორ და...

— „გაზის ონკანები შეამონმეთ. ბუნებრივი აირის გაშვება დაიწყო. ფასი შეთანხმებულია. ერთ კუბურ მეტრ მოხმარებულ აირზე თურქმენეთის განაკვეთით“...

— უფასო აირში შეთანხმებული ფასი, სად გაგონილა, თქვე ოჯახაყვავებულისშვილებო. არა გრცხვენიათ? საპროექტო შეთანხმება არ ნაგიკითხავთ? ორი მილიარდი კუბ. მეტრი უფასოდ. ტრანზიტის პირობები უცვლელია. ეჰ, თქვენი.

— ბა-ბუ-უ-უ.

— რა იყო, ბაბუ, რა გინდა შემოგველე?

— ფისი მინდა, ფისი.

— ახლავე, ბაბუ. ახლავე მოვდივარ. მოდი, ბაბუ, გენაცვალე... გადააფსი ამ დადგენილებას... როცა გაიზრდები იამაყებ შენი კაცური საქციელით... შენ გაიხარე... დაიძინე ახლა მშვიდად. გაზიც გვექნება და ნავთობიც. ფილმებსაც გადავიღებთ და თასის ფინალშიც გავალთ. ოპერაციებსაც გავაკეთებთ, ქორწილებსაც გადავიხდით. თამაძებსაც გავზრდით მოყვარეთა გასახარად. ქართულად დავწერთ მსოფლიო ისტორიის სამადლობელს... თქვენ კი შემოგველოთ თქვენი ბაბუ...





როის აბუსელოძე

მამაჩემი

ღამეა სხვათა შორის
 განცდათა შეჯერება,
 რთულია უსამველოდ
 პოეტის განაჩენი,
 ძალიან არაფერი,
 უბრალოდ მენერება
 და ახლა მამასავით
 მაკლია მამაჩემი.
 ქარი ზის ფორთოხლებზე,
 ფანჯრისკენ მივტრიალდი,
 იმედი თუ იმედობს
 იქნება დანარჩენიც,
 დავდივარ ქუჩებში და
 ვრწმუნდები იშვიათი,
 ძალიან უმნიშვნელო
 ქუჩაა მამაჩემი.
 გავლენით არავითარ,
 ვაგრძელებ ჩვეულებრივ,
 ქრონიკას რეალობის
 ტოტები ავაჭერი,
 ვილაცას არ ჯერავს და
 მე მართლა გეუბნებით
 აი, ეს ეპოქაა
 (მარტივად) მამაჩემი.
 ცხადია, როგორც წესი
 ლექსებიც ბერდებიან,

შენ უკვე დამარცხდი და
 კუთხეში აიტუზე,
 მამებიც შიგადაშიგ
 ცოცხალი ხეებია
 და ქმნიან გარდაცვლილი
 მამების ჰაბიტუსებს.
 ბავშვობას უმარილო
 კადრებად ვალაგებ და
 მშორდება იშვიათად
 რალაცა ირონია,
 სხვას თავი დავანებოთ
 არც მეტი, არც ნაკლები,
 საბრალო მამაჩემი
 აი, ეს სტრიქონია.
 ღამეა გეფიცები
 განცდათა შეჯერება,
 რთულია უსამველოდ
 პოეტის განაჩენი
 და ასე უმეტესად
 ძალიან მენერება
 და ასე იშვიათად
 მეც მქვია მამაჩემი...

ჩვენებურები

კიდევ ერთხელ მიაბმე
 გურჯისტანზე, ეფენდი,
 რატომ მღერის ყარდაში
 ცრემლიანად „ჯილველოს“?
 გუშინ შელამებამდინ,
 ჭოროხთან რომ გევედი,
 ტაიას ხმა გევეგონე,
 აგზენ ბავშვებს ჰყიდდნენო.
 ყოველ დილით ბაბაი,
 რატომ გასცქერს ჩრდილოეთს?
 რატომ ახლავს ამ სურათს
 ნენეს ცრემლი ალალი?
 ანდაც ყველა საღამოს,
 მაინც რომც არ გინდოდეს,
 „სულიკოს“ რომ მღერობენ,
 რატომ მბურძგლავს ბალანი?
 გურჯისტანი შორსაა?
 იქ რატომ არ ვბრუნდებით?
 ფეხით ჩავალთ იქამდის? —
 მომიყევი, ეფენდი,
 რატომ არ დამასწავლი,
 ასე რატომ ჩუმდები?
 ნეტა გზები ვიცოდე
 მარტოხ მოვაფერებდი.
 დავიბენი, ეფენდი,
 ვინ ვართ — ან ვინ ვიყავით?
 მოდი, დღესვე წავიდეთ,
 იქნებ კიდევ გველიან,
 ბავშვობაში ემიას

გორასთან რომ მივყავდი,
მებნეოდა — გახსოვდეს —
ამის მიღმა ჩვენია...
კიდევ ერთხელ მიაბზე,
გურჯისტანზე, ეფენდი, —
ისევ იმეორებდა —
ბიჭი ტაო-კლარჯელი
და უსმენდა უსიტყვოდ,
ცრემლიანი თვალებით,
თურქ ეფენდის სამოსში
ოთხმოცი წლის ქართველი!...

ჩვენთან, დიდაჭარაში

ნენე ისე ფაშფაშებს ოდა ორთქლში გახვია,
თეთრი ადგას ალიონს და იღვიძებს მამალი,
დილას რალაც სხვაგვარი გათენება ატყვია,
მჭადზე ჯვარი წითლდება ძირძველი და ალალი.
მოტეხილი დიდნენეც წელში ისე გასწორდა,
იფიქრებდა ინსანი, რომ ცა ქუდად ეხურა,
პაპა როცა ტაბლაზე ციცრის კვერცხებს
ანყობდა,
მაშინ ბაბას მეჩეთში წასვლა ეუხერხულა...
თენდებოდა საოცრად — გაღმა ყანა ყვაოდა,
ნალიაზე ეკიდა ფინჩხი-ფუტის ხელჩანთა,
ხოლო ლელე გამოღმა მდინარესთან დაობდა
და კლდეების კატარში ვარდისფერი მზე ჩანდა.
პაპამ ოდის სასარკმლეს ფარდა ჩამოაფარა,
მერე კარი ჩაკლიტა და ბუხართან მივიდა,
ნენემ კვერცხი წითელი ტალიკებზე გაშალა,
ჯვარი გამოისახა, დაჯდა და აქვითინდა.
აუხსნელი რჩებოდა ირგვლივ ჩემთვის ყოველი,
ახლაც თვალწინ მიდგება ნენე როგორ ტიროდა,
ასე ჩვენი ოდიდან თენდებოდა სოფელი
და ყოველ წელს აღდგომა ასე შემოდოდა.

ჩემი ნენე და დედაშენი

დედაშენი —
რვა ნომერ კენტს აბოლებს,
ჩემი ნენე —
მჭადზე ასვამს ჯვარებს,
დედაშენი —
შარვლით ტაძარს ამდორებს,
ჩემი ნენე —
ჩადრში მალავს ხატებს.
დედაშენი —
„მერსედესით“ დადის და
ჩემი ნენე —
მიუძღვება გუთანს,
დედაშენს „ჟადორეს“ სუნი ასდის და
ჩემი ნენე ბალახის სუნს სუნთქავს.
თქვენთან როცა რიჟრაჟია, მაშინ
ჩვენთან უკვე სულის ორთქლი დგანა,

ბილბორდები გიშრიალებთ ქარში
ჩვენს სოფელში იზურძგლება ყანა.
დედაშენის ვარცხნილობა — კარე,
ჩემი ნენე წელზე იშლის დალალს,
ლეჩაქიდან მხოლოდ თვალებს აჩენს,
დედაშენი მხოლოდ თვალებს მალავს...
ჩემი ნენე წარსულიდან ხვნეშის,
დედაშენი ევროპულად ოხრავს,
თქვენთან ახლა მოდამია სექსი,
ჩვენთან ბავშვი კვლავ წეროებს მოჰყავთ.
დედაშენი ეშმაკის გზას იბედეებს,
ჩემი ნენე სამოთხის გზას გაშლის,
დედაშენი თორმეტ აბორტს იკეთებს,
ჩვენ კი უკვე თორმეტი ვართ სახლში.
ვფიქრობ ასე, ვსლუკუნებ და მტკივა,
სურვილები განცდებს ველარ მართავს,
დედაშენი — ქართველ ქალის სახე?!
ჩემს ნენეს კი ეძახიან თათარს!...

უკუღმინაციო ლექსი (მონატრაბა)

ამინდი სველი,
შიგადაშიგ ქარების ჩქამი,
გაჩუმდა ღამე,
იკვეთება ნაკვეთები დილის,
გამოღმა გელი,
პულსაციას გაეზნა წამი,
ავკრიფე წყევლა,
შემოდგომა ოქტომბერს ყიდის.
ვაიმე, ნენი,
დრო საოცარ ტკივილებს ბარდნის,
მოხუცდა ცხენი,
ბაბას ისევ ყანაში სძინავს,
ვაშლები თოვდა,
მეხათრება წარსულის ხათრი,
დუმს ჩვენი ოდა,
დეკემბერმა დაიდო ბინა.
ნაიქცა წელი,
უხალისოდ გათოვდა თოვლი,
გამოღმა გელი,
გავიარე ბავშვობის — გაღმა,
ჩამქრალა ლელე,
დარჩენილა სამიოდ კომლი
დავყევი დაბლა
სოფლისაკენ მომავალ აღმართს...
წარსულის ექო,
მაბრუებს და მეკვრება სუნთქვა,
რამდენ ხანს მეყო,
ის ღამე და თვალები შენი,
ფიქრების გემო,
ოცნებებში დიეტობს უქმად,
მიყვარხარ, ჩემო,
მიყვარხარ და
ვაიმე, ნენი...



პერსპექტივა

უკან და უშინაის მოძიჯაეზი

„და ფრადისა ცემისაგან ხმალმანცა
დაღვლარჯნილმან უარყო ქარქაში თვისი“.
ქართული მეტაფორა

ნანილი მეორე

3

იმ დღეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტის თანამშრომლებმა ვიღაც გარდაბნელი ბიჭი მოიყვანეს, რომელიც დაჟინებით გაიძახოდა, გიჟებთან არაფერი მესაქმება, სრულ ჭკუაზე ვარო. სანიტრებმა ძლივს დააშოშმინეს, დილით ექიმი მოვა, გაგსინჯავს და მაშინვე გაგიშვებსო. ბენიამინი დერეფნის ბოლოში იდგა, ახალბედა პაციენტი ზრდილობიანად მიუახლოვდა, მიესალმა და მობილური ტელეფონით სარგებლობა სთხოვა, შეყვარებულთან უნდა დავრეკოო.

სუსტი აღნაგობის ვაჟს კეხიანი ცხვირი და

მოუსვენარი თვალები ჰქონდა; გიჟობის მართლაც არაფერი ეტყობოდა, თუმცა აქაურთაგან მალე საკუთარ თავს თვითონაც ვეღარ გამოარჩევდა.

ბენიამინი შენუხდა, თითქოს სიბრალულის გრძნობამ შეიპყრო, თუმცა არაფერი შეიმჩნია, „მოგვიანებით შემომიარე!“ — ვაჟს ცივად უთხრა.

მთავარმა ექიმმა ბევრჯერ გააფრთხილა, ტელეფონის ჩამორთმევით დაემუქრა, ავადმყოფები ოჯახის წევრებს ურეკავენ, ზედმეტად ანუხებენ, მერე ჩვენთან პრეტენზიით მოდიან და გვსაყვედურობენო.

პაციენტი თითქოს ყველაფერს მიხვდა.

— მალე გამიშვებენ?.. — მოულოდნელად იკითხა, ბენიამინს იმედიანად მიაჩერდა.

— ალბათ! — კაცმა მხრები აიჩეჩა.

— მე გიჟი არ ვარ, მალე უნდა გამიშვან! — პაციენტმა თითქოს თავი დაიმშვიდა.

— აქ ყველა ასე ამბობს! — ცეცხლზე ნავთი დაასხა ბენიამინმა.

გარდაბნელი განინმატდა.

— რამე მეტყობა გიჟის?! — ანერვიულდა, ამასაც შეშლილი ვგონივარო.

— კი. — „არა,“ უნდოდა ეთქვა.

ვაჟმა არ „შეიტყნა“, პირიქით, გათამამდა და სიგარეტი ითხოვა.

ბენიამინმა გაუნოდა.

— ერთი გოგო მიყვარს, ჩვენი რაიონის გამგეობაში პრესცენტრის მდივნად მუშაობს, მაგასთან მივდიოდი, შეთანხმებული ვიყავით, ცოლად უნდა გამომყოლოდა... რუსთავეში ბინა მაქვს, იქ უნდა გვეცხოვრა!.. — თვალებში სინანულის ბინდი ჩაუდგა.

— მერე აქ სიყვარულის გამო მოგიყვანეს?! — ჰო!..

— ეს ყველაფერი იმ გოგონას მონყობილი ხომ არ არის?! — ბენიამინს რატომღაც ვაჟის მოთმინებიდან გამოყვანა მოუნდა.

— რას ამბობთ?! — შეიცხადა მან. — აი, დავურეკავ და ყველაფერში დარწმუნდებით... არ იცის, სად ვარ, თორემ აქამდე მომაკითხავდა და აქედან წამიყვანდა... რუსთავეში ბინა მაქვს, იქ ვიცხოვრებთ და ვიქნებით ხოშიანად! — „ხოშიანად,“ უჩვეულო შთაგონებით წარმოთქვა და თვალები გაუბრწყინდა.

— მართლა გიყვარს?! — ბენიამინი ამჯერად გართობის გუნებაზე დადგა.


— ჰო, მიყვარს და ამიტომაც მომიყვანეს აქ... გიჟებთან რა მესაქმება! — ვაჟმა დერეფანში მიმოიხედა და დანანებით ამოიხვნეშა.

— მე რა, გიჟი არა ვარ?! — ჰკითხა ბენიამინმა.

— არა, თქვენზე მითხრეს, კარგი კაცი! — ვინ გითხრა?! — გიჟებმა! — ვაჟს ყოყმანი დაეცყო.

— გიჟების გჯერა?! — ბენიამინი გამომცდელად მიაჩერდა.

გარდაბნელი დაიბნა.



— გიჟები ზოგჯერ სიმართალეს ამბობენ! — მამამებლურად გაიღიმა.

— სხვა არაფერი დაგიშავებია?!

— რა უნდა დამეშავებინა?! შეყვარებულთან მივდიოდი, პატრულის მანქანა ამედევენა, დამიჭირეს და პირდაპირ აქეთ წამომიყვანეს... ხვალ მთავარ ექიმს დაველაპარაკები, ყველაფერს ავუხსნი და გამიშვებს! — მთლად დამაჯერებლად ვერ დაასრულა ვაჟმა.

— ფსიქიატრიულში პირველად მოხვდი?!

— პირველად, დედას გეფიცები!.. გოგონა მიყვარს, რუსთავეში უნდა წავსულიყავით, ამათ რა უნდათ, ვერაფერი გამიგია... აქედან რომ გავალ, მაინც ერთად ვიცხოვრებთ და ვიქნებით ხოშიანად! — „ხოშიანად,” ისევ უჩვეულო შთაგონებით თქვა და თვალები კვლავ გაუბრწყინდა.

ამ დროს მათთან ოტელო გაჩნდა, კისერი ბატივით ნაიგრძელა და შეყვარებულ პაციენტს ჩხავილით ჰკითხა:

— ვინ მიყვარსო?!

— ვინ მიყვარს და ერთი გოგო! — გაიკვირვა ვაჟმა.

— უტვინო ხარ, მიყვარსო, რომ გაიძახი, უნდა თქვა, არ მიყვარსო და უფრო მალე გაგიშვებენ! — ოტელომ ტუჩები დამცინავად დაბრიცა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან მოდარაჯე ტარტაროზი რომ მიიღებს ხოლმე და საბრალო ცოდვილს ეტყვის: ნურას უკაცრავად, აქედან ფეხს ვერ გაადგამო.

— სიმართლე რატომ უნდა დავმალო?! — ისევ გაიკვირვა ვაჟმა.

— მაშინ ჩემს ფეხებს გაგიშვებენ, ვიდრე უკანალს საცერივით არ დაგისვრეტენ! — გიჟმა გაძვალტყავებული უკანალი გარდაბნელს გაუშვირა, გააქიცინა. — ნემსებით დაგიცხრილავენ! — გამომწვევად დასძინა.

ბენიამინი პალატაში შევიდა, კარი მოიხურა და გისოსებიან სარკმელს მიადგა, იქნებ ეზოში პირბადიანი მანდილოსანი გამოჩნდესო...

...ზღვისპირა ქალაქში თანდათან დათბა. მთაში თოვლი დადნა და მდინარეები ადიდდა, ზღვის სანაპირო ჭუჭყითა და ნავით აივსო.

ბენიამინს ერთი სული ჰქონდა, ვასილისასთან როდის განმარტოვდებოდა და სასიყვარულო ნეტარებით დატკბებოდა.

ერთხელ სადარბაზოში შეეჩეხა, მიეტანა და კოცნა დაუპირა.

— მოითმინე, კვირის ბოლოს მამაჩემის დაბადების დღეა, დედაჩემთან და ამელიასთან ერთად თბილისში მივემგზავრები! — გოგონამ ცბიერი ღიმილით შეაჩერა და მსწრაფლ გაეცალა.

ევდოკია გიორგვენა თავის ყოფილ ქმარს და მამამთილს რომელიღაც კომედიური ფილმის პერსონაჟებივით ახსენებდა — ჩემი ან განსვენებული დედამთილი პოლონელი არისტოკრატი იყო, კორნელი პავლოვიჩი კი, წარსულში ცნობილი არქიტექტორი, ცოლის დიდგვაროვნებით დღემდე ამაყოფსო — მამამთილმა ჩემთან კარგი დამოკიდებულება ბოლომდე შეინარჩუნა და სულ ჩემს ქებაშიაო, ყოფილ ქმარს კი გამუდმებით საყვედურობს: პავლიკ, ევდოკიას ღირსეულად არ ექცევითო.

პავლიკი პატარა ამელიას გამო ჭკუას კარგავდა, ვასილისას ხშირად ურეკავდა და საცხოვრებლად თბილისში ინვეცდა, ბავშვი აქაურ სკოლაში შევიყვანოთო.

ევდოკია გიორგვენა ცოტას კი ორჭოფობდა, შვილთან და შვილიშვილთან განშორება უჭირდა, მაგრამ ყოფილი ქმრის შემოთავაზებასაც ანგარიშს უწევდა, მათი მომავლისთვის ასე აჯობებსო.

— კორნელი პავლოვიჩს ღვინით დავათრობ, მის იუბილარ ვაჟს კი ღამით დავიპყრობ!.. — გაიხუმრა მასწავლებელმა და გადაიკისკისა.

ამ დროს აუდიტორიის კარი გაიღო და ჰალსტუხიანი კაცის მოჩვენებითად გაოცებული სახე გამოჩნდა.

— ოჰ, ლეონიდე, თბილისში მივდივარ, პავლიკს დაბადების დღე აქვს და უნდა დავასაჩუქრო... ა, ლეონიდე, როგორია?! — ხელების სავსავით მიაგება ქალმა და სულის შეხუთვამდე ჩაბჭირდა.

— უბერებელი ქალი ხარ, ევდოკია, უბერებელი!.. — ხელი ჩაიქნია ლეონიდე და კარი მოხურა.

— აჰა, ბენიამინ, გაიგონე, ჩემმა კოლეგამ რა მითხრა?.. ხომ გაიგონე?! — მხიარულობდა მასწავლებელი და სკამზე გოგონასავით ირნეოდა.

— ლეონიდე მართალი ბრძანა! — მოსწავლეც გამხიარულდა და ქალს მამამებლურად მიაჩერდა.

ევდოკია უცებ დამშვიდდა, ღრმად ამოისუნთქა, თვალებში ამოუცნობი სევდა ჩაუდგა, „ასე რომ, თბილისში მივემგზავრებით!”

— რალაცნაირი სინანულით ჩაილაპარაკა და სარკმელთან მომდგარ ბინდს მელანქოლიურად გახედა.

ბენიამინმა თადარიგი წინდანინ დაიჭირა: ვაგონის გამცილებელს ელაპარაკა და ორადგილიანი კუბე დაიკავა.

რკინიგზის სადგურში უამრავი ხალხი ირეოდა, ზოგი მიემგზავრებოდა, ზოგიც მიაცილებდა.

ვაჟი კუბედან ბაქანს ზვერავდა. ამ დროს ევდოკიას სიცილი მოესმა. ქალი ნაცნობ კაცს შეხვდა და მისმა მოსწრებულმა სიტყვამ გაამხიარულა — აქეთ-იქიდან ვასილისა და ამელია ამოდგომოდნენ — ერთი ბავშვური ცნობისმოყვარეობით აცეცებდა თვალებს, მეორე კი ვაგონის ფანჯრებს უთვალთვალებდა.

ვაჟმა ფარდა გადასწია და სანთებელას გაჰკრა — შეყვარებულს ადგილსამყოფელი ანიშნა.

ვასილისა მოულოდნელად ნაცნობ გოგონას გამოელაპარაკა, მერე მშობლისკენ შებრუნდა

და მსუბუქად უსაყვედურა: — ნინი ვერ იცანი?!
 გიორგევენას უხერხულად ჩაელიმა, — უიმი,
 როგორ არა! — გონს მოსულევით მოიბოდიშა და
 გოგონა თბილად მოიკითხა.

ვასილისამ კმაყოფილება ვერ დაფარა, თურმე
 ნინიც თბილისში მიდიოდა, ტაში შემოჰკრა,
 მოგვიანებით შენს ვაგონში გადმოვალ და ჩვე-
 ნებურად ნავიჭორავოთო, — ნინასნარ დაგეგ-
 მილი სცენარი ოსტატურად გაითამაშა.

ევდოკია გაბრიყვდა.

ბენიამინი კი ყველაფერს მიხვდა.

მატარებელი ნელათრევით გაეცალა ბაქანს.

კუბეში დადარაჯებულმა მოსწავლემ, კეთილ-
 ისმყოფელ მასწავლებელს ყველაზე ძვირფასში
 რომ ეცილებოდა, უნამუსობაზე წასწრების სა-
 შიშრობება უკან მოიტოვა და შვებით ამოისუნთქა,
 გვერდზე ჩამოჯდა.

უკიდევანო სივრცეში განოლილი ზღვა გვე-
 ლეშაპივით ქმენდა, შორს კი ღუზაჩაშვებული
 გემის გაღაჟღაჟებული სილუეტი ჩანდა.

მოუთმენელი ლოდინის შემდეგ კუბეს კარი
 გაიღო და ზღურბლზე ვასილისა გამოჩნდა —
 დამფრთხალ ჩიტივით სუნთქავდა, თითქოს
 შორეული ქვეყნიდან მოფრინდა, თვალეები სამშ-
 ვიდობოზე გამოღწეულივით უელავდა.

ბენიამინს უგონოდ ენატრებოდა...

ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეხვეოდა და ნელ-ნელა
 შიშვლდებოდა. ვასილისას კალმახივით მოუხ-
 ელთებელი ტანი ბენიამინის მკლავებს ბადეში
 გახლართულივით ეწინააღმდეგებოდა — ძალუ-
 მად აწყდებოდა, თითქოს მოჭარბებული ვნები-
 სგან სადღაც გაქცევას ლამობდა.

მატარებელი დაბინდულ სივრცეს დგანდ-
 გარით მიაპობდა — დევივით ხვნეშოდა, ზოგჯერ
 ისე შემზარავად კიოდა, თითქოს სამყაროს აფხ-
 იზლებდა: დასასრული მოახლოვდაო — ზოგჯერ
 აკვანივით ირწეოდა და მონოტონური ბიძგებით
 გზას მიიკვლევდა.

გახელებული წყვილი თითქოს მოძრავი ურ-
 ჩხულის სრბოლის ჟინს აჰყოლოდა, თავაშ-
 ვებულობაში ტოლს არ უდებდა და უკიდევ-
 ანობასთან ჭიდილში ეცილებოდა, მის გამძაფ-
 რებულ ხმაურსა და იდუმალ რონინს საკუთარი
 გულისტქმით პასუხობდა — ვნებით ინვოდა და
 ერთურთში იწმახნებოდა.

ქალ-ვაჟი და რკინის მანქანა უსასრულო-
 ბისკენ თავგამომდები ტემპით მიიჩქაროდნენ
 — ზოგჯერ ცხრებოდნენ, სულს ითქვამდნენ,
 თითქოს ამაოებას შეიგრძნობდნენ და კვლავ
 ხელდებოდნენ, ოხრავდნენ და ბნელეთს მიარ-
 ლვევდნენ.

ბოლოს მატარებელი წყვილს მაინც გაემიჯნა
 და კვლავ თავდავიწყებით განაგრძო სრბოლა,
 ტრფობისგან მოთენთილებს კი ღრმად ჩაეძი-
 ნათ.

გამთენიისას გაელვიათ.

ვასილისამ გულმობხდილი კაბა ჩაიცვა, მომხი-
 ბლელი იყო, როგორც შრომანი და სასურველი

— როგორც გაზაფხული.

— არასოდეს მიღალატო!.. — ვაჟს დაძაბულო-
 ბისგან ხმა ნაერთვა.

— ღალატი საიდან მოიტანე?! — ქალი ოდნავ
 წამონითლდა.

— არ ვიცი, უბრალოდ, ცუდი წინათგრძნობა
 მაქვს!

— ჩემს ერთგულებაში ეჭვი გეპარება?!

— არ ვიცი!

— გიყვარვარ?!

— სიგიჟემდე!

— ჩემო სულელო! — ქალმა პერანგის ქვეშ
 ხელი შეუცურა და მკერდზე მოუთათუნა.

— შენ, გიყვარვარ?! — ბენიამინს სუნთქვა
 შეეკრა.

— სულელო! — გაუმეორა ვასილისამ დაპირდა-
 პირ პასუხს ვნებიანი კოცნით აერიდა. — დღეს
 რას აპირებ? — გულწრფელად დაინტერესდა.

— უკან დავბრუნდები! — ვაჟმა უკმაყოფილოდ
 ჩაილაპარაკა.

— ზეგ ჩვენც წამოვალთ! — დაამშვიდა ქალმა.

— მატარებლით?!

ვასილისას ყოყმანი დაეტყო.

— ხომ იცი, ყველაფერი ევდოკიაზეა დამოკ-
 იდებული! — თავი დაიზღვია, ტრანსპორტის არ-
 ჩევანი მშობელს მიანდო.

ბენიამინმა მასწავლებლისგან გაკვრით იცო-
 და, თბილისიდან, სავარაუდოდ, ვიღაც გურამის,
 თითქოსდა მისი ახლობლის ვაჟის მანქანით დაბ-
 რუნდებოდნენ.

ვასილისას ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ვაჟი ზღვისპირა ქალაქისკენ მიმავალ მიკ-
 როავტობუსში ჩაჯდა და ღამისეული სიამტკი-
 ლობით მოთენთილს სევდიანი ფიქრები მოეძა-
 ლა — თითქოს ჯადოსნურ წრეში ტრიალებდა,
 განგებამ გარკვეული ზღვარი დაუნესა, რომ-
 ლის იქით გახედვის უფლებაც არ ჰქონდა —
 სიყვარულში თავისუფლება სურდა, ვასილისას
 გარემოცვას კი ვერაფრით არღვევდა და თავს
 შებოჭილად გრძნობდა: მტანჯველი მარტოსუ-
 ლობის საბედისწერო მოლოდინი და მასწავლე-
 ბლისგან ცდუნების შიში ერთბაშად ზარავდა —
 იცოდა, ვასილისასთან ურთიერთობას ევდოკი-
 ას კეთილგანწყობით აღწევდა და, თუ ნდობას
 და პატივს ბოლომდე არ შეინარჩუნებდა, მაშინ
 ყველაფერს დაკარგავდა.

სამი დღის შემდეგ რეპეტიტორის სახლში
 მივიდა, იმეცადინა, სხვა რამეზე კრინტი არ
 დაუძრავს.

გიორგევენა დაღლილი ჩანდა.

ვაჟმა შეყვარებულს წამიერად შეავლო თვალი,
 გასასვლელიდან მიესალმა.

გოგონამ შეთქმულივით გაულიმა, ასე ადრე
 რატომ მიდიხარო.

ბენიამინმა ცოტა ხნის შემდეგ ზაქარიას ჯიხ-
 ურიდან დაურეკა და ევდოკიას მონყენილობის
 მიზეზი ჰკითხა.

— მაგას რას გაუგებ, ამ ბოლო დროს შეყვარე-

ბულივით იქცევა! – გაიხუმრა ქალიშვილმა.

ვაჟმა ხერხემლის გასწვრივ თითქოს მათრახის გადაჭერა იგრძნო – უნიათოდ გაიცინა.

მასწავლებლის და მოსწავლის მორიგი შეხვედრა აუდიტორიაში შედგა. მოსწავლე ჩასაფრებულბულივით დუმდა, ერთი სული ჰქონდა, ქალი თბილისის ამბებს როდის წამოიწყებდა და უნებლიეთ მისთვის საჭირო ინფორმაცია დასცდებოდა.

ბოლოს ველარ მოითმინა და ხუმრობანარევი ინტერესით ჰკითხა:

— რაო, მამამთილი დაათვრე?! – და პავლიკი თუ დაიპყარო, იგულისხმა.

გიორგვენა გამხიარულდა, კორნელი პავლოვიჩის რევერანსებზე ბევრი იცინა – იუბილარის ძმაკაცები ხელზე მკოცნიდნენო, ხოლო თავად იუბილარი კმაყოფილებისგან უგონოდ გაიღეშა და მის დაპყრობას აზრი არ ჰქონდაო.

— გზაში ხომ არ განვაღდი?! – მოსწავლემ ნაგვიანევი გულისხმიერება გამოიჩინა.

— არა, მანქანით ვიმგზავრეთ, ერთი ჩვენი ახლობელია... – ქალი თითქოს გონს მოეგო და გაჩუმდა.

ვაჟისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, მასწავლებელს კი, ადრე რომ ვიღაც გურამი ახსენა, როგორც ჩანდა, აღარ ახსოვდა.

— ჩემი აზრით, მისაღები გამოცდები თბილისში უნდა ჩააბარო!.. – ვაჟის გულის მოსაგებად, სიტყვა ბანზე ააგდო.

— მაგაზე არ მიფიქრია! – იცრუა მოსწავლემ.

სინამდვილეში, თუ ვასილისა საცხოვრებლად მამასთან გადავიდოდა, მაშინ ისიც დედაქალაქს მიაშურებდა.

ბინდებოდა, გაზაფხულის სიო ქროდა.

ბენიამინი და ვასილისა მიტოვებული მშენებლობის ფარღალა კედელს მოფარებოდნენ.

დამყაყებული გუბებთან ბაყაყების ყიყინი აღწევდა.

გოგონას თხელი კაბა ფეხებშუა ებლანდებოდა, თითქოს ეს-ესაა ტანიდან შემოეცლებო.

ვაჟი შეყვარებულს გახელებით კოცნიდა და იქვე, ღია ცისქვეშ ეუფლებოდა.

მათ ამქვეყნად არაფრის რცხვენოდათ – არც ემინოდათ და არც სინდისი ქენჯნიდათ.

სავსე მთვარე ზღვის თავზე დანანაობდა.

ბენიამინს იღუმალი „გურამის“ შესახებ სიტყვა არ დასცდენია.

მეორე დღეს სოფელში გაემგზავრა, მშობლები მოინახულა, ცოტაოდენი ჭირნახული წამოიღო და მორიდებით დაიბარა, მოკლე ხანში ჩემი კეთილისმყოფელი მასწავლებელი და მისი ოჯახის წევრები უნდა გასტუმროთო.

მშობლებმა გაიხარეს, სტუმარი ღვთისააო.

— შენს დედ-მამას სიამოვნებით გავიცნობ! – კმაყოფილებით თქვა ევდოკიამ და სოფელში გამგზავრება სხვა დროისთვის აღარ გადადო.

ბენიამინი, ევდოკია გიორგვენა, ვასილისა და

პატარა ამელია მეორე დღეს სოფელში ავტობუსით გაემგზავრნენ. ამელია ბებიის გვერდით იჯდა, გულს უწყალებდა, ბენიამინის სოფელში კურდღლები თუ არიანო.

ვაჟს შეყვარებულის ხელი თითებში მოემწყვდია და ნაზად ეაღერებოდა.

სასურველ სტუმრებს ეზოში ხანშესული ცოლქმარი გამოეგება.

ოჯახის თავკაცი ჭარმაგად გამოიყურებოდა, ბუნებით ქალების მოტრფიალეს, ყმანვილკაცობაში ბევრი სასიყვარულო თავგადასავალი გადახდენოდა – ევდოკია გიორგვენას გამოცდილი აშკივით ექცეოდა, ენაწყლიანობდა.

დიასახლისი შუაცეცხლთან ფუსფუსებდა, კერძებს ამზადებდა და ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა, აცუნდრუკებული ქმრის დანახვაზე თავს სინაწულით აქნევდა, მელა მსუნაგობას ვერასოდეს მოიშლისო.

ამელია ეზოში შინაურ ფრინველებს ანიოკებდა.

ბენიამინი და ვასილისა აივანზე გასულიყვნენ და სოფლის ხედებს გაჰყურებდნენ.

ოჯახის თავკაცი ევდოკია გიორგვენას მეორე სართულზე აუძღვა, ამ ოდა-სახლის თითოეული ბოძი და ფიცარი მამაჩემის ხელითაა გამოქნილიო, აუხსნა და გარდაცვლილთა პორტრეტების წინ შეაყოვნა, მშობლები სიამაყენარევი სინაწულით გაიხსენა: დედა ადრეულ ასაკში მომიკვდა, მამაჩემმა კი კარგა ხანს იცოცხლა, მეფის რუსეთის უნტერ-ოფიცერი იყო და მისი ხმალი ამ კედელზე ეკიდაო!..

ევდოკია გიორგვენა ბენიამინის წინაპართა გამოსახულებას თვალმონკურვით მისჩერებოდა, თითქოს რაღაცას იგონებდა, „მეფის რუსეთის ოფიცერი!“ უჩვეულო ცნობისმოყვარეობით ჩაილაპარაკა და იქაურობას ფეხათრევით გაეცალა, აივანზე გავიდა, წყვილს შეუერთდა და მალევე გამხიარულდა.

მერე სტუმარ-მასპინძელი სუფრას შემოუსხდა, ოჯახის უფროსი გაღაღდა, ყველა აცინა და გაახალისა.

ბენიამინი საკუთარი დედ-მამისგან მოულოდნელსა და უჩვეულო პატივისცემას გრძნობდა – ევდოკია გიორგვენამ მშობლები გულწრფელად შეაქო, საამაყო შვილი გაგიზრდიათო.

დაღამებამდე მოილხინეს.

ოჯახის თავკაცმა, ხშირად გვესტუმრეთო, ჭიშკართან შეყოვნებული ქალაქელები ალაღად დაპატიჟა, ვასილისას მეგობრულად მოეხვია, თითქოს აგრძნობინა, ყველაფერს ვხვდები და, იცოდე, ბიჭი არ დამიჩაგროო – ანიკინებული ამელია კი ხელში აიყვანა, შემოდგომაზე მესტუმრე და იმ დეზებიან მამალს წესს ავუგებო.

გოგონამ ეზოში გოროზად მოსიარულე ფრინველს რიდით გახედა და წარბები ბავშვური შურისძიებით მოჭმუნა, მერე ხალისით გაიღმა, იფიქრა, ძალიანაც კარგი, შემოდგომაზე ველარ გამომენტებო.

ქალაქში შეღამებისას ჩავიდნენ.

სპორტსკოლის სადარაჯოში შუქი ენთო, „ზაქარია, ალბათ, დეიდასა და კახელ მაშვიკოს იხსენებს!“ – გაიფიქრა ბენიამინმა და მხიარულ გუნებაზე დადგა, თითქოს ბერიკაცის იღუმალებით მოცულ წარსულს ფარდა ახადა, მისი ორაზროვანი სიტყვები მოაგონდა: „ამბობენ, დეიდას დედის სუნი უდისო, მაგრამ მთლად მასეც არ ყოფილაო“, ბერიკაცი ზნეობისა და უზნეობის ასეთი აღრევით ვნების მოუთოკაობასა და ცოდვას ერთმანეთთან აიგივებდა, თუმცა სიმართლეს ბოლომდე არ ამბობდა. „ზაქარია ხან მაშვიკოსთან მრუშობდა, ხან — ნადეჟდასთან... ვინ დაუშლიდა?!“ ასკვნიდა ვაჟი და უხამსი ფიქრებით ერთობოდა, — უნებლიეთ გონებაში ბაბუა მელქისედეკი ამოუტივტივდა, მის პორტრეტს ევდოკიას თვალით შეხედა, წინაპრის გაყინულ მზერაში დაფარული საიდუმლოს ამოცნობას შეეცადა — რატომღაც გაიფიქრა, ჩემმა კეთილისმყოფელმა მასწავლებელმა პაპაჩემის შესახებ საძრახისი ხომ არაფერი იცისო და, შეშფოთდა, წინაპრის ყურმოკრულ წარსულს თვალი გადაავლო.

მელქისედეკს ორი ამბის მოყოლა უყვარდა, რომლებსაც, ალბათ, შეუნყნარებელ ცოდვად თვლიდა და ხშირი გახსენებით მის სიმძიმეს იმსუბუქებდა; თუმცა ბოლომდე ამბობდა თუ არა სიმართლეს, ეს მარტო ეშმაკმა იცოდა — ცოდვა კი მადევსო, მაგრამ ამ ცოდვამ სიცოცხლე შემინარჩუნაო, უჩვეულო სიხარბით დასძინდა...

...ავსტრიის საზღვართან დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა, მელქისედეკის დანაყოფმა მტრის ასეულს მუსრი გაავლო, თუმცა არც მათ დადგომიათ კარგი დღე — სულ სამნი დარჩნენ და რატომღაც სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ; მელქისედეკს მოწინააღმდეგის ჯარისკაცი შაშხანით ბევრჯერ გაუგმირავს, მაგრამ პირისპირ არასოდეს შეჩეხვია. რამდენიმე გვამს რომ გადაალაჯა და გეზი სანგრისკენ აიღო, ამ დროს წინ ხმალშემართული გერმანელი გადაეღობა — შუახნისა ჩანდა, თუმცა სიცოცხლე მასაც ისევე სწყუროდა, როგორც ახალგაზრდა მელქისედეკს; ერთმანეთს თვალებით დიდხანს ბურღავდნენ, აშკარად ყოყმანობდნენ, საბედისწერო ჟამს ვერსად გაურბოდნენ, თითქოს მათ სულელებ ეშმაკი დაპატრონებოდა და ხარკად ერთ-ერთის სიცოცხლეს ითხოვდა; გერმანელი გამოცდილი ჩანდა, მელქისედეკის მოქნეულ ხმალს თავისი შეაგება და შუაზე გადაუმსხვრია; ქართველმა გარდაუვალ სიკვდილს წამით თვალები გაუსწორა, მერე იმარჯვა, გერმანელის მახვილი მოხერხებულად აიციდინა, მკერდში ეძგერა და ხეს მიანარცხა, შებოჭა, საკუთარივე ხმალი შეატრიალებინა და ხორხში გაუყარა — გასისხლიანებული გვამი იქვე, ხეზე მიღურსმულივით დატოვა; გონებიდან ვერ იშორებდა მოკლულის უკანასკნელ გამოხედვას, რას მერჩოდო, შენთვის რა დამიშავებიაო; მისი იარაღი

მოენონა, ძვირფასი ჩანდა, გაოცდა, ასეთ ხმალს უქარქაშოდ როგორ ატარებდაო და სხვა ნადავლთან ერთად წამოიღო.

ეს სწორედ ის ხმალი იყო, რომლის შესახებაც ბენიამინის მამამ ევდოკია გიორგვენას სინანულწარევი სიამაყით აუწყა, ამ კედელზე ეკიდაო, იმის შესახებ კი არაფერი გაუშხილა, მეოთხე კლასელმა ბენიამინმა სადღაც რომ გააქრო და, სამწუხაროდ, მელქისედეკი ხმლის დარდმა რომ გადაიყოლა.

ბერიკაცი მეორე ცოდვას უფრო ხალისიანად იხსენებდა და ზაქარიასავით დასძინდა: „ვნება ეშმაკივითაა, შემოგიჩნდება და მოსვენებას დაგაკარგვინებს!..“ ჰოდა, მოსვენება რომ დაკარგა და მეთაურის ცოლს თვალი დაადგა, სიკვდილს სწორედ ამან გადაარჩინა. იმხანად პარტიზანულ რაზმში ირიცხებოდა. მეომრები სოფლის განაპირა შენობაში ჩასაფრებულიყვნენ და მტრის ალალს ელოდებოდნენ. სოფლის გადაღმა მათი მეთაურის ახალგაზრდა ცოლი ცხოვრობდა. მელქისედეკს მოლდოველი ქალის მეხსიერებაში შერჩენილი ვნებიანი გამოხედვა არ ასვენებდა. ერთხელ მეთაურმა ცოლთან კონსერვის ქილა და შავი პური გაატანა, უკან დაბრუნებული ჯარისკაცის თვალებში აღქაჯები რომ შენიშნა, მეორედ აღარ ენდო და მის მაგივრად სხვა გაავაზვნა. მელქისედეკმა შურისძიება გადწყვიტა, იმ ღამით მეთაურს ძეხვი მოჰპარა და სოფლის გზას გაუდგა, ვიდრე ჯარისკაცები გაიღვიძებენ, ამასობაში უკან მოვბრუნდები და ძეხვის არსებობაც აღარავის გაახსენდებო. შუალამისას გამოცხადებული ჯარისკაცის დანახვაზე მეთაურის ცოლი ცოტა კი შეცბა, მაგრამ მამრის გაუმადლარ თვალებს რომ წაანყდა, ძეხვსა და ძეხვის მაგვარ კუნთს ხარბად წაეტენა და კარგა ხნის დაუბანელი მებრძოლი ოფლში გაღვარა. უკან მიბრუნებულ, ხვაშიადმოკლულ პარტიზანს შენობა მიწასთან გასწორებული დაუხვდა, იქაურობა დამწვარი ხორცისა და ადუღებული სისხლის სუნით ყარდა.

„ამ ომში მეორედ მეწერა სიკვდილი, მაგრამ სისხლმა დავენებამ სიცოცხლე შემინარჩუნა“—ო!.. — ამტკიცებდა მელქისედეკი.

„ნუთუ პაპაჩემს ამ ორი ცოდვის მეტი გასახსენებელი არაფერი ჰქონდა?!“ — დაეჭვებით ფიქრობდა ბენიამინი და ნელ-ნელა მოთენთილობის ბურუსში იძირებოდა...

...იგი საკუთარი წინაპრის ცოდვების მსხვერპლი გახდა და თავი ფსიქიატრიულ კლინიკაში ამოყო; მან არ იცოდა, მელქისედეკი რომელი ცოდვის გასაღებს მალავდა — ბოლშევიკების რისხვას რომ გადაურჩა და მეფის რუსეთის არმიამი სამსახურისთვის არ დაისაჯა, თუ დარჩენილი სიცოცხლე მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ქადაგებას მოახმარა და პრაქტიკულადაც იღვანა — ავი საქმეები აკეთა, თავისი სოფლის ეკლესიის გაპარტახებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, შებიღნული სალოცავიდან წმინდანთა

ხატები და ოლარები გამოიტანა, შინსახკომს გადასცა და პარტიული ერთგულებისთვის ჯილდო დაიმსახურა.

მხოლოდ ღვთისმშობლის ხატის გადარჩენა მოახერხა პელაგია ჟღენტიმა და 70-იან წლებში აღდგენილი ტაძრის წინამძღვარს გადასცა.

ერთხელ ღრმად მოხუცი პელაგია ახალგაზრდა ბენიამინს შეხვდა, ეკლესიის განადგურების ამბავი სინანულით აუწყა: „არ გენყინოს, შვილო, მაგრამ, უნდა იცოდე, ან განსვენებული პაპაშენი საკუთარ სიცოცხლეს ცოდვებით ამძიმებდა, მე კი მეტი ვერაფერი შევძელი, თქვენი ოჯახი ერთი ცოდვისგან მაინც ვიხსენი, ღვთისმშობლის ხატი გადავარჩინე, ახლა ვხვდები, ამქვეყნად თურმე მხოლოდ ამისთვის მიცოცხლია და შენც ასე მოიქეცი, სიკეთე თესე და მელქისედეკის ნაკვალევზე არ იარო“ - ო, ბოლოს დალოცა, ღვთისმშობლის მაღლი შეგწოდესო.

მელქისედეკი კომუნისტური პარტიის წევრობას ცოდვად სულაც არ თვლიდა, მაშინ ასეთი დრო იყო და თივის ბულულში ხომ არ შევიყუყუებოდით; პასუხს არავინ სთხოვდა, პირიქით, ყველგან დაფასებული კაცის სახელით სარგებლობდა.

„ვეროპაში აღმოცენებული სოციალისტური იდეა რუსეთსა და კავკასიას სარეველასავით მოედო, რა მექნა, ქალის კაბას ხომ არ გადავიცვამდიო — ზოგჯერ ასეთი გამოთქმაც უყვარდა: ახალი ეპოქის ჯარისკაცი გავხდი და ბოლშევიკებთან ერთად ეშმაკს ვარჯულებდი, მეოცე საუკუნის პროდუქტი ვარ და საზოგადოებრივ წინსვლას ვერ შევაფერხებდი“-ო! და ფარული სინანულით მხოლოდ მეფისდროინდელ ცოდვებს იხსენებდა: ერთს, თავის მეთაურს ძეხვი რომ მოპარა და ცოლი გაუბახა, მეორეს — გერმანელი ჯარისკაცი მისივე ხმლით რომ განგმირა, — ერთ შემთხვევაში სიცოცხლე მოვიპარე, მეორეში — მოვიპოვეო.

სპორტსკოლის დარაჯიც ასე ამბობდა: მეოცე საუკუნის პროდუქტი ვარო...

...ბენიამინს გარდაბნელმა პაციენტმა მოგვიანებით ისევ დაურღვია მყუდროება, პალატის კარი შეუღო და შიგ შესვლა დააპირა.

ოტელოს გარდა ამას ვერავინ გაბედავდა.

ბენიამინს სახე მოექუფრა.

— კარგო კაცო, განყოფილებაში სანიტრის გარდა აღარავინ დარჩა, დამარეკინე რა?.. — თავი შეახსენა და თითები მუდარის ნიშნად ყელთან მიიტანა.

ბენიამინმა მოჭმუხნული წარბები ძლივს გახსნა — რა გაენყობოდა, ტელეფონი გაუნოდა და მკაცრად გააფრთხილა:

— მეორედ აღარ შემანუხო!

— არა, კარგო კაცო, როგორღა შეგანუხებ, დავრეკავ თუ არა, ჩემი შეყვარებული მაშინვე მომაკითხავს და აქედან წამიყვანს! — „კარგი კაცი“ ალალი ღიმილით დაამშვიდა და მომცრო ციფრები აკრიფა. — თენგო ვარ, ფსიქიატრიულ-

ში მომიყვანეს! — ვილაცას სულმოუთქმელად მიაცარა.

„არ მოგაკითხავ, მოისვენე, შენი ადგილი მანდ არის!“ — ყრუდ გაიჟღერა ახალგაზრდა ქალის უკმაყოფილო ხმამ.

ბენიამინი გისოსებისკენ შებრუნდა.

ეზოში პირბადიანი მანდილოსანი სეირნობდა.

— გმადლობთ, კარგო კაცო... — გამოაფხიზლა თენგომ. — ჩემს დას ველაპარაკე, გაბრაზებულა, მალე გაუვლის და ამ დღეებში შეყვარებულთან ერთად მომაკითხავს! — მის სიყვარულზე წარმოდგენა რომ არ შეცვლოდათ, ნახევრად სიმარ-თლე მაინც აღიარა.

მოულოდნელად მის ზურგს უკან ოტელო გაჩნდა, მოჩვენებასავით აილანძა, საბრალო პაციენტს ქეროში სწვდა და დერეფნისკენ წაითრო.

— პატიოსან კაცს რატომ ანუხებ, შე გათახსირებულო?! — ქვენარმავალივით ჩასისინა.

— არაფერი... შეყვარებულთან დავრეკე... — დაიბნა ვაჟი და ბენიამინს საწყალობლად შეხედა, ამ გადარეულისგან მიხსენიო.

— რა შეყვარებული, რის შეყვარებული, ნადი, წამალი დალიე და იმკურნალე! — დასჩხავლა ოტელომ და ცხვირწინ დაკვარჩხული თითები დაუტრიალა, ცალი თვალი ბენიამინისკენ ეჭირა, ხომ კარგად ვიქცევით. — ვინ გიყვარს?!. ვინ გიყვარს?!. — პირიდან დუჟს აფრქვევდა.

— ვინ მიყვარს და, ქალი! — თითქოს გონს მოეგო თენგო, ბენიამინს მიმანიშნებლად გაუღიმა, ეგ ნაღდად ვერ არის თავის ჭკუაზეო.

ამ დროს მათ ერთი გიჟი მიუახლოვდა.

— ქალს ცხვარი გერჩიოს, ისეთი ცხელი ხვრელი აქვს, თონე გეგონება... გადასარევიან!... — დაიბანჭა. — ცხვარს რომ გემო გავუსინჯე, მერე დეკეულისკენ გავიწიე, მაგრამ დედაჩემმა წამასწრო და ორკაპით გამომიდგა... ეს ჩემს სოფელში, ბაზალეთში მოხდა... — და ახითხითდა.

ოტელო ახლა მას გაეჭიმა, ცხვრის მუსუსი უნოდა და ისევ გარდაბნელს მიუბრუნდა.

— ქალს ჭკუა ყურებში რომ აქვს, კაცს კი კუჭში, იცი, ვინ თქვა ეს?! — გარდაბნელმა მხრები აიჩჩინა. — ვინ თქვა და, მამაჩემმა... მამაჩემმა!.. — ისტერიულად აყვირდა და თვალეში რისხვა ჩაუდგა, დემონივით აიძაგრა, ეტყობოდა, მის არსებაში გონიერება და სიგიჟე ერთმანეთს უტყვედა.

თენგომ ხელი ჩაიქნია და იქაურობას გაეცალა.

„ქალს ცხვარი გერჩიოს, თონესავით ცხელი ხვრელი აქვს!..“ — გაიძახოდა ბაზალეთელი და დერეფანს ზიგზაგურად მიუყვებოდა.

ბენიამინს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, პალატის კარი მოიხურა და, მწარე სინამდვილეს რომ გაქცეოდა, ისევ წარსულში გადაეშვა...

...ვასილისას და პატარა ამელიას თბილისში გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა. ბენიამინ-

მაც თადარიგი დაიჭირა და ნამდვილი განზრახვა მასწავლებელს შეფარვით აუნყა, იქნებ დედაქალაქში ვცადო ბედით.

ევდოკია გიორგენამ გადანყვებილება გულწრფელად მოუნონა, როცა ჩემებს ჩამოვაკითხავ, შენც გინახულებო და, თვალეში შორეული იმედი გაუკრთა – მომზადების გადასახადზე უარი განუცხადა, გამოცდები ახლოვდება და სახარჯოდ გამოიყენო.

ვაჟი უზომოდ მაღლიერი დარჩა, მასწავლებლის ვალს სიკეთით გადავიხდით – მისი ქალიშვილი ერთგულად მეყვარება და ამით ავუნახულურებო — ის დროც მალე დადგება, როცა სიმართლეს გავუმხელ და ამელიასაც ნამდვილ მამობას გავუნწევო.

„თბილისში შენზე ახლობელი არავინ მეყოლება, იცოდე, შენი იმედი მექნება... ვასილისას ხშირად მიაკითხე, არ დაივინყო!“ – მასწავლებელი ისე მოძღვრავდა მოსწავლეს, თითქოს მისი უნივერსიტეტში მოწყობა გარანტირებული იყო.

ბენიამინს ზოგჯერ უნდობლობის ეჭვი იპყრობდა, ევდოკია ჩემზე იმედს იმისთვის ამყარებს, საკუთარი ქალიშვილისა და ჩემი სამუდამოდ დაკავშირება განუზრახავსო — ვითომდა ნაცოლარ საქმროზე რომ უნდა დაექორწინებინა და, ღონდას საყვარელი კაცის მეგობარს, ვილაც გურამს, საეჭვოდ რომ ახსენებდა – ამასაც ერთგვარ ხერხად იყენებს და ხაფანგს მიგებსო, შეფარვით მაფრთხილებს, დროზე იმოქმედე, თორემ ვასილისა ჩიტივით გაგიფრინდებაო.

ზღვისპირა ქალაქი დამსვენებლებით გაივსო, კაფე-ბარები ახმაურდა და მხესუმზირის გამყიდველი ქალებიც საგრძნობლად გამოცოცხლდნენ.

ევგენია სტიფანოვნას მოსკოველი დისშვილი, ქმართან ერთად, ლესელიძეში აპირებდა დასვენებას, მაქაურ პლაჟს ვერ ვეგუებო, უთვლიდა დეიდას და მათთან ჩასვლას ურჩევდა — აგვისტოში კი მოსკოვში ევატიჟებოდა.

ევდოკია გიორგენა მაშინვე დაფაცურდა და სამი საგზური გაახერხა.

ვასილისას გაუხარდა, აქაურ პლაჟს ვერც მე ვეგუებო.

— ოჯახის წევრებთან ერთად რატომ არ მიემგზავრები? – მოსწავლე გულწრფელად დაინტერესდა.

— საგამოცდო პროგრამა ბოლომდე უნდა ჩავათავოთ! – მიუგო მასწავლებელმა.

— ამ პაპანაქებაში ჩემ გამო რჩები?! – კმაყოფილება ვერ დაფარა ვაჟმა.

— შენ რა, ჩემთან განმარტოების გეშინია?! – გადაიკისკისა ქალმა.

— ესე იგი, მხოლოდ ჩვენ ორნი! – გამხიარულდა ვაჟი.

— ჩვენ ორნი, ჩვენ ორნი! – მხარი აუბა მასწავლებელმა.

— მატარებლით მიემგზავრებიან?! – მოულოდნელად ჰკითხა მოსწავლემ, განზე გაიხედა,

რამეში არ დაექვდესო.

— არა, ერთი ჩემი ახლობლის ვაჟს სოჭში საქმე აქვს, მანქანით მიდის და ჩემებსაც თან გაიყოლებს. – დაუფიქრებლად მიუგო ქალმა.

„ისევ ის გურამი!“ მწარედ გაიფიქრა ბენიამინმა.

ლესელიძეში გამგზავრების წინ ვასილისასთან შეხვედრა ვერ მოახერხა.

სამეცადინოდ თითქმის ყოველდღე დადიოდა. საშინლად ცხელოდა, სასტუმრო ოთახიდან ახლა სამზარეულოში გადაინაცვლეს, ზღვიდან მონაბერი სიო აქ უფრო აღწევსო, ირწმუნებოდა ხალვათად ჩაცმული მასწავლებელი და ვაჟს აბაზანაში გაგრილებას სთავაზობდა, არ მოგერიდოსო — როცა მისი მკერდისკენ უნებლიეთ გაქცეულ მზერას დაიჭერდა, მრავლისმეტყველად ელიმებოდა.

— გაგრაში ნათესავი გარდამეცვალა, უნდა გავემგზავრო! – იცრუა მოსწავლემ და მასწავლებელს დამნუხრებული მიაჩერდა.

ევდოკიას ერთხანს ხმა არ გაუღია.

— გაგრიდან ჩემები რამდენიმე წუთის სავალზეა, თუ მოახერხებ და ინახულებ, გაუხარდებათ! – მგზავრს რომ მიაცილებენ, ისე გაუღიმა ქალმა და სანატორიუმშიც დაუსახელა.

— აუცილებლად მოვახერხებ!.. – დავალებულივით მიუგო ვაჟმა და აწრიალდა, თითქოს ჩქაროსნულ მატარებელზე აგვიანდებოდა.

ღამით მართლაც მატარებელში იჯდა, გვიან ჩაეძინა, უჩვეულო სიზმარი ნახა: ვასილისასთან ერთად ზღვაში ცურავდა, ციდან ტალახიანი წვიმა ეშვებოდა და წყალს აჭაობებდა – წყვილს სული ეხუთებოდა, ნაპირი კი არსად ჩანდა...

ბენიამინი ლესელიძეში დილაუთენია ჩავიდა.

სანატორიუმს მალე მიაგნო.

ნახევრად შიშველი დამსვენებლები პლაჟისკენ მიიჩქაროდნენ.

ვაჟი მზით გარუჯულ სხეულებს გაფაციცებით აკვირდებოდა და სანატორიუმის ჭიშკრის წინ განბილებულივით მიმოდოდა.

ამასობაში სამხრობის დრომ მოაღწია.

ბენიამინმა უცებ ევგენია სტიფანოვნას ხმა გაიგონა: «Амелия, не балуйся!», და მზის ბინდბუნდში თმაანწილი გოგონა დალანდა.

ამელიას ხელში ფერადი კენჭები ეჭირა და სანატორიუმის ჭიშკარს ხტუნვა-ხტუნვით უახლოვდებოდა. ვიდრე მოხუცი ქალი გვერდს აუვლიდა, ვაჟმა თავი დაუკრა, როგორ ბრძანდებითო, ზრდილობიანად მოახედა. სანატორიუმის ეზოში დანინაურებული გოგონა თვალის დახამხამებაში ჭიშკართან გაჩნდა, მოხუცს მაჯაზე წაეტანა, დახრა აიძულა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა – დაუპატიჟებელ სტუმარს მტრულად ახედა.

ევგენია სტიფანოვნამ თითქოს რაღაც იგუმანა, ვაჟი დაექვებით შეათვალიერა და ნაძალადევად გაუღიმა.

ამ დროს მის გვერდით შუახნის წყვილი შეყ-

ოვნდა, «Подождем в столовой» — შინაურულად თქვა ქალმა და კაცთან ერთად სანატორიუმისკენ გაუყვა.

— Наш Бениаминчик!.. — როგორც იქნა, კეთილგანწყობა გამოხატა მოხუცმა და წყვილს თვალი გააყოლა, — Она моя племянница! — თავმონონებით დასძინა.

ამელიამ პლაჟისკენ მოკურცხლა.

— Не упади! — დაადევნა სტეფანოვნამ და ბენიამინს მიუბრუნდა, მოულოდნელი გამოჩენის მიზეზი თვალმონკურვით ჰკითხა, დამაკმაყოფილებელი პასუხი რომ მოისმინა, მინდობილად დასძინა: — Василиса на пляже, загарает!..

ვაჟი სანაპიროსკენ გაუყვა, მალე გავარვარებული პლაჟი გამოჩნდა, ოქროცურვილი ხვატი სივრცეში გამლვალ ზეთივით ლივლივებდა, უკიდევანო სილაჟვარდე მირაჟივით ციაგებდა.

თვალისმომჭრელ სიკაშკაშეში დედა-შვილის სილუეტი ნელ-ნელა გამოიკვეთა, მათი მსგავსება მომაჯადოვებელი იყო — ერთმანეთის ალიკვალი: პატარა და დიდი ვასილისა მოაბიჯებდა.

— მთელი დღე მზეს ეფიცხები?! — ლიმილით შეაგება ვაჟმა.

— სხვა რა უნდა ვაკეთო?.. დღისით ზღვა, ღამით გართობა!.. — ქალმა თითქოს თავი იმართლა.

— გამოდის, დღისით პლაჟზე ნებივრობ, ღამით კი ცეკვავ!

— მოსკოველ ბიძასთან ერთად! — მიუგო ვასილისამ და შეყვარებულს ხელკავი გამოსდო, ნახევრად სველი საცურაო კოსტიუმი მხარზე მოიგდო. — წავიდეთ, გამოვიცვლი და სადმე გავისერიროთ! — პატარას გახედა, დავაძინებო.

ამელიამ ნიკაპზე დანიწკლული ოფლი მაჯით მოიწმინდა.

ველურია! — შემწყნარებლურად ჩაილაპარაკა ქალმა, სანატორიუმის ჭიშკართან ოდნავ დანინაურდა და ხუმრობით დასძინა: — მალე გამოვალ, ვერ გენდობი, აქ რუსი მანდილოსნები უმონყალოდ ნადირობენ!..

ვაჟს გაეცინა, თხელ კაბაში დაღანდული შეყვარებულის ქვედატანი ავბორცულად შეათვალიერა.

ქალს თვალეში ვნებიანი სურვილი გაუკრთა, მზისგან გარუჯული მკერდიდან ქვიშის ნამცეცეები უხერხულად ჩამოიფერთხა, ბავშვს ხელი ჩასჭიდა და სანატორიუმისკენ გაუყვა, ერთი-ორჯერ უკან მოიხედა.

ვაჟს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ქალს რალაცის ეშინოდა.

მალე მობრუნდა და ბენიამინთან ერთად ზღვისკენ გაუყვა. ამ დროს სანატორიუმის შენობიდან ამელია გამოვარდა, ევგენია სტეფანოვნას დადევნებულ საყვედურებს ყური არ ათხოვა და თვალის დახამხამებაში წყვილის გვერდით გაჩნდა — ბენიამინს რატომღაც შემრიგებლურად გახედა.

— შუადღისას უნესო ბავშვები არ იძინებენ! —

ქალმა მსუბუქად გაკიცხა და ხელი ჩაიქნა.

— თავი დაანებე! — გოგონას გულის მოსაგებად წარმოთქვა ვაჟმა.

პლაჟი დამსვენებლებისგან თითქმის დაცარიელებულიყო.

წყვილი ზღვის ნაპირს მიუყვებოდა, ამელია ნინ-ნინ გარბოდა, ცხელ ქვიშაში იქექებოდა, რალაცას პოულობდა, ზღვაში ისროდა და მერე ისევ იქექებოდა — ზოგჯერ თვალს ეფარებოდა და წერტილივით ჩანდა.

— არ გავგრილდეთ?! — შემპარავად იკითხა ქალმა, კაბა გაიხადა და წყალში შეცურა.

ვაჟი ფეხდაფეხ მიჰყვა.

შიშველ სხეულებს ზღვის ტალღები შემაცბუნებლად ელამუნებოდა და სასიამოვნო ყრუანტელს ჰგვრიდა. ვაჟმა ნაზად მოიზიდა ქალი და სიფრიფანა საცვალს წაეპოტინა. ქალმა კისერი მორჩილად გადაკიდა, თმამ ტალღეში ჩქამი გაიღო, ნიჟარასავით დახშულ შხუილსა და იდუმალებით მოცულ წიაღში თითქოს წყვილის ვნებიანი სუნთქვა ჩაინთქა.

გაცისკროვნებულ უკიდევანობაში გახვეული მზე ზღვის სილაჟვარდეში ნებიერად იძირებოდა.

ალერსით გართული შეყვარებულები ამელიას უაზრო შეკვივებამ გამოაფხიზლა — ერთმანეთს ისე გაერიდნენ, როგორც ზღვის მიმოქცევისგან დამფრთხალი თევზები — სიღრმისკენ გაცურეს, გახურებული სხეულები ტალღებს მიანდეს.

— რას აპირებ?! — ვასილისამ სანატორიუმის ჭიშკართან ისეთი გამომეტყველებით იკითხა, ვაჟი მიხვდა, მათი შეხვედრა რომ ამოინურა.

— გაგრაში წავალ, ამაღამ ნათესავებთან დავრჩები და დილით ჩამოგაკითხავ! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა.

— ხვალ მოსკოველ ნათესავებთან ერთად ბიჭვინთაში მივდივართ! — მოჩვენებითი წუხილით აუნყა გოგონამ.

ვაჟი მოიღუმა.

— მეც წამოვალ! — უნებლიეთ დასცდა.

— მანქანაში ადგილი არ იქნება!.. — ახლა მოჩვენებითი გულდანყვევით მიუგო ქალმა.

„საინტერესოა, ვის მანქანაზეა საუბარი?!“ — გაუელვა ვაჟს და ჯიქურ მოუჭრა: — სხვა მანქანით მოვალ და გავწაივლებით!..

სანატორიუმის ეზოში ევგენია სტეფანოვნა გამოჩნდა, აჭარხლებულ ამელიას უსაყვედურა, ბევრი გირბენიაო და, ვაჟს აღმაცერად გახედა, აგრძნობინა, შენი წასვლის დროაო.

ბენიამინმა საათზე დაიხედა, თითქოს ნათესავის დაკრძალვაზე აგვიანდებოდა.

მალე შეყვარებულთან ერთად რკინიგზის ლიანდაგი გადაჭრა, გზაპარაზე გავიდა და გაგრისკენ მიმავალ ტრანსპორტს დაელოდა. ევგენია სტეფანოვნა და ამელია ბექობზე შეყვინდნენ, წყვილს მიაჩერდნენ. ამ დროს მათ



შორის სატვირთო ეშელონი გაიხლართა, მხედველობიდან გამქრალმა შეყვარებულებმა დრო იხელთეს, ერთმანეთს მიეტანენ და მატარებლის მომაბეზრებელ ხმაურში ნაუცბათევი კოცნით დატკბნენ...

...ქალს ცხვარი გერჩიოს, ისეთი ცხელი ხვრელი აქვს, თონე გეგონება! – გიჟმა ფიქრებში წასულ ბენიამინს მიაძახა და დერეფანს ქირქილით გაუყვა, ისე იმანჭებოდა, თითქოს შუშის ნამსხვრევებზე მოშველი ფეხებით დააბიჯებდა.

ბენიამინი რეაბილიტაციის ცენტრიდან გამოუსულ, სიგიჟისა და გონიერების ზღვარზე მყოფ პაციენტებს აკვირდებოდა, რომლებიც საკუთარი გრძნობების რეალიზებას ცდილობდნენ, გარკვეულიმკურნალობის შემდეგ გამაჯანსაღებელ პროცედურებს იტარებდნენ და მომავლის იმედს ებლაუჭებოდნენ — თითქოს ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ, გასართობ ამბებს ისმენდნენ, ჭადრაკსა და შაშს თამაშობდნენ.

გადიოდა ხანი. რეაბილიტაციის ცენტრიდან ისევ და ისევ ნაცნობი სახეები გამოდიოდნენ, თავდაპირველად ხელჩაქნეულები ჩანდნენ, დღითიდღე მომჯობინება ეტყობოდათ, ბოლოს კლინიკიდანაც ეწერებოდნენ და უკან დაბრუნებაზე აღარ ფიქრობდნენ, თუმცა რეაბილიტირებულები დამოუკიდებლად დიდხანს ვერ ძლებდნენ და კვლავ ფსიქიატრიულში ხვდებოდნენ.

მუდმივად ასე მეორდებოდა.

ბენიამინმა პირბადიანის შესახებ ბევრი რამ შეიტყო: ქალს მარიამი ერქვა და სახეს შეგნებულად მალავდა — არავის ეჩვენებოდა, იმასაც ამბობდნენ, ერთ ახალგაზრდა ექიმს შეუყვარდაო...

მარიამი დედათა მონასტრიდან მოიყვანეს, კარგა ხანს მორჩილებაში გაატარა, დღე-დღეზე მონაზვნად უნდა აღეკვეცათ; პატარაობიდანვე მომაჯადოებლად ლამაზი ყოფილა. თოთხმეტი წლის ასაკში მისი გარეგნობით ვიღაც ნარკომანი ბიჭი მოხიბლულა და მოუტაცია. ქალიშვილის მამა მწარე ხვედრს შეგუებია, მაგის გათხოვება ბედის ირონიააო, თუმცა ეგ ოხერი ისეთი წარმტაცია, ვიღაც მაინც წამართმევდაო.

მარიამის ქმარი დროდადრო ეჭვიანი გამხდარა, მიმზიდველ ცოლს ძმაცაცებს უმალავდა – გამოკეტილი ჰყავდა – მერე ისე აურევია, თავი ციხეში ამოუყვია და ქალისთვის შემოუთვლია, სახელის შერცხვენას უშენობა მიჩვენიაო.

ქალიშვილის დედას გახარებია, ნარკომანი სიძე რა ჯანდაბად მიწოდდა, ჩემი გოგო გაუთხოვარი მაინც არ დარჩებაო. მარიამის მამა მალე გარდაცვლილა. დაქვრივებულ დედას, ქმრის ცხედარი გაციებულაც არ ყოფილა, საყვარლად ვიღაც ახალგაზრდა გამოძიებული გაუჩენია. ჭაბუკი დედა-შვილთან დაბინავებულა და ოჯახის თავკაცობა უთავებია — საკუთარი გავლენა და შესაძლებლობა ქალებისთვის არ დაუშურებია, განსაკუთრებით თურმე, მომხიბვლელ მარიამს უფრთხილდებოდა, ცივ ნიაგს არ აკარ-

ებდა; ერთხელ მანქანაში ჩაუსვამს, უკაცრიელ ადგილას ნაუყვანია, უძალავია და სანადლისთვის მიუღწევია — გაუპატიურებული გოგონა კი მკაცრად გაუფრთხილებია, თუ ჩემი საყვარელი არ გახდები, დედაშენს მივატოვებ და ორივეს სიცოცხლეს გაგიმწარებთო.

მარიამს პირში წყალი ჩაუგუბებია, ისედაც არასოდეს არაფერს მეკითხებოდნენო და დედის სარეცელი მორჩილად გაუყვია.

საკუთარი ძალაუფლებით გალალეულ გამოძიებულს რომელიღაც ყაჩაღური დაჯგუფებისგან სოლიდური თანხა აუღია, საქმეს მოგიგვარებთ და სისხლის სამართლებრივი დევნიდან გიხსნითო; სინამდვილეში, თითი არ გაუნძრევია, ფეხებს ვერ მომჭამენო, მაგათ მალე ჩააძალღებენ და ფული ხახვივით შემრჩებაო; ბანდიტები მის თაღლითობაში საბოლოოდ დარწმუნებულან, გვიან ლამით თავს დასხმიან და ადგილზე ჩაუძალღებიათ, ანივლებული ქვრივი ვერაფრით ჩაუჩუმებიათ, ამდგარან და ისიც ზედ მიუყოლებიათ — აცხცახებულნი მარიამისთვის თითი არ დაუკარებიათ, ზედმეტი მოწმე კი ხარ, მაგრამ ასეთ ლამაზს სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებთო; მომკალითო, შევედრებია ქალი და კედელთან ატუზულა; შენ, სიკვდილს არავინ გეკითხება, უნდა იცოცხლო, შენმა სილამაზემ ამჯერად კი გადაგარჩინა, მაგრამ მომავალში მაინც დაგლუპავსო, უთქვამთ ყაჩაღებს და გოგონასთვის, სიცოცხლის სანაცვლოდ, თითო-თითოჯერ უკოცნიათ.

თავდამსხმელებზე იმავე ღამეს სპეცოპერაცია განხორციელებულა და ოპერაცია მათი ლიკვიდაციით დასრულებულა.

გაოგნებული მარიამი ჩვენების მისაცემად პროკურატურაში დაუბარებიათ, რაიონის პროკურორს რომ შეუხედავს, მაშინვე თავგზა აბნევია, სასონარკვეთილი მოწმისთვის ფიანდაზი დაუგია და საყვარლობა შეუთავაზებია, გეპატრონები და ამქვეყნად არაფერს მოგაკლებო.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მარიამს დედათა მონასტრისთვის შეუფარებია თავი და ღვთის მორჩილებაში დარჩენა გადაუწყვეტია; მონასტრის იღუმენიას საერო ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ცოდვილი გულთბილად მიუღია და მისთვის სულიერი დედობა გაუწევია.

გარკვეული ხნის შემდეგ მისი მონაზვნად აღკვეცის ჟამიც მომნიფებულა.

ამ დროს დედათა მონასტერში სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ვიღაც ამერიკელი ბიზნესმენი გამოჩენილა, კდემამოსილი მორჩილისთვის თვალი მოუკრავს და მაშინვე მოხიბლულა — მისი სილამაზით დაბრმავებულს ხმამაღლა განუცხადებია, ამ ქალის ცოლად შერთვა მსურს და, თქვენი ქვეყნისთვის მომგებიანი პროექტის ბედი, სწორედ მის თანხმობაზე დამოკიდებულიო — იღონეთ რამე და საქმე მოაგვარეთო და ხელმოსანერად გამზადებული

ხელშეკრულება გვერდზე გადაუდია.

ხელისუფლების წარმომადგენლები საგონებელში ჩავარდნილან, აწრიალებულან და მონასტრის ილუმენიაც აწრიალებიათ, დედაო, გვიხსენ განსაცდელისგან, საუკუნის პროექტი გვივარდებო.

ილუმენიას მთელი დღის ლოცვით დამშვრალი მორჩილი თავისთან უხმია და მოულოდნელი საურით აუღელვებია — მონასტრული ცხოვრების სიმძიმეზე შეფარვით ჩამოუგდია სიტყვა, შენი ფაქიზი ბუნება ამას ვერ გაუძლებს, ერისა და ქვეყნის ინტერესებისთვის საკუთარ მრწამსზე ხელის აღება კი შესაწყნარებელია — თავგანწირვის ტოლფასიაო.

საბრალო მარიამს ცხარე ცრემლები დაუღვრია, ვიდრე ღვთის კალთას შევეფარებოდი, საკუთარმა მშვენიერებამ დამღუპა და, თუკი ეშმაკი აქაც არ მასვენებს, მაშინ ჩემს სიცოცხლეს ფასი აღარ აქვსო, — ილუმენიას გულით არწმუნებდა, თუ საერო ცხოვრებას დავუბრუნდები, უსათუოდ გავირყენები და სულს წავინყმედ — ძნელად გაკვალულ ხნულში ჩაყრილი მარცვლის ამოძირკვას ნუ მაიძულებთო და, სათაყვანებელი ილუმენიას შეგონება მოკრძალებით უარყვია, ამერიკელი ბიზნესმენის ცოლობას ცოცხალი თავით არ დავთანხმდები, ცოდვათა მონანიება და ღვთისგან შენდობის მოლოდინი მირჩევნია ქვეყნის ინტერესებსო.

მეორე დღეს მიტროპოლიტთან ერთად დედათა მონასტრის სახელმწიფო მოხელე სწვევია, გაჯიუტებულ მორჩილს პირისპირ შეხვედრია — ქვეყნისთვის საჭირო პროექტი გვივარდებო — ამერიკელი ბიზნესმენი ცოლობას გთხოვს, საყვარლობას ხომ არ გთავაზობსო.

მორჩილს სინანულით ჩაუღიშია, მუდამ ასე მთავაზობდნენ და არაფერს მეკითხებოდნენ — ახლა ღმერთი მფარველობს და მიწიერ ცხოვრებას არაფრის ფასად დავუბრუნდები, ეს იმას ნიშნავს, ძალღმამ საკუთარი ნერწყვით წყურვილი მოიკლას, ხოლო ღორი ისევ წუმპეში ამოიგანგლოსო.

მორჩილის გამჭრიახობით გაცეცხულსა და განბილებულ სახელმწიფო მოხელეს მონასტრის ილუმენიასთვის ვედრებით დაუბარებია, იქნებ ეს ქალი გადაარწმუნოთ და რაიმე გვისაშველოთო.

დაღონებული მარიამი სენაკში დაბრუნებულა, სარკის ნატეხი აუღია და საკუთარ სილამაზეს სინანულით გამომშვიდობებია, სახე უღმობლად დაუსერავს — ცრემლი და სისხლი ერთმანეთში აურევია — დღეიდან აღარ ვიქნები მომხიბვლელი და სამუდამოდ მომასვენებნო.

მორჩილი ჭკუიდან შეიშალაო, დაუსკვნიათ დედაოებს და მაშინვე ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაუყვანიათ.

ამ ამბის შემდეგ ორი წელი გავიდა. მარიამის სახე არავის უნახავს — არც ახალგაზრდა ექიმს, რომელსაც თითქოს მისი სული უყვარდა და არა

სხეული. პირბადიანი ქალი მასზე შეყვარებულ კაცს შეგნებულად გაურბოდა, ნუ მაფორიაქებო — როცა ჩემი შერჩენილი სილამაზით დატკბები, სულზე აღარ იფიქრებ და, არც არაფერს შემეკითხებო.

ქალმა მშვენიერებას გიჟობა არჩია; პირბადეს არ იშორებდა, თითქოს თავს შხამიანი მწერებისგან იცავდა — სინამდვილეში, საკუთარ სილამაზეს მალავდა — ნაიარევი უკვე მოშუშებოდა და ადრინდელივით წარმტაცი იყო.

მშვენიერებაზე ხელის აღებამ მშვენიერი აზროვნება ჩამოუყალიბა: ყველა ლამაზ ქალს ცდუნებებით დამახინჯებული გონება აქვსო — თუ ქალი საკუთარ მიმზიდველობაზე ხელს აიღებს, სანაცვლოდ სულის მშვენიერებას დაიბრუნებსო.

ბენიამინმა პირბადიანი მანდილოსანი ხეებს შორის დალანდა და უჩვეულო სინანულით ამოიოხრა.

„ქალს ცხვრის ხვრელი გერჩიოს, თონესავით ცხელია!..“ — კვლავ ჩავსმა და სიმწრისგან ტუჩზე იკბინა, თითქოს ხსნა ისევ წარსულში ჰპოვა...

...იმ ღამით ვაგრაში ნათესავ კაცთან დარჩა. დილით ღვსელიძეში წაყვანა სთხოვა და გზადაგზა ყველაფერი აუხსნა, ჩემი შეყვარებული ბიჭვინთაში უნდა გავასეირნოთო.

„მერსედესი“ ღვსელიძისკენ მიქროდა, ვაჟი კი ვასილისაზე ფიქრობდა.

ჩინებული ამინდი იდგა.

მანქანა სანატორიუმის ჭიშკართან გაჩერდა. ვაჟმა მოშორებით ვეგენია სტეფანოვნა და პატარა ამელია შენიშნა. ისინი ნაცრისფერ „ვოლგასთან“ იდგნენ და პირი პლაჟისკენ მიექციათ. ბენიამინმა ახლგაზრდა კაცის გვერდით მომავალი ვასილისა დაინახა — თანშენწყობით მოაბიჯებდა და მთელი გულისყურით უსმენდა.

ვაჟი მანქანიდან გადავიდა და წყვილისკენ გაემურა.

ვასილისა მისმა გამოჩენამ ოდნავ დააბნია.

— გურამ, ეს ბენიამინია, ჩვენი ოჯახის ახლობელი! — არაფერი შეიმჩნია, ვაჟს ისე გაუღიმა, როგორც — ოჯახის ახლობელს.

„აი, თურმე, ვინ ყოფილა გურამი!“ ბოღმა მოანვა ბენიამინს და რალაც უაზროდ ჩაილაპარაკა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, ახალგაცნობილს გვერდზე გახედვა აიძულა.

გურამს სახეზე დაეტყო, ბენიამინი რომ იცნო და გუნება ნაუხდა.

იგი ადრე კერძო მანქანით ტაქსაობდა. ერთხელ ბენიამინმა გოგოსთან ერთად ქალაქგარეთ გაისეირნება მოინადინა და მის ტაქსში ჩაჯდა. მალე უკანა სავარძელში მოკალათებული წყვილი ურცხვი აღერსით გაერთო — აღგზნებული გოგო ვაჟს მუხლებზე შემოუსკუპდა და ვნებიანად აკვნესდა.

ტაქსის მძღოლს თვალები თითქოს კეფაზე გამოსხმოდა, მანქანას უჩვეულო გულისყუ-

რით მართავდა, განცხრომით მქმინავ წყვილს მყუდროება არ დაფურღვიო.

ვნებიანი შარიშური მალე აღტყინების ფაზაში გადაიზარდა და მოურიდებელი ოხვრით დასრულდა.

„ამ ხალტურისტზე როგორ უნდა გამცვალოს!“ — ბრაზით გაიფიქრა ბენიამინმა, ევგენია სტეფანოვნას, როგორც შეთქმულების ფარულ მონაწილეს, ცივად მიესალმა და „მერსედესისკენ“ განაპირდა.

ვასილისა მისკენ შებრუნდა.
— მოსკოველმა ნათესავებმა გასეირნება გადაიფიქრეს, თუ გინდა, ჩვენთან ერთად წამოდი! — შემრიგებლურად უთხრა.

ვაჟი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.
— მე, ამ მანქანით ჩამოვედი, ვიფიქრე... — აღარ დაასრულა და, მღელვარება რომ დაეფარა, ზღვისკენ გაიხედა.

— გურამს არ ველოდით, დედაჩემის ახლობლის ვაჟია, უხერხულია, ხომ არ მივატოვებთ!.. — ვასილისამ ამ შემთხვევაშიც ევდოკია გიორგევიანა გამოიყენა და თვალელებში მუდარა გაუკრთა, „წამოდი, თორემ მენყინება!..“

— ხომ გნახათ, რა საჭიროა მაგასთან ერთად გასეირნება?! — გაჯიუტდა ვაჟი, გურამს გამომწვევად მიაჩერდა, მიხვდეს და აქედან მოუსვასო.

— ევგენია სტეფანოვნამ შეაყოვნა, მე კი შენ გელოდი! — ამჯერად ბებია დაადანაშაულა და ვაჟს ისევ გამაფრთხილებლად შეხედა, თუ არ დამეპუები, გაგიბრაზდებიო.

ბენიამინს სხვა გზა არ ჰქონდა, მის ნებას უნდა დაჰყოლოდა და დამამცირებელ გასეირნებაზე დათანხმებოდა — საქმის ცხელ გულზე გარკვევას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს შეცვლიდა — „მერსედესის“ მძღოლისკენ მიბრუნდა და შეწუხებისთვის მოუბოდიშა.

მანქანა იქაურობას გაეცალა.
ბენიამინი, ვასილისა და ამელია „ვოლგის“ უკანა სავარძელში მოთავსდნენ.

გურამი ისე დუმდა, როგორც მამინ, მის ზურგს უკან, წყვილი ურცხვად რომ მრუშობდა.

ბენიამინი თითქოს ნაღმზე იჯდა და აგერ-აგერ აფეთქდებოდა.

ევგენია სტეფანოვნა ნირნამხდარი მძღოლის ყურადღებას განგებ იქცევდა, თითქოს უპირატესობას ანიჭებდა და ლაპარაკით მის გართობას ცდილობდა.

გურამი მოხუც ქალს უგერგილოდ უსმენდა, მთელი ყურადღება ბენიამინისკენ გადაეტანა, თითქოს იდუმალი ბრძოლისთვის ემზადებოდა და ნიშნს უგებდა: უკაცრავად, ახლა ჩემი დრო დადგა და სამაგიერო უნდა გადაგიხადო.

ვასილისას შეყვარებულის თითები ხელისგულში მოემწყვდია და მის დაძაბულობას ფარული აღერსით აცხრობდა — ზოგჯერ შემრიგებლურად გადახედავდა, ზოგჯერაც — განანყენებით, თითქოს ორცეცხლშუა ინვოდა.

ბენიამინი თავს ზედმეტად გრძნობდა, ვერც ლამაზ ხედებს ამჩნევდა და ვერც ვასილისას მრავლისმეტყველ ლიმილს, არც სტეფანოვნას უყურადღებობას დარდობდა და არც — ამელიას მტრულ დუმილს, შეყვარებულის ჩუმ აღერსს თანდათან მოთმინებიდან გამოჰყავდა, ფიქრობდა, დამამცირებელ მოთმინებას მაიძულებსო.

ბიჭვინთაში ცოტა ხნით დაყოვნდნენ.
სამოთხისებურ ადგილებში გასეირნება და დროსტარება არავის მოსურვებია.

გურამი აშკარად ჩქარობდა.
მას თითქოს ბენიამინთან ერთად დრო და სივრცე არ ყოფნიდა, იდუმალ მოქიშპესთან სამყაროს ვერ იყოფდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მოიშორებდა — ღირსეულად ვერ იქცეოდა და ვერც ქალის გულს ინადირებდა.

ბენიამინს კი ნერვები ეშლებოდა, ეგ „ხალტურისტი“ თავს როგორ მიტოლებს და საყვარელ ქალში მეცილებო.

ამელიას ბავშვური სურვილი ანუხებდა, ნაყინი მიყიდეთო, მომაბეზრებლად წუნუნებდა. მისთვის არავის ეცალა, ყველა თავის საფიქრალს მისცემოდა. ევგენია სტეფანოვნა უკმაყოფილოდ დუმდა, გუნებანამხდარი მძღოლი კი საათზე იცქირებოდა.

უეცრად ბენიამინი უხილავ მტერთან გაჯიბრების სურვილმა შეიპყრო, მანქანიდან გადავიდა, ჯიხურს მიუახლოვდა და უყურადღებობით განანყენებულ გოგონას ნაყინი უყიდა.

ამელია დამშვიდდა, ნაყინი გალოკა და ვაჟს ნდობით მიაჩერდა.

ვიდრე მანქანა გაგრის სანახებს გასცდებოდა, გზის განაპირა წყაროსთან გაჩერდა.

ბენიამინი ძირს გადავიდა, სახეზე წყალს შევისხურებო.

ამ დროს ამელიას შეკვივლება მოესმა.
დამფრთხალი გოგონა ნაყინით მოთხვრილ თითს ტროტუარისკენ იშვერდა და ფეხებს აბაკუნებდა.

სიცხისგან გახურებულ კენჭებს შორის შავკანიანი გველი მიიკლაკნებოდა.

ვაჟი მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნებით აჩქარებულ ქვენარმავალს არაბუნებრივი გაბოროტებით მიუახლოვდა — ვასილისას ნიშნისგებით გახედა — ფეხი აღმართა და თავი გაუსრისა, ფეხსაცმლის წვერზე სასიკვდილოდ მტოკავი კუდი ზიზლით მოიშორა.

გაფითრებული ვასილისა უჩვეულოდ განრისხებულ ვაჟს შეშინებული თვალეებით მისჩერებოდა, თითქოს შეყვარებულში ახლახან დაკარგულ ღმობიერებას სამუდამოდ ეთხოვებოდა.

„გველს ასე უნდა გაუსრისო თავი!“ — მის გასაგონად ჩაისისინა ბენიამინმა, ჯოხს დასწვდა და მომჩვარული ქვენარმავალი სანიაღვრეში მოისროლა.

ლესელიძემდე ისე ჩააღწიეს, ქალის თითები ვაჟისას ერთხელაც არ შეხებია.

ევგენია სტეფანოვნა გასეირნებით უკმაყოფილო ჩანდა – „ვოლგიდან“ დაძმარული სახით გადავიდა, ამელიას ხელი ჩაჰკიდა, მარტო გურამს დაემშვიდობა, გამოგვიარეო, დავალბებელივით უთხრა და განზე გადავა — ვასილისას დაელოდა.

ქალიშვილი მანქანაში დარჩა, კარი მოიხურა და მძლოლთან საუბარი გააბა.

ბენიამინის არსებაში უჩინარი ბოროტი ძალა მოზღვავდა, შეურაცხყოფას ვერავის აპატიებდა, თითქოს მასში მელქისედეკის სისხლმა იყივლა, უქარქაშო ხმალი ინატრა და გურამის მოკვლა მოუნდა — გონებაში თავგასრესილი გველიც ამოუტივტივდა, ვასილისას განცვიფრებული სახე წარმოიდგინა და შვება იგრძნო, „ვოლგას“ უჩვეულო შურისძიებით მიაჩერდა.

ბოლოს მანქანის კარი გაიღო და ვასილისა უცოდველი სახით გადმოვიდა.

„ვოლგა“ ადგილიდან დაიძრა, წყვილს გვერდი აუარა და მტვრის ბუღში გაახვია, გზაზე ბენზინის სუნი დატოვა, — „ესეც შენ!“ მძლოლმა რალაცნარი კმაყოფილებით გამოიხედა და თვალს მიეფარა.

„ნადი შენი!..“ — ბენიამინმა მწარედ შეიგინა.

— მაგის მანქანაში ერთხელ ბოზი ვიხმარე, შენ კი თავს უყადრებ და მეც მამცირებ! — ველარ მოითმინა, რატომღაც ისევ თავგასრესილი გველი წარმოიდგინა.

ვასილისამ ხმა არ გასცა, სანატორიუმის ეზოდან გამოქცეულ ამელიასთან ერთად ზღვისკენ გაუყვა.

— ბავშვი გაუშვი! — ბრძანებლურად გამოცრა ვაჟმა.

ამელია წყვილს თვითონ გაეცალა და პლავისკენ მოკურცხლა.

გაბოროტებულ ბენიამინს ეჩვენებოდა, თითქოს ზღვა შემზარავად ბობოქრობდა — მალე ვასილისას ტალღებში ჩაითრევდა და სამუდამოდ შთანთქავდა.

ქალიშვილი ჯიუტად დუმდა, მონოლილ ცრემლებს თვალგაშტერებით აოკებდა, საკმარისი იყო ქუთუთოები შეერხია, ლოყებზე წყვილი მარგალიტი დაეკიდებოდა და ზღვის ნიავისგან ანეწილ თმაში გაეფანტებოდა.

ბენიამინს ქალის უცოდველობა მოთმინებას აკარგვინებდა, თავს ვერ გაისულელებდა და ისე ვერ მოიქცეოდა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. რატომღაც ისევ თავგასრესილი გველი გაახსენდა და მისი არსებიდან სისასტიკის ნიაღვარმა იფეთქა: გურამი მიწასთან გაასწორა, უთავმოყვარო და არაკაცი უნოდა, მის მანქანაში მომხდარი ამბავი უხამსად მოიგონა, „მაგასაც შენს თვალწინ ვიხმარ!“ გაგულისებით დაიკვებნა — ვასილისას გარყვნილი და მოღალატე უძახა.

ქალის მორჩილებამ მოთმინების ფიალა დააცლევინა, მიხვდა, ღვარძლი ბოლომდე ამოანთხია და მოსალოდნელი უთანხმოების ჟამი დაუდგა.

ვასილისამ ნაყენებული ბრალდებები თითქოს ღრუბელივით შეისრუტა და თვალის უბებში იდუმალი შურისძიების ცრემლად დაიგუბა.

ვაჟი საბოლოოდ დადუმდა, მრისხანებისგან დაინრიტა, შური იძია და ახლა საკუთარ თავზე ბრაზობდა, გაურკვეველი ზიზილი ახრჩობდა, გრძნობდა, გარდაუვალი მარცხი ელოდა, რასაც ძნელად გადაიტანდა — უსიყვარულოდ ვერაფერს შეძლებდა და ვერც მიზანს მიაღწევდა, ცხოვრებას ალღოს ვერ აულებდა და სასონარკვეთილებასი ჩავარდებოდა.

ქალი სადღაც იცქირებოდა, თითქოს ვაჟისგან წამოსულ სუსხს თავს არიდებდა.

ჩამოვარდნილი დუმილი ორივესთვის აუტანელი გამხდარიყო.

ბენიამინმა დანამდვილებით იცოდა — ვასილისა გურამს მომავალ შესვედრაზე შეუთანხმდა და ამ გადაწყვეტილებას ველარაფრით შეცვლიდა.

ქალი შეურაცხყოფას ჯიუტად იტანდა, არც თავს იმართლებდა და არც ვაჟს კიცხავდა, თითქოს მდებრული დუმილით სჯიდა.

— მეძავის სული გაქვს!.. — გაგულისებით გამოსცრა ვაჟმა, შემცბარ ქალს ერთხანს გამანადგურებლად უცქირა, მერე გველნაკბენივით შეტრიალდა და იქაურობას მსწრაფლ გაეცალა.

გულში მტკივნეულ სიცარიელეს გრძნობდა, „არასოდეს ვნახავ!“ ამოჩემებით იმეორებდა — ხან ჩქარობდა, ხანაც ფეხს ითრევდა, მთელი არსებით გრძნობდა, ქალი იდგა და სინანულით მიაცილებდა.

ვაჟი ქვეცნობიერად მისი სახელის გაგონებას ელოდა, მაშინვე უკან მიბრუნდებოდა და ქალს გულში ჩაიკრავდა, სამწუხაროდ, არავინ უხმობდა და საკუთარი ორეულიდან გაქცეულ, გაბოროტებულ მოჩვენებასავით მიაბიჯებდა, თვალზე მომდგარ ცრემლს უკან აბრუნებდა, სიბრალულის წვეთებად ღვრიდა და მთელ არსებაში უმწეობის სუსხს იტოვებდა — პატარა ბიჭივით ანჩხლობდა, ნაბიჯ-ნაბიჯ რწმუნდებოდა, რომ ერთბაშად აბობოქრებულ სისასტიკესა და სიყვარულს ვერაფრით უმკლავდებოდა, თითქოს მელქისედეკის ცოდვებით დამძიმებულ ხმალს გამეტებით იქნევდა და მტრის ნაცვლად საკუთარ ორეულს ჩეხავდა.

სამტრედიის რკინიგზის სადგურში ღამით ჩავიდა — ტაქსის მძლოლს ზღვისპირა ქალაქში ნაყვანაზე მოურიგდა.

საკუთარი უბედობის შეგრძნება სულს უხუთავდა, დაძრული მატარებლის შეკივლება ბედისწერის გამოძახილივით მოსდევდა, მხოლოდ გონების გათიშვა თუ უშველიდა და მის აფორიაქებულ სულს წამიერ შვებას მოჰგვრიდა.

მანქანა გზაჯვარედინთან გააჩერა და ევდოკია გიორგენას ჩაბნელებულ ფანჯრებს განწირულივით გახედა, მაჯიდან პაპის ნაქონი

საათი მოიხსნა და მძღოლს გაუწოდა: — „შვედურია, შენს საზღაურზე ბევრად მეტი ღირს, ცოტა ხანს დაძვლოდე, ფულს მოგიტან!..“ — მშვიდად უთხრა და ძირს გადავიდა.

მძღოლმა ვერცხლისფერი საათი უნდოდად შეათვალა და ბენიამინს გამაფრთხილებლად დაადევნა: — „საათს რა თავში ვიხლი, დროზე მომიტანე ფული!“

შუალამე გადასულიყო.

ბენიამინი მძღოლის კვალის ასარევად სადარბაზოში ეზოს მხრიდან შევიდა და სინანულით გაიფიქრა: „მაგ საათის ნამდვილი ფასი მარტო მეღქისედევნა იცოდა!“ და ბინდით მოცულ კბებს მძიმედ აუყვავა...

...კუთხის პალატაში ერთი გაურკვეველი ეროვნების ავადმყოფი ინვა, ოტელო მას „ფროიდს“ ეძახდა. გიჟი უმეტესწილად ხელსაქმით ერთობოდა, ფეხმორთხმით იჯდა და ფერადი ძაფებით ლამაზ ფიგურებს ქარგავდა — მთიელივით მარდს, ჩადგმული წელი — რომელზედაც გამუდმებით მოსირმული ქამარი ეკეთა — და კუნთმაგარი ფეხები ჰქონდა; თავპირი წნეხში მოქცეულივით გაბრტყელებოდა, დიდრონ თვალებს აცაბაცად მოგაპყრობდა, თითქოს ეს-ესაა შეთქმულებაში გამხელდა და პასუხს გაგებინებდა — ჩასაფრება უყვარდა, გეშს იღებდა და მალე თავს დაგაცხრებოდა; ერთ წერტილს საათობით აშტერდებოდა, შენიშვნას ვერ იტანდა, ბრაზობდა, არ ვიმსახურებო; გისოსებზე მაიმუნივით ჩამოეკიდებოდა ხოლმე და იმდენ ხანს ყოვნდებოდა, ვიდრე სანიტრები არ დაუცაცხანებდნენ.

— „ფროიდი“ იოგას ხელოვნებას ფლობს! — უჩურჩულა ოტელომ პალატიდან გამოსულ ბენიამინს და კედელთან ატუზულ გიჟს ფარული ახირებით გახედა. — იტაკაზე ლარავით იჭიმება, იხრება და მონღოლურ თავს საკუთარ დუნდულებშუა ყოფს! — დასძინა და ღვარძლიანად შეიკურთხა.

ბენიამინმა კედელთან ატუზულ „ფროიდს“ გაკვირვებით გახედა.

— საკუთარ ასოს წოვს და თესლს ყლაპავს!.. — ოტელომ ხმას განგებ აუნია, გამომწვევად გაიცინა.

— სიცოცხლე ეშმაკისეულია... ღმერთი კი სიკვდილის დადგომიდან იწყება! — თითქოს ჭერს უთხრა „ფროიდი“ და გამაფრთხილებლად დადუმდა.

ბენიამინი ჩაფიქრდა.

— ჩემი არსებიდან ეშმაკს ვდევნი, სხვაში რომ არ განაყოფიერდეს, მერე ისევ ჩემში ვაბრუნებ... ეშმაკი თითოეული ჩვენგანის არსშია და მას მორჯულება უნდა... მამაჩემი ჩემსავით რომ მოქცეულიყო, ეშმასთან ჭიდილი არ მომიწევდა. — „ფროიდი“ ისევ ჭერს ასჩერებოდა და ისეთი შთაგონებით მჭევრმეტყველებდა, თითქოს მაღლიდან იდუმალ დასტურს იღებდა, თვალები ჭკუაშერყეულ ფილოსოფოსივით უელავდა. —

ღმერთი ადამიანს, ვიდრე მასში ეშმაკი ზეობს, ვერაფერს შევლის... მოკვდავმა საკუთარი სულის გადარჩენისთვის თავად უნდა იზრუნოს და ეშმაკი ყველა ხერხით მოარჯულოს — თავის თავშივე ატრიალოს — საკუთარი არსიდან გამონოვოს და უკანვე ჩააბრუნოს... ბოლოს ეშმაკი სხეულთან ერთად დასამარდება და უფლის წინაშე მხოლოდ სული წარსდგება... — „ფროიდს“ ისეთი თავდაჯერებით ელიმებოდა, თითქოს ოდესღაც განწმენდის გზა განვლილი ჰქონდა.

ოტელომ მობეზრებით ჩაიქნია ხელი და იქაურობას უხმოდ გაეცალა.

ბენიამინი პალატაში შევიდა. კარგა ხანს ესმოდა ფროიდის არეულ-დარეული ლაპარაკი: ეშმაკის მორჯულებასა და ღმერთის შემწყნარებლობაზე.

„მინიერება მართლაც ეშმაკისეულია, ხოლო ადამიანები ერთმანეთში ფროიდის ფერადი ძაფებივითაა გადახლართულნი!“ — მწარე სინანულით გაიფიქრა მან და უნებლიეთ კაცთა მოდგმა საკუთარი ფალოსისკენ თავნარგული წარმოიდგინა...

...ვაჟმა კიბე ძლივს აათავა, „შინ რომ არ დამხვდეს?“ შიშით გაუელვა და ნაცნობი კარის წინ ქურდივით შედგა, მასწავლებელთან ასე გვიან რა ესაქმებოდა, თვითონაც არ იცოდა — თითქოს წასასვლელი არსად ჰქონდა, იძულებული იყო, ჯადოსნურ წრეში ეტრიალა — ზარის ღილაკს განწირულივით შეეხო და ერთდროულად შინაგანი განგაშის ხმა და გულის ბავაბუგი მოესმა.

ჩამოვარდნილი დუმილი კარის ფაჩუნმა დაარღვია, სათვალთვალო ჭრილიდან სინათლის სხივი გამოკრთა და მოულოდნელობისგან შემცბარმა მასწავლებელმა საკეტი გადაატრიალა, — ხომ მშვიდობაა, ბენიამინ?! — შემფოთებით იკითხა, მოსწავლე ჰოლში შეიყვანა და დაკვირვებით შეათვალა.

ვაჟი გაოგნებული იდგა, ქალს დაბნეული მისჩერებოდა, თითქოს მისი უჩვეულო სტუმრობის ახსნას მისგან მოელოდა — რალაცის თქმა სურდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა.

— ბენიამინ, რა მოხდა?! — ახლა უფრო შემფოთდა მასწავლებელი და წრფელი მგძნობელობით გაუღიმა.

„აი, თურმე, რისთვის მოვსულვარ!“ გონს მოსულივით გაიფიქრა ვაჟმა და ქალის ღიმილს გაურკვეველი მზერით უპასუხა, სასონარკვეთილება რომ დაეფარა, თავი მხარზე დაადო და შემცივნულივით აცახცახდა.

— მითხარი, ბენიამინ, ყველაფერი მითხარი!.. — ჩურჩულებდა მასწავლებელი და მოსწავლეს მკერდში იკრავდა, უყვავებდა, შინაგანი მორიდება დაეძლია და მონოლილი ბოლმისგან დაცლილიყო.

„ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი... ვიცი ჩემ გამო რასაც მოიმოქმედებს, მითანაგრძნობს და დალუპვისგან მიხსნის!“ — იმედს ებლაუჭებოდა ბენიამინი და აღსარებისთვის ემზადებოდა.

ამ დროს ღამის მყუდროება მანქანის საყვირის ხმამ დაარღვია: ეტყობოდა, ტაქსის მძღოლს ლოდინი მოებზრდა და განგაში ატეხა – ღამის კლიენტს შვედური საათის ნაცვლად თანხის გადახდა შეახსენა.

ვაჟს მოულოდნელად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაცას ძეხვი მოპარა და მასწავლებელს მოუტანა.

შინაგან ხმას ყურს აღარ უგდებდა და კეთილ-ისმყოფელ ქალს საკუთარი სულის ტკივილს უზიარებდა – მის ათრთოლებულ სხეულს ძალუმად იზიდავდა, მოღიავებულ მკერდს მგრძნობიარედ ეხებოდა და ნელ-ნელა ვნების ქარცეცხლში ხვევდა.

ქალი დაჭრილ ფრინველივით ფართხალებდა — ოხრავედა, თრთოდა და თვალებით კვებობდა.

წყვილმა მალე სანოლ ოთახში გადაინაცვლა.

მოსწავლემ მასწავლებელი ლოგინზე გადააწვინა.

ქალი დანებდა.

ვაჟი ჩქარობდა, ერთი სული ჰქონდა, საქმეს როდის მორჩებოდა და ამ უმსგავსო კავშირს ბოლოს მოუღებდა.

მალე ყველაფერი დასრულდა.

ვაჟი სინდისის ქენჯნას სულაც არ გრძნობდა, იწვა და მელქისედეკის სიტყვები ასხენდებოდა: „თუ არ შეგრცხვება, არ არის სირცხვილი... თუ ბოროტებას არ ჩათვლი ბოროტებად, მაშინ ის არ არის ბოროტება... და რასაც გარყვნილებად არ მიიჩნევ, ის არ მიიჩნევა გარყვნილებად!..“ მისი გონება ნელ-ნელა გარდასახვის ბურუსში იძირებოდა — თითქოს ძეხვი მოიპარა, ვიღაცაზე შური იძია და აღარ იყო შესაბრალისი.

მას უკვე სიყვარულის ხელმეორედ მოპოვების უნარი შესწევდა.

მანქანის საყვირის გაბმული ხმა კარგა ხანს ესმოდა; ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა და ვაჟი საბოლოოდ შეეგუა წინაპრის უკანასკნელი ძღვენის დაკარგვას.

მელქისედეკი, როცა მეფის რუსეთის სამსახური მოილია, სამშობლოში ჩინმედლებით, უქარქაშო ხმლით, ვერცხლის პორტსიგარიტა და შვედური საათით დაბრუნდა – თითოეულ ნივთს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და მათი არსებობით ამაყოფდა.

პატარა ბენიამინი ნაფრონტალ პაპას დროდადრო ყველაფერს პარავდა: ჩინმედლები თანატოლ ბიჭებს დაურიგა, პორტსიგარი ავტობუსის მძღოლს უსახსოვრა, უფასოდ მამგზავრეო, შვედური საათი კი, ვიდრე მემკვიდრეობით არ ერგო, ვერაფრით ჩაიგდო ხელში — რატომღაც უქარქაშო ხმლის ჯავრი სჭირდა, იმ ფაქტს ვერაფრით ეგუებოდა, პაპამისი გერმანელი ჯარისკაცის მკვლელობას გულგრილად რომ იხსენებდა და თითს ხმლისკენ იშვერდა, ამით მტრის სისხლი დავღვარე და სიცოცხლე შევინარჩუნეო.

ხმლის ვადაზე რუსული წარწერა და გაურკვეველი ინიციალები იყო ამოტვიფრული.

ერთ დღეს უჩვეულო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ბიჭმა ხმალი მოიპარა, გაუქმებულ ჭურში დამალა, ზემოდან ქვა-ლორღი დააყარა და გულდაგულ დაგოზა, გავიზრდები და წარწერის საიდუმლოს ამოვხსნიო.

მელქისედეკი გაცოფდა, ხმალი სად წაიღეო, ბიჭს მოსაკლავად გამოუდგა, მაგრამ ვერაფერი გააწყო — მისი ასავალ-დასავალი ვერასგზით დააცდევინა და დარდმა შეიპყრო.

მოხუცი საბოლოოდ ასაკმა მოინელა თუ — ხმლის დარდმა, არავინ უწყოდა; მამაზეციერს ისე მიაბარა სული, უქარქაშო ხმლის შესახებ ბოლო წუთამდე აბოდებდა, რუსეთის უფლისწულმა გამოჰქედაო.

ბენიამინს უქარქაშო ხმალი და მასთან ერთად დამარხული საიდუმლოება მუდამ ახსოვდა, თუმცა, სისხლიანი ისტორიის მიმართ დროდადრო ინტერესს კარგავდა – ჩემი წინაპარიც და უქარქაშო ხმალიც მიწაში მარხია და წარსულის ქექვას აზრი არ აქვსო.

ვაჟი ევდოკიას ნაზმა შეხებამ გამოაფხიზლა. ქალმა ყავა შესთავაზა, განცხრომის შემდეგ გესიამოვნებაო, ცბიერად გაუღიმა და ღამის ხალათი მოისხა, სამზარეულოში გავიდა — ბედნიერი ჩანდა, წუთის წინ უმონყალოდ რომ განძარცვეს, ვნებით გააბრუნეს და სათამაშო თოჯინად აქციეს, ამას ვერაფრით წარმოიდგენდა.

ახლა მის მჭკნარ სილამაზეს ასაკი იმდენად ეტყობოდა, რამდენადაც ამის დამალვას თავად ცდილობდა.

ვაჟს ყავა სანოლში მიართვა, ცოტა ხნის შემდეგ გვერდით მიუწვა და მფრთხალი უფლებამოსილებით მიუალერსა, ვნებიანად აკვნესდა.

ბენიამინს ახლა მისი ასაკი და ნაწლავივით დაკეცილი მუცლის შეხება ზარავდა, ნაძალადევად ეტრფოდა — მისივე ქალიშვილის შეურაცხყოფით გაღვივებულ ბალღამს საშოში ანთხევდა; ვასილისას ლოგინში იწვა და მის სურნელს გრძნობდა — იწვა არა საყვარელი ქალის, არამედ მისი მშობლისა და აღმზრდელის გვერდით – ნებივრობდა და ეუფლებოდა სხეულს, რომელმაც მისი საყვარელი არსება შობა.

მალე მკვდარივით ჩაეძინა.

წინ დიდი განსაცდელი ელოდა: მართალია, დედისგან მოპოვებულ ნდობას შვილის მოსარჯულებლად გამოიყენებდა, მაგრამ სიფრთხილე და თავდაჭერა მართებდა — მცირე შეცდომა ძვირად დაუჯდებოდა.

ერთი კვირის შემდეგ ვასილისა ლესელიძიდან დაბრუნდა.

ახლა მთელი ოჯახი მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

გოგონა ვაჟს გაურბოდა, თავს არიდებდა, ამკარად აგრძნობინებდა, ჩემი არსებობა დაივიწყე და ამ ოჯახიდანაც ფეხი ამოიკვეთეო.

იმ დღეს ქალაქში საყოველთაო სეირნობა მოეწყო; ყველგან საზეიმო განწყობა სუფევდა; ქუჩებში გახალისებული ადამიანები სეირნობდ-

ნენ — ზღვისპირა ბულვარში ღია საესტრადო კონცერტი გაიმართა.

ბენიამინი, ევდოკია გიორგვენა და პატარა ამელია კონცერტს დაესწრნენ. ვასილისა შორი-ახლოს იდგა, თითქოს შინაურებს ვერ ამჩნევდა, მალე იქაურობა მეგობარ გოგონასთან ერთად დატოვა და სადღაც წავიდა.

ბენიამინი მასწავლებლის აივანზე იდგა და ქუჩას უთვალთვალებდა, ვასილისას გამოჩენას მოუთმენლად ელოდა, მოგვიანებით ტროტუარზე მომავალი შენიშნა და მოუსვენრად აწრიალდა.

ვასილისამ ვაჟს თვალი შეასწრო, უკან მიტრიალდა, ეზოდან შემოვლა და მაგულისთან დაყოვნება გადაწყვიტა.

ევდოკია გიორგვენა სამზარეულოში ფუსფუსებდა.

ბენიამინმა სასტუმრო ოთახი ფეხაკრეფით გაიარა, კარი გააღო და კიბეზე დაეშვა.

ქალ-ვაჟი ერთმანეთს მაგულის ბინის შესასვლელთან შეეჩხა. გოგონას ნირი არ შეუცვლია, გვერდის ავლა დააპირა. ვაჟი მაჯაში წაეტანა, მომისმინეო, მკაცრად შეაყოვნა; ქალი გაუძალიანდა, „გამიშვი!“ ზიზლით გამოცრა და მეზობლის კარის სახელურს ჩაეჭიდა.

ბენიამინი თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ძალდატანებას მოერიდა, ხმაურზე ევდოკია გიორგვენა არ გამოვიდოსო, ბოლოს, ვერაფერი მოიფიქრა და სილა გაანწა, ამ მოულოდნელი საქციელით თვითონვე შეკრთა.

ვასილისა განიწმატდა, — „გგონია მამა-ღვეინე?!“ — მაგულისებით გამოცრა, ერთხანს ვაჟი გამჭოლი მზერით გაბურღა, ხელის გარტყმა როგორ გამიბედეო და მერე საყელოში სწვდა, მოიზიდა, ნამზეური კანის სურნელება შეაფრქვია და ცრემლნარევი ხმით ჩასისინა: „ამ საქციელს ინანებ!“ — ბოლმითა და უმწეობით აცრემლებული მაგულის ბინაში შევარდა.

ბენიამინი მასწავლებელთან აბრუნდა და საბედისწერო განაჩენს დაელოდა.

ქალი კარგ გუნებაზე დაუხვდა.

ვასილისა იგვიანებდა.

ვაჟი ფეხს ითრევდა.

ევგენია სტეფანოვნა საძინებელში ამელიას რომელიღაც ზღაპარს უყვებოდა და თანდათან რული ეკიდებოდა.

კოკისპირულად წვიმდა.

ღამის პირველი საათი გახდა.

ბენიამინს წასვლა არ უნდოდა, რაც უნდა მომხდარიყო, ვასილისა უნდა ენახა.

მასწავლებელმა თითქოს ვაჟის სურვილი ამოიცნო, მოულოდნელად დარჩენა შესთავაზა, ასეთ ამინდში გარეთ ძალღია არ გაიგდებო, თერთრულს დივანზე გაგიშლი და თავისუფლად მოისვენეო.

მოსწავლეს ესამოვნა, თუმცა თავპატიჟი გამოიოდო, უხერხულიაო.

ამ დროს ოთახის კარი ვასილისამ შემოაღო,

მშობლის უკმაყოფილება რომ არ გამოენვია, ყასიდად გაიღიმა, სტუმარს თავი დაუკრა და საძინებელში გავიდა.

— ვასილისა! — ევდოკიამ მკაცრად დაადევნა, მოაბრუნა. — ბენიამინმა რამე დაგიშავა?! — გამომცდელი საყვედურით ჰკითხა.

— არა!.. — ვილაცისთვის მისახვედრი ორჭოფობით მიუგო ქალიშვილმა და ვაჟს ხელი გაუნოდა, თვალეში მიაჩერდა.

ბენიამინმა შვებით ამოისუნთქა, ვასილისას ხელი ჩვეულებრივზე დიდხანს დააყოვნა და შემრიგებლურად გაუცინა.

გოგონამ გულგრილად მოუბოდიშა, დაღლილი ვარ და უნდა დავიძინოო.

ევდოკია გიორგვენაც მალე დანვა.

სტუმარს დიდხანს არ დაეძინა — თითქოს დედა-შვილი მას ეკუთვნოდა და ბედის ბორბალს თავად ატრიალებდა, მაგრამ საძინელ სიცარიელეს გრძნობდა და მსხვერპლი, რითაც იმედგაცრუება დაძლია და რისთვისაც შესცოდა, კარგს არაფერს უქადდა.

რული გვიან მოეკიდა.

ღილით ევდოკიას ფუსფუსმა და პატარა ამელიას ნუნუნმა გამოაღვიძა. მალე ბებია და შვილიშვილმა კარი გაიხურეს და სადღაც წავიდნენ.

ბენიამინი გაუნძრევლად იწვა, თითქოს თავს იძმინარებდა. ამ დროს კარის ჭრიალი და ფრთხილი ნაბიჯის ხმა მოესმა, გონს მოსვლა ვერ მოასწრო, თავზე ვას-ლისა დაადგა.

— ევდოკიას აბრიყვებ და ისე თავხედობ, ლამის ლოგინში შემომინვე!.. — ყრუდ გამოცრა და თვალგაბრწყინებულ ვაჟს გამომცდელად დააჩერდა, სახეზე მორჩილი ღიმილი გაუკრთა, თითქოს ღამის იდუმალებას გაეცახა.

— ბუნებით თავხედი ვარ! — მიუგო ვაჟმა და ხელი გაუნოდა.

— ესე იგი, არ მეშვები?! — ქალმა უკან დაიხია.

— უშენოდ მოვკვდები! — ვაჟმა უფრო დაიგრძელა ხელი.

— იცოდე, მეორედ არასოდეს გამარტყა! — შემრიგებლური მუქარით ამოთქვა ქალმა და ბავშვივით მოიბუზა.

— მოდი, შენც გამარტყი და ბარიბარში ვიქნებით!

ვასილისა ვაჟისკენ გაინია, თითქოს სამაგიერო უნდა გადაეხადა.

ბენიამინი მკლავზე წაეტანა და ძალუმად მოიზიდა.

— მაპატიე, ყველაფერი მაპატიე! — გულწრფელი იდუმალებით ჩასჩურჩულა.

— გაჩერდი, ევგენია სტეფანოვნა წაგვასწრებს! — შემცბარმა ქალმა თავის დახსნა მოჩვენებითი მღელვარებით სცადა.

— ვიდრე ბებიაშენი ადგება, ამასობაში ცხრა მთას გადავიჭენებთ! — ვნებინანდ მიუგო ვაჟმა და ტუჩებში აკოცა.

ვასილისა მოლბა, საბნისპირი გადასნია და

ვაჟს ზემოდან მოექცა, ქვედატანი მანამ არხია, ვიდრე შეკავებული კვნესა და სიამოვნებისგან გამომშრალი სუნთქვა ტუჩებში არ შეაფრქვია — შური ვნებით იძია...

გახელებული წყვილი თითქოს უსასრულობისკენ მიჭენაობდა — ქვეყნიერებას უკან იტოვებდა, ყველაფერს ათავებდა და ყველაფერს თავიდან იწყებდა.

ერთმანეთი ისევ უყვარდათ.

ევდოკია გიორგვენა ამელიასთან ერთად მალე დაბრუნდა. ბავშვი გახარებული ჩანდა, ბებომ ახალი ფეხსაცმელები მიყიდაო...

ბენიამინი შეყვარებულს სამი დღის შემდეგ დაუკავშირდა.

ხმაში ნაღველი შეატყო, სახლში მარტო ვარ და, გთხოვ, ამოდიო.

ქალი მოუთმენლად ელოდა, კარი დაკაკუნებამდე გაულო — კარგა ხანს დუმდა, ღელავდა.

— ყველაფერი დასრულდა, გურამთან გილალატე! — ძლივს ამოთქვა და თვალებში ღრმა სინანული გაუკრთა.

ვაჟს თავზარი დაეცა, არ ნავიქცეო, კედელს მიეყრდნო.

ქალი ცახცახებდა, დათრგუნული ჩანდა.

ბენიამინისთვის თითქოს მართლაც ყველაფერი დასრულდა, თავმოყვარეობა შელახულს იქაურობა დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა და უკან აღარასოდეს მოხედდა, მაგრამ ადგილიდან ვერ ინძრეოდა — ამკარად გრძნობდა, ქალი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნას უფრო ნანობდა, ვიდრე მათ მოსალოდნელ განშორებას, მისგან თანაგრძნობას არ ითხოვდა, ის უფრო ადარდებდა, მოულოდნელი მარცხი რომ ივნენია.

ვაჟი მიუახლოვდა და ნაზად აკოცა.

ქალმა მღელვარება ვერ დაიოკა, სახეზე ხელები აიფარა და გულის მომკვლელად აქვითინდა.

— რაც მოხდა, დაივინყე, თითქოს ცუდი სიზმარი ნახე... ჩემი ბრალია!.. — ვაჟმა ევდოკიასთან ჩადენილი საქციელის გამო უნებლიეთ თავი დაიდანაშაულა.

— იცოდე, არ მაპატიო, თორემ, საკუთარი თავის პატივისცემას დაგვარგავ! — ვაჟის სიმშვიდით შემფოთებულმა გოგონამ ტირილი შეწყვიტა.

— საპატიებელი არაფერი გჭირს... უბრალოდ, ცდუნებას ვერ გაუძელი და, ამისთვის მარტო შენ არ ხარ დამნაშავე!.. — ბენიამინი თითქოს საკუთარ სიტყვებს ყურს უგდებდა, ქვეცნობიერად ევდოკია გიორგვენასაც ადანაშაულებდა და მის მიმართ ღვარძლს ანთხევდა.

— არასოდეს ნამომავყევდრებ?!

— არასოდეს!..

ვასილისა კისერზე მოხვია და მიხდობილად გაიტრუნა.

ვაჟი გახელდა, ქალი ნამოზიდა, მისი ფეხები ნელზე შემოიჭდო, კედელს მიაყრდნო და ვნე-

ბის ქარცეცხლში გადაეშვა, მთელი ტკივილი მის სხეულში ჩაანელა — თითქოს ღალატი გაინილადა, ცოდვიანი ვნების საზღაური მასაც გადაუხადა და საკუთარ თავსაც.

განცხრომამ ორივე დააშოშმინა და დარდი შეუმსუბუქა.

მოსკოვში გამგზავრებამდე ვასილისას ამელიას საბუთები თბილისში უნდა წაელო და სკოლაში შეეტანა.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით დედაქალაქში ბენიამინიც აპირებდა გამგზავრებას.

ევდოკიამ კმაყოფილება ვერ დაფარა, მატარებლის ბილეთები თვითონ შეიძინა, ბარემაც ერთად იმგზავრებო და წყვილი სადგურამდე მიაცილა.

მატარებლის გასვლამდე ცოტა დრო რჩებოდა; ევდოკია ჩქარობდა, შინ მალე უნდა დაგებრუნდო და, ვაჟს მრავლისმეტყველად უღიმოდა, ტაქსების გაჩერებამდე გამყვიო.

მოსწავლემ და მასწავლებელმა ბნელ სკვერში გადაუხვიეს. ვაჟმა ქალი ხესთან დააყენა, კაბა წამოხადა და იქვე დაეუფლა, თითქოს მოსალოდნელი ნეტარების-თვის წინდანი ხარკიც გადაუხადა და ერთგულუბაც დაუმტკიცა.

მერე მატარებელში ავიდა და წუთის წინ მომხდარი დანაშაული თავდავიწყების ოხვრით გამოისყიდა — ჩადენილი ცოდვის სანაცვლოდ ვასილისას სხეული დაისაკუთრა, უსასრულობის შეგრძნებით დატკბა და მტკივნეული წარსული დროებით გააქარწყლა...

...ბენიამინი რამდენიმე დღე პალატიდან არ გამოსულა, თითქმის მთელი დრო გისოსებთან იდგა და ხეივანში მოსეირნე პირბადიან მარიამს უთვალთვალებდა.

ქალი მომლოცველივით უკარება ჩანდა; კაცს გულით უნდოდა, პირბადიანს შეემჩნია, მაგრამ ის მუდამ მინას ჩასჩერებოდა, თითქოს მის წიაღში დაფარულის ამოცნობა სურდა; ზოგჯერ მინდვრის ყვავილებს კრეფდა და მერე სათითაოდ აქეთ-იქით ფანტავდა.

კაცი დაუოკებელ სურვილს შეეპყრო, იმ სილამაზის ხილვა ენადა, პირბადიანი ქალი მსხვერპლად რომ აქცია.

ახალგაზრდა ექიმი არსად ჩანდა.

ბენიამინი დერეფანში გავიდა, მოგრძობიანმა გიჟმა შეაყოვნა, მორიდებით გაუღიმა, სიგარეტი სთხოვა და ალაღად შესჩივლა: — ჩემი არავის სჯერა, გული თა-ვში რომ მიცემს, ზოგჯერ ბეჭებში, ზოგჯერ ფეხებში და ზოგჯერაც ასოში... ხელის თითებშიაც მიფეთქავს გული და ხერხემალშიაც; ექიმს რომ ვუთხარი, გული კუჭში მიძგერს-მეთქი, სულელად ჩამთვალა... ნახეთ, ბატონო, აი, აგერ, მარჯვენა საფეთქელთან როგორ მიცემს!.. — მიყურადებით თქვა და ნიკოტინისგან გაყვითლებული თითი საფეთქელთან მიიღო. — გული მოძრავია, ერთი ორგანოდან

მეორეში გადადის, სხვათა შორის, თვალშიც იბუდებს და შუბლის ძარღვშიაც... არავინ მისმენს, არავინ!.. — უჩვეულო სინანულით დასძინა, სიგარეტი მალიმალ გააბოლა და პალატისკენ გაუყვა, მერე გონს მოსულივით შედგა, თითქოს რაღაც გაახსენდა, მობრუნდა და ახალ თეორიაზე ჩამოაგდო სიტყვა: — მე უამრავ გულად, ესე იგი, პიროვნებად ვარ დაყოფილი: აქაც ვარ და იქაც — შინაც და გარეთაც, სანადიროდაც და ქვეყნის სადარაჯოზეც; ზოგჯერ ვთევზაობ, ზოგჯერაც ოკეანეში დაცურავ... ასე იყო ჩემი სამშობლოც და ჩემი წინაპარიც: რამდენი მტერიც ჰყავდა, სწორედ იმდენად ნანევრდებოდა, გულოვნდებოდა და მტარვალისთვის ძნელად მოსახელთებელი ხდებოდა — სხვაგვარად თავს ვერ გადაირჩინდა, ბევრთან ბევრ გულად უნდა ქცეულიყო, მეც ამიტომ ვარ ბევრად დაყოფილი: მინდა გიჟი ვარ, მინდა — ჭკვიანი, ზოგჯერ უსუსური, ზოგჯერაც სასტიკი... ასეა, ჩემო ბატონო, მე მაქვს თეორია, როგორ გადავარჩინო სამშობლო საკუთარ გულთან ერთად!.. — გიჟი იქაურობას უკმაყოფილო ბურღუნით გაეცალა.

მას სუსტი ტანი და კეთილი თვალები ჰქონდა. ბენიამინს დერეფნის ბოლოში ოტელო წამოენია და ფროიდზე რაღაც მოუყვა.

— შენ და ფროიდი მოურჯულბელი ეშმაკები ხართ, კაცობრიობის დაღუპვა გინდათ!.. — ბენიამინს თავად გაუკვირდა, ასე რად გავხედდიო, თორემ მის ბრალდებას თავად ოტელო აუღელვებლად ისმენდა.

პალატაში შევიდა, წამოწვა, თავზე საბანი წაიფარა და ნელ-ნელა უჩვეულო წარმოსახვის ბურანში გაეხვია: თითქოს ფროიდი გორაკზე ფეხმორთხმით იჯდა და მინდორში თავშეყრილ მამრთა მარაქას ეშმაკის მორჯულების ხერხს ასწავლიდა — ეს არ არის მისტიკა, ეს რეალობააო, გაიძახოდა და საკუთარ ფალოსს მონდომებით ნოვდა; ოტელო კი მინდვრის ბოლოში იდგა, პიანინოსაც უკრავდა და ამ გაუგონარ რიტუალსაც მანჭვა-გრეხით დირიჟორობდა.

კაცი თითქოს გამოფხიზლდა, სანოლიდან წამოდგა და იატაკზე ფეხმორთხმით დაჯდა, საკუთარ ასოსკენ წაიხარა, მაგრამ ვერაფრით მისწვდა — ბოლოს თავის საქციელზე გაეცინა, ხელი ჩაიქნია, მის არსებაში დაბუდებული ეშმაკის მორჯულების უშედეგო მცდელობამ გაუნელებელი სინანულით აავსო, მობეზრებით წამოიმართა, ერთხანს უაზროდ იდგა და მერე, სატანური ფიქრებისგან თავი რომ დაეხსნა, კედელს ძალუმად შეენარცხა და იატაკზე მოადინა ზღართან.

დარტყმის ხმა დერეფანში ექოდ გაიჭრა. ნაშუადღევს მთავარმა ექიმმა პალატის კარი შეუღო, არ მომწონხარო, უსაყვედურა და სუფთა ჰაერზე გასეირნება ურჩია — ვერაფრით დაითანხმა — დამამშვიდებელი აბი დაუტოვა და იქაურობას ვალმოხდილივით გაეცალა.

ბენიამინს კარგა ხანს ესმოდა, როგორ საყვედურობდა ექიმი კართან მოყურადებულ ოტელოს, ავადმყოფის თვალთვალს თავი დაანებეო...

...შეყვარებულები თბილისიდან სამი დღის შემდეგ დაბრუნდნენ.

ზღვისპირა ქალაქში აუტანლად ცხელოდა. ბენიამინი მოსკოვში გამგზავრებამდე ვასილისას ერთხელ შეხვდა და დედამისთან გაღებული ტრფობის სანაცვლოდ გაორკეცებული სურვილით დაეუფლა.

მათი ურთიერთობის გასაღები კვლავ ევდოკიას ხელში რჩებოდა და იძულებითი ტრფიალების გარეშე წუთით არ თმობდა.

ვაჟს სინდისის ქენჯნა ისე არ აწუხებდა, როგორც გიორგევენას ნაოჭიანი სხეულის ალერსი — ზომაზე დიდსა და მოშვეტულ მკერდს მოჩვენებითი გზნებით კოცნიდა — სექსის დროს სითბოს მომჭირნედ გასცემდა — ვნებააშლილი მამრის როლს თამაშობდა და გრძნობით მიბნედილ მდედრს ყურში სასიყვარულო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, გულის სიღრმეში კი მის ქალიშვილზე ოცნებობდა, თითქოს მას ეუფლებოდა — ერთთან დაცლილი, მეორეთი ივსებოდა — ასეთი სასიყვარულო სამკუთხედითა და უჩვეულო ანაზღაურებით, სულიერ და ხორციელ წონასწორობასაც ინარჩუნებდა და შინაგან განახლებასაც აღწევდა.

ბენიამინს ზღვისპირა ქალაქის აეროპორტში ერთდროულად რვა თვალი ემშვიდობებოდა — ოთხი სიყვარულით, ოთხი კი მტრულად.

ვაჟი ერთი კვირის თავზე თბილისში გაემგზავრა და საბუთები სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში რვაბალიანი შეფასება მიიღო, რუსულ კარნახში ათიანი დაიმსახურა, ხოლო სსრკ ისტორიაში შვიდიანს დასჯერდა.

საბოლოო შედეგს მოუთმენლად ელოდა, იმედი ჰქონდა, ამჯერად მაინც გაუმართლებდა და სტუდენტი გახდებოდა — შეყვარებულთანაც ახლოს იქნებოდა და მეტი თავისუფლება მიეცემოდა.

შემინულ დაფაზე გამოკრულ სიაში საკუთარი გვარი ვერ ამოიკითხა — სამდივნოდანაც უიმედოდ გამოისტუმრეს, ერთი ქულა დაგაკლდა და უფლება გაქვს გაასაჩივროო.

ვაჟი ყველაზე მეტად იმას დარდობდა, თბილისში უსაქმოდ ვერ გაჩერდებოდა და ვასილისას იშვიათად ნახავდა.

საკუთარი უმწეობის შეგრძნება სულს უხუთავდა, ცხოვრება ჯაბნიდა და ფეხქვეშ თელავდა — საზოგადოება ითვალისწინებდა და სრულუფლებიან ნევრად არ თვლიდა — თითქოს ეშმაკი ებრძოდა და ყველგან გზას უღობავდა, საკუთარი ნიჭის გამოვლინების საშუალებას არ აძლევდა.

ამქვეყნად ვასილისა რომ არ დაეგულებინა,

ყველაფერზე ხელს ჩაიქნევდა და უგზოუკვლოდ გადაიკარგებოდა.

უნივერსიტეტის რექტორს კაბინეტთან დიდხანს ელოდა და, მომისმინეთო, გამოჩენისთანავე სთხოვა. კაცმა წარბები მოჭმუხნა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და კადნიერ ახალგაზრდას ცივად მიაჩერდა, ტყუილუბრალოდ მაცდენთო. აბიტურიენტმა საკუთარი გულისტკივილი ალაღად გაუმხილა, ოცდაშვიდის გავზდი, ხალხის მრცხვენიაო, არაფერს დავეძებო, იქნებ რომელიმე ფაკულტეტზე ჩამრიცხოთო. შენნაირი მთხოვნელი უამრავი მყავსო, იმედი გადაუნურა რექტორმა და ისეთივე გამომეტყველებით გაეცალა, როგორითაც მოუსმინა. „ქუჩაში გავიდე და დანაშაულით ვიცხოვრო?!“ — სასონარკვეთით დაადევნა ვაჟმა, იფიქრა, შევებრალებიო. რექტორი წამით შეეყვნა, „მერედა, ვინ გიშლის!“ — ავდებით ჩაილაპარაკა და კაბინეტში შევიდა.

ბენიამინი ქუჩაში მართლაც გავიდა და ტროტუარს ნაცემი ძალღვივით გაუყვა, რექტორის მოკვლის სცენარი ბოროტი ზრახვით წარმოიდგინა და ვასილისას უძირო თვალებს გულდამწყვეტი სინანულით გამოეთხოვა.

„მოსკოვში გიჩივლებთ და შვილს მაინც არ დაგაჩაგვრინებთ, თქვე უსისხლოებო!“ უნივერსიტეტის კიბეზე გაანჩხლებული ქალი ჩამოდიოდა და დროდადრო შენობისკენ ხელს მუქარით იშვერდა. ვაჟი თითქოს გონს მოეგო, შეჩერდა და მოთმინებადაკარგულ დედაკაცს იმედინად გახედა, „მოსკოვი თუ გადამარჩენს!“ გაიფიქრა და გამგზავრების გადანყვეტილება მაშინვე მიიღო.

ბაბუა მელქისედეკი რუსეთის დედაქალაქს უჩვეულო პატივით ახსენებდა — მესამე რომს უწოდებდა, სადაც არსებობის წესს ევროპული კულტურისა და აზიური ველურობის ერთობლიობა განსაზღვრავსო, კრემლის ლაბირინთში კაცობრიობის საიდუმლოება იმალებაო, მოსკოვი დედამინის მკერდიაო, ქალის ძუძუები ასხია და იმდენს იწველებო, მსოფლიოს ანაყრებსო, — დასძენდა და თვალეში ეშმაკები აუთამაშდებოდა; რუსეთიდან უქარქამო ხმლით რომ დაბრუნდა, ამის შესახებ ძუნნად ყვებოდა, ეს ღვთისა და ეშმაკის საიდუმლოა და, ვიდრე ზენაარი ქვენაარს არ მოარჯულებს, ხმალი ქარქაშში არ ჩაეგებო.

ბენიამინი რუსეთისკენ თითქოს ბედისწერის იდუმალ ძაფს მიჰყვებოდა.

ორი დღის შემდეგ მდინარე მოსკოვის გასწვრივ გაშენებულ ქალაქში, როგორც მელქისედეკი იტყოდა, დედამინის მკერდზე დააბიჯებდა — უცხო გარემოში იმდენად დაიკარგა და დაპატარავდა, საკუთარი თავი მხოლოდ ვიტრაჟებთან ჩავლისას ახსენდებოდა; თავბრუდამხვევ ქუჩებში ქვეცნობიერად ვასილისას ეძებდა, მასზე ფიქრი სულიერ მხნეობას მატებდა და უცნობ სამყაროს ნელ-ნელა ეგუებოდა.

შებინდებამდე იხეტიალა, ღამის გასათევს

ვერსად მიაგნო, ყველა სასტუმროდან ზრდილობიანად გამოისტუმრეს, თუ „ზემოდან“ რეკომენდაცია არ გაქვს, ვერაფერს გაგიხერხებთო.

მოკლედ, მელქისედეკის ნაქებ ქალაქში მასპინძლობას არავინ უწევდა.

ბოლოს, რომელიღაც იაფფასიან სასტუმროს მიადგა, ადმინისტრატორ ქალს გამოელაპარაკა, გულის მოსაგებად ქათინაურიც უთხრა და თავის წინაპარზეც ჩამოუგდო სიტყვა, მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდა და თქვენი ხალხის წინაშე დამსახურება მიუძღვისო.

ხელისგულზე ნიკაპდაყრდნობილი ადმინისტრატორი კავკასიელ ახალგაზრდას მშვიდად უსმენდა, თითქოს მის ნათქვამს კარგად ვერ აცნობიერებდა და ღუმელს ამჯობინებდა; ბოლოს უცნობი გონს მოსულივით შეათვალა, «Значет кавказец?!» — გამომწვევი ღიმილით ჩაილაპარაკა, პომადით გაპოხილ ტუჩებს შორის ენის წვერი ამოატარა და ვილაცას გასძახა: «Тетя Париса, поздравьте с молодым человеке!»

ვესტიბიულში ასაკოვანი ქალი გამოჩნდა, ვაჟს მოჩვენებასავით მიუახლოვდა, გაუღიმა და, რამდენი ხნით გნებავთ ოთახიო, უჩვეულო გამოცოცხლებით ჰკითხა.

ბენიამინი გაოგნებული იდგა, კარგა ხანს ხმა ვერ გაიღო, თვალეებს არ უჯერებდა, უცნობი დედაკაცი ევგენია სტეფანოვნას ნამდვილი ორეული იყო.

«Не знаю!» — დაბნეულად ჩაილაპარაკა და ქალს, რომელსაც ევგენია სტეფანოვნასგან მხოლოდ გადატყვეცილი სახის კანი განასხვავებდა, თვალი აარიდა.

მერე დედაკაცს მორჩილად გაჰყვა.

ისინი რომელიღაც მეტრო-სადგურში ჩავიდნენ და მინისქვეშა მატარებელში ჩასხდნენ. ბენიამინი ევგენია სტეფანოვნას ორეულს ფარული შიშით უთვალთვალებდა და უსიამო, საბედისწერო საიდუმლოების კაემანს ისე გრძნობდა, როგორც სარეცელზე მიჯაჭვული ავადმყოფი სიკვდილის მოახლოებას.

«Зовите меня Парисой Степановной!» — ვაჟი თითქოს ეშმაკის ხმამ გამოაფხიზლა და მის იდუმალ ფიქრებს შეეთამაშა, ქალმა კი ისე გაუღიმა, როგორც უკანასკნელ გზაზე მიმავალ ცოდვილს.

„სტეფანოვნას“ ხსენებამ მთლად დააბნია, წარმოიდგინა, თითქოს განგებამ ევდოკიას გამოშური იძია და ანგარიშსწორების მიზნით დედამისის ორეული მოუვლინა.

ლარისა სტეფანოვნა სიტყვაძუნნი ქალი გამოდგა — ზოგჯერ ვაჟს მუშტარივით უმზერდა — აქაოდა გაყიდვას უპირებს და ხელსაყრელ ფასს წინდანინ ადებსო — შეფარვით თავსაც ანონებდა და შემწყნარებლურად უღიმოდა; მის არსებაში თითქოს სიკვდილსა და სიცოცხლეს, ანგელოზის სათნოებასა და დემონისეულ მომწუსებლობას ერთდროულად მოეყარა თავი.

ოროთახიან ბინაში სანიმუშო წესრიგი სუფევდა.



რუსი დიასახლისი კავკასიელ მდგმურს საძინებელში შეუძღვა, თეთრეული ახალგა-
მოცვლილიაო, სანოლზე მიუთითა და მის ფეხ-
ებთან მიცუცქულ, ნაცრისფერ კატას ენის მო-
ჩლექვით მიუალერსა, უჩემოდ ხომ არ მოიწყი-
ნეო.

— Сейчас угащу кофе с молоком! — მრავ-
ლისმეტყველი ღიმილით დასძინა და კატას,
როგორც მის უტყუარ თანამზრახველს, ისევ მი-
უალერსა.

ცხოველი აკრუტუნდა, ახალგაზრდა კაცს
მტრული იდუმალებით ახედა.

ბენიამინს უნებლიეთ პატარა ამელია გაახ-
სენდა.

ვიდრე ყავით გაუმასპინძლდებოდა, მოხუცმა
მდგმურისგან მოსკოვში ჩასვლის მიზეზი შე-
იტყო და გულწრფელად უთანაგრძნო, უსათუოდ
დაგეხმარებო, დააიმედა და ბოლოს მშვიდი
ძილი უსურვა.

ვაჟმა გვიანობამდე ვერ მოისვენა.
ლოჯიიდან ლარისა სტეფანოვნას მონოტო-
ნური ფშვინვა ესმოდა.

ვასილისაზე და ბუნდოვან ნარმატებაზე უიმე-
ლოდ ფიქრობდა.

როგორც იქნა, ჩაეძინა და ქვეცნობიერი ნარ-
მოსახვის ბურანში გაეხვია, სიზმარს ხედავდა
თუ ცხადს, ვერაფრით გაერკვია, იმდენად რე-
ალურ და ხელშესახებ სამყაროში ბორიალებდა,
მოჩვენებითსა და ცხადლივ შეგრძნებას ერთ-
მანეთისგან ვერ ანსხვავებდა, მისტიკურ განც-
დას ვერსად გაურბოდა, თითქოს კოსმიური
ხილვით შებოჭილს ტვინი უხურდა და აღქმის
უნარს თანდათან კარგავდა – სიზმარიცა და ცხ-
ადიც ერთბაშად უნდა ერწმუნა, ეძინა და თანაც
ელვიძა, მისი სხეული თითქოს გონებისგან
დამოუკიდებლად მოქმედებდა, სული კი სხეულს
გამიჯვნოდა და ბნელი კუნჭულიდან უჭვრეტდა;
ბოლოს ამ გაორებულმა, მისტიკურ-კოსმიურმა
სიზმარ-ცხადმა უჩვეულო ორგანიზმის მოახ-
ლოების ჟამი ამცნო: თითქოს სამზარეულოში
მოფუსფუსე ლარისა სტეფანოვნა გახტურაზე
რძეს ადუღებდა, მაგიდაზე შემოსკუპებულ კა-
ტას რაღაცას ეჩურჩულებოდა და ციცქნა ძუ-
ძეებს უწველიდა; ბოლოს ნანველი იმ ჩაიდანში
ჩაღვარა, რომელშიც ჩვეულებრივი რძე თუხ-
თუხებდა; თეთრი სითხე კი ჭიქაში გადააგრილა
და კატასთან ერთად მდგმურის საძინებელში
შევიდა, მომნუსხველად გაიღიმა, დაიხარა და
სიზმარ-ცხადში მყოფს რძიანი ჭიქა გაუნოდა.
«Не навизу молоко!» — ვაჟმა სული მოითქვა
და პროტესტის ნიშნად თავი კედლისკენ მია-
ბრუნა. «Балван, молоко твое семья изпечит!»
— დიასახლისმა უჩვეულო სიხარბით უსაყვე-
დურა და ხელები საბნის ქვეშ შეუცურა, მთლად
გააშიშვლა. ვაჟს თითქოს სირცხვილის აღმური
მოედო, ალგზნება არ შემატყოსო და კედლისკენ
გადაბრუნება სცადა, ამ დროს პირში რძის ტლან-
ქი გემო იგრძნო და ნიკაპთან მიტანილ ჭიქას

ტუჩები მორჩილად გაუხსნა, რამდენიმე ყლუპის
შემდეგ კიდეც მოეჩვენა და სინამდვილეშიც იგ-
რძნო, ნაცრისფერი კატა მის ფეხებთან როგორ
მიცუცქედა და თითების ლოკვა დაუნყო, დიასახ-
ლისი კი ალგზნებულ ასოს დასწვდა, უფრო
გააკვირვა და ტუჩებს შორის ნაზად მოიქცია.

ბენიამინი დამატრობელ თავბრუხვევასაც
გრძნობდა და გულისამრევ ზიზლსაც – სა-
სიამოვნო სიზმარსაც და აუტანელ ცხადსაც,
სიცოცხლესაც და სიკვდილსაც – ძალაგამო-
ლეულს პირი უშრებოდა, თითქოს ოპიუმის ზე-
გავლენას განიცდიდა, ეიფორიაში იძირებოდა
და რეალურიდან კოსმიურ სამყაროში დაფრი-
ნავდა; ბოლოს თავდავინწყების შემომტევე ნე-
ტარებას ველარ გაუძლო და სიკვდილს მიენდო,
თუმცა დედაბრის ხაოიანი ენა სასიცოცხლოდ
ულიტინებდა, კატა კი ფეხის თითებში უჩვეულო
ჟრუანტელს ჰგვრიდა — მისმა სხეულმა თითქოს
ყოფნა-არყოფნის უკიდურეს ზღვარს მიაღწია,
გახურებული თესლი გამოყო და დედაკაცის
პირის ღრუდან პირდაპირ საშოში გადაანთხია.

მას მკვდარივით ეძინა.
ღილით ნაცრისფერმა კატამ გამოაღვიძა,
ლოჯინზე გადაშლივინა და იატაკზე ისკუპა –
თითქოს ანიშნა, ადგომის დროაო.

ვაჟმა საბანი გადაიხადა და საკუთარი სხეული
დაკვირვებით შეათვალიერა, ყველაფერი რიგზე
ეჩვენა, თუმცა, მასშივე დაბუდებული სიმშვიდე
ეუცნაურა – ენის წვერით პირის ღრუ მოისინჯა,
რძის გემო ხომ არ შემრჩენიაო.

ვიდრე ჩაიცვამდა, დიდი სარკის წინ მოფუს-
ფუსე ლარისა სტეფანოვნა დალანდა, მოეჩვენა,
თითქოს სახის კანს ბლანტი სითხით იზელდა,
ტუჩებზე კი გაუმაძღარი მდედრის იდუმალი
ღიმილი დასთამაშებდა.

თავი კვლავ სიზმარ-ცხადში ეგონა. ამ დროს
გონებიდან ზმანებისეული განცდის შედეგად
დალექილი სალი აზრი ამოუტივტივდა: „დედაკა-
ცი სახის კანს მამრის თესლით იჯანსაღებს!“ –
ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა, მსწრაფლ გადან-
ყვიტა, ამ ჯადოქრიდან დღესვე ავიბარგები და
საცხოვრებლად სხვაგან გადავალო.

მოხუცმა ახალგაზრდა მობინადრეს საუზმე
გაუმზადა და სამზარეულოში შინაურულად მიი-
პატიჟა — ბინის საფასურზე არაფერი უთხრა და
არც კვებაზე შეუთანხმდა.

ვაჟი აღარ დაერიდა, ქირა რამდენი გადაგიხა-
დოო.

ქალმა მრავლისმეტყველად გაუღიმა, თითქოს
რაღაც გაახსენა, რის გამოც თანხას არ აიღებ-
და.

ვაჟმა წყლის ნიჟარის გვერდით რძიანი ჭიქა
შენიშნა.

დიასახლისმა ჭიქა აიღო, გულდასმით გარეცხა
და თბილი რძით აავსო.

ბენიამინმა ფეხის თითებში უჩვეულო ღიტინი
იგრძნო – დაფეთებით მიმოიხედა და ფანჯრის
რაფაზე შემოსკუპებულ კატას დაკვირვებით მი-
აჩერდა.

— Раз кавказец, плати сколько сможешь! — მოხუცი ქალის მშვიდმა ხმამ გამოაფხიზლა.

— Заранее не могу определить на сколько задержусь! — მდგმურმა თითქოს ფინანსური სიმწირე მოიშველია, იქნებ აქაურობას ამ გზით დავაღწიო თავიო.

— На сколько нужно, столько и останьтесь. — ქალმა იფიქრა, ფულის ხარბი არ ვეგონოო.

ბენიამინს მოხუცი დიასახლისის გულისხმიერებამ ევდოკია გიორგვენა გაახსენა — უმადურობის შეგრძნებამ კი სინდისის ქენჯნა მოჰგვარა — დედაკაცს დამნაშავესავით გახედა.

ბოლოს ქალმა ვილაძას დაურეკა, ბენიამინის შესახებ ესაუბრა, ჩემი ახლობელიაო, სსრ კავშირის განათლების მინისტრთან უნდა შეხვედრა და როგორმე დაეხმარეო — ნაცრისფერი კატა კალთაში ჩაისვა და მდგმურს მინისტრის სახელზე განცხადება დაანერინა.

ვაჟს ლამისეული სიზმარ-ცხადი უკვე აღარ ახსოვდა, თითქოს წარმოსახვით მიღწეული საიდუმლოს წვდომა შინაგან კმაყოფილებას ანიჭებდა და ზოგჯერ დედაკაცს შეთქმულივით უღიმოდა — მასთან სწორედ გაუმხელელი იდუმალება აკავშირებდა და მის მიმართ ნდობით განანწყობდა.

ბენიამინი მეორე დღეს განათლების სამინისტროში წავიდა. «Это Вы, Александр Савич?» — მოსაცდელიდან მორიდებით იკითხა და ყურმილი მოიმყუდროვა, მოქალაქეების ხმაურმა ხელი არ შემომალაო.

ახალგაზრდა კაცმა უპასუხა, ყოყმანი რომ შეატყო, «Вы от кого?» — შემათამამებლად ჰკითხა და დაფარული უხერხულობით ჩაახველა.

«От Бориса Матвеевича» — ლარისა სტეფანოვნას დარიგებისამებრ მიუგო ვაჟმა და ალექსი სავიჩის განაჩენს მორჩილად დაელოდა.

«Оставьте Ваше заявление в канцелярии и через неделю свяжитесь!» — საქმიანად დაარიგა სამინისტროს თანამშრომელმა და ყურმილი დაკიდა.

ბენიამინმა დაღამებამდე ქალაქის ქუჩებში იხეტიალა, კრემლი შორიდან შეათვალიერა და უნებლიეთ მელქისედეკის სიტყვები გაახსენდა: „მოსკოვს დედაკაცის ძუძუები ასხია, რომლითაც კაცობრიობა ნაყრდება“—ო.

მოგვიანებით ლარისა სტეფანოვნასთან დაბრუნდა და ვიდრე ივანშემებდა, ყველაფერი დანვრილებით უამბო.

მერე დასაძინებლად გავიდა.

— Молоком не запете? — დაადევნა დედაკაცმა.

— Молоко?! — გაიკვირვა ვაჟმა. — Нет! — გადაჭრით გამოსძახა და იგრძნო, ხმაში არადამაჯერებლობა გაერია, ლოგინში ჩანვა და საბანი ნაიფარა.

— Перед сном молоко полезно! — თითქოს ფეხდაფეხ მიჰყვა დედაკაცი და რძიანი ჭიქა

უჩვეულო მზრუნველობით გაუნოდა.

ბენიამინმა უხერხულად გაუღიმა, რძე მოსვა, არ ენყინოსო.

ნაცრისფერი კატა ლოგინზე ახტა და მის ფეხებთან მოკალათდა.

ვაჟს თვალბეჭეტი რძისფერი ნისლი თანდათან მოეძალა და ბურანში გაეხვია, პირში კატის ფსიტის გემო იგრძნო, მერე ნელ-ნელა ბურანიდან ამოტივტივდა, ნისლი გაარღვია და უჩვეულო სიზმარ-ცხადის სამყაროში აღმოჩნდა, მისი არსება ეგზალტირებული წარმოსახვისა და რეალობის განცდას ერთდროულად შეენივთა — ნაცრისფერი კატა ფეხის თითებს ულოკავდა, ხოლო მისი ფალოსისკენ თავნახრილი ლარისა სტეფანოვნა ენერგიას გამალებით ნოვდა; ქალმა ვაჟი მანამ აღაგზნო, ვიდრე ორგანში არ განაცდევინა და გახურებული თესლი პირიდან საშოში არ ჩაინთხია.

ვაჟი ისევ ბურანში გაეხვია და მხედველობის რომელიღაც კუნჭულიდან სარკის წინ მოფუსფუსე დედაკაცის სილუეტი დალანდა: ქალი რძისფერი სითხით სახის კანს იზეულდა — თითქოს თავს იახალგაზრდავებდა, ტუჩებზე გაუმამლარი მდედრის ღიმილი დასთამამებდა.

იქვე ნაცრისფერი კატა ჩაცუცქულიყო და ტუჩებს ილოკავდა.

ბენიამინს ამჯერადაც მკვდარივით ეძინა.

გვიან გაიღვიძა და სამზარეულოში გალასლასდა, წყლის ნიჟარასთან რძით მოთხვრილი ჭიქა შენიშნა — სხვა საექვო ვერც საკუთარ თავს დაატყო და ვერც ლ-რისა სტეფანოვნას.

მისტკურ სექსზე ფიქრმა უჩვეულო დასკვნამდე მიიყვანა: „იქნებ ლარისა სტეფანოვნა ვამპირია და სასიცოცხლო ენერგიას უჩვეულო ხერხით მწოვს?..“

რამდენიმე დღე ბინიდან არ გასულა, საშინელ მოთენთილობას გრძნობდა, სულ ძილი უნდოდა, იქნებ არეულ-დარეული აზრები წესრიგში მოვიყვანოო — დღისით მომაბეზრებლად დუმდა, ღამით კი, ვიდრე ჩათვლემდა, კვლავ სიზმარ-ცხადის მისტკურ განცდასა და სულიერი შეძრწუნების წინათგრძნობას მორჩილებდა: მაგიდაზე შემოსკუპებულ კატას დიასახლისი ფაქიზად წველიდა, მერე იმ ნანველს ჩვეულებრივ რძეში ურევდა, მდგმურს ასმევდა და გაკაჟებული ასოდან ენერგიას უწოვდა — ცხოველი კი ფეხის თითებს ულოკავდა.

ბენიამინი ალექსი სავიჩს დათქმულ დროს დაუტკავშირდა. მინისტრის მრჩეველმა, შენი საკითხი ჯერ არ განხილულა და კვირის ბოლოს დამიკავშირდითო.

ამასობაში სექტემბერი დადგა.

საგრძნობლად აცივდა.

ბენიამინს ვასილისასთან მოსკოვში შეხვედრის იმედი საბოლოოდ გადაენურა.

ახლა იგი თბილისში დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ლარისა სტეფანოვნამ ბორის მატვევიჩის

კვლავ დაურეკა, კავკასიელი აბიტურიენტის პრობლემა შეახსენა — იმ ღამით რძე გაამზადა, საძინებელში შეუტანა, ბორისი ყველაფერს მოგიხერხებს და არაფერზე იწერვიულოო, დაამშვიდა.

ვაჟმა რძე არ დალია და ქალს ჭიქა ფანჯრის რაფაზე შემოადგმევინა.

დიასახლისი კატასთან ერთად სამზარეულოში გავიდა.

მდგმურმა დრო იხელთა და რძე ყვავილის ქოთანში ჩაღვარა — ცარიელი ჭიქა იქვე დადგა და საბანში გაეხვია, თავი მოიმძინარა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ლარისა სტეფანოვნა შემოვიდა, ვაჟს რალაცნაირი უქმაყოფილებით დახედა, ჭიქა აიღო და იქაურობა ფეხაკრეფით დატოვა.

უჩვეულო მოლოდინით გატრუნულმა მდგმურმა ფეხის თითებში მჩხვლეტავი ღიტინი იგრძნო, უსიამოდ გააჟრჟოლა, თავი წამოსწია, საბნის ზემოდან მოკალათებულ კატას წიხლი უთავაზა და იატაკზე ზღართანი მოადენინა.

კატამ ცხოველური უქმაყოფილებით ამოიკნავლა და სამზარეულოსკენ გაცუნცულდა.

ვაჟს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს — გვერდითა ოთახიდან დედაკაცის მონოტონური ფშვინვა ესმოდა. ნაშუალამევს ნაცრისფერმა კატამ ერთხელ დახვერა, მის მწველ თვალებს რომ წაანყდა, ხელმოცარულივით ამოიქსუტუნა და ლოჯიისკენ შებრუნდა.

გამთენიისას ჩაეძინა. მისთვის მყუდროება არც ნაცრისფერ კატას დაურღვევია და არც — ლარისა სტეფანოვნას.

როცა გაიღვიძა, სარკის წინ მოხუცი დიასახლისი დალანდა. ქალი სახის კანს ჩვეული მონდომებით იხელდა და ტურქებზე ნაცნობი ღიმილი დასთამაშებდა.

ვაჟი შეცბა, ფეხებში უჩვეულო სითბო იგრძნო, წამოიმართა და იქაურობა მოათვალიერა, ნაცრისფერი კატა ვერსად დალანდა. ამ დროს ფანჯრის რაფიდან ცხოველმა ისკუპა, თითქოს ქოთნიდან ამოხვრებილი რძის ყავლი გამოუშვა, უღვაშები გაილოკა და სარკესთან მოფუსფუსე პატრონს ფეხებთან მიუცუცქდა.

მდგმურს მოეჩვენა, თითქოს დედაკაცი ყველაფერს მიხვდა და თავი უქმაყოფილოდ გააქნია.

ვახშამზე ლარისა სტეფანოვნამ არაყი დალია, შეთვრა და საღერღელი აეშალა — თვლებში აუნერელი სევდა ჩაუდგა: ღამაზი დედა მყავდაო, ამოიხვნეშა და თავისი საძინებლიდან ძველი, მოსკოვური ფოტოსურათი გამოიტანა.

სურათიდან მკაცრი გამომეტყველების, ცხოვრებისგან გატანჯული ქალი და აქეთ-იქიდან შემომსხდარი ორი კუდრაჭა გოგონა იცქირებოდნენ. პატარები ერთმანეთს წყლის ორი წვეთით ჰკავდნენ.

ბენიამინი მოხუც დიასახლისს გაკვირვებული მისჩერებოდა.

— Это моя сестра близняшка, Евгения... даже вспоминать о ней не охота... бросила меня и маму, в тяжелой ситуации бросила... себя спасла, на Кавказ сбежала и там вышла замуж... с нами связь потеряла, а когда соизволила появиться, мамы уже не было в живых... — მოხუცმა მოძალებულ კაემანს ველარ გაუძლო და საბრალობლად აქვითინდა, კალთაზე აცოცებულ კატას ხელი შეაშველა და დაოკებული რისხვით დასძინა: — Я не подпустила... сейчас с моей дочерью и с зятем общается, из за чего их тоже упрекаю...

ბენიამინს მოსკოვური ფოტო ხელიდან გაუვარდა, „ნუთუ ეგგენია სტეფანოვნა მართლა ამ ჯადოქრის ტყუპისცალია?!“ — მწარე ამოჩემებით გაიფიქრა და ჭეშმარიტების გარკვევას გონწამრთმევი ნებისყოფის მოხმობით შეენინაალმდეგა, ტრაგიკული აღსარების მოსმენის მოლოდინმა წინდანი შეზარა, ქვეცნობიერად იგრძნო, სავარაუდო საიდუმლოების მიღმა გაცოცხლებით ამაზრზენი ისტორია იმალებოდა.

დედაკაცმა ტირილით გული იჯერა, მდგმურს ნდობით დააკვირდა, არაყი დაისხა, დალია და ნაღვლიანი წარსული კვლავ გაიხსენა...

მის მამინაცვალს სტეფანე ერქვა. დედამისი, ნატალია ეფრემოვნა, შინსახკომის თანამშრომელზე მას შემდეგ გაათხოვია, როცა დარწმუნებულა, მეფის რუსეთის ოფიცერმა სამუდამოდ მიმატოვაო. ტყუპების ნამდვილი მამა წარმოსადეგი ვაჟკაცი ყოფილა. ნატალია თურმე საველე სასადილოს მზარეულად მუშაობდა. ოფიცერს ქალი დანახვისთანავე შეეყვარებია, ცოლად შეგირთავ და არასოდეს მიგატოვებო, სიტყვა მიუცია. ტყუპები რომ გაჩენილან, იმ წელიწადს მეფის მთავრობაც დამხოზილა, ოფიცერი ამდგარა და კავკასიაში გამგზავრებულა. ნატალია დღენიადაც ქმრის მოლოდინში ათენალამებდა, სიდუხჭირესთან ერთად, როგორც მეფის რუსეთის ოფიცრის ცოლს, დაპატიმრების საშიშროებაც თრგუნავდა, ბოლშევიკების რისხვას რომ გადარჩენოდა, სტავროპოლის მხარეში გადახვენილა და კარდაკარ მოხეტიალედ ქცეულა, სილატაკისგან სულს ლაფავდა, ტყუპებს ძლივს არჩენდა, ლუკმაპურს ღვთისა და კეთილი ადამიანების შემწეობით შოულობდა; ბოლოს შვილებთან ერთად ისევ მოსკოვში დაბრუნებულა, იქნებ ქმარს გავახსენდითო. ბევრი უწვალაია, სად და ვისთან არ მიმდგარ-მომდგარა, მაგრამ ვერაფერი გაუნყვია, გოგონები სასწავლებელშიც ვერ მიუზარებია; გაუსაძლისი ყოფისგან თავი რომ დაეხსნა, ბედი შინსახკომის თანამშრომლისთვის, სტეფანე სლივკინისთვის დაუკავშირებია. კაცი უხეში, დაუნდობელი და ლობაზარა ყოფილა, ცოლს ხშირად სცემდა, კავკასიელის ნაბიჭვრები ჩემი საზრუნავი რატომ უნდა გახდნენო, გამუდმებით აყვედრიდა თურმე. მას ბევრი საძრახისი საქმე ჰქონია ჩადენილი, ცოდვები არ ასვენებდა და ჯავრს

ნატალიაზე იყრიდა, ოჯახს ყოველდღე ანიოკებდა, პატარებს ქუჩაში ყრიდა და გათენებამდე სიცივეში აყურყუტებდა. ამასობაში გოგონები წამოიზარდნენ, დაქალიშვილდნენ, ისეთი მომხიბვლელები გახდნენ, საბრალო დედა გვერდიდან არ იმორებდა, ანგელოზები არიან, ეშმაკს არ სძინავს და ხიფათს არ გადაეყარონო; ტყუულებს ყველაზე დიდი საშიშროება მამობილისგან რომ მოელოდათ, გულუბრყვილო ცოლი ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, სტეფანე მკაცრი და ოხერტიალია, მაგრამ ჩემს გოგონებს გვარიც მისცა და, ავად თუ კარგად, მამობაც გაუწიაო. ტყუულები ხმას არ იღებდნენ, დედას უფრთხილდებოდნენ და მამინაცვლის ავხორცულ თვალთვალს იძულებით ითმენდნენ, ოჯახურ განხეთქილებას ერიდებოდნენ. სტეფანე კი მოჩიტულ გოგონებს აფთარივით ზვერაგვდა, ხელიდან არ გამიფრინდნენო. ეგგენიას სწორედ ამ დროს გადაუწყვეტია სახლიდან გაპარვა, ნამდვილი მამის კვალს ვადგომია, მოვძებნი და მასთან ვიცხოვრებო; მისი ასავალ-დასავლისთვის ვერ მიუგნია და ბოლოს კავკასიაში დარჩენილა, იქაურ კაცზე გათხოვილა. მამინაცვალი ეგგენიას საქციელს მოთმინებიდან გამოუყვანია, ნატალია უმადურობაში დაუდანაშაულებია და ჯავრი ლარისაზე ამოუყრია: ერთ ღამეს ცოლი განგებ დაუთვრია და შიშისგან აცახცახებულ გერს მხეცურად დაუფლებია. ნატალია საბოლოოდ გალოთებულა, ცხოვრებაზე ხელი ჩაუქნევია. ლარისა კი მწარე ბედს მორჩილად შეგუებია, ვერც სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი მშობელი მიუტოვებია და ვერც მამობილის ავხორცობას გაქცევია; მისი მოკვლა ბევრჯერ უფიქრია, მაგრამ ვერ გაუბედავს — მურდალი სტეფანეს კლანჭებში დარჩენილს ტყუპისცალი და საკუთარი მამა სამუდამოდ შესძულებია; ბოლოს საშველი დადგომია, მამინაცვალი ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი გამხდარა, მისთვის ღვანლი არ დაუფასებიათ და დაუხვრეტიათ. ეულად დარჩენილ ლარისას ბევრი უჯახირია, ერთ დონბასელ კაზაკზე გათხოვილა და ქალიშვილი შესძენია — ტყუპისცალისადმი უკმაყოფილებისა და კავკასიელი უნტეროფიცრისადმი შურისძიების გრძნობა არასოდეს განელებია.

დედაკაცი მწარე წარსულს გულის მომწველელი პათოსით იხსენებდა და დროდადრო თვალი ლოჯიისკენ გაურბოდა, საიდანაც იდუმალ, თითქოსდა გამაფრთხილებელ ნიშანს იღებდა, ღმერთი არ გაგინყრეს და საიდუმლო ბოლომდე არ გათქვაო; როცა სახეზე მერყეობა დაეცყობოდა, არაყს ისხამდა და უხმოდ ყლურნავდა, საკუთარი წარმომავლობით იმდენად უკმაყოფილო ჩანდა და ამ ხნის მანძილზე იმდენი ტკივილი ეწვნია, კავკასიელი ოფიცრის ხსენება მრავალგზის განცდილ ზიზლს ჰგვრიდა, ხანგამოშვებით ქვითინებდა და ნაცრისფერ კატას გადამეტებით ეალერსებოდა.

ახალგაზრდა მდგმური მოხუცი დიასახლისის უჩვეულო აღსარებას მოთმინებით ისმენდა და თავს რატომღაც დამნაშავედ გრძნობდა; თითქოს სინდისი ქენჯნიდა — წარსულის იღუმალება ვილაცის ცოდვას თავზე ახვევდა — საკუთარი არსებობის რცხვენოდა და იმ ვნებას უჯანყდებოდა, რომელიც მასში ბობოქრობდა და სათავესაც მისივე წარმომავლობიდან იღებდა.

ლარისა სტეფანოვნამ ისიც დასძინა, დაქვრევის შემდეგ ოთახს კავკასიური წარმომავლობის მამაკაცებზე ვაქირავებო — «Их энергия мне силу передает!» — თითქოს იხუმრა და ეს ყოველივე მამისადმი შურისძიებით ასხნა: «У Вас, кавказцев, плодородное семя, в нем гарит небесная пламя Прометея, который способен одновременно спасти и погубить Человечество!» — ტურქებზე გამანადგურებელი ღიმილი გაუკრთა და სახე ავადმყოფური მღელვარებით აუფორაჯდა.

ვაჟი თითქოს კვლავ სიზმარ-ცხადში იყო და ენერგიისგან იცლებოდა.

ყველაფერი მობეზრდა, არაფრის მოსმენა სურდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დაიძინებდა; უსიამოფიქრებით დამძიმებულს წინ მტანჯველი ღამე ელოდა, მოხუცი ქალის მონოტონური ფშვინვა არ მოასვენებდა, „კავკასიელების თესლით თავს იახალგაზრდავებს!“ თავში გიჟური აზრი უტრიალებდა და ამ მაგიურ რიტუალში საკუთარი წვლილის შეტანას კანონზომიერ მსხვერპლშენივად თვლიდა.

მეორე დღეს რუსი დიასახლისი ბორის მატვევიჩის ერთხელაც შეეხმიანა, ბენიამინის საქმე შეახსენა — სალამოს რძე აადულა და მდგმურს დააღვინა, სიზმარ-ცხადის მისტიკურ წარმოსახვაში გახვია და სხეულიდან ენერგია გამოუნოვა.

ვაჟმა შინაგანი წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლია და ჯოჯოხეთური სინამდვილის შეგრძნებასთან შეგუებით გონებისთვის მიუწვდომელ ზმანებაში ყოფნა არჩია, — და ისევ აგონდებოდა სიჭაბუკისდროინდელი სიზმარი: ალქაჯი რომ სასთუმალთან ეჯდა და ძარღვებიდან ენერგიას ნოვდა.

თანდათან რწმუნდებოდა, რომ მისი არსებობა მართლაც სიზმარ-ცხადი იყო.

გაგრძელება იქნება



მანანა ქურდაძე

დედას

სოფლის ბურუსია, სოფლის ამინდია,
 ბუხრის კოცონივით ტკაცუნობს ძვლები,
 ანმყოდან ნარსულამდე ხიდი გამიძია,
 ახლა მონატრებით ვთბები.
 ძველი ზარდახშიდან მიხმობს მოგონება,
 მეაღერსება და მკოცნის,
 სარკიდან მომზირალი წლების ნაოჭები
 დარდად შემეფეთა მოცლილს.
 თითქოს შეიშალა გული უბერებლად,
 ყელზე მებერება ძარღვი,
 თვალი მოგონებებს ცრემლებს უღერებდა,
 ჩემზე ძლიერსა და დაღლილს.
 ფერფლისფრად ჩამოჭენა ბავშვობის დღეები,
 მწყურვალს მესიზმრები, დედა,
 მერე მეც შენსავით როცა დავბერდნები,
 შენს თავს მომანატრებს სევდა.

ვგავდი ამოსულ ლერწამს ჭაობში
 ობი მეხვია, ნისლად სადაფი,
 და ემბრიონი როგორც სამოში,
 გაურკვეველობით სულსა ვლაფავდი.
 სილუეტით გაირთხა შუქი
 და სანთელივით ჩამომიდნება,
 ჭაობის მიღმა გამოჩნდა მუქი,
 თვალჩასისხლული სიკვდილი — ვნება.
 სიცივემ ტანში შემაჟრიალა,

თავი დავხარე როგორც შემფერის,
 შემომეფეთა კაბაბრდღვიალა
 სიკვდილი, როგორც ღამე ბებერი.

სალოკ თითივით გალოკილს
 სავსე თვალები მთვარის,
 მიცქერის ჩემთან ვალმოხდილს,
 შემოსწოლია ჯავრი.
 დღეს დღე დაეყრდნო ყავარჯენს,
 დაბრმავდა ცალი თვალით...
 ვინ ელოდება თავის ჯერს
 და ვინ მოზომავს ხვალთ.
 „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“,
 სიბრძნეს ვერ ჯაბნის დრონი.
 თავი მოვხადე ძველ სკივრებს
 და ისევ დავრჩით ორნი.

შენი დღეგრძელობა უფალს შევავედრე,
 შენი ცრემლითა და სისხლით გავჯერდი,
 მინდა, ხორციითა და სულით შეგაბერდე
 და შენს აკვირტებას არ დავჯერდე.
 აკურთხოს უფალმა შენი მიწა-წყალი,
 შენი ერთი გოჯა მინის მთლიანობა,
 ცოცხლებს აღარ დარჩათ სულის
 ნიშან-წყალი,
 თითქოს გაცოცხლება უკვე გვიან როა.
 მე ჩემს ხორცს, მამულო,
 შეგწირავ ზვარაკად
 ჩამოგეკონები მიწას მთა-ველიანს,
 ოღონდ შენ აღსდექ და იდექ ამაყად,
 მე თუგინდ სიცოცხლე დღესვე დამლევია.

შემოვიდა გაზაფხული აპრეხილი წამნამებით,
 დამიგულა მარტოსული დაღლილი და
 წანამები,
 ვინ მეო და ვინ შენ ხარო,
 მედიდგულა, გამკრა ტორი.
 გავერიდე, ვუპასუხე:
 ამქვეყნად ხომ ჩვენ ვართ ორნი.
 ისევ მიყვარს მზის სხივი და
 ამოსული კვირტთა ფეთქვა,
 ველოდები დამორცხვილი,
 იქნებ კიდევ რამე ეთქვა.

ამოისუნთქა სიომ ნაღველი,
 მზემ სხივი ლოყას ნაზად შეახო,
 მივიწყებული გული კვლავ გელის,
 ქარის მკლავებით მინდა მეახლო...

წვიმით მოხვალ, თუ თოვლის ფანტელით,
ჩემი სხეული ზიზლით ცახცახებს,
შენს სიახლოვეს ლულას გავტენი
და საუბარზე პროტესტს ვაცხადებ.

შემახმა მარტოობის
გრძედი და განედი,
ფურცლების ჯღაბნია
უნიჭო გოგო ვარ,
ღმერთო, მომიტევე
თუ შენგან განვედი,
ჩემი არსებობა
უბრალოდ ლოგოა.
ფურცელს ვეთამაშე
ფერადი ფანქრებით,
მერე პოეტური ჟინიც
მომერია,
ახლა კი ნაცნობი ლექსივით
გავცვდები...
ცხოვრების გვერდის
რომელი ნომერია.
ავტებავ განგაშს
და შევში მარტოობას,
შლეგი გარდასახვით
მივყვები განედებს,
დავდივარ ბატკანივით
უმანკო სახით და
ცოდვები დამეძებს.

შეუვერცხლიათ წვერი
მთებს მომსწრე ყველა დარდის,
შეეჯიბრება ვერვინ
არწივს ფრთაგაჭრილს ცამდის.
ჩემია სოფლის კერა,
მივინყებულნი ოდა,
არ დაივინყო ოდეს
აქ თეთრი რაში ქროდა.
ჩემია დარიალთან
ამოზიდული კლდენი,
ფერები გალიავდა
თუ ჩემს ჭალარას ვდევნი.
ატირდნენ წინამურთან
ფოთოლშემხმარი ტყენი,
თვალს ჩრდილი შეუმუქდა,
ცრემლის გამხდარან ტყვენი.
იის დამსკდარი ყვავილი
შერჩა დაკეცილ ფურცელს,
მთასაც და ბარსაც დავივლი,
შემოგინახავ უცვლელს.
ჩემია კავკასიონი,
მის ძირში კლდენი ყრმანი,
მეც ერთი კენჭი ვჯახირობ
და არ დამძრახოთ არვინ,

თუ მიყვარს ეს გაზაფხული,
მიყარს ჩუხჩუხა წყარო,
ღმერთმა აკურთხოს ეს მიწა,
მას ღვთისმშობელი ყვარობს.

პარალელები პარალელურად
გადამკვეთ ხაზზე ავლებენ საზღვარს.
ჩემი აქ ყოფნა არაფერია,
ჩემი იქ ყოფნაც არაფერს საზღვრავს.
გეომეტრიულ სქემის სათავე —
ათვლის წერტილი ჩემი გულია.
პარალელურად თუ გადათვალე,
სიცოცხლის ზღვარი დანაღმულია.

დროს და ჟამს ავეკიდე ხურჯინივით,
ბებერ კუნძივით ხავსი მომდებია.
ძველი სტრიქონები ჟინიან მუნჯივით
ობმოდებული გულზე ლოდებია.
ავასხი გაღებად ჩემი ანი-ბანი,
ტკბილად ჩავანანი შიგ სული ქართული,
ეს არის საქართველო ქრისტეს განაბანი,
ეს არის საქართველო ღვთისმშობლის ნათლული.

გულია უტყვი, თვალეები უნდო,
სხეულს მოედო მტირალი სურდო,
მიაფარფატებს ფოთლებს ნიავი,
ზამთარი მოდის ცივი სიავით...
გადაიზამთრებს თეთრი სუდარა,
მოისმის ციდან ჩუმი მუდარა...
მარტი გამოყოფს ფეხებს საბნიდან
და რა გაიგე ჩემი ამბიდან?

მტკვარი არაგვს
ჩაეხუტა, ჩაეკონა, ეამბორა,
ჯვრიდან თვალი მივადევენე,
ნეტავ, მტკვარმა
უამბო რა?

ვფურცლავ გვირილას
ბლაგვი ხელებით,
თითი შეაკრთო ენიდან ნერწყვმა,
არაფერი ვარ და
არაფრისთვის
უსასრულობამ მე
ღმერთთან შემრწყა.



ფარნა ჩილადე

(ფაჰრეთინ ჩილოღლუ)

მოხუცი კაცის სიკვდილი

ბერიკაცმა არ იცოდა საკუთარი ასაკი. აღარ ახსოვდა გასული წლების რაოდენობა. არც ის ახსოვდა, რამდენმა წელმა ჩაიარა პირველი ქორწინების ან პირველი მეუღლის, აიშეს სიკვდილის შემდეგ. არ იცოდა, რამდენი წლისა იქნებოდა მისი ერთადერთი ქალიშვილი პირველი მეუღლისაგან, რომ ეცოცხლა. ეს პატარა გოგონა, რომელსაც გულუმსერი ერქვა, დედის გარდაცვალების შემდეგ მალე წავიდა ამა ქვეყნიდან... როგორ ჩაენვა ყველაფერი მისი სიკვდილის შემდეგ, როგორ... მას რომ შესტირა, ჯერ კიდევ არ შეშრობოდა მეუღლის დატირებისას ჩამოსული ცრემლი. მაგრამ ამჯერად უცრემლოდ, რადგან გამშრალი თვალებიდან ცრემლი არ მოსდიოდა. ერთი პირობა ამის გამო შერცხვა, თითქოს გოგონას სიკვდილს არ დაემსუხრებინოს იგი, მაგრამ მთლიანად საკუთარ გრძნობებს მიენდო.

წლების გასვლასთან ერთად ბერიკაცს მეხსიერებაც ნაწილობრივ წაერთვა და იგი საშინელ სიმარტოვეში აღმოჩნდა. ახლა არ იცოდა, რომელი წელი და დღე იყო ან რომელი

საათი იდგა... ვერ გაეგო, რატომ იმყოფებოდა იქ, ან რა უნდოდათ ამ თეთრხალათიან ადამიანებს, რომლებიც ასე აწვალდნენ მას. ასე ბავშვებმა იციან ხოლმე ბუზების წვალება, როდესაც მათ ფრთებს აძრობენ და ჭიანჭველების ბუდეში აგდებენ. მარტოობას გრძნობდა ბერიკაცი, ძლიერ მარტოობას...

ერთ წამს ნაცნობმა სახემ გაიელვა. სახე კი ეცნო, მაგრამ არეული იყო. თვალები, ნვერი და ცხვირ-პირი თავის ადგილზე არ ჰქონდა. ისევ ნაცნობი სახე გამოჩნდა. მოხუცმა ჰკითხა:

— მოხვედი?

— დიახ, მოვედი, — უბასუხა გაურკვეველმა სახემ. — შენს გვერდითა ვარ, ნუ გემინია, კარგად გამოიყურები. მინდა გითხრა, რომ ადვილად გადაგიტანია.

— ის სადაა?

— ჯერ ვერ მოვიდა. მერე მოვა. მთავარი შენი კარგად ყოფნაა.

უცებ ყველაფერი ნაიშალა, ნაცნობი სახე ნაცრისფერ ნისლში ჩაიშარხა. შემდეგ მწვანე ტყეები გამოჩნდა. ეს კინტრას უკიდევანო ტყე და ჩალმანის იალალი იყო.

„როგორი ბალახი იცოდა, იმისი დედა ვატირე, იმისი! შიგ კაცი დაიკარგებოდა. ბატკნებს ვერ დაინახავდი. ხან დავეჭვდებოდი ხოლმე, მგელმა ხომ არ მოიპარა-თქო. კალმახები? აჰ, კი, კალმახებიც უშველებელი იცოდა.“ კინტრა უცაბედად ნისლში გაეხვია. სადღა იყო ტანაყრილი ჭალები, მწვანე ტყეები და კალმახები?! თეთრ ცხენზე ამხედრებული შუქრუ ჩავუში სტუმრად მოსულიყო. სალამო იყო, ამიტომ მამა შინ არ დახვედრია. მას სასწრაფოდ აცნობეს, ბიძია შუქრუ ჩამოვიდაო.

„ცისკრის პირი იყო. შუქრუ ჩავუში წინ მიდგოდა. ის მისი ცხენით ვიცანი. ცხენი ძალიან მაგარი ჰყავდა, იმის დედა ვატირე, იმისი! ცოტა ავჩქარდი, რომ მიმესწრო. ვფიქრობდი, ქალაქში მასთან ერთად ჩავსულიყავი. უცებ სროლის ხმა მომესმა. შუქრუ ჩავუში ძირს დაეცა. თეთრმა ცხენმა დაიჭიხვინა და ყალყზე შედგა. შემდეგ შუქრუ ჩავუშის გარშემო დაიწყო სირბილი... ცხენი მას არ შორდებოდა. მე ბარდებში დავიმალე. შემდეგ ტყიდან ორი კაცი გამოვიდა. აუჰ, მაგის დედაც, ეს ერთი ჩვენი სულეიმანი არაა?!“

მოხუცმა კაცმა თავს ძალა დაატანა და მიმოიხედა, მაგრამ ოთახში არავინ იყო. გარშემო მიმოიხედა და დაიძახა: „შვილო!“ მისი ვაჟი მაშინვე შევიდა დერეფნიდან და ხელში მოხუცის ხელი დაიჭირა. უთხრა:

— კარგად ხარ, მართლა კარგად ხარ!

კინტრას მთები ისევ ნისლში გაეხვია. გზა ნისლებს შორის ელვარე სხივს დაემსგავსა და მოხუცი ბერიკაცი ამ გზას შეუდგა. უცაბედად აქკაიას მწვერვალზე ამოყო თავი.

ახლა ის იმ მიუდგომელ კლდის თავზე იდგა, რომლის ზუსტად შუა ნაწილში გამოქვაბული იყო. „აქაიაზე დიდი განძი იყო. მაგრამ იქ ვერ ავედი. ზემოდან თოკი ჩავუშვი, მაგრამ გამოქვაბულიდან მაინც საკმაოდ შორს ვიყავი... ბერძნები რომ მიდიოდნენ, ის ოქროები, ის ოქროთი სავსე ქილები მათ დატოვეს. როგორც მე კარის ღრიჭოდან გავიგონე, მანამდე სამი ალას ეუბნებოდა, რომ იმ კაცს დიქრანი რქმევი. მაშინ ბავშვი ვიყავი. თოფალ ოსმანის ხალხი...”

კაცს პირიდან დუჟი წამოუვიდა. იფურთხება, იფურთხება... მაგრამ პირი მაინც ევსება. შუქრუ ჩავუშვის ცხენი ყალყზე დგება. კინტრას მთები ნისლში ეფლობა. მოხუცმა კაცმა გადაფურთხება გადაიფიქრა.

„შუქრუ ჩავუშვი... შუქრუ ჩავუშვი ვთქვი? არა, სულეიმან, სულეიმანი არა... დიქრანი? ეს დიქრანი ვინლა? რა ლამაზი ბავშვი იყო გულუმსერი. მისი ფუმფულა ხელები თითქოს ბამბისა იყო. თვალები ცისფერი ჰქონდა. თვალებით შენ გგავდა. თურმე, შუქრუ ჩავუშვი იმ ქალთან დადიოდა, კაცმა ეს იცოდა, სულეიმანიც მის მოსაკლავად თავად იქირავა. სულეიმანისთვის არასოდეს მითქვამს, რომ იგი დავინახე. ჰავასთვისაც არ მითქვამს...”

კაცი თითქოს აზრზე მოდიოდა. თეთრხალათიანები მის თავთან ისევ ჭიანჭველებით ირეოდნენ და აქეთ-იქით დარბოდნენ. უცებ თითქოსდა სხვისი ხმით დაიძახა:

—სად ვარ?

ვილაცამ დაამშვიდა:

—დანყნარდი, აქა ხარ.

ხელი შუბლზე დაადო. მოხუცი მიხვდა, რომ გაოფლილი იყო. ცხვირი და ხორხი ეწვოდა. ორივე მკლავზეც საშინელ სიმძიმეს გრძნობდა. უცებ მუცელიც ასტივდა და ამოიხრა... საკუთარი ხმა ყურბან ბაირამზე დასაკლავად გამზადებული ხბოს ბლავილს მიამსგავსა. მიხვდა, მისთვის ცხვირ-პირში რალაცეები ჩაედოთ. მათ მოსამორებლად ხელების ამოძრავება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო... სხეულის ვერც ერთ ნაწილს ველარ იმორჩილებდა.

თეთრი ცხენი ჯერ გადაყირავდა, შემდეგ წინა ფეხებზე წამოინია და წამოდგა. შუქრუ ჩავუშვი მინაზე გაუნძრევლად იწვა. კვნესაც კი არ ისმოდა... უკუწეითი ღამე იდგა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. მგელი ცხვრებში უცებ შეერია. კინტრაზე ჩამონოლილი ნისლი ჯერ კიდევ არ გადასულიყო. მტაცებელი ნაცრისფერი იყო და ნისლში თითქმის შეუმჩნევლად დაიარებოდა. უცაბედად გადანყვიტა და მგლისკენ გაემართა, მაგრამ ნადირის კბილები რომ დაინახა, შეეშინდა. შინ სირბილით შევარდა. არაფერი უთქვამს, ერთი ნაჭერი მჭადი აიღო და უკან დაბრუნდა.

კაცმა გარშემო მიმოიხედა. ვაჟი თავით ედგა და მისი ხელი ეჭირა. ისევ თავის ძველ ოთახში იმყოფებოდა. ადგილი ეცნო და ჰკითხა:

—დედაშენი აქ იწვა?

ვაჟმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მოხუცს თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. თავი მიაბრუნა, შემდეგ კვლავ აქეთ მოიხედა. ვაჟი ფანჯარასთან მისულიყო და ფანჯრიდან იყურებოდა.

„ჯერ დედაჩემი გარდაიცვალა. ტვინში სიმსივნე რომ აღმოუჩინეს, თებერვლის ბოლო დღეები იყო. მარტის პირველ რიცხვებში ოპერაცია გაუკეთეს. გარდაცვალებისას კალენდარი ოთხ სექტემბერს აჩვენებდა. ექიმმა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, ასე თქვა: „წარმოიდგინეთ საზამთრო, რომლის ერთი ადგილი ღვინოსა იწყებს. თქვენ მას დამპალი ნაწილს აჭრით, მაგრამ ზუსტად არ იცით, ღვინოსა სად მთავრდება. ამიტომ შეუძლებელია ღვინოსაშეპარული ნაწილის სრულად მოშორება. თუ უფრო მეტ ნაწილს ამოკვეთთ, მაშინ ჯანმრთელ უჯრედებსაც დაზიანებთ, რასაც მრავალი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. თუ ძალიან მცირე ნაწილს ამოკვეთთ, ავადმყოფი იმაზე ადრე შეიძლება მოკვდეს, ვიდრე ვარაუდობთ.“ ისე გამოვიდა, თითქოს ჩვენ იმას ვკითხულობდით, დამპალი მსხალი ტოტიდან როდის ჩამოვარდებოდა. რატომღაც ყველაფერი უნდა გვცოდნოდა, თითქოს ეს საქმეს რამეგვარად წაადგებოდა. ექიმმა ექვს თვესა და ერთ წელიწადს შორის ივარაუდა სიკვდილი და ასეც მოხდა. დედაჩემი ზუსტად ექვსი თვის შემდეგ გამოემშვიდობა ამ ცხოვრებას, მეუღლეს, ერთ ქალიშვილსა და ორ ვაჟს. ისე სამი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ პირველმა, უფროსმა ბიჭმა, ოთხნახევარი წლის წინ, მარტის შუა რიცხვებში, დატოვა ეს ცხოვრება. დედამ გარდაცვალებისას არ იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ უკან ვილაცეები დატოვა. ცნობიერება სრულად ჰქონდა დაკარგული. საკმაოდ გამხდარიყო, ველარ იცნობდი. დიდხანს წოლისგან ნაწოლები გასჩენოდა და დაჩირქებოდა. გახრწნის პროცესი დასაფლავებამდე დაწყებულიყო. მე მისი ასეთ მდგომარეობაში ნახვა არ მსურდა. მეგონა, სიკვდილის შემდეგ უამისოდ უფრო კარგად გამახსენდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. დაკრძალვისას, ცხედარი ქალაქიდან სოფელში რომ გადაგვყავდა, მე თავთან ვეჯექი დედაჩემის კუბოს. მეხსიერებაშიც მხოლოდ ეს ჩამრჩა...”

მოხუცი კაცი ღრმა ძილიდან მეზობელი ოთახიდან გამოსულმა ხმამ გამოიყვანა:

—არ გამიკეთებია, არ გამიკეთებია... ეს დაახლოებით ათ წუთს გრძელდებოდა და შემდეგ დაიწყო მოთქმა და თეთრხალათიანების აქეთ-იქით სირბილი. გოდების ხმა

თანდათან მატულობდა. ამიტომ ვაჟმა მამის საწოლი ოთახის კარი დაკეტა. მოხუცი კაცი მიხვდა, რაც მოხდა და შეიღს ჰკითხა:

— მოკვდა?

შუქრუ ჩაეუშს რომ პირველი ტყვია მოხვდა, თეთრმა ცხენმა წაიფორხილა, დაეცა და ჭიხვინი ატეხა. „მე წავიფორხილე და მინაზე დავეცი. რა სწრაფად მოდიოდა, გზიდან ვერ გავიქეცი. ისევ არაფერი მომსვლია. ხალხში შევარდა. ოცდაათი კაცი იქ მოკვდა. ტროტუარზე ვიყავი. ბენვზე გადავრჩი, თორემ მეც იქ...“

მოხუცი კაცი კიბეებით ზევით რომ აჰყავდათ, მეუღლე გაახსენდა. ისიც ორი წლის წინათ ამ კიბეებით რამდენჯერმე აიყვანეს მეორე სართულზე. მეუღლის ასეთ მდგომარეობას რომ ვერ უძლებდა, ამიტომ შინ ყოველთვის სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა. მოკლედ, ის რეალობას გაურბოდა. ასაკის გამო არა, ახალგაზრდობაშიც ვერ იტანდა ადამიანის ტანჯვას. მაგრამ მაშინ იძულებული იყო და მეუღლე საკუთარი ზურგით აჰყავდა სოფლის ხის სახლის მაღალსაფეხურიან კიბეებზე. შვილები იმჟამად ამხელები რომ ჰყოლოდა, შეიძლება გაქცეულიყო. ახლა თვითონ წვალობდა ამ კიბეებზე და შეუძლებელი იყო აქედან გაქცევა. ოთახში რომ აიყვანეს და საწოლში ჩაანვიინეს, ჰკითხეს, რამეს ხომ არ ისურვებო.

— სიგარეტი! — დაიყვირა.

ათი დღეა, სიგარეტის მოწვევის უფლებას არ აძლევდნენ. ახლა სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, მაინც უნდოდა მოწვევა.

კინტრას ისევ დამაბრმავებელი ნისლი ეწვია და მგელმა ბატკანი მაშინვე დაგლიჯა. მგლისკენ გაიწია, მაგრამ მისი სისხლიანი კბილები რომ დაინახა, ტანში დაცეცხლა და ვაი, დედაო, დაიძახა. შუქრუ ჩაეუშა თეთრი

ცხენიდან ისე ჩამოვარდა, როგორც მოხუცი კაცი ახალგაზრდობაში ამბრის კიბიდან ზურგზე ფქვილის ტომარას მოიგდებდა ხოლმე. მინა თეთრად შეიღებდა. შუქრუ ჩაეუშის თეთრი მტვრით სავსე შიგნეულობა გარეთ გამოვიდა და დაცარიელებული ტომარა მგლის მიერ კინტრის ჭალებში დაგლეჯილი ბატკნის ტყავის მსგავსად მინას დაეფინა. თეთრი ცხენი ადგილიდან არ განძრეულა. ისე შეხედა პატრონს, შემდეგ იმ ორი კაცისკენ წავიდა და ყალყზე შედგა. მაგრამ შუბლში ტყვია გაიკრა და პატრონის გვერდით წამოიქცა...

— გარეთ გადი, — უთხრა მოხუცმა თავის ქალიშვილს. — და სანამ აიშე ოთახშია, არც შემოხვიდე!

„თმები გაგთეთრებია. მაგრამ სახე ისევ ახალგაზრდული გაქვს. შენთან მოსვლა ადრეც მსურდა, მაგრამ ხიდი ნიაღვარს წაეღო. იმ წელს ბევრი ნალექი მოვიდა. წვიმას არც გადაუღია. მთელი წელი წვიმდა, ამიტომ მდინარე ვერ გადმოვლახე და ვერ მოვედი. ხელები რა ფაფუკი გქონია. რა ძალიან მიყვარს შენი ხელები. მიყვარს, შენი ხელები ჩემს თავს რომ ეფერება. შუქრუ ჩაეუშა მოკლეს, იცი ხომ? ერთ-ერთი მკვლელი სულეიმანი იყო. დედაჩემს არაფერი ვუთხარი, ეწყინებოდა. მარტო რატომ ხარ? გულუმსერი სადაა? ესე იგი ავადაა, ისიც ძალიან მომენატრა. თვალები ისევ ცისფერი აქვს? ამ გზით მივდივართ? არა, მე არ მოვდივარ. არ გინდა! დედაჩემი ნახე? არა, მე არ გამიკეთებია...“

— ალო! მამაჩემი ცოტა ხნის წინათ...

ახალგაზრდა კაცმა ტელეფონს ხელი უშვა... თავი ხელებს შორის ჩარგო და ასე გაშეშებული დარჩა... შემდეგ ფანჯარასთან მივიდა, ქუჩას თვალი შეავლო... დილის ნისლში მოგოგმანე მტრედებს მიაშტერდა...





ავთანდილ
ნიკოლოშვილი

თუჩათში – ჩვენებაუჩაბთან!

(წიტილი პირველი)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენს ქვეყანასა და თურქეთს შორის დამკვიდრებული კეთილმეზობლობა თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან საუკუნეების მანძილზე განყვეტილი ურთიერთობის აღდგენა-განმტკიცებაზეც ახდენს არსებითად კეთილისმყოფელ ზეგავლენას. სწორედ ამ ურთიერთობის დიდ-მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დღეს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევისა და ბიუროკრატიულ სირთულეთა გარეშე შეუძლია როგორც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება, ისე ამ ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ეთნიკურ ქართველთან კავშირის დამყარება.

ქართველები კი დღევანდელი თურქეთის რეს-

პუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უაღრესად დინამიკურ და უსწრაფესად განვითარებად პროცესში. ნათქვამის დასტურად აქ, ვფიქრობ, თუნდაც იმ ფაქტის ხაზგასმაც იქნება საკმარისი, თურქეთის ახლანდელი პრეზიდენტიც, პრემიერ მინისტრიცა და სტამბოლის მერიც ეთნიკური წარმომავლობით ქართველები რომ არიან. ხსენებული მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა უმაღლეს კოჰორტაში ქართული ფესვების მქონე თურქ მოქალაქეებს ყოველთვის ეჭირათ გამორჩეულად მნიშვნელოვანი პოსტები (მინისტრებისა, გუბერნატორებისა, ქალაქების მერებისა, უმაღლესი სასულიერო პირებისა...).

პირველ ყოვლისა სწორედ ჩვენს ქვეყნებს შორის ბოლო ხანს დამკვიდრებული ზემოთ აღნიშნული კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა გახდა საფუძველი იმ იდეისა, რომლის უმთავრესი მიზანიც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან (როგორც იქაური ქართველები უწოდებენ ხოლმე თავიანთ თავს) სარფის კარის გახსნის შემდეგ აღდგენილი კავშირების შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში ჩვენც, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა და ტელეკომპანია „რიონის“ ერთ ჯგუფსაც, შეგვეტანა ჩვენი მოკრძალებული წვლილი.

ასე შედგა თურქეთში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პროექტი, რომლის სამეცნიერო გეგმის უმთავრესი მიმართულებანი შემდეგნაირად განისაზღვრა:

— საქართველოსა და თურქეთს შორის კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება;

— თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ქართული ეროვნული მემკვიდრეობის გაცნობა;

— თურქეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების, პირველ ყოვლისა კი სტამბოლის ქართული სავანის, შესახებ ახალი მასალების მოძიება და დოკუმენტური ფილმის გადაღება;

— თურქეთში მოღვაწე ქართველ მამულიშვილებთან და ქართულ სათვისტომოებთან შეხვედრები...

— თავად ჩვენებურების მიერ მათ ილია ჭავჭავაძედ ნოდებული ახმედ მელაშვილის (ოზქანის) ოჯახების წევრებთან შეხვედრები და ახალი მასალების მოპოვება მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით;

— თურქეთში არსებულ ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან და სტამბოლში გამომავალ ქართულ ჟურნალ „ფიროსმანის“ შემოქმედებით კოლექტივთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება...

საბედნიეროდ, ქალაქის თვითმმართველობაში დასაფინანსებლად წარდგენილ პროექტს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ერთხმად, დაუჭირეს მხარი როგორც ქუთაისის მერმა ნუგ-

ზარ შამუგამ, ისე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ამირან ხვადაგიანმა და საკრებულოს უკლებლივ ყველა დეპუტატმა. პროექტის მიმართ ასევე დიდი ინტერესი გამოავლინა იმერეთის გუბერნატორმა მიხეილ ჩოგოვაძემ.

და აი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ ამირან ხვადაგიანის ხელმძღვანელობით შემდგარი ათკაციანი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ: პროფ. ტარიელ ფუტყარაძე, ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი თამილა ლვინიანიძე, პროფ. ოთარ ჭუმბურიძე, თურქოლოგი გიგა ქამუშაძე, პროფ. მანანა ქარქაშაძე, პროფ. შალვა კირთაძე, ქალაქის თვითმმართველობის აპარატის უფროსი ვანო ყორყოლიანი და ოპერატორი ონისე მელქაძე, 2009 წლის 10 ივნისს თურქეთში გაემგზავრა იქაურ ჩვენებურებთან შესახვედრად და მათ შესახებ ახალი მასალების მოსაპოვებლად.

ჩვენი ექსპედიცია მიზნად ისახავდა, თორმეტი დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, მთელი თურქეთი მოგვევლო და პირადად შევხვედროდით მუჰაჯირობის შედეგად მშობლიური ფუძეებიდან სამუდამოდ აყრილი და მეზობელ ქვეყანაში დამკვიდრებული ჩვენი თანამემამულეების შთამომავალთ.

ხსენებული სამეცნიერო ექსპედიცია პირადად ჩემთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმითაც იძენდა, რომ თურქეთში, ჩვენებურებთან გამართულ შეხვედრებზე, ჩემი ახალი წიგნის — „ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში“ წარდგენა-პრეზენტაციაც უნდა მომხდარიყო. ვრცელი თურქული რეზიუმეს თანდართვით გამოცემული ხსენებული წიგნი მიზნად ისახავს, მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველს საფუძვლიანად გააცნოს, ერთის მხრივ, სტამბოლის ქართული საგანის ისტორია და იქ მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა მიერ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი; მეორეს მხრივ კი მიზანმიმართულად წარმოაჩინოს თურქეთში მცხოვრებ ცნობილ ქართველ მამულიშვილთა: ახმედ მელაშვილისა და ისმაილ შავიშვილის მოღვაწეობის უმთავრესი მხარეები. წიგნში ასევე განსაკუთრებული განსჯა-გაანალიზების საგნადაა ქცეული ჩვენებურების ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებულ პრობლემათა გააზრება თავად მათეული თვალთახედვით.

ტრაპიზონში

ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პირველი საქმიანი დღე 10 ივნისს, ტრაპიზონში გამართული შეხვედრებით დაიწყო. ტრაპიზონში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ავთანდილ მიქაშაძემ ჩვენი ექსპედიციის შესახებ უკვე იცოდა და გზად მიმავლებს თავად შეგვეხმიანა, ვიცე-

კონსული გელა ბოლქვაძე კი ქალაქის შესასვლელთან შეგვხვდა და საკონსულოში მიგვიყვანა. საკონსულოს შენობის უკან მდებარე პატარა ბაღში ტრაპიზონსა და ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურის ძეგლების (ხანძთა, ოშკი, ხახული, ტბეთი, შატბერდი...) პატარა მუზეუმი მონყობილი. ცენტრალურ ადგილზე ტრაპიზონში გარდაცვლილი და დასაფლავებული უკანასკნელი ქართველი მეფის — სოლომონ მეორის საფლავისა და მასზე არსებული ქართული წარწერის მაკეტია მოთავსებული.

ბატონი ავთანდილი ბევრს გვესაუბრება საკონსულოს საქმიანობასა და ქართულ-თურქულ ურთიერთობათა დიდ პერსპექტივებზე. იმის გამო, რომ ტრაპიზონის საკონსულოს დაფარვის ზონა დღესდღეობით თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც ისტორიულად ჩვენი ქვეყნის კუთვნილებას წარმოადგენდა, ხსენებული საკონსულოს თანამშრომლებს განსაკუთრებით რთული და საპასუხისმგებლო საქმეების კეთება უწევთ.

ამას ემატება საქართველოდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეებთან დაკავშირებული პრობლემებიც. ერთ ასეთ პრობლემას ჩვენც შევესწარი: სამუშაოს ძებნაში ხელმოცარულ ერთ-ერთ ხულოელს პასპორტი დაკარგვოდა, უფულოდ დარჩენილი უკან დაბრუნებას ვეღარ ახერხებდა და დასახმარებლად საკონსულოში იყო მოსული. კონსულმა იგი ჩვენს საპატივცემულოდ გაშლილ სახელდახელო სუფრასთან მოინვია და ოპერატიულად აღმოუჩინა დახმარება.

იმის გამო, რომ დროში ძალიან შეზღუდულები ვართ, ტრაპიზონის ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად მხოლოდ ორიოდე საათით ვჩერდებით. ვიცეკონსული გელა ბოლქვაძე მანქანაში გვიჯდება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა სანახავად მიგვიყვება.

სამწუხაროდ, დროის მსახვრალ ხელს ქართული ნაკვალევი თითქმის ყველგან წაუშლია. დღევანდელი თურქეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს და სწრაფად მზარდ ქალაქში ამგვარ ისტორიულ სიძველეთა არსებობის ამბავი ძირითადად მხოლოდლა სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებსა და პუბლიკაციებშია შემორჩენილი.

ასევე განსაკუთრებული ინტერესითა და გულისტკივილით ვიხსენებთ გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ იმ წერილებს, რომლებშიც ტრაპიზონში არსებული ქართული ისტორიული არქივის შესახებაა საუბარი. როგორც ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 23 აპრილს გამოქვეყნებული წერილიდან ირკვევა, XVII საუკუნეში ტრაპიზონში კათოლიკე ბერებს მათ მიერ გაკეთებულ ეკლესიასთან საეკლესიო არქივი დაუარსებიათ, სადაც საქართველოსთან დაკავშირებით უამრავი მასალა ყოფილა დაცული. ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ამ დროიდან მოყოლე-

ბული, „საქართველოს კათოლიკების მისიონთა ბინა ტრაპიზონი გახდა. რასაც ეს მისიონერები რამე ცნობებს სწერდნენ საქართველოს შესახებ, ამ მასალების თითო ასლს ამ ტრაპიზონის მისიონერთა არქივში ჰგზავნიდნენ შესანახად. თავის დროს ამ არქივში საქართველოს შესახებ იმდენი მასალები მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს...“

ტრაპიზონის ისტორიულ არქივს მიხ. თამარაშვილიც მოიხსენიებს ხშირად. 1860 წელს ტრაპიზონში მოვიდა მოგზაური არენგო. ამ მოგზაურს სურდა საქართველოს გაცნობა. ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარჩა, საქართველოში აღარ დაბრუნდა და იქვე არქივის მასალებით და მისიონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზე, რომელიც 1880 წელს პარიზში დაიბეჭდა კიდეც.“

სამწუხაროდ, ტრაპიზონის ქართული არქივის ადგილსამყოფელი დღესდღეობით უცნობია და მიუკვლეველი. ასე რომ, „უცნობია, ეს არქივი ისევ ტრაპიზონშია, თურქეთის სხვა ქალაქში დაიდო ბინა, თუ რომში გადაიტანეს. იგი შესაძლოა იყოს სტამბოლის ოსმალეთის არქივში ან ანკარაში“ (ზ. ბატიაშვილი).

ტრაპიზონის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებას სოლომონ მეორის ნასაფლავარი ადგილისა და აია-სოფიას ტაძრის ნახვით ვინყებთ. XIII საუკუნეში აგებული აია-სოფიას მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც თავისი ზომებით სტამბოლში არსებული ამავე სახელწოდების ტაძრის შემცირებულ ვარიანტს წარმოადგენს, 1461 წელს თურქებს ჯამედ გადაუკეთებიათ. 1964 წლიდან კი აქ მუზეუმი გახსნილი და მის სანახავად ყოველდღიურად უამრავი ტურისტი მოდის. მუზეუმში მისულები ნატაძრალშიცა და მის დიდ ეზოშიც, სადაც წარწერებიან ქვათა სტელები და სხვადასხვა სახის ისტორიული სიძველენია თავმოყრილი, ქართულ ნაკვალევს ვეძებთ. ტაძარში შემორჩენილი ნაფრესკალებისა და სამუზეუმო კომპლექსის სხვა აქსესუარების ამ თვალთ დათვალიერება, ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ჩვენც განგვიმტკიცებს იმის რწმენას, აღნიშნული კუთხით ტრაპიზონის აია-სოფიას ტაძარი ნამდვილად რომ საჭიროებს მეცნიერულ შესწავლას. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოვგრჩეს, რომ 1204-1461 წლებში ტრაპიზონი საქართველოს მოკავშირე იმპერიას წარმოადგენდა, სადაც ქართველები უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ.

ტრაპიზონის აია-სოფიას ტაძრის დათვალიერების შემდეგ სუმელას სამონასტრო კომპლექსის სანახავად მივდივართ. ციკაბო კლდეში გამოკვეთილი ეს ნამონასტრალი, რომელიც, გარდა სალოცავი დარბაზებისა, ბერების საცხოვრებელი სენაკებისგანაც შედგება, ტრაპიზონიდან 45 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მთის

გიშმაყი და ჩანჩქერებად ქცეული მდინარის ხეობაში მიმავლებს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს რაჭაში ვიმყოფებოდეთ.

ზოგიერთების აზრით, სუმელას მონასტერი დავით აღმაშენებლის მიერ უნდა იყოს აშენებული. ამ თვალსაზრისის გაჩენას ხელი იმ გარემოებასაც შეუწყო, რომ სახელწოდება — სუმელა მეგრულ-ლაზური სიტყვიდან — სუმი (სამი) მომდინარეობს და ქართულად წმინდა სამებას ნიშნავს.

ამ მოარული ვადმოცემით ინტერესგაღვივებულები საგულდაგულოდ ვაკვირდებით ნამონასტრალში შემორჩენილ ფრესკებს.

ასე მიიწურა ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პირველი დღე. იმის გათვალისწინებით, რომ ტრაპიზონიდან სამსუნამდე საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს და მათთან შეხვედრების შედეგად ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციები შეიძლება მოვიპოვოთ, ღამეს ქალაქ ფაცაში ვათევთ და მეორე დღის სამოქმედო გეგმაზე ვთანხმდებით.

ფაცელ ქართველებთან

ფაცა თურქეთის შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია, დაახლოებით ასი ათასამდე მცხოვრებით. იქაურების თქმით, მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი ეთნიკური წარმომავლობით ქართველია. ქალაქის იმ უბანს, სადაც ჩვენი თანამემამულეები ყველაზე მრავლად ცხოვრობენ, ქართული უბანი ჰქვია. ფაცელ ქართველთა უმეტესობა (ინაიშვილები, მახარაძეები, შავიშვილები, ხინიკაძეები, მონყოილები, მესხიძეები...) XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარიდან თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან.

ქალაქში გასეირნების დროს პირველივე შემხვედრი ქართველი აღმოჩნდა. როცა ჩვენი ექსპედიციის მიზანი შეიტყო, მან გზად გამოვლილი ერთ-ერთი მანქანა გააჩერა და მძღოლს ჩვენი თავი გააცნო. ახლად გაცნობილი კაცი ფიჯრი მონყოილი გამოდგა, ენაფრთიანად და მხიარულად მოსაუბრე ჩვენი თანამემამულე. ფიჯრიმ მანქანაში ჩაგვისვა და ფაცას მახლობლად მდებარე ქართულ სოფელ კონაკ ფაში საზღიბში წაგვიყვანა იქაურ ქართველებთან შესახვედრად.

თხილის პლანტაციებით დაფარულ ამ სოფელში, რომლის ქართული სახელიც ენერი ყოფილა, თითქმის სულ ქართველები ცხოვრობენ. გზად მიმავალმა თანასოფლელებს მობილური ტელეფონით ჩვენი ინტერობის ამბავი შეატყობინა და შეკრების ადგილად მისი ბიძაშვილის — ჰუსეინ მონყოილის სახლი დაუსახელა.

ჰუსეინი უაღრესად განსწავლული და შემოქმედებითი ნიჭით მადლცხებული პიროვნება აღმოჩნდა. ხეხილით ანალკოტებული მისი ეზოს სიღრმეში მდებარე ნაღის (სასიმინდის) ქვე-

მით, ძელსკამებსა და ჯორკოებზე ვსხდებით და დიდხანს ვსაუბრობთ იქაური ქართველების ცხოვრებაზე. ბატონი ჰუსეინის მეუღლე სახლიდან გამოვარდა და ქართული სტუმართმოყვარეობითა და თქვენი ჭირიმე-თქვენ გენაცვალეთი შინ დაგვიწყო მიპატიჟება, აქ სად დამსხდარხართ, სახლში შემობრძანდით, რაიმეს გამოვიტან, მოგვეჭრა თავიო.

ფიჯრი მხიარულად ენაწყლიანობს და ჩვენი თხოვნით ქართულ სიმღერებს მღერის. ჰუსეინი ადრე თურქული ენის მასწავლებელი ყოფილა, ახლა პენსიონერია და გარდა საოჯახო სამეურნეო საქმიანობისა, შემოქმედებითი მუშაობითაცაა გატაცებული. მისი მწერლური ინტერესები მოყვარული შემოქმედის მასშტაბებით რომ არ შემოიფარგლება, ეს თუნდაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ მის მიერ თურქულად თარგმნილი ილია ჭავჭავაძის, ირაკლი აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანისა და ფრიდონ ხალვაშის ლექსები სისტემატურად იბეჭდება სტამბოლში გამომავალ ლიტერატურულ გაზეთებში.

ჩვენს საუბარს, რომელიც ნალიიდან ჰუსეინის სახლში ინაცვლებს, ნელ-ნელა უერთდება მუზობლად მცხოვრები ქართველები. ყველა მათგანი იმდენად კარგად საუბრობს ქართულად, რომ ყოველგვარი თარგმანის გარეშეც თავისუფლად ველაპარაკებით ერთმანეთს. გულსატკენი ამ შემთხვევაში მხოლოდ ისაა, რომ, დიდებისაგან განსხვავებით, ბავშვების დიდ ნაწილს ქართულად საუბარი უკვე აღარ შეუძლიათ. ამას ჩვენზე არანაკლებ მტკივნეულად თავად ჩვენებურები განიცდიან და ამ მდგომარეობის გამოსწორების ყველაზე რეალურ გზად ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბებას მიიჩნევენ. მარტო ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნით პრობლემა ვერ გადაიჭრებაო, — ამბობენ. — ქართული ცეკვებისა და სიმღერების სწავლება კი ენის შესწავლამდეც თავისთავად მიიყვანს ჩვენს შვილებსო.

როგორც ჩვენი მასპინძლები გვეუბნებიან, ამ საქმის მოსაგვარებლად ფაცვლებმა პირველი ნაბიჯების გადადგმა უკვე სცადეს ქართული ხალხური ფესტივალების ჩატარების ტრადიციის დამკვიდრებით. ასეთი ფესტივალი წელს, ივლისის თვეში, თურმე მეექვსედ გაიმართა ქართულ სოფელ კაბაქტალში (ქართულად — ზეგანში). ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ამ ფესტივალს თურქეთის სხვადასხვა კუთხებიდან ჩამოსული ათასობით ჩვენებური ესწრება.

ქალაქში დაბრუნებულები ცნობილ ბიზნესმენ ავთანდილ ართმელიძეს ვხვდებით, თავისი ბიზნეს-საქმეებით საქართველოშიცა და უკრაინაშიც კარგად ცნობილ პიროვნებას. ბატონმა ავთანდილმა თავის ოფისში მიგვიწვია, სადაც ერთბაშად აღმოვჩნდით ქართულ გარემოში. საქართველოს რუკით, დროშითა და ფოტოსურათებით დამშვენებულ კაბინეტში ჩვენს მასპინ-

ძელს ფაქტობრივად თავისი პატარა საქართველო ჰქონდა მოწყობილი.

სახელდახლოდ განყოფილ სუფრასთან ბატონი ავთანდილი არა მარტო საქართველოსადმი მის დიდ სიყვარულსა და თავის ქართულ ფესვებზე გვესაუბრებოდა ემოციური აღგზნებით, არამედ იმ ბიუროკრატიულ სიძნელებებზეც გამოთქვამდა გულისტკივილს, რასაც იგი ჩვენს ქვეყანაში თავისი ბიზნეს-გეგმების განხორციელების დროს აწყდება ხოლმე. მისი ყველაზე დიდი საწუხარი ისაა, რომ მიუხედავად აქტიური მცდელობისა, ჯერჯერობით მაინც ვერ მოახერხა, საქართველოს მოქალაქე რომ გამხდარიყო.

სწორედ ზოგიერთი ბიუროკრატი მოხელის მიერ შექმნილ ამგვარ ხელოვნურ წინააღმდეგობათა შედეგია ის ფაქტი, რომ ბატონი ავთანდილი იძულებულია თავისი ბიზნეს-საქმიანობის ასპარეზი საქართველოს გარეთაც ეძებოს.

— ჩვენ თქვენგან სხვა არაფერი გვინდა, — გულახდილად გვეუბნება იგი, — გარდა იმისა, რომ საქართველო ააყვავოთ და გააძლიეროთ! საქართველო ხომ ჩვენი სამშობლოცაა და მისკენ სავალ გზაზე ვინმემ ხელოვნური სირთულეები რატომ უნდა შეგვიქმნას?

ამასობაში ბატონი ავთანდილის კაბინეტშიცა და მისი ოფისის გარეთაც მრავალმა ჩვენებურმა მოიყარა თავი. ისინი გატაცებით გვიყვებიან თავიანთ თავგადასავლებს. მათი თქმით, ფაცას გარდა, თურქეთის მთელი ეს შემოგარენიც — ორდუ, უნიე, გირესუნი, სამსუნი... ქართული მოსახლეობით ყოფილა სავსე. მარტო უნიეს შემოგარენში თურმე 36 ქართული სოფელია და თითოეულ მათგანში 150 კაცი მაინც ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლობის დამკვიდრების დროიდან საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, ისინი თავიანთი ქართული იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებას მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებენ. ამას ისინი პირველ ყოვლისა იმით ახერხებენ, რომ მტკიცედ ცდილობენ დაიცვან ქართველზე თხოვა-გათხოვების წესი.

ბატონი ავთანდილის ოფისიდან ქუჩაში მოსულეებს მრავალი ჩვენებური შემოგვეგება. ბევრი მათგანი მრავალსართულიანი სახლების აივნებზე გადმომდგარა და იქიდან გვიქნევს ხელს.

საინტერესო შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, ნაშუადღევს ფაცვლებს ვემშვიდობებით, გეზს ამასიისკენ ვიღებთ და საღამოს უკვე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორით დასახლებულ ამ ქალაქში ვიდებთ ბინას.

ამასია

თურქეთის ეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო იმითაცაა, რომ მის სახელთან საქართველოს შუა საუკუნოვანი ისტორიის ტრაგიკული ფურცელია დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს 1555



წელს თურქეთსა და სპარსეთს შორის ამ ქალაქში გაფორმებული ზავი, რითაც ჩვენი ქვეყნის ამ მრისხანე დამპყრობლებმა საქართველო ორ ნაწილად გაიყვეს. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები ოსმალეთის იმპერიის კუთვნილება ხდებოდა,

ამასია თავისი განუმეორებელი და კოლორიტული სილამაზით იმთავითვე იქცევს მნახველის ყურადღებას. ამგვარ განუმეორებლობას ქალაქს უპირველეს ყოვლისა მისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობა სძენს. იგი მწვანე მდინარის (სწორედ ასე ჰქვია) ვიწრო ხეობის ღრმა ტაფობშია გაშენებული და ორივე მხრიდან ცაღ აზიდული სალი კლდეების მთები ადგას. იმის გამო, რომ ხეობა მეტისმეტად ვიწრო ზოლს წარმოქმნის, მთელი ამასია ფაქტობრივად ერთ გრძელ სანაპირო პროსპექტს წარმოადგენს, რომელიც ათ კილომეტრზე მეტი სიგრძისაა. მშვენივრად კეთილმოწყობილი და ათასგვარი სამშვენივრებითა და ისტორიული ძეგლებით დამშვენებული ეს სანაპირო ამასიელთა ყოველდღიური თავშეყრის ადგილია.

მინის სიმცირის გამო სახლების დიდი ნაწილი, მსგავსად ძველი თბილისისა, კლდოვან მთათა ფერდობებზეა აშენებული. ამგვარი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ამასია ბუნებრივად საიმედოდ დაცულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ქალაქის შემოსასვლელისა და გასასვლელის ჩაკეტვით, რაც მათი სივიწროვის გამო სულაც არ წარმოადგენდა საძნელო საქმეს, იგი ფაქტობრივად აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცეოდა.

ამასიაში ჩვენი გზამკვლევი და მასპინძელი პირველ ყოვლისა იქაური ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე ბაჰათდინ ულუდალია (ხმალაძე). მისი ინფორმაციით, ქალაქში სამას ქართულ ოჯახზე მეტი ცხოვრობს. ისინი ძირითადად მაღალმთიანი აჭარიდან აქ გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავალნი არიან.

ბატონი ბაჰათდინი, რომელიც თავად მშვენივრად საუბრობს ქართულად, გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ იქაური ქართველების უმეტესობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა და ბავშვებმა, წინაპართა ენა უკვე აღარ იცის. სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ამ გარემოებას იგი იმიტაც ხსნის, რომ ამასიელი ქართველები ფაქტობრივად მთლიანად არიან დარჩენილნი დედა მემლექეთის ყურადღების მიღმა და მათი ბედით დღემდე არავინ დაინტერესებულა.

პირველი ოფიციალური შეხვედრა, რომელიც ამასიაში ჩასვლის დღესვე მოეწყო ბატონი ბაჰათდინის ორგანიზებით, ქალაქის მერიასში მოეწყო ვიცემერ ოსმან აქბაშთან. ბატონმა ოსმანმა თავმომწონედ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ იგი დედის მხრიდან ქართველი იყო და ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ქართული არ იცოდა.

— ჩემი სხეული შუაზე რომ გაჭრან, ნახევარი თურქული იქნება და ნახევარი ქართული, თუმ-



ცა გული აუცილებლად ქართულ მხარეზე დარჩებაო. — აღნიშნა მან.

ამასიაში ჩვენი სტუმრობის მეორე დღე იქაურ ქართულ სოფლებში გასვლითა და იქაურ ქართველებთან შეხვედრებით იწყება. ქართული სოფლები კი ამასიის შემოგარენში საკმაოდ მრავლად ყოფილა. ჩვენი თანამგზავრი მეჰმედ გოგჩე (თავისი ქართული გვარი აღარ ახსოვს) და ბატონი ბაჰათდინი კონკრეტულადაც გვიასახელებენ ამ სოფლების სახელებს: აჯიაზი, ბელდა, ჩათალჩა, ჩერმიკა, დარმადერესი, ჩიგოკოი, თეკე... მათი ინფორმაციით, ამ სოფლების მცხოვრებთა უმეტესობას ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები წარმოადგენენ.

პირველად სოფელ აჯიაზში მივდივართ, რომლის 80 კომლიანი მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართველია. სოფლის შესასვლელში, შაქრის ქარხლის ყანასთან, მანქანა გავაჩერეთ და იქ მომუშავე ცოლ-ქმარს ქართულად მივესალმეთ. როგორც კი ქართული გაიგონეს, ორივემ მუშაობას თავი მიანება და ძახილით, — ჩვენებურები ხართო? — ჩვენკენ გამოიქცა.

კაცი ჩვენთან მოვარდა და სიხარულით გადაგვეხვია. მართალია, ქართული უჭირს, მაგრამ თურქულ-ქართული ნამოძახილებით თავისი დიდი სიხარულის გამოხატვას მაინც თავისუფლად ახერხებს. სამწუხაროდ, წინაპართა გვარი არც მას ახსოვს. ვერც საქართველოს შესახებ გვეუბნება რაიმე მნიშვნელოვანს. მისი ქართული ცნობიერება მხოლოდ იმის ცოდნით შემოიფარგლება, მისი წინაპრები გურჯისტანიდან რომ ყოფილან. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევები გამონაკლისი არ არის და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ერთი ნაწილის ეროვნული ცნობიერება იმდენად მონყდა წინაპართა ფესვებს, რომ ქართველობა მათი არსებობის განვლილ ეტაპად იქცა.

თუმცა, როგორც ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პერიოდში გამართული მრავალრიცხოვანი შეხვედრების შედეგად კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთთან შეუზღუდავი კავშირ-ურთიერთობის დამყარების მერე ვითარება სასიკეთოდ იცვლება და

ჩვენებურების ეროვნული ცნობიერების თვით-გამორკვევის პროცესი უფრო და უფრო ფართო მასშტაბების მომცველი მოვლენა ხდება.

მოსახლეობასთან გასაუბრების მიზნით სოფლის ბირჟაზე, წყაროსთან მივდივართ, მანქანას ვაყენებთ და ნაწილ-ნაწილ მივუყვებით ჩვენებურებით დასახლებულ შუკებს. აქაც და თურქეთის სხვა არაზღვისპირა სოფლებშიც ძირითადად ხანდაზმულები ცხოვრობენ, ახალგაზრდები (მათეული თქმით, გენჯები) კი ქალაქებში არიან წასულები, სადაც მუშაობენ და საარსებო სახსარს შოულობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ისინი თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას სტაბილურად იუმჯობესებენ, ქალაქებში დამკვიდრებით მათი უმეტესობა წინაპართა ეროვნულ ფესვებს უფრო და უფრო წყდება და ისედაც სუსტად ნასწავლი მშობლიური ენა თითქმის მთლიანად ავიწყდებათ.

ეს მოვლენა ჩვენზე მეტად ჩვენებურების იმ ნაწილს აქვს გაცნობიერებული, ვინც აქტიურადაა დაინტერესებული ხელი შეუწყოს ეროვნული ცნობიერების გაღვიძებისა და განმტკიცების პროცესს. ამ ამბით შეშფოთებულნი, ისინი გულისტკივილით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ განსხვავებით ქართული სოფლური კულტურისაგან, რაც ქართველ მუჰაჯირთა წინამორბედმა თაობებმა თურქეთში მათი ცხოვრების პერიოდში შექმნეს, ქალაქური ქართული კულტურა თითქმის არ არსებობს და მის შესაქმნელად მხოლოდ ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები.

მათი თქმით, ეს გარემოება ბევრი ობიექტური ფაქტორითაა განპირობებული. მათგან პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ქალაქში ისინი კომპაქტურად ცხოვრებას უკვე ვეღარ ახერხებენ, რის გამოც წინაპართა ენა ერთმანეთს შორის ყოველდღიურ საკომუნიკაციო ფუნქციას კარგავს. არაჩვენებურ გარემოში მოხვედრის შედეგად არა მარტო ენა იკარგება, არამედ წინაპართა ტრადიციებიც. თუ ადრე მათი ჭირისა და ლხინის მონანილეთა უმეტესობა ქართველები იყვნენ და საჯარო შეკრებების დროს ძირითადად თაობიდან თაობას გადმოცემული ცეკვები, სიმღერები და ეროვნული ადათ-ტრადიციები



იყო წინა პლანზე წამოწეული, ახლა უკვე ვითარება რადიკალურად იცვლება და ბევრ მათგანს მშობლიურ ნიალთან დამაკავშირებელი ეს ფესვები განწყვეტილი აქვს.

გლობალიზაციისა და ასიმილაციის ამ მასშტაბური პროცესის სამწუხარო შედეგი ისიც არის, რომ წინამორბედი თაობების მიერ მტკიცედ დაცული იმ წესის შენარჩუნება, როცა ჩვენებურები ძირითადად მხოლოდ ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ, საკმაოდ ძნელდება.

სწორედ ამ ობიექტური და ძნელად შესაჩერებელი მოვლენის სამწუხარო ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენებურთა ერთი ნაწილი მათ ქართველობას საკუთარი ბიოგრაფიის განვლილ ეტაპად მიიჩნევს. თურქულ რეალობაში დაბადებულნი და გაზრდილნი, ისინი თავიანთ თავს უკვე თურქული ეთნოსის ნაწილად თვლიან და ისტორიის ნიალში უკან დაბრუნება აღარ სურთ. მით უფრო, რომ ქვეყანა, რომლის სრულფასოვანი მოქალაქეებიც ეს ადამიანები არიან, საქართველოსთან შედარებით, ეკონომიკურადაც და მშვიდობიანი ყოველდღიური ყოფითაც ბევრად წინაა წასული.


როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართველ მუჰაჯირთა დიდი ნაწილი თურქეთში დაახლოებით ამ 120-130 წლის წინათ გადასახლდა მაღალმთიანი აჭარიდან. სამწუხაროდ, თავისი ბუნებრივი პირობებით გამორჩეულად ლამაზი ეს რეგიონი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა სოფელი, ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, თურქეთთან შედარებით, ჯერაც იმდენად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომელიმე ჩვენებურმა, თუნდაც თეორიულადაც კი, წინაპართა ნაფუძარზე დაბრუნება რომ იფიქროს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა საიმისოდ მზად არ არის, ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათ რეალურად რომ შესთავაზოს რაიმე „მაცდუნებელი“ და მომხიბვლელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქეთის არაზღვისპირა მთიანი ქართული სოფლებიდან ახალგაზრდების დიდი ნაწილი ქალაქებშია გადასახლებული და იქ მუშაობს. ხანდაზმულთა უმეტესობაც აქ ძირითადად ზაფხულობით მოდის, გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე კი ისინიც ქალაქში გადასახლდებიან ხოლმე.

აჯიაზში სტუმრობის დროს ჩვენ სწორედ ერთ-ერთ ასეთ ოჯახში მოვხვდით. ჩვენი მასპინძელი მეჰმედ ხემალაძე სახლის აივანიდან გამოგვებასუხა და შინ მიგვიწვია. მან ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ჭიშკართან ვერ შემოგვევება:

— ჭლიკი (მუხლი) გამიხდა ავად და სიარული მიჭირსო, — გვითხრა.

69 წლის მეჰმედი წარმოშობით ხულოს რაიონიდანაა. ქართულად მშვენივრად საუბრობს. სოფელში ის და მისი მეუღლე ცხოვრობენ. ხუთი შვილი ჰყავს — ხუთივე ქალაქში დამკვიდრებული. გვიან შემოდგომიდან, როცა „ტაროსი მეიშლება“ (მისი ნათქვამია), ისიცა და მისი მე-



ულლევც ამასიაში გადაბარგდებიან, სადაც საკუთარი ბინა აქვთ.

როგორც მეჰმედი ამბობს, მისი ოჯახი გამოწკლესი არ არის და ამ წესით ფაქტობრივად თითქმის მთელი სოფელი ცხოვრობს. ენაწყლიანი მოხუცი დაუზარებლად გვიყვება ძველ ლექსებს, სიმღერებსა და შელოცვებს. თუმცა იმის გამოც წუხს, რომ სიბერემ ბევრი რამ დაავიწყა.

ბატონ მეჰმედთან საუბარი იმ მხრივაც აღმოჩნდა მეტად საინტერესო, რომ მან ჩვენებურების ლექსიკაში ფართოდ დამკვიდრებული ისეთი სიტყვებიც გაიხსენა, რომლებიც ჩვენს ენაში საერთოდ არაა ცნობილი. მაგალითად, მისი თქმით, იქაური გურჯები მანქანას თურმე საგორავს ეძახიან, თვითმფრინავს კი თეიარეს. ჩვენს ენაში ფართოდ დამკვიდრებული სიტყვებისა და გამოთქმებისაგან განსხვავებულ ასეთ ფორმებს სხვაგანაც შევხვდით. მაგალითად, ფევეზი ჩელების (ჩელებადის) თქმით, ჩვენებურები დასავლეთს ჩასავლეთს ეძახიან. როცა საუბარში ასეთი ფორმების ნაცვლად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულ სიტყვებს ვხმარობთ, ძველები გესაყვედურობენ:

— ლაპარაკი დეისნავლე და ისე მესაუბრო!

აჯიაზიდან ბელდალში მივდივართ, სადაც ძირითადად მაჭახელიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავალნი ცხოვრობენ. ჩვენი მეგზური მეჰმედ გოგჩე თავისი ცხოვრების ამბავს გვიყვება. რვა წელი ხოჯად უმუშავებია ამასიაში, შემდეგ ამ საქმისთვის თავი დაუწებებია და თავის ძირითად პროფესიას — ინჟინრობას მიბრუნებია.

მეჰმედი ბელდალიდანაა. იქ ახლა მისი მშობლები, ძმა, და და სიძე სახლობენ, თავად კი ამასიაში ცხოვრობს.

მან თავდაპირველად სოფლის ცენტრში, მეჩეთთან, მიგვიყვანა. იმის გამო, რომ ლოცვის დრო იყო მოახლოებული, იქ ფაქტობრივად მთელი სოფელი (ასამდე კაცი) დაგვხვდა შეკრებილი. მართალია, ყველა მათგანი გურჯია, მაგრამ არაქართულ გარემოში ცხოვრებასა და რელიგიურ ფაქტორს გარკვეულწილად მაინც შეუცვლია მათი იერსახე. ყველა წვერმოშვებულია, თავზე ნაქსოვი ქუდეები ახურავთ, მოხუცები

ხელში კრიალოსანს ათამამებენ და ჯოხდაბჯენილები დადიან.

უმეტესობა მეჩეთის გვერდით მდებარე გადახურულ ფანჩატურში, ლოცვის წინ ფეხების დასაბან ონკანებთან იჯდა, წრიულად გაკეთებულ ძელსკამებზე. ეს ადგილი, ეტყობა, სოფლის მთავარი საფიხვნოცაა, სადაც საქირბოროტო საკითხზე მსჯელობენ.

ჩვენი მისვლის ამბავი რომ შეიტყვეს, გარს შემოგვეხვივნენ. თავიდან ერთგვარი სიფრთხილითა და თავშეკავებით გამოგვეყვინ საუბარში. მერე და მერე კი, როცა გაგვიმინაურდნენ, ინტერესით დაგვიწყეს საქართველოს ამბების გამოკითხვა. ქართული იმდენად დავინწყებულნი აქვთ, რომ ბევრი მათგანი ძლივს ახერხებს სათქმელის გაგებინებას. ახალგაზრდებმა და ბავშვებმა კი წინაპართა ენა საერთოდ აღარ იციან. აღარც თავისი ქართული გვარი ახსოვს უმეტესობას.

ყოველივე ამის მნახველთ, მართალია, იმედაცარუება გვიპყრობს, მაგრამ გულს მაინც არ ვიტყხით და ჩვენს ირგვლივ შემოჯარული ჩვენი ყოფილი თანამემამულეების ნაუბარში იმ ნაპერწკლების გამონათებას ვეძებთ, რამაც შემდგომში მათი ეროვნული სული უნდა აავიზგიზოს. საბედნიეროდ, ბელდალში გატარებულმა ორიოდე საათმა ამ ნაპერწკლების პოვნის საშუალებაც მოგვცა.

ჩვენსა და ბელდალელებს შორის თავიდან წარმოქმნილი სიფრთხილისა თუ უნდობლობის ბარიერი თანდათანობით აღმოიფხვრა და ერთმანეთთან გულახდილი საუბარი გაემართეთ. როგორც ამ საუბრის შედეგად დავრწმუნდით, ბევრმა ჩვენებურმა ან საერთოდ არაფერი იცის საქართველოს შესახებ, ანდა მეტად მცდარი წარმოდგენა აქვს აქ არსებულ მდგომარეობაზე.

სოფლის საფიხვნოდან წამოსულები მეჰმედმა თავისი მშობლების სახლში გამოგვატარა. ისეთი მშვენიერი ამინდია, შინ შესვლას გარეთ ყოფნას ვარჩევთ. ჩვენმა მასპინძლებმა, რომლებიც საგანგებოდ მომზადებულან ჩვენს დასახვედრად, მოლზე ფარდაგი გააფინეს, სკამების მაგივრად ზედ ბალიშები დაგვიწყვეს და მათეული წესით დამზადებული კერძები შემოგვთავაზეს.

სახელდახელო სუფრას მეზობლებიც უერთდებიან საკმაოდ მრავლად და მეჩეთთან დაწყებული საუბარი ახლა აქ გრძელდება უფრო გულახდილად და გამძაფრებული ინტერესით. შეკრებილთა შორის ბავშვებიც არიან. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ჩვენ მიერ ნაჩუქარ ქართულ წიგნებს და უხერხულად ილიმებიან იმის გამო, რომ ქართულად კითხვა არ იციან. ჩვენ მათ იქვე პირველ სახელდახელო გაკვეთილს ვუტარებთ და რადგანაც „დედაენის“ სახელმძღვანელო თან არ გვქონდა წაღებული, რვეულში ვუნერთ ქართულ ანბანს თავისი თურქული შესატყვისებით.

გაგრძელება იქნება



გაბრიელა მისტრალი

ქოიჯან
შენკელის

ბაბიიანა მისხიანი

(ზოგიერთი რამ პოეტის ცხოვრებისა
და შემოქმედების შესახებ)

„მემიტოვებულ შადრევანს ვგავარ“ — წერს ლათინური ამერიკის ერთ პატარა სოფელში დაბადებული დიდი პოეტი, რომელსაც 1945 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. მან ბავშვობა მონტე-გრანდეში გაატარა; მამის მხრიდან — ინდიელთა შთამომავალი, ხოლო დედის მხრივ, ბასკური წარმომავლობის იყო. დაიბადა 1889 წელს; როგორც ყველა ნამდვილი პოეტის ლექსებში, მის პოეზიაში ამტკიცებელი ცხოვრებისეული სიკეთის მოლოდინიც და ტრაგედიაც საკაცობრიო მნიშვნელობას იღებს და მისი ნაწარმოებები არასოდეს აღიქმება, როგორც მხოლოდ ერთი ქალის საფიქრალი და სათქმელი. ჩილე ამაცობდა მისი სახელით და ღირსეული პატივიც მიაგო პოეტს. წერდა ესპანურად და აზროვნებდა „ღვთიურად“, ინვოდა ცეცხლივით და მოძრაობდა მთის მდინარესავით...

ადრე დაობლებული, უდემამოდ დარჩენილი გოგონა თითქმის ბავშვობიდან შეუდგა შრომას. 17 წლიდან სოფლის მასწავლებლობა დაიწყო. საგულისხმოა მისი შემოქმედებითი წარმატების პირველი ეტაპიც, როცა 1914 წელს, ჩილეს ლიტერატურულ კონკურსზე, პროვინციელი მასწავლებლის ლუსილა გოდოი ალკაიაგას სონეტებმა პრემია დაიმსახურა. პოეტის ლიტერატურული ფსევდონიმი — გაბრიელა მისტრალი, მისი საყვარელი ორი მწერლის სახელისა და გვარისგან იყო შედგენილი.

გაბრიელა მისტრალმა შესძლო, სამსახურეობრივი ღვაწლიც და საკუთარი შემოქმედებაც გამორჩეული დაფასების საგნად ექცია. მან გრძელი გზა განვლო სოფლის მასწავლებლობიდან კონსულობამდე. სამსახურეობრივი მისიით ბევრგან იყო მიწვეული. აღსანიშნავია მექსიკის განათლების მინისტრის მიწვევაც, სადაც გაბრიელა მისტრალს მონაწილეობა უნდა მიეღო განათლების რეფორმაში. ის მოღვაწეობდა თავისი ქვეყნის საგარეო სამინისტროში და იყო ჩილეს კონსული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, პორტუგალიაში, დაინიშნა იგივე თანამდებობაზე იტალიაშიც, მაგრამ გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, შინ — ნიუ-იორკში დაბრუნდა.

არიან პოეტები, რომლებიც ემოციებს კი არა, ადამიანური ისტორიებიდან საინტერესო ფაქტებს გვანვდიან. პროფესიონალიზმი მათ საშუალებას აძლევს მაინც მიიქციონ მკითხველის ყურადღება, დაიმსახურონ კრიტიკოსთა და შემფასებელთა დადებითი განწყობა, ბოლოს და ბოლოს ხელოვანთა ანსამბლში იხსენიებოდნენ, მაგრამ მათ მიერ დახასიათებული სურათები, მათი ტკივილი და სიხარული მხოლოდ მოსმენილი, მშვენივრად გადმოცემული (თუმცა, არც ესაა ადვილი) ამბის დონეზე რჩება. ასეთი შემოქმედება ვერ ახერხებს ისე ააღელვოს მკითხველი, რომ სამუდამოდ აღბეჭდოს მის მეხსიერებაში ნაკითხული და განცდილი ფაქტი. ეს გამორჩეულთა გზაა. ამგვარ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება გაბრიელა მისტრალი. მისთვის უცხოა ყალბი და ხელოვნურად გამოგონილი სევდა. სასიამოვნოა, როცა ნებისმიერი მწერალი თავისი ფანტაზიით ქმნის, იგონებს საინტერესო ამბავს და საკუთარ სამყაროს გვთავაზობს, მაგრამ არაფრად ვარგა ყალბი ემოციები, რომელთა ამოცნობა არცთუ ისე ძნელია კარგი მკითხველისთვის. პოეტი ლექსის „მოსაკაზმად“ კი არ „ჩივის“ რაიმეს, პირიქით, სურს პოეზიით უშველოს სატკივარს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მისი ცხოვრებისეული ისტორია ზედმიწევნით მისდევს მის შემოქმედებაში აღწერილ ტკივილებს; ამ შემთხვევაში, ამგვარ სიმართლეზე



სრულიად არ ვსაუბრობთ. ჩვენ აქ უნდა ვიგუ-
ლისხმოთ სწორედ ის ფაქტები და განცდები,
რომლებიც ავტორის სულიერი თავგადასავა-
ლის, მისი ტრაგიზმისა თუ აღფრთოვანების
საფუძველი და მიზეზია. ამის ერთი თვალსა-
ჩინო მაგალითია გაბრიელა მისტრალის შემო-
ქმედებიდან „დედის პოემები“. უშვილო ქალ-
მა შექმნა საოცარი ლექსები, სადაც მშობლის
განცდებია აღწერილი არა მარტო საკუთარი
ჩვილის მიმართ, არამედ მაშინაც, როცა ქალი
ბავშვის დაბადებას ელის. აქ გადმოცემული
გრძნობები წუთით არ ტოვებს გამოგონი-
ლი ბედნიერების შთაბეჭდილებას: „მთელი
ღამე წამებაში გავატარე, მთელ ღამეს ძაგ-
დაგებდა და ბორგავდა ჩემი სხეული ჩემთვის
საჩუქრის მოსართმევად. საფეთქლებზე ცივ
ოფლს მასხამს, სიკვდილის პირას ვარ. მა-
გრამ სადაა სიკვდილი?! ეს სიცოცხლეა!

შენ მოგიხმობ, უფალო, მარადიულ ღმირ-
ბიერებაზე, სათუთად მომწყვიტე იგი!

დაიბადე, ჩემო პატარავ, რომ გამთენიისას
გაისმას ჩემი შეკვივლება და ჩიტების გალობას
შეერიოს!“ (გაბრიელა მისტრალი, პოემები
პროზად, მოთხრობები. თარგმნა მანანა გიგ-
ნეიშვილმა, გამომცემლობა „საარი“, 2003,
გვ; 15) — წერს პოეტი.

მძაფრი შეგრძნებები, რომლითაც ეს პო-
ემები გამოირჩევა, გვაოცებს გულახდილო-
ბით. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი გამონა-
გონია, მას იმგვარი ემოცია სდევს, რომ თავი-
დან, თითქოს საჩოთიროდაც კი უღერს ქალის
სურვილების ასეთი ხორცშესხმა, მაგრამ
თანდათან იხიბლები ავტორის „გამბედაო-
ბით“ და „გულწრფელობით“, მისი ოცნებები
სინამდვილედ ცოცხლდებიან:

„არა, ღმერთი სიბერნეს როგორ არგუნებ-
და ჩემს წიაღს?! სწორედ უფალმა შემეცნა
ნელი. ვგრძნობ, როგორ მეზრდება მკერდი,
ზემოთ იწევს ნელა, როგორც წყალი პატარა
ტბორში. ძუძუები მიფუფუნებდა და ეს საიმედო
დაპირებასავითაა ჩემი პატარისთვის. ვინ
იქნებოდა ამ ქვეყნად ჩემზე საცოდავი, ჩემი
წიაღი რომ არ განაყოფიერებულყო?!“...
(იქვე, გვ; 11)

გაბრიელა მისტრალის შემოქმედება
დავალებულია მისი პროფესიისგან, თუ
პირიქით... არ ვიცი. მასწავლებლობამ პო-
ეტი ჩაახედა ბავშვის სულიერ სამყაროში,
წამალა ზღვარი მის უშვილობასა და მშობლის
ოცნებას შორის. მისტრალის პოეზიაში, სხვა
საკითხებთან ერთად, ყველაზე ნათლად ჩანს
მასწავლებლის მიერ, მოსწავლის მიმართ
გაცემული სიკეთისა და სიბრძნის აუცილე-
ბლობა და ამ მოვლენის მარადიულობა; მისი
ცვალებადობის შეუძლებლობა. მომავალი
თაობის ზნეობრივი სრულყოფის მცდე-
ლობა ერთი მთავარი ფაქტორია, რომლის
საშუალებითაც სიკეთე ბოროტებას უნდა

დაუპირისპირდეს ერთი შეხედვით, სიკეთე-
სა და ბოროტებაზე საუბარი, თითქოს უკვე
„მოსწყინდა“ თანამედროვე ლიტერატურულ
სივრცეს, მაგრამ ვერ დავივიწყებთ იმ ფაქტს
რომ სწორედ სიკეთის ნაკლებობა ატრია-
ლებს ყოველდღიურ, ხან სხისი თვალისათვის
შეუმჩნეველ, ხანკი, ისტორიის მსჯელობის
საგნად ქცეულ ტრაგედიას.

მისტრალი დიდხანს ასწავლიდა ბავშვებს
ჩილეს სოფლებსა და სხვადასხვა ქალაქებში.
შემდგომში კითხულობდა ლიტერატურის
კურსს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებ-
ში და იყო მათი საპატიო დოქტორი ჩილესა
და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპან-
ეთისა და იტალიაში.

მას მასწავლებლობა წმინდა საქმედ მიაჩნ-
და. გაბრიელა მისტრალის ღვაწლი ამ მხრივ
არაფრით ჩამოუვარდება მისსავე შემოქ-
მედებას; საყვარელ საქმეშიც და შემოქმედე-
ბაშიც თანაბარი სიძლიერით იხარჯებოდა
მის გულში გაჩენილი სიყვარული და სიბო-
რე. მისგან მოედინებოდა დადებითი ენერგია,
რომელიც ყოველთვის საგრძნობია გვერ-
დზე მყოფი ადამიანისთვის. პოეტი ახერხ-
ებდა გამოეკვება მოსწავლეების სულიერი
სამყარო. ყოველდღე ცდილობდა დაეხეუნა
და დიად, მნიშვნელოვან მოვლენად ექცია
თითოეული გაკვეთილი. მას დანერგილი აქვს
მასწავლებლის ღოცვა, სადაც ღმერთს ევე-
დრება მიუტევოს, რომ თავადაც მასწავლე-
ბლად იწოდება, სთხოვს, რომ განარიდოს
ყოველგვარ ძალმოსილებას. ამონარიდი მისი
წანარმოებიდან ზნეობრივი სიმაღლის ისეთ
ფაქტს ქმნის, რომ გოცბებულიც კი რჩება
მკითხველი საქმისა და პრობლემის მიმართ
ასეთი ფაქიზი დამოკიდებულებით: „უფალო,
მიბოძე სულგრძელობა... მომამდღე ნიჭი
სიყვარულისა, შემამღებინე, რომ დედისა
მჯობ დედად გავუხედე, დედასავით შევით-
ვისო და დავიცვა ისინი, ვინც არ არის ხორცი
ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი ჩემი.
მიბოძე ძალა, რომ ჩემი ლექსით დავხ-
ვეწო და სრულყო რომელიმე გოგონა ჩემს
მონაფეთაგან“-ო... (იქვე; გვ 39).

გაბრიელა მისტრალის შემოქმედებიდან
უნდა აღინიშნოს მისი „სასკოლო მოთხრობე-
ბი“, სადაც ის მონდომებით უხსნის ბავშვებს
რატომ აქვს ლერწამს ღრუ, რატომ არის
ვარდი ეკლიანი... ავტორი საინტერესო პერ-
სონაჟებად აცოცხლებს ყვავილებსა და ბალ-
ახებს. მცენარეთა საუბარში ყოველთვის სა-
ჩინოს ხდის, რომ ყველაფერში უფლის ხელი
ურევია.

„მასწავლებლის ათი მცნება“, რომელიც
გაბრიელა მისტრალის მოქალაქეობრივ კრე-
დოს წარმოადგენს, ყოველი ფრაზის წაკითხ-
ვის დროს გვიდასტურებს, რომ ავტორის
გულში დაუცხრომელი სიყვარულის კოცონი

გიზგიზებს. პოეტი მთელი სულით და გულით ემსახურება ბავშვების აღზრდას და ეს მისთვის განგების საჩუქარივით წმინდა და მოსაფრთხილებელი რამ არის. „ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი; გახსოვდეს შენი პროფესია ხელობა კი არა, — ღვთისმსახურებაა“ — (იქვე გვ; 41) წერს იგი.

საკუთარ მემკვიდრეს მონატრებულმა პოეტმა, მზრუნველობა იკისრა ნათესავ ყმანვილზე — ხუან მიგელზე, რომელმაც მასთან ცხოვრების პერიოდში, 1943 წელს, მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო თავი მოიკლა. გაბრიელას გაახსენდა ახალგაზრდობისდროინდელი სიყვარული — რომეო ურეტა და მასთან დაკავშირებული ემოციები. ყმანვილი რკინიგზელი მუშა იყო. მომავალ პოეტს 1906 წელს შეხვდა და ისინი ორ წელიწადში დაშორდნენ ერთმანეთს. 1909 წელს რომეო ურეტამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. მის ჯიბეში გაბრიელა მისტრალის მიერ მიწერილი წერილი იპოვნეს. ეს ტრაგედია აისახა პოეტის პირველ კრებულშიც და გაბრიელას ცხოვრებასაც დიდი კვალი დაამჩნია. ის არ გათხოვილა და არც შვილი შესძენია. ვაიდვალეებ სიყვარულთან დაკავშირებულ გარდაცვლილ ადამიანებს. ძნელია მათ ვინმემ აჯობოს; მით უფრო, თუ მისი სიცოცხლე თვითმკვლელობით სრულდება და თან სატრფოს წერილი მიჰყვება საგზლად. ვინ დაჩრდილავდა ცოცხალთა შორის, ქალის ხსოვნაში აღბეჭდილ მის გრძნობებს და ემოციებს. ვინ აჯობებდა სიყვარულში? ველარავინ! ვინ შეაფასებდა ამ ტრაგედიას გაბრიელა მისტრალზე უკეთ და ვინ მოახერხებდა საკუთარი სატრფოს სახელისა და თვითმკვლელობის გაკეთილშობილებას, ვინ დაიჭრებოდა გულში სამარადღეამოდ? — მხოლოდ დიდი პოეტი.

ძნელია გენატრებოდეს და არ გყავდეს შვილი, ძნელია განწირული სიყვარული დაგდევდეს აჩრდილივით და არ დაითრგუნო, არ იკლოს შენში სიკეთის კეთების სურვილმა. ძნელია მუდმივად სხვისი შვილების გაკეთილშობილებასა და სრულყოფაზე ფიქრი, როცა საკუთარი ტრაგედია და დიდი შემოქმედება მუდმივ თანამგზავრებად აგდევნიებიან. ამას გამორჩეული პიროვნებები ახერხებენ. ეს შესძლო გაბრიელა მისტრალმა. მისი შესანიშნავი პოეზია ძალიან ჰგავს მისი ცხოვრების გზას. ხელოვანთა შორის ბევრია, ვინც თავისი შემოქმედების გამო, უარი თქვა ახლობელთა და ძვირფას ადამიანთა სურვილებისათვის გაენია ანგარიში. ხშირად მათ, გარშემო მყოფთა ბედნიერებაც შეუწირავთ. დატოვეს ფასეული და მნიშვნელოვანი ქმნილებები, თუმცა ვერ დაიცვეს გვერდით მდგომი ადამიანები ცხოვრებისეული

სუსხისგან; ვერ მოიცალეს ახლობელთათვის, ვერ დაემსგავსნენ თავიანთ დიდებულ ქმნილებებს. მათ მხოლოდ შემოქმედებით გაიღეს ხარკი მემკვიდრეობისთვის. გაბრიელა მისტრალმა სხვა გზა აირჩია, დიადი გზა, სიკეთისა და კეთილშობილების გზა. არაფერი რომ არ დაენერა მისი პიროვნება მაინც დაიმსახურებდა ინტერესსა და სიყვარულს, რადგან სიკეთეს ერთი თვისება აქვს, ის ადრე თუ გვიან, ბუმერანგივით ბრუნდება უკან.

გაბრიელა მისტრალის შემოქმედებას კრიტიკოსთაგან დიდი შეფასებები ხვდა წილად. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე და გამოცემულია პოეტის არაერთი წიგნი: „სიკვდილის სონეტები“, „სინაზე“, „სასონარკვეთილება“, „ეკლიანი ხე“, „პოემა თეთრ ღრუბლებზე“, „სანაახელი“...

მისტრალის პოეზია მიჩნეულია ლათინური ამერიკის „სულიერ მისწრაფებათა სიმბოლოდ“. მის შემოქმედებაში გვხვდება ყველა ის მნიშვნელოვანი თემა (ღვთის საგალობელი, დედის სახე, სამშობლო, ბუნება, მოგზაურობის დროს ნანახი უცხო ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, უცხოელთა ყოფა და კულტურა, ხელოვნების დანიშნულება...), რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ავტორის პოეტური სამყაროს სრულყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ მისი სალექსო საზომიც ცვალებადია, გვთავაზობს სალექსო ფორმათა ვარიაციებს, ხშირად მიმართავს პოეტურ პროზასაც.

არ შეიძლება შეიქმნას მომავალი წარსულის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ გაბრიელა მისტრალი ზოგადსაკაცობრიო საზრუნავს ხშირად ეხება და ძნელია მისი განცდები მხოლოდ ჩილელ ხალხს მიაკუთვნო, მის შემოქმედებაში გამორჩეული სილამაზე შემოაქვს ისეთ ლექსებს, სადაც პოეტის წინაპართა ყოფა და გარემო იხატება.

„მზუო ინკების, მზევ მაიასი
ამერიკულო, მნიფე ნაყოფო,
მითხარი შენი მწველი მზერის ქვეშ
მუქი მაია როგორ ამყოფე,
მაგ ანთებული სხეულისათვის,
რომ გიჟდებოდა კერუას კაცი,
და ტანი ძველი აიმარასი,

(„ჰიმნირტოპიკების მზეს“, თარგმნა ლია ჭავჭავაძემ „ლიტ-ერატურა და ხელოვნება“, 1965; გვ 57)

პოემაში ცოცხლდება ინკების, მაიას, კერუას ინდიელთა ტომები. მათი ფერადკანიანი სხეულები, მოხატული სახეები. აქვეა ნაჩვენები ტომებად მცხოვრები ხალხის მისწრაფებები, მათი ხატები. მზე მისთვის „მწყემსია მაღალი“, ღვთაებაა, რომელსაც თავის წინა-



პართა მსგავსად ეტრფის ავტორი. მზე ხან ნითელი შადრევანია, ხან „ნასვლა-მოსვლისას ნითელ და თეთრ ხოხობს“ ჰგავს. აქ ნითელი ფერი სიცხესთან, სიცოცხლესთან, თავისუფლებასთან და ენერჯიასთან არის ასოცირებული. ის მისთვის, როგორც ყველა ღვთაება, მარადიულობის სიმბოლოც არის. „ინკთა მოგვებივით სულაბორგებული“ უბრუნდება პოეტი წარსულს. ავტორი გვიხატავს ინდიელთა ცეკვას, „ჩუმი სტვენით შემფოთებულ ანაკონდებს“, ცისფერ ცამდე ასულ მანგოს, ყვავილებით სავსე მინდორს. ვხედავთ აყვავებულ იუკას და ბერნუშს, ინდიელთა ღარიბულ ქოხებს. გაბრიელა მისტრალი აქ თავისუფალია მსოფლიო სევდისგან, დაღლილი უბრუნდება მშობლიურ წიაღს და სთხოვს მზეს დაავინყოს უცხო მინაზე განცდილი სიმწარე, სადაც თავლი წყალს ჰგავდა, ღვინო იყო „დაღლილი“ და მკვდარი ვარსკვლავი ედგა თავზე. ავტორი ხან მზეს მიმართავს და ხან მშობლიურ მინას. როგორც ჩანს, ეს მისთვის თანაბარი სიმაღლის „ხატებია“.

„ხარ მბრძანებელი ასე კეთილი,
მთიდან ჩანჩქერის ელვად ენთები,
განა ღმერთია შენებრ კეთილი,
დაგიჩოქებენ ყველა ღმერთები.“

ვით შენს ვენახში ოქროს მარცვალი,
მოვალთ მინაზე სხივთა გუნდებად,
მოვალთ სხვაგვარი გულის ფანცქალით
და უკვდავება დაგვიბრუნდება.“

(იქვე, გვ. 66)

პოეტი მზეს ველის და წყაროების, ჭალებ-ის და მინდვრების რჩეულად აცხადებს. მის შემოქმედებას ამშვენებს პროზა, რომელსაც ჰქვია „ვნების მოტივები“. აქ სტიქიათა ცეცხლის და წყლის, აგრეთვე ქვების, ქვის, კოცნის, ზეთისხილის ხეების ბუნებაა გადმოცემული. ეს ნაწარმოებები სწორედ ავტორის წინაპართა მემკვიდრეობიდან უნდა იღებდეს სათავეს. აქ ცეცხლი შმაგი და სხარტია, ფერფლი მჩატე და ჩუმი, წყალი ჩქარი და მეხსიერების არმქონე. „ზღვის წყლისგან გვაქვს სისხლში მარილი და ჩვენივე სისხლით დატკბება ზღვა. ეს ნამდვილად მოხდება, მაგრამ არა უადრეს ჟამთა აღსასრულისა“-ო (გაბრიელა მისტრალი, პოემები პროზად, მოთხრობები, თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა 2003. გვ; 65), ასე ფიქრობს ავტორი.


სტიქიებზე მსჯელობის დროს, გამორჩეულია მისი შედარებები, ისინი საოცარ წარმოსახვებს ბადებს. გავისხენოთ თუნდაც „ცეცხლი“. ის „ელვარე სამკაულებით ცეკვავს ტყეში და თან ფეხებში უღიტინებს ხეებს“; ცეცხლს „გარინდებიდან გამოჰყავს ლითონები... ადნობს ოქროს რათა იხილოს

მისი წვეთი — იდუმალი ღმერთების სისხლის ნაშხეფი“ გაბრიელა მისტრალს თავადაც ცეცხლოვანი ბუნება ააქვს, სწორედ ამიტომ, ამ ნაწარმოებში ცეცხლი მთელ სამყაროს მოსდებია, ის ყველგან არის: ტყეში და წყალთან, ქარხნებსა და ზეცაში, ადამიანთა გულეებში, სადაც სიყვარულს და სიძულვილის ალი ბრიალებს. უჩვეულოა ამგვარი დახასიათებაც: „ცეცხლი სულიწმინდისა — თეთრად მოგიზგიზე ორი მუგუზალი — მტრედის ორი ფრთაა! ცეცხლი, პავლეზე რომ გადმოვიდა და განიმსჭვალა იგი თხემით ტერფამდე!“ (გ. მისტრალი თარგმნილი მ. გიგინეიშვილი, გამომცემლობა „საარი“, 2003, გვ. 62).

მსოფლიო კულტურული სივრცე პატივისცემითა და აღფრთოვანებით შესცქეროდა პოეტს. რალათქმა უნდა, მზის კულტი და ინდიელთა ტომების ცხოვრება ცივილიზაციის მწვერვალს რომ არ წარმოადგენდა, მშვენივრად იცოდა; მაგრამ ისე, როგორც დიდ პიროვნებას ეკადრებოდა, მას ეყო გამბედაობა და საკუთარ შემოქმედებაში თავის წინაპართა სული გააცოცხლა, მათ ქოხში შევიდა, იმათსავით მოუდრიკა მზეს თავი და იცეკვა... ინდიელივით იცეკვა ლექსებში... რითაც გვანიშნა: თუ ასე კარგი და მომხიბვლელი ვარ, იცოდეთ საიდანაც მოვდივარო... მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ იგივე პოეტი ამბობს: „მშვენიერება არ არის გრძნობისათვის სატყუარა, იგი საზრდოა სულისთვის. შენს ყოველ ქმნილებას კრძალვით შეეგებე, რადგან, იგი ნაკლებია შენს ოცნებაზე, რომელიც არის ღვთაებრივი უბრალოება“ („ხელოვნების ათი მცნება“. თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა)

გაბრიელა მისტრალის გარდაცვალება 1957 წელს სამდღიანი გლოვით აღინიშნა ჩილეში და პოეტი ნიუ-იორკიდან დასაკრძალად მშობლიურ მინა-წყალზე ჩამოასვენეს. „ხალხს დიდი მწუხარება დაატყდა თავს, თითქოს კორდილიერებს უზარმაზარი კლდე მოსწყდა და 7000 მეტრის სიმაღლიდან პირდაპირ ჩილელ ხალხს დაეცა გულზეო“, — წერდა პაბლო ნერუდა თავისი მასწავლებლისა და მეგობრის გარდაცვალებაზე. 1958 წელს ქალაქ სანტიაგოში გადამწყდა გაბრიელა მისტრალის სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის დაწესება.

მზითნასაზრდოები, ტროპიკულმცენარეთა ნაყოფით გაჟღენთილი, მწვანე, უზარმაზარ ფოთოლთა სილამაზეში დაბადებული, მისი ენერგიული, ლაღი და გულწრფელი პოეზია, სიტბოსა და ტრაგიზმს ერთდროულად რომ იტევს, ღონიერი ტოტებისა და ყვავილებისგან დანნულ, უშუალოებისა და უბრალოების გვირგვინს იხდენს. ხშირად, ალტაცებით ასე მოიხსენიებდნენ — „ცეცხლოვანი და ღვთისმოსავი გაბრიელა“.



ქაქაბაძის
ხეობის მკვლევარი

ტრამვიანი

ნაწილობრივ ცისარტყელა ჰგავდა დიდ ხმალს, ცვარს აფრქვევდა მთებს ნისლევის ფარა, ჩემს წინ მდგომმა სილამაზის ხატმა მითხრა: — ჩადიხარო? — ვუპასუხე: — არა! მაგრამ მივხვდი, ბენვის ხიდზე დამრჩა ბედი, როცა ჯადომ დარდის ყბაში ჩამსვა. ახლაც ვფიქრობ: ნეტავ რატომ არ ჩავედი, მე ხომ სწორედ იქ მინდოდა ჩასვლა?!

ბანცდა

როცა წარმოვიდგენ წუთით, თითქოს აღარა მყავს დედა, თავზე დამტრიალებს მწუხრი, გულში მეპარება სევდა. არც ბარს ვებრალები, არც მთას, გრძნობებს ველარ ვუჭერ აღვირს, მიპყრობს იმნაირი განცდა, როგორც მოლოდინი წარღვნის. ცრემლით მენამება უპე,

აზრი მეფანტება ნატვრის, სულზე უტკბილესი უბე, ველარ მაიმედებს მარტვილს. ლამის სინანულით დავდნე, ვებრძვი ჯოჯოხეთურ ფიქრებს: ზაფხულს ვინ შეარჩენს ვარდებს, ზამთარს ვინ წაართმევს ფიფქებს. ველარ ვემალები წუხილს, ქარში ჩამუხლული კენტად, როცა წარმოვიდგენ წუთით, თითქოს აღარა მყავს დედა.

306 იცის

ვინ იცის, ამაღამდელი წუთები ვის რას ჰპირდება, სად აინთება კანდელი, სიცოცხლე სად აფრინდება. სად გაბრწყინდება ცვარებით ყანნები ჯიხვის რქისანი, სად შეიხსნება კარები, სად დაეცემა ისარი. სად აბორგდება ზმანებით, ციხე-კოშკები ბროლისა, სად გაიშლება ბრჭყალები ფაფარაშლილი ლომისა. „სულო ბოროტოს“ სადარი ვის აღმოხდება გალობა, ან ვის შერჩება სახლ-კარი, კაი ყრმობა და ქალობა... ვინ იცის, ამაღამდელი წუთები ვის რას ჰპირდება, სად აინთება კანდელი, სიცოცხლე სად აფრინდება.

სმა ციხის კედლიდან

ძალა მოვიკრიბე, მახრჩობდა ბოლმა, ჭირში ვმაგრდებოდი ქვითკირის მსგავსად, თვალი დამიბნელა ნისლევის დოღმა, როცა ბოროტებამ ზვარაკად დამსვა. იმედმა მიმტყუნა, გამწირა მოძმემ, მწუხრით დაიფარა სიცრუის კვალი, ვერ მიმხვდარიყავი ზეცაა მოწმე, რას მემართლებოდა მკითხავი ქალი. ან ვინლა შეავსებს წარსულის ხარვეზს, მტერს რადგან მოყვასმა ათხოვა ყური, ისე შევეყარე მზესა და ღამეს, რომ არც კი ვიცოდი, — რას ერქვა შური. მკერდი მივანებე მონაქროლ ზეფირს, მუხლებს მიგრილებდა დამწვარი კირი, მერე საძირკველში ჩავეყარე ძვლები და მიწა ისმენდა ლოდების ტირილს, ტანჯვას მიგრძელებდა გულცივთა ლტოლვა... თუმცა დავიმარხე; — არა ვარ მკვდარი! სურამის ციხესთან ნიავის ქროლვა ჩემი უკვდავების ნიშანი არის.

დავდივარ, დავეძებ...

მეც ვიცი, დამინნავს დრო ულოს,
ტყემლები ყვავილებს მაყრიან,
დავდივარ, დავეძებ, ვპოულობ
და მაინც რაღაცა მაკლია.
ტოლები მიწვევენ, ნადიმად,
ვეცლები ფიქრების მარნუხებს,
ედემში სატრფოსთან დავდივარ
და მაინც რაღაცა მანუხებს.
ჩურჩულებს ოცნება მჩქეფარი,
სხივებმა ვაზები გაბარდნეს,
აკვანში სიცოცხლეს შევხარი.
და მაინც რაღაცა მადარდებს...
აპრილი მწვევია დროულად,
ტყემლები ყვავილებს მაყრიან,
დავდივარ, დავეძებ, ვპოულობ
და მაინც რაღაცა მაკლია.

იქნებ, ქალს უნდა ეთქვას?

ნისლის ბეჭედში ჩაფლული მთვარე
მორცხვად უმზერდა ბუჩქებს;
ფიქრობდა: ვინ არ მომაპყრობს თვალებს,
ვისაც სიცოცხლე უჩქეფს.
მაგრამ მთვარისთვის სადღა ეცალათ,
მათ ერთმანეთი ჭვრიტეს.
დუმილი მალე შემოეცალათ
ხევში ფარავდა ბროლს და მინანქარს,
ლამე იმსხვრევდა ბექთარს,
ვაჟმა ვერ შეძლო ეთქვა: — მიყვარხარ,
იქნებ, ქალს უნდა ეთქვას?

მეც იქ დამმარხეთ

სადაც მამშვიდებს მღელვარეს
ჩემი ოცნების ფერია,
სადაც ქედებს და მწვერვალებს,
მზის შუქი გადაჰფენიათ,
სადაც მტკვრის ლურჯი ტალღები,
სმენას ატკობენ დუდუნით,
სადაც მტრის კარვის ალებით
დამარცხებულა უკუნი.
სადაც გულს უყვარს ანთება,
ქარში ჩინარი შრიალებს,
სადაც დრო ხელში ადნება,
უხუცეს მემათიანეს,
სადაც შეჰხარის ბალახებს
ჩიტის ბუდე და ბაღდადი...
მოკვდები?... — მეც იქ დამმარხეთ,
არ დაივინყოთ ადათი
და ლამ-ლამობით დამატკბეთ
მშობლიურ იავნანათი!..

პარკიანი

ჩემს ფიქრებს მტკვრის პირას ეს ღამე გათიბავს,
მინდვრებს რომ ქვეითად გამოვცდი,
თვალს ვერ ვაშორებდი მთას მწვანე ქათიბას,
ერეკლეს ხმალივით ამონვდილს.
გალმა ბუმბერაზი ნაძვი რომ ჩურჩულებს,
ტალღებზე კაცივით დახრილი,
მეტყვის, რომ ამ მიწამ დალახვრა ურჯულო,
მძლეთამძლე ცეცხლით და მახვილით.
მთვარე დამადგება თავს ერთგულ დარაჯად,
გადავშლი წარსულის ბარათებს,
მხრებზე წამოვიგდებ ნისლების ფარაჯას,
ამ ღამეს მტკვრის პირას გავათევ.
დილით ავმხედრდები, დალაშქვრას შევბედავ,
პიტალოს, ზეცამდე ატყორცნილს,
მერე ნაჩუქურთმევ ვარძიის კედელთან
თამარის ნატერფალს დავკოცნი.

გნახე და სამყარომ იერი იცვალა,
ველარ მოგაშორე თვალი,
ო, ისე ბრწყინავდი, სიცოცხლეს ვფიცავარ,
ვით ვარდის ფურცელზე ცვარი.
შეტოკდი, ალბათ თუ იგრძენი შეხება,
საოცრად მწყურვალი მზერის...
მზემ თეთრი ქედები ვარდისფრად შეღება
მღელვარე ღანვების ფერით.
იმ წუთის ხვაშიადს, აბა, რას დავმალავ,
რა გზითაც არ უნდა ვმალო,
თუ მე შენ გელოდი ფიქრების ამარა,
შენ რადღა მიმზერდი, ქალო?

ჩანჩქართან

გენტო ღიმილის მაყალი,
ქალღმერთს გიგავდა სხეული,
თავზე მთა გედგა მაღალი,
თეთრ ნისლში გამოხვეული.
გნახე, კენტობა მომწყინდა,
დავდექ ლოდების კარავთან.
წელზევით შუქი გკოცნიდა,
წელქვევით წყალი გფარავდა.
ტყვედქმნილი სუნთქვას მოვეშვი,
შორს ხარირემი ბლაოდა.
ჩემი ოცნება მორევში
შენს გვერდით ყყუმპალაობდა.
მსურდა ვხლებოდი თეთრ ყვავილს,
სამოთხის მზემ რომ აღერა,
შენ თევზად ქცეულიყავი,
მე ჩაგდგომოდი ფაცერად.



ნუკო
ოთინაშვილი

ჩვენი ისტორიისა და
ხანძარის ძებნები

ქოლოთის ციხე

ლევხურის ხეობაში ადრე ხალხმრავალი სოფლები ორი ქოლოთი, ბოსელთა, ცხრანყარო, ქვიტკირი და სხვები იყვნენ, რასაც ადასტურებს 1774 და 1781 წლების ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობანი და ისტორიული დოკუმენტები. ხეობაში შუა წელს ზემოთ მდინარის კალაპოტი ვინროვდება, ნასოფლარ ქოლოთის მხრიდან მარჯვნივ თუ მარცხნივ ხეობებიდან მომდევნოებული ლევხურა მასზე არტახებივით შემოკრულ კლდეებს ღრიალით ეხეთქება და ვერცხლისფერი წყლის შხეფები საამო სიგრილეს გაგრძობინებთ.

ვინრო ბილიკი ჩრდილოეთით მიიკლაკნება, თითქმის ციცაბო აღმართების დაძლევა გრძელდება, ალპური ზონის ავლის შემდეგ, ვრცელი ტაფობი ამოსუნთქვის საშუალებას

იძლევა და დავაკებული ადგილი უკვე ლევხურის სათავეა, სადაც კალოსმაგვარი ადგილიდან მძლავრად გადმოსჩქევს პირველქმნილი ლევხურა, მიდამოებს კი ცხრანყარო ეწოდება.

აქედან დასავლეთით ხელის გულზე ჩანს ქოლოთის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც სიძველის მიუხედავად მყარად დგას, უფრო დასავლეთით კი.. ხეობა და ტბის მთაა, აღმოსავლეთით გზა-ბილიკები ჭურთისა და არმაზისაკენ მიემართება, ჩრდილოეთით ნასოფლარი მენყერია, შემდეგ კი ქსნის სათავე უამური. გადასავლელელებში თითქმის ყველგან სადარაჯო კოშკები დგას ჩვენი წინაპრების ნაგები, მათ შორის უდიდესია ქოლოთის ანუ გოგაურების ციხე, რომელიც ლევხურის სათავეში, მდინარის მარცხენა ნაპირზე ზვიადად აღმართულა. ციხის მთავარი კოშკი სიმაღლით თხუთმეტი მეტრია, მტკიცეადაა ნაგები, კენჭიც არა აქვს მომძვრალი. ჩრდილოეთითა და სამხრეთით უსათოფურო საბრძოლო კოშკებია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველ დროშია აგებული. ციხეს სამხრეთით სხვა დიდი მინაშენებიც აქვს, რომლებსაც დაცვის მნიშვნელობა ექნებოდა, აქედან გადის დასავლეთით მდინარისაკენ საიდუმლო გვირაბიც.

მეცამეტე საუკუნის დასასრულს საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი ბრძოლები გამართა დემეტრე თავდადებულის ძემ დავით მერვემ, რომელმაც ნაწილი მონღოლებისა სამშობლოდან გარეკა და თავისი მოღვაწეობით მოამზადა გიორგი ბრწყინვალეს ხანა.

დავით მეფეს არც შინაური შფოთი აკლდა. აი, რას მოგვითხრობს მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე „ძველი ერისთავთა“: „მაშინ მეფემან დავით შეკრიბა ყოველი ლაშქარი და მოადგა ცხრა ხევსა შალვაის საერისთავოსა, ჩამოვიდეს ქოლოთელნი, ხადელნი ყოველნი და დაწუეს და მოაოხრეს ცხრაძმის ხევი. ბრძოდეს, ქუენიფნევს, ქარჩოხს, ქოლოთს და ისროლს და ვერ აიხუნეს და შვიდ წელს გაგრძელდა ჰომი მათი და ხიხონათა (ქოლოთელთა) ოდეს შეჭირდათ იწყეს ჭამად ლუედისად და ესევეითართა მშუელელად მოვიდა შალვა ერისთავი და მეფემ ციხეს მოხსნა მხედარნი“.

როგორც მატთანის ავტორი ავგაროზ ბანდაისძე მოგვითხრობს, მეცამეტე საუკუნის ბოლოს, ქოლოთის ციხე ისე ძლიერად ყოფილა გამაგრებული, შალვა ქსნის ერისთავს, მის რეგულარულ ლაშქარს შვიდ წელსაც ვერ აუღია. მისი მშენებლობის სხვადასხვა ფენა იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიმაგრეს საუკუნეთა განმავლობაში მშენებლობა და გადაკეთება განუცდია და ჩვენი წინაპრები კვლავ



თავდასაცავად იყენებდნენ.

ბარად საცხოვრებლად წასულ ქოლოთელებში ახლაც არის დაცული გადმოცემები ლექთა ლაშქარზე, რომლებიც ქურდულად თავს ესხმოდნენ ლეხურის, ქოლოთ-ქვითკირის ხეობებს და ანიოკებდნენ მოსახლეობას.

ლეხურის სათავეში დგას ქოლოთის ციხე-

დარბაზი, როგორც ჩვენი ისტორიის სადიდებელი ბასტიონი, რომლის კედლებთან არაერთი ვანდალის სისხლი დაღვრილა, ჩვენს წინაპრებს კი დაუცავთ, გადაურჩენიათ, იგი ახლაც აფრთხილებს შემოჯარულ მტერს, რომ ჩვენი დამარცხება შეუძლებელია, ის ახლაც დგას სამშობლოს სამსახურში.



ნანა

პირცხუკაძე

ქართული მხატვრები ბასილი სანჯუნის ჰიუსაში

ერთ-ერთი სარწმუნო წყარო, რომელშიც გამოხატა იმდროინდელი საქართველოს შემოქმედებით ცხოვრებაში მხატვრობის, როგორც ეროვნული სულიკვეთების აქტიური ფორმის აღიარება — პრესაა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული ქართული პრესა ყოველი ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყების მომედ გვხვდა. მაგ. მუდმივად აქვეყნებს ეროპული ხელოვნების საფუძვლიანად შესწავლის მიზნით სასწავლებლად გამგზავრებულ ქართველ მხატვართა გვარებს 1878 წ. 10 ოქტომბერი — გაზ. „დროება“ — „გიორგი რატიშვილი მიემგზავრება დრეზდენს“, (გ.ისარლოვი, პარიზს „დროება“, 1878 წ. 22 აგვისტო). 1876 წ. 6 აგვისტოს გაზეთ „დროებაში“ მოყვანილია პროფესორ პრემაციის აზრი მხატვარ ალ.ბერიძის მხატვრობის შესახებ. 1887 წ. 12 მარტის და 1890 წ. 17 მარტის გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს პირველ ცნობებს ჯერ კიდევ აუღიარებელ გიგო გაბაშვილის პეტერბურგში სწავლის შესახებ. აი, რას ვკითხულობთ აქ: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდა მხატვარ გაბაშვილს, რომელიც სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, უკანასკნელს თებერვლის ეგზამენზე აკადემიის საბჭოსაგან ქების ფურცელი მიუღია. სულ 17 მოსწავლე ყოფილა ეგზამენზე და იმ 17-ში მარტო ორსა ჰრგებია ასეთი საჩუქარი კარგის ხატვისა და ბეჯითის მეცადინეობისათვის. ბ-ნი გაბაშვილი ზაფხულისათვის

საქართველოში აპირობს მოსვლას და უნდა დაინყოს ხატვა დიდი სურათისა. სურათს სახელად ერქმევა ქელეხი ანუ როგორც ჩვენში ამბობენ, ალაპი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენი მხატვარი ბ-ნ გაბაშვილი, რომელმაც რამდენიმე კარგი სურათი დახატა ამ მოკლე ხანში, და ყურადღება მიიქცია, როგორც მხატვრობის მცოდნეთა, ისე მოყვარულთა, ჰხატავს ამჟამად ფრიად დიდ სურათს „საზამთროს მოსავალი“ ანუ „რთველი“. რისაც უნახავს ეს სურათი, ყველას დიდად მოსწონს და ქებით იხსენებს. 1895 წ. 26 თებერვლის გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ამ მოკლე ხანში საზღვარგარეთ გაემგზავრა ახალგაზრდა მხატვარი გ.გაბაშვილი განსავითარებლად. ახლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ იგი მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში მიუღიათ. მიუნხენის აკადემია შესანიშნავია იმით, რომ ძალიან არჩევს იქ შემსვლელთ და კაცი, დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს, რომ ამ აკადემიაში მიიღონ, ქართველი მხატვარი არამც თუ მიუღიათ, არამედ გამოცდის შემდეგ პირდაპირ ეგრეთ წოდებულ კომპოზიციის კლასში ჩაურიცხავთ, რის მაგალითიც ჯერ არ ყოფილა. ამ აკადემიიდან გამოვიდნენ შესანიშნავი მსოფლიო მხატვრები, პილოტი, კაულბახი, მათეიკო, მაკარტი“. ქართული მხატვრობის ერთ-ერთ ამკარა მიღწევად არის მიჩნეული გიგო გაბაშვილის ექსპოზიციის გახსნა მიუნხენის „უნსტვერაინე“-ში 1895 წ. 22 მარტის „ივერიაში“ ვკითხულობთ: „მხატვარ გაბაშვილს მიუნხენში დაუხატავს ორი სურათი; ერთი ბუხარის, მეორე სამარყანდის ცხოვრებიდან, რომლებიც ამ მოკლე ხანში გამოჰკიდეს მიუნხენის ერთს „უნსტვერაინე“-ში (დარბაზში). მხატვრობა თურმე საუცხოვოა“.

მოსკოვის სამხატვრო სასწავლებელში (1875-1880) და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში (1881-1886) სწავლობდა ივანე გუგუნიანი (1860-1919). 1894 წლის 9 აპრილის „ივერიაში“ მოყავს მოსკოვში პერედვიჟნიკების მეორე სამხატვრო გამოფენაზე გამოტანილი მისი ორი ტილოს („განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელი“, „სარეცხის რეცხვა კავკასიაში“) მხატვრული ღირებულებების აღმნიშვნელი ფრაგმენტი „რუსკი ვედომოსტიდან“.

გაზ. „ცნობის ფურცელი“ (1900 წლის 26 ივნისი) გვამცნობს იმის შესახებ, რომ კნ. მარია ვასილის ასულის ერისთავისამ მიიღო მეორე მედალი პარიზის გამოფენაზე მხატვრობისათვის.

1900 წლის 26 ივლისის „ივერიაში“ გამოქვეყნებულია საფრანგეთიდან მოსული ცნობა მხატვარ ალ.მრევლიშვილის შესახებ, რომელიც ტფილისის ლონგოს სამხატვრო სასწავლებლისა (1885-1890), მოსკოვის ფერწერის ქანდაკების და არქიტექტურის სკოლაში ვ.პოლენოვის და ე.სოროკინისხელმძღვანელობითდახელოვნების შემდეგ პარიზს გამგზავრებულა. „პარიჟიდან“ გვატყობინებენ: ამას წინათ ჯულიან-ის ყველა განყოფილებათა მხატვრების კონკურსზედ სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა ჩვენი თანამემამულე, მხატვარი ალ.მრევლიშვილი, რომლის სურათი მე-4 ღირსებად იქმნა (ცნობილი ყველა სურათებში (ქუატრიმე მენტონ).

1901 წლის 10 აგვისტოს „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი გვამცნობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოტოგრაფიის განყოფილების გამგის, მხატვარ ტარასი მომცელიძის მიუხეხნის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში სავარაუდო გამგზავრების შესახებ.

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ხშირად მოიხსენიება „ვივისკების და სავაჭრო წარწერების“ შემქმნელ მხატვართა გვარებიც, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ იღებენ პროფესიულ განათლებას. „გუშინ რედაქციაში შემოიტანეს წმ. მონამეთა დავითისა და კონსტანტინეს სურათი ფერადი ნამლებით დახატული 17 წლის გლეხის შვილის, გვარად პირტახიასგან. ყმანვილი დაბა ხონის მაცხოვრებელია, სწავლა დაუმთავრებია ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში და რადგან საშუალება არა ჰქონია, ამიტომ მიუხედავად დიდი სურვილისა, სწავლა ვეღარ განაგრძო და დარჩენილა დაბა ხონში, სადაც ხატავს ვივისკებს მალაზიებისა და სავაჭრო წარწერებს“.

აბრების დამწერი და ამავე დროს „ფერწერის შემსრულებელი“ ყოფილა ივანე ზაზიაშვილი, გიგო ზაზიაშვილის მამა. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ფიროსმანი თავის მხატვრულ შესაძლებლობებს ივანე ზაზიაშვილთან შედარებით ერთობ მოკრძალებულად უყურებდა (ივანე ზაზიაშვილის – თუნუქზე, ზეთის საღებავებით შესრულებული ავტოპორტრეტი შ.ამირანაშვილის სახ. ქართული ხელოვნების სახ.მუზეუმშია დაცული).

თბილისში იმ დროის მხატვრების სხვადასხვა თაობათა, მხატვრულ მიმდინარეობათა მონაცვლეობის გამოვლენის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა გამოფენებს, რომელსაც პრესა დიდი ყურადღებით აღწერდა. მუდმივმოქმედი გამოფენების მოწყობამდე თბილისში გამოფენებს, მინაშრული თეატრების მსგავსად, კერძო პირები აწყობდნენ. გამოფენები ხშირად ეწყობოდა დიდად განათლებული პიროვნების, მეცენატის, ალ.სარაჯიშვილის სახლში. 1890 წლის 29 დეკემბერს „ივერია“ წერს: „კვირას გაიმართა გამოფენა მხატვრის გიგო გაბაშვილის სურათების, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლებში. დათვალეირება შეიძლება დღისით, 12 საათიდან – 4-მდე“. 1895 წლის 22 მარტის „ივერია“ საინფორმაციო ხასიათის წერილში აღნიშნავს: „ქ.ტფილისში, გუშინწინ შემთხვევა მოგვეცა სამხატვრო გამოფენა დაგვეთვალეირებინა ქარვასლის პირდაპირ სახლში. ამ გამოფენაზედ ლამპარები ცოტა არის და ვერც ანათებენ კარგათ“. გაზეთი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს გამოფენის ორგანიზატორებს, რომლებიც „ტფილისელებს ღონისძიებებს აძლევს რამდენიმე ხნით ესთეტიურად დასტკბენ ამ გამოფენაზედ“.

შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურების მიზნით, დღის წესრიგში დგება მუდმივმოქმედი გამოფენების მოწყობის აუცილებლობის საკითხი, რომელსაც ეხმაურება ვაზ. „ივერია“ (1893 წ. 5 სექტემბერი). „ოქტომბრის დასაწყისს, როგორც გვატყობინებენ, ტფილისში გაიმართება სამხატვრო გამოფენა. გამოფენაზე

მონაწილეობას მიიღებენ როგორც ტფილისის, აგრეთვე მთელს კავკასიის მხატვარნი, რომელთა ნაწარმოებებს ჩვენ ვერა ვხედავთ იმის გამო, რომ არ არსებობს შესაფერი მალაზიები, სადაც შეიძლებოდა მათი გამოფენა. უკეთესნი მხატვარნი თავიანთ სურათებს გზავნიან მოსკოვსა და პეტერბურგში ან აქვე ჰყიდიან ნაცნობებში და ხალხი კი ვერა ვხედავს მათ ნამუშევრებს“.

მალე გამოფენების მოსაწყობად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შენობაში სპეციალური პავილიონი იქნა გამოყოფილი, სადაც 1901 წელს პეტერბურგის მხატვართა გამოფენა გაიმართა („კავკაზი“, 1901, 328). გამოიყო გამოფენებისათვის ასევე „საარტისტო საზოგადოების სადგომი“, გოლოვინის პროსპექტზე (აქ 1903 წლის 28 ოქტომბერს ფრანგ მხატვართა სურათების გამოფენა გაიმართა) და სამხედრო საისტორიო მუზეუმის შენობაც ალექსანდრეს ბაღში. აქ გამართული ერთ-ერთი გამოფენის შესახებ 1903 წლის 25 მარტის „ცნობის ფურცელი“ წერს: „კავკასიის მხატვართა სურათების გამოფენა ერთ თვეს გაგრძელდება. შესვლის ფასი იქნება ერთი აბაზი. მხატვრები თხოულობენ, რომ მუზეუმში დროებით ელექტრონის განათება მოეწყოს, რათა მსურველთ ღამეც მიეცეს შეძლება გამოფენის დათვალიერებისა.“

პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ წერილში შემფოთებაა გამოთქმული ქართული მხატვრობის თვითმყოფადობის შესახებ. 1901 წლის 14 ოქტომბრის „ცნობის ფურცელში“ ვკითხულობთ — ქართულ ხელოვნებას ქართული ხასიათი უნდა ჰქონდეს. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ დასაწერად უცხოელთ სიუჟეტი, მაგრამ მანერა, უნარი და კილო წერისა ქართველური უნდა გქონდეთ. ...ჩვენი არტისტები, უმეტეს შემთხვევაში ეროვნულ ნიადაგს არ ცილდებიან და აცოცხლებენ ჩვენს წარმოდგენაში ჩვენებურ ტიპებს, ისტორიულ წარსულს, სოფლურ სურათებს, ხატობას და დღეობებს. ცდილობენ აგრეთვე პოეტური, ჩვენი ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტების განმარტებას და ახსნას... დააკვირდით გაბაშვილის „მოქალაქეებს“, „ხევსურებს“... სხვილი თავები, განიერი ბეჭები, მეტყველი თვალები, და ყველა ეს გამონერილი გაბედულად, უშიშრად, ნითელი ფერადის გადაჭარბებით. მაყურებელი ცოტა არ იყოს გაკვირვებულია, მეტადრე ამ ნითელ ფარდას ვერ იწყნარებს. ცხვირი, ლოყები, კისერი, სულ ნითლად ეჩვენება. რასაკვირველია, შეიძლება მიეჩვიოს, მაგრამ რამდენად სასურველია ამგვარი წერის მანერის განმტკიცება ხელოვნებაში, ეს საეჭვოა არამც თუ ჩვენში, სხვა ქვეყნებშიც. ბ-ნ მომცელიძის დიდი ღირსება იმაშია, რომ საზომი და „ნახატი“ (рисункъ) თვალსაჩინო და სწორეა. ნახატი (დესსეინ), როგორც ფრანგები ამბობენ, სულია მხატვრობისა, მაგრამ პალიტრა მეტად გაცრეცილი აქვს... ალ.მრეველიშვილის პორტრეტი „მექანდაკე“ ნიკოლაძის ფრანგული მანერით არის დანერილი. თავისუფალი მიხვრამოხვრა გაბედული გამომეტყველება, კაშკაშა ფერადები, ყველა ეს ფრანგული გავლენის მაჩვენებელია, ხოლო რენესანსის ზედ – გავლენა ამჩნევია სურათზე „ან განუტევე მონა შენი მეუფო-ზე“.



მაია ლევანიძე

ოთახი იოსელიანის შაბო- ქაქელაშვილის ზოგადი თავისუფლების ბაზო

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან განახლების პროცესი დაიწყო ქართულ კულტურაში. ამ პროცესში შესაძლებელია, აღმოვაჩინოთ საერთო ნიშანი — დაბრუნება ეროვნულ ფესვებთან, ხალხურ, ემბლემატურ ხელოვნებასთან, ფორმებთან. სწორედ არქაული ფორმებისკენ, მითოსისკენ მობრუნებით, ევროპული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებისა თუ სიახლეთა აქტიური ზემოქმედებით ქართულმა კინომ 60-70-იან წლებში შესძლო მოექნა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, განუმეორებელი შტრიხები. ქართულ კინოში გარდატეხის პერიოდი შესაძლებელია აღინიშნოს ორი ეტაპით: ერთი მხრივ, როცა ქართული კინო ხარკს უხდის ევროპულ კინოში მიმდინარე პროცესებს და მეორე, როცა უკვე ისახება ქართული კინოს მიდრეკილება ტევადი, გამომსახველობითი რიგისადმი, ეროვნული კინემატოგრაფის შექმნისადმი. ქართული

კრიტიკა გარდატეხის პერიოდში აღნიშნავს ქართული კინემატოგრაფის მისწრაფებას შეიცნოს გარე სამყარო, გაამახვილოს ყურადღება მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე, ხაზს უსვამს მის ინტერესს 20-30-იანი წლების ტრადიციებისადმი, ნათელს ხდის კინემატოგრაფის აქტიურ კავშირს ეროვნულ ლიტერატურასთან, თეატრთან და მხატვრობასთან.

60-იანი წლებიდან ქართულ კინოში აღინიშნება ახალი თაობის მოსვლა, რითაც თითქოს და სრულდება გარდამავალი ეტაპი, რომელიც გამოირჩევა, როგორც ეროვნული ფესვებიდან შემოტრიალებით (ანუ ეროვნული ლიტერატურისა და მხატვრობასთან დაბრუნება), ასევე დასავლური კინემატოგრაფის გამოცდილებათა აქტიური ზეგავლენით. ამგვარად, იწყება ახალი ეტაპი-ეროვნული, ინდივიდუალური, მოაზროვნე კინემატოგრაფის. იგი გამოირჩევა უანრულ-სტილური მრავალფეროვნებით, ფორმისეული ძიებებით. ფაქტობრივად, 60-70-იან წლებში კინემატოგრაფმა მოახერხა, ეკრანებზე გამოეტანა აქტუალური, მწვავე მორალურ-ზნეობრივი პრობლემები, ობიექტური სამყარო მოეთავსებინა პოეტურ ფორმაში. იგავი გახდა ის ფორმა, რომლითაც ეს თაობა დაუპირისპირდა არსებულ რეჟიმს, საზოგადოებას. 60-70-იან წლებში შინაგანი დინამიკა აქტიურდება, იქმნება აზრობრივი სივრცით დინამიკა ანუ სივრცე ესთეტიკური გარდაქმნის საშუალებად იქცევა, რომელიც ექვემდებარება სტილს, ხასიათს.

ო. იოსელიანის შემოქმედება, მისი დოკუმენტურ-ქრონიკალური სტილი, მკვეთრად პიროვნული, ინდივიდუალური გამომსახველობითი რიგი, კადრთა ფსიქოლოგიური სიზუსტე დიდ ზეგავლენას ახდენდა ქართული კინემატოგრაფის განვითარებაზე. მის შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ საგანთა ერთობლიობას, აქტიურ ფონს, დეტალს, გარემოს. ის იყენებს ერთგვარ კატახრეზას, სადაც ნაცნობი, ყოფითი ელემენტი თუ საგანი იძენს ნიშნის მნიშვნელობას.

„იყო შაშვი მგალობელში“ ო. იოსელიანი თხრობას აგებს ძირითადად ვიზუალურ-გამომსახველობითი რიგის ხარჯზე, თითქმის უარს ამბობს დიალოგზე, თუმცაღა ქმნის მდიდარ პოლიფონიურ-ხმოვან რიგს. აქ მნიშვნელოვანია არა სიტყვები, არამედ მოქმედება, საერთო გარემო, რადგანაც მთავარი პერსონაჟი, გია აგლაძე ზოგადი, კრებითი ტიპია. ფილმი აგვიღწერს გია აგლაძის ცხოვრების ორ ტიპიურ დღეს. მათში აშკარად აისახება მისი შინაგანი ბუნება, წარსული თუ აწმყო, აქედან გამომდინარე ასეთი ცხოვრების წესის ლოგიკური შედეგი.

ფილმიდან „იყო შაშვი მაგალობელი“



ბუნების წიაღში, ნახევრად წამოგორებულ გმირს, გიას კამერა ქვედა რაკურსით გვიჩვენებს, რაც მას უჩვეულო, დეფორმირებულ მდგომარეობაში წარმოაჩენს. იგი სრულყოფილ, სამყაროს ძირითად ობიექტად აღიქმება, მეორე მხრივ, ავტორი გვთავაზობს ბავშვად ქცეულ მოზრდილს, რითაც თავიდანვე ხაზს უსვამს მის თვისებებს: ინფანტილიზმს, ინტერესთა არასტაბილურობას, უპასუხისმგებლობას, ემოციურობას. მის ირგვლივ ჰარმონიული მელოდია ისმის, შეუძლია ამ ჰარმონიულობაში იარსებოს, თუმცაღა ქალაქი მას „მოლეკულებად“ შლის, არღვევს, აქუცმაცებს. თუ გადავხედავთ ო. იოსელიანის შემოქმედებას, ვნახავთ, რომ იგი ყოველთვის გვთავაზობს ერთგვარ შესავალ ნაწილს, დანამატს. მაგალითად, „გიორგობის თვეში“ ღვინის დანურვის ტრადიციული რიტუალი, წეს-ჩვეულებების გაყალბების რთულ პროცესად აღიქმება. ფილმის მორალი შესაძლოა ასე განისაზღვროს: როცა ადამიანი, პიროვნება კარგავს პასუხისმგებლობას, ინდიფერენტული ხდება, რითაც ირღვევა კიდეც საზოგადოების შემეცნება, მისი მორალურ-ზნეობრივი სახე.

შესავალი ნაწილის, ჰარმონიული ყოფის კონტრასტულად ო. იოსელიანი თავის გმირს ურბანიზებულ ქალაქში ათავსებს. მანქანების ბორბლების შემზარავი ღრჭიალი (ფილმში ეს ხმოვანი რიგი დროდადრო გვახსენებს თავს) კადრს ავსებს. ქუჩა სავსე ავტომობილებით ხუთავს გარემოს, თითქოსდა განდევნის ადამიანებს, მათ კარნახობს ცხოვრების სტილს. გია უცხოა ამ გარემოში, მისი ცხოვრების რიტმი მუდამ მოძრავი, ერთი ადგილიდან მეორეზე პანორამულად გარდამავალია. დაუსრულებელი კონსტრუქცია, გიას დისკომფორტის გამომხატველია. ის შინაურია ყველგან, ყველა სიტუაციაში, საზოგადოების

ყველა ფენაში და მაინც „უცხო“. მისი ურთიერთობები დედასთან, რუს სტუმართან, გოგონასთან თუ მეგობართან გარეგნული თავაზიანობით, ზედაპირული გრძნობებით აღინიშნება. გავიხსენოთ, მაგალითად, გიას ურთიერთობა დირიჟორთან, მასში გალიზიანებას იწვევს გიას გამუდმებული უნესრიგობა, უპასუხისმგებლობა. ორკესტრი, როგორც დისციპლინირებული სისტემა, რეჟიმი, ვერ ეგუება ოდნავ ცვლილებასაც კი. ნებისმიერი ელემენტის გამოკლებით ირღვევა, იშლება ერთიანობა, ჰარმონია — გია კი ბოლო აკორდია — მრგვინავი, ხმაურიანი. სისტემაში მისი არსებობა შემთხვევითობის წყალობით ხდება შესაძლებელი. ის ომყოფება გარკვეულ ზღვარზე ანუ ის არღვევს და არც არღვევს გარკვეულ წესებს. განრისხებული დირიჟორი გიას თავიდან მოშორებას მოითხოვს. მის დასამშვიდებლად გიასგან ბოდიშის მოხდას მოითხოვენ — რექტორის მოსაცდელში ის თითქოს ელოდება და არც ელოდება დირიჟორს. ეკრანზე ვხედავთ აუღუტორიაში გოგონასთან მსუბუქად „მომარბიე“ გიას, ის მეგობრებს მრავალხმიანი სიმღერის ასანწყობად სწორ ინტონაციას აძებნიებს, მაგრამ დიდხანს აქაც ვერ ჩერდება და ახალ „სივრცეში“ გადაინაცვლებს. ამ მომენტში დირიჟორთან დაზავება ვერ ხერხდება. ო. იოსელიანი მათ შეხვედრას უჩვეულო, სრულიად მოულოდნელ სიტუაციაში გვთავაზობს. აბანოში, სადაც ბუნებრივ მდგომარეობაში, ყოველგვარი რეგალიების გარეშე მყოფი დირიჟორი, პირისპირ ხვდება მას. ამ გარემოში გიასთან პატიების თხოვნა ირონიულ შეფერილობას იღებს. დირიჟორის აგრესიულობა, გაბრაზება იცვლება დაბნეულობის, უსუსურობისა და უხერხულობის შეგრძნებით. ის იძულებულია, აპატიოს, რათა თავიდან მოიშოროს აბეზარი ქვეშევრდომი. მოვლე-

ნათა მსგავსი განვითარება გიასათვის ტიპურია. ოპერის წინ ნაცნობ გოგონას იგი გაცილებას ჰპირდება, მაგრამ ოპერასთან მეგობრების მანქანის დანახვისთანავე ახალ ნოტაზე განწყობა, მცირე მოლაპარაკების შემდგომ გია თავაზიანად დაშორდება გოგონას და ახალ გარემოში გადაინაცვლებს. ფაქტობრივად, გიას ცხოვრება შემთხვევითობის მთელი ჯაჭვია, რამდენიმე მსუბუქი ნოტია, რომელსაც იგი გამუდმებით აწვალავს სანოტო ფურცელზე.

თუ გადავხედავთ 60-იანი წლების კინემატოგრაფს, ვნახავთ, რომ შეინიშნება საგანთა როლის ამალღების ტენდენცია ფილმის საერთო ქსოვილში. გმირსა და საგანს შორის ურთიერთობა უფრო დიალოგური, მჭიდრო ხდება. ო. იოსელიანთანაც საგანი განსაზღვრავს გმირის როგორც სულიერ, ისე მის სოციალურ მდგომარეობას. გიას ოთახის ინტერიერი უწესრიგოდ მიმოხეული, შეუთავსებელი ნივთების ჯამია. საკერავი მანქანა, მეტრონომი, მუსიკალური ზარდახშა, ოთახის შუაგულში მოთავსებული სანერი მაგიდა გიას გაფანტული, დაშლილი სულიერი სტრუქტურის მატარებელია. საგანთა ტირანია სდევნის მას ქალაქის ქუჩებში. „გიორგობის თვეში“ კი საგანი სოციალური ფენის, გმირის ხასიათის მანიშნებელია. ოჯახში არსებული ფრთხილი ურთიერთობები, ფილმში თითქმის უხილავი მოძრაობით აღინიშნება. თეთრ კედელზე წინაპართა ფოტოების გარკვეული სიმეტრია, ძველი ნივთების აურა განსაზღვრავს როგორც ნიკოს სულიერ, ისე სოციალურ მდგომარეობას. ო. იოსელიანის დოკუმენტურ-ქრონიკალური სტილით „ნაცნობის ეფექტი“ შექმნილი ეს კადრები იქცა კონკრეტული სოციალური ფენის, ინტელიგენციის, საერთო ნიშ-

ნად, რაც აქტიურად იქნა გამოყენებული ქართულ კინოში. თუ „გიორგობის თვეში“ ხდება აშკარა აქცენტირება, დაკონკრეტება ნივთის, საგნის, „იყო შაშვი მგალობელში“ ნივთი იკარგება „მონესრიგებულ“ ქაოსში. აქ მნიშვნელოვანია საერთო ატმოსფერო, გარემოდან კონკრეტული ნიშნის შექმნა. თუ „გიორგობის თვეში“ გმირი აქტიურია, „იყო შაშვი მგალობელში“ — გია პასიური, ყოველდღიურობაში გაბნეული ადამიანია.

ო. იოსელიანთან მოვლენები დინამიკაში, მოულოდნელობის ეფექტით იქმნება. კამერა შეუმჩნეველია, პასიურია. ზოგჯერ მისი „შეუმჩნეველობა“ ავტორის მიერ აქცენტირდება, იქცევა სტილისტურ ნიშნად, იქმნება „ფარული კამერის“ — ქრონიკის ეფექტი. მაგალითად, გია „შემთხვევით“ შემოდის კადრში, ის მგზავრებთან ერთად ტროლეიბუსიდან ჩამოდის, წამიერად გაიელებს და გზას განაგრძობს ანუ კადრიდან გადის. კამერა, ხმოვანი რიგით „მონოდებული „ავარიის“ დანახვას ცდილობს, უძრავად უმზერს ქუჩას. მაყურებელს მოლოდინი უცრუვდება, რადგან ო. იოსელიანი ფაქტს არ აფიქსირებს. ფილმში „ავარიის“ ხმოვანი რიგი რამდენიმეჯერ ფიქსირდება, რაც გამომსახველობით რიგს ერთგვარ სივრცობრივ „დანამატს“ აძლევს. სწორედ შემთხვევითობის, დარღვეული კანონზომიერების, ცხოვრებასთან მსუბუქი თამაშის მსხვერპლი ხდება გია. კამერა აფიქსირებს „მოვლენის“ სანახავდ თავმოყრილ მასას. იგი პასიურია, გულგრილი ამ შემთხვევის მიმართ, რადგანაც გიაც შემთხვევით არჩეული გმირია, ერთ-ერთი მათგანი, ვინც ჩიტივით მსუბუქად ცდილობს, გალიოს ცხოვრება. ბუნების წიაღში ჰარმონიული მთლიანობის შეგრძნება იშლება ურბანიზებულ ქალაქში. გიაც ბუნებრივ წიაღს მონ-

ფილმიდან „გიორგობისთვე“



ფილმიდან „პასტორალი“



ყვეტილი ადამიანია, რომელმაც ვერ იპოვა საკუთარი ადგილი სამყაროში. კამერა ელოდება მასის „შეთხელებას“ და ქვრება, სრულდება როგორც სიმბოლო კიდევ ერთი დასრულებული სიცოცხლის.

ო. იოსელიანთან გარდამავალი კონსტრუქცია, დაუსრულებელი თხრობის ფორმა, დოკუმენტური სტილი, კადრში ტიპიური ყოფითი ელემენტების აქცენტირება ქმნის „ნაცნობის ეფექტს“ — ყოველივე ეს კი რეალიზმის მძაფრ ილუზიას ბადებს.

ო. იოსელიანის შემოქმედებას ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს ადამიანის გაუცხოების, ურბანულ ქალაქში მისი სულიერი რღვევის პრობლემა. ამ თემებმა, მკვეთრად რომ გაიჟღერა მის მიერ საქართველოში გადაღებულ ფილმებში, შემდგომში ერთგვარი გაგრძელება ჰპოვა ფრანგული პერიოდის შემოქმედებაშიც. „და იქმნა ნათელი“ „პეპლებზე ნადირობა“ და სხვა.

„და იქმნა ნათელი“ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ადამიანის ბუნებრივ თვისებებზე, სულიერ სტრუქტურასა და ცხოვრების სტილზე ცივილური სამყაროს მანკიერი ზეგავლენის.

აფრიკის უდაბნოს მშვენიერი, თუმცა მკაცრი პეიჟაჟები, თბილი და ამავდროულად აგრესიული ტონები, მზის აუტანელი სიმზურვალე ადამიანის ცხოვრების რთული პირობების მაუნყებელია. თუმცა ამ უდ-

აბურ, ეგზისტენციალურ სამყაროში არსებობს მცირე ზომის ოაზისები, სადაც ადამიანები შვებას პოულობენ, სადაც ჯერ კიდევ არ შემოჭრილა დასავლური ცივილიზაცია, სადაც სულიერი თავისუფლება ჯერ კიდევ ფასობს და ადამიანები უსარგებლო ნივთებს არ არიან მიჯაჭვული. ვიზუალურადაც ხდება ზოგადად სამყაროს დაყოფა ცივილურ და არაცივილურ ნაწილებად.

ადამიანთა ცხოვრებაში ცივილიზაცია ეტაპობრივად იჭრება, სოფლის ცხოვრება ნელ-ნელა, ყოველდღიურად იცვლება, აფრიკული სოფლის მკვიდრნი საკუთარ მანკიერ თვისებებს ავლენენ და ირღვევა ის ჰარმონია, რომელიც ველურ, „არაცივილურ“ სამყაროში არსებობდა.

ო. იოსელიანის პირველი პერიოდი შავ-თეთრი გამოსახულებით ხასიათდება, მისით იქმნება დოკუმენტურ-ქრონიკალური თხრობის სტილი, ევროპული პერიოდი გამოირჩევა ფერადოვნებით, თუმცა ფერი არ გვევლინება დომინანტად. „და იქმნა ნათელი“ ფერწერული პეიზაჟები, აფრიკული ბუნებით ერთგვარი ტკბობა ხაზს უსვავს არაცივილური სამყაროს მშვენიერებას. მის სხვა, შემდგომ ფერად ფილმებშიც ჭარბობს ცივი ტონები, ხშირად გამოსახულება თითქმის ერთ გამაში იგება და შეიძლება ითქვას თხრობის პასიურ დანამატად იქცევა.



თენგიზ
უძიგულიძე

ჩახთული სჯავა – მშვიდობის ღისჯანი

„ქართული ცეკვის ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მისი ღრმაში-ნარსიანი ფილოსოფიური პლასტიკა ერთნაირად გასაგებია მსოფლიოს ყველა ქვეყნის ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლები-სათვის და საერთოდაც, ქართული ცეკვა მშვიდობის დესჯანია“.

პერლუფ ბიდსტრუპი
გამოჩენილი დანიელი მხატვარი

არ არის ჩვენში ისეთი კუთხე, სადაც არ ცეკვავდნენ კოლორიტული ემხითა და სინაზით, სიჩაუქითა და ვაჟკაცობით აღსავსე ქართულ ცეკვებს. ქორეოგრაფიული მარგალიტები უხვად გაბნეულა ჩვენს მთასა და ბარში. ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ მარგალიტებს თავს უყრის, კინძავს და ჩვენს წინაშე აბრწყინებს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი, ანუ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის

ქართული ნაციონალური ბალეტის აკადემიური დასი, როგორც მას დღეს ეწოდება, ან უბრალოდ ხალხის მიერ სიყვარულით შერქმეული „სუხიშვილები“ — აბრწყინებს საუნჯეს, რომელიც იქმნებოდა და იქმნება ჩვენი სამშობლოს კუთხეებში, მთასა და ბარში. საუნჯეს ხალხისას ხალხსავე უბრუნებს სასიხარულოდ...

აღბათ ბევრი არაა ქორეოგრაფიული კოლექტივი, რომლის მიმართაც იმდენ სახობო ეპითეტს ხმარობდნენ, რამდენიც ჩვენში და სხვაგან გამოთქმულა ამ ანსამბლის შესახებ, რომლის სახელიც ასე ფართოდ და სახელოვნად გაცდენოდა თავის მინა-წყლის ფარგლებს. სახელმოხვეჭილმა ქართველმა მოცეკვავეებმა არაერთგზის მოიარეს მთელი ჩვენი პლანეტა, მილიონობით მაყურებლის წინაშე დაანთეს ცეცხლი ქართული ცეკვისა და სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის ადამიანებს, რომლებიც მრავალგვარ მიზეზთა გამო შეიძლება არც კი გვიცნობდნენ, უთხრეს: ოკეანეებისა და მთების გადაღმა, ულამაზესი კავკასიონის ძირას, არის პატარა, ლამაზი ქვეყანა, დათოვლილი მთებით, უსიერი ტყეებით, კამკამა ნაკადულებით, ბიბინა, მწვანე ველ-მინდვრებით, ზვრებით, ციხეებითა და კომკებით. ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, შრომობდნენ. დღემდე მოიტანეს თავისი დიდი კულტურა. იცოდნენ სიტყვის, სიმღერის, ტკობის ფასი. მღეროდნენ და ცეკვავდნენ გულის გასახარად.

ეს ხალხი დღესაც ცხოვრობს. ამაყი და ვაჟკაცური სულით გაუძლო უმძაფრეს ქართველებს. დგას მძლავრად, დღესაც მღერის და ცეკვავს თავისთვის, მღერის და ცეკვავს მოყვრისთვის, მღერის და ცეკვავს მტრის თვალის დასაყენებლად ასე ლამაზად...

ამას მოგვითხრობს ანსამბლი ხან ცეცხლოვანი, ხან ნაზი და რომანტიკული პოეტური ენით... ამას გვაუწყებს ჭაბუკი — ცერებზე შემდგარი ახოვანი და ხელგამლილი, ამას ამბობს ქალთა უნაზესი „სამაია“... მნახველის წინ ერთმანეთს ენაცვლება მრავალფეროვანი სურათები, სუნთქვის შემკვრელი, ცეკვის ყალმით დახატული, ასე ნათელი, ხატოვანი და ოსტატური...

დიახ, უკვე დიდი ხანია, რაც ქართული ცეკვა არნახული ტრიუმფით მოგზაურობს მსოფლიოს ყველაზე საუკეთესო დარბაზებსა და სცენებზე...

ახლაც თვალწინ მიდგას მაყურებლებით გაჭედილი ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“ და „მედისონ სქუერ გარდენი“, ფეხზე ამდგარი ლონდონის შვიდათასიანი „ალბერტჰოლი“ და სამეფო თეატრი „კოვენტ გარდენი“, ტრიუმფი „ლა სკალაში“ და პარიზის „გრანდ ოპერაში“, ინგლისის, შოტლანდიის, სიდნეის, ვენის, სტოკჰოლმისა და კოპენჰაგენის ოფიციალური მოგუგუნე სამეფო თეატრები, ამერიკის, ავსტრალიის, საფრანგეთის და კიდევ მრავალი ქვეყნისა და ქალაქის აბოპოქრებული საკონცერტო დარბაზები და მრავალათასიანი სტადიონები...



ცეკვა „სიმღი“

ბედნიერი ვარ, რომ ვეზიარე ქართული ცეკვის ღვთიურ მადლს, მემამყება, რომ უშუალო მონაწილე და თვითმხილველი ვარ ქართული ხელოვნების არნახული ტრიუმფალური გამარჯვებებისა და ამ საოცრებაში მოკრძალებული წვლილის შეტანის უფლება ღმერთმა მეც რომ მარგუნა.

...თვალისჩინივით ვუფრთხილდები საკუთარ არქივში სათუთად შენახულ უცხოური ჟურნალ-გაზეთების გადაყვითლებულ ფურცლებს, ანსამბლის გამოსვლებისადმი მიძღვნილ ზღვა მასალას, რომელსაც შემოუნახავს ნინოსა და ილიკოს სახელმძღვანელო ანსამბლის მრავალწლიანი შემოქმედების ამსახველი ბობოქარი და სახელოვანი ისტორია.

ამჯერად მკითხველს მცირე ნაწილს ვთავაზობ ამ უნიკალური და რომანტიკული წარსულისადმი:

ფრანგული რეპორტაჟი

გაზეთი „ვუა დე ნორ“ (პარიზი, 1965 წ):

„ულამაზესმა ბუნებამ და ხანგრძლივმა ისტორიამ საქართველო აქცია პოეზიისა და ხელოვნების სამშობლოდ.

ანტიკური ცივილიზაციის ქვეყანა — საქართველო, საბჭოთა რესპუბლიკებში ყველაზე მდიდარი და ორიგინალური ფოლკლორით გამოირჩევა.

მინიატურული, ფაქიზი და ჰაეროვანი ქალწულების გამოხედვაში სიამაყე შეხამებულია იდეალურ მელანქოლიასთან. ისინი უმნიშვნელო მშვენიერებით, უბადლო სილამაზით არიან დაჯილდოებულნი...

მკერდგამართულნი, მკლავებსა და ხელებს ტალღისებურად ამოძრავებენ. მათი ნარნარი ცეკვა ქმნის საოცნებო ზღაპრულ ზმანებას...

ამ მშვენიერი ქალბატონების მიმართ თავშეკავებული მოცეკვავე ქაბუკები პატივისცე-

მას და მოკრძალებას გამოხატავენ.

მაგრამ როდესაც მამაკაცები თავს ერთად მოიყრიან, მომაჯადოებელ რბოლას მიეცემიან, მკაცრ ზოლად ეწყობიან, იცავენ ჰარმონიულობასა და სილამაზეს... ოქროთი მოქარგულ, შავ კოსტიუმებში გამონყობილი ვაჟკაცები წინ მიიწევენ ფრთხილად და მალულად. მჭიდროდ შეკავშირებულნი, უეცრად ეკვრიან მინას, რომ კვლავ ნამოდგენს ისეთივე მოზღვავებული ენერგიით.

ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ისინი ბერძნული ანტიკური ლარნაკებიდან გამოდიან...”



ნინო კირვანიძე, მამაკაცებისა და ქალბატონების დაჯილდოებისა და ხელოვნების სამშობლოდ. 1965 წ.

ილიკო სუხიშვილი პარიზში თანამებრუნელებთან
1965წ.



ვაზეთი „ფიგარო“ (პარიზი, 1958 წ):

„ქართული ეროვნული ბალეტის კონცერტი — ვულკანური დღესასწაულია, რომელიც აღფრთოვანებას და გაცეხებას იწვევს... უდიდესი ოსტატობა, კავკასიური ტემპერამენტი, უაღრესად დახვეწილი ტექნიკა, მოძრაობის მრავალფეროვნება და თავბრუსხვევი რიტმი... ყოველივე ეს აყვანილია სრულყოფილ მწვერვალამდე.“

ფრანგებს მსგავსი არაფერი უნახავთ...!”

ვაზეთი „პარი-პრეს“ (პარიზი, 1958 წ):

„...თუ როგორც ეთნოგრაფები ამტკიცებენ, ცეკვა ხალხის ან რასის ზნე-ჩვეულებების ანარეკლია, საქართველოს ოსტატმა ნარმოგზავნილებმა საკმაოდ მკაცრი გაკვეთილი მისცეს პარიზის ქორეოგრაფებს... ქართული ფოლკლორი არაჩვეულებრივი კეთილშობილებითა და ორიგინალობით გამოირჩევა...“

„...პარიზი გაეცნო შთაგონებულ მოცეკვავე ქალებს, ნარმტაც მოცეკვავე მეომრებს — ხმლიან ვაჟებს, როცა ვხედავთ მსახიობებს, რომლებიც მუხლებზე ცეკვავენ, როგორც ნამდვილი ვირტუოზები, გვინდა ვილოცოთ!“

„საქართველო მე მიყვარს, მაგრამ თქვენი გამოსვლის შემდეგ კიდე უფრო შევიყვარე. თქვენ დაგვატყვევეთ თქვენი ცეცხლოვანი, გრანდიოზული და კეთილშობილური ცეკვებით“

**ლუი არაგონი
ფრანგი მწერალი**

„თქვენს ულამაზეს ცეკვებში მე დავინახე უძველესი, ჭეშმარიტად ხალხური ცეკვის სტიქია“

„თქვენ დაიპყართ პარიზი“

სერჟ ლიფარი

პარიზის გრანდ-ოპერის მთავარი ბალეტ-მაისტერი

„პარიზს არ უნახავს მსგავსი არაფერი“
**სიმონა სინიორე, ივ მონტანი
ფრანგი კინოვარსკვლავები**



პარიზის
1965წ.
ლოისმშობლის
ტაძართან

„ქართველებმა შეგვასხენეს, რომ არ შეიძლება იცეკვო მხოლოდ ცეკვისთვის და დაივინყო ღიმილი, სიხარული და სევდა...“

მორის ბუჟარი
ფრანგი ბალეტმაისტერი

„ესაა ბრწყინვალე სანახაობა! ამ ცეკვებში ჩანს ნამდვილად ეროვნული ხასიათი. ეს ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა.“

ივეტ შოვირე
ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი

გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“ (პარიზი, 1958წ):

„ქართველებმა შეაზანზარეს პარიზი. იშვიათად სადმე ყოფილა მრავალსაუკუნოვანი ფოლკლორი ისეთი სიცოცხლისუნარიანი, როგორც ეს შენარჩუნებულია ქართულ ეროვნულ ბალეტში... როცა საქართველოს რიტმებს ეხები, სუნთქვა გეკვრის“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ (პარიზი, 1965 წ):

„...ესაა ქართული ცეკვები, სრულყოფილი, დიას სრულყოფილი, რომლებიც ყოველმხრივ გამოგვადგება გაკვეთილად!.. ქართველ მოცეკვავეთა პირველმა გამოსვლამ „შეარცია მაყურებელი“ თავისი ვირტუოზულობით.“

„...ყოველივე ეს მიგვიტოთებს ამ უშიშარი ხალხის სულიერ კეთილშობილებაზე, ხალხისა, რომელიც მუხლს იდრეკს მხოლოდ სამშობლოსა და მანდილოსნის მარადიული სილამაზის წინაშე.“



ცეკვა „ხორუმი“

გაზეთი „პროგრე“ (ლიონი, 1965 წ):

„ქართველების მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა მაყურებლის უდიდესი ენთუზიზმი გამოიწვია“...

„...ხალხური ცეკვები, რომლებიც ამოსავალ წერტილს პოულობენ უძველესი ხანის საქართველოს ტრადიციებიდან, უეცრად იცვლება სწრაფი ცეკვების კასკადით... ამ კომპოზიციურად გაფორმებულ სპექტაკლს გადავყავართ ანტიკური ხანის სიღრმეში...“

თენგიზ უთმელიძე და გულიკო ნიკოლიზიშვილი პარიზელ თანამემამულე გოგონებთან. 1958წ



ცეკვა „ვარცა“



გაზეთი „ლე მარსელიეზ“ (მარსელი, 1957 წ):

„ქართული ბალეტი ითვლის მხოლოდ უმაღლესი კლასის მოცეკვავეებს, ე.წ. „ვარსკვლავებს“, რომელთაც უნარი შესწევთ შეასრულონ შეუდარებელი მოძრაობანი.

უნდა აღინიშნოს აღმაფრთოვანებელი ცეკვები „ქართული“ და „დავლური“, რომელთაც მაყურებელი შორეული წარსულის საუცხოო სამყაროში გადაჰყავს...

...ქართველების ცეკვებში პირველადია ხალხური ნყარო. ფრანსუა გიო დეროდი ტყუილად არ შენიშნავდა „ლიტერატურულ ფიგაროში“: — ყურადღება მიაქციეთ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ საცეკვაო გამომსახველობით ნყაროს“.

გაზეთი „პარი-პრეს“ (პარიზი, 1965 წ):

„პარიზელებო! მიაშურეთ „ალამბრას“ თეატრს. იქ ქართული ანსამბლი დიდებულ

ტრფობის მაგალითს იძლევა. ღვთაებრივი, მშვენიერი მანდილოსნების ირგვლივ ტრიალებენ გამიჯნურებული რაინდები... გამიჯნურებული ჭაბუკები გატაცებით უმზერენ თავიანთ შუა საუკუნეების წმინდანებს!“

„ვფიქრობ, როცა პარიზელები ნახავენ ამ დასის სიტურფესა და მშვენიერებას, მოქნილობასა და სიმკვირცხლეს, მაშინვე მიაშურებენ აეროპორტს და შეიძენენ ბილეთს წმინდა საქართველოსკენ, რათა დაენაფონ მის საოცარ ფოლკლორს!“

„ღმერთო, რა ლამაზი ხალხია ქართველები!“

ლეგენდარული ცეკვის ანსამბლისადმი მიძღვნილი ხოტბა-დიდების ეს მცირე ნაწილიც კი თვალნათლივ ცხადჰყოფს და დღესაც ახსენებს ყველას, რომ არსებობს დედამიწაზე „დიდი სამოთხის პატარა კუთხე“, რომლის მკვიდრთა როკვა „ღმერთების ცეკვას“ ადარეს და მას „მსოფლიოს მერვე სასწაული“ უწოდებს!

P.S. „... ვუყურებდი როკვას ჩვენი ქალებისას, ჩვენი ვაჟებისას და ვეტრფოდი მათ როკვას ისე, რომ ხანდახან გ.რ. აღარ ვიყავი. ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ ქართველი“.

გრიგოლ რობაქიძე

ავტორის ფოტოები



ილიკო სუხიშვილი და სერჟ ლიფარი. 1965წ


დოლისყანის ეკლესია



„ჩა მნახე ბახვეთილია
ჩახანჯალი და ტაო...“

კიდევ ერთი შესანიშნავი პროექტი განხორციელდა ქალაქ თბილისის მერიის ინიციატივით. სწორედ მისი თანადგომით ქართველ ხელოვანებს ხედათ წილად უდიდესი ბედნიერება სამდღიანი შემოქმედებითი ექსპედიციით მოენახულებინათ ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული კულტურის მემკვიდრეობის ღირსესანიშნავი ძეგლები. ვგუფმა, რომელიც დაკომპლექსებული იყო: მწერალთა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირის, მხატვართა კავშირის, ჟორეფგრაფთა კავშირის, ყურნალისკთა კავშირის, ახალგაზრდა ხელოვანთა სალონის წევრებით, ანსამბლ „მოდახილის“ მომღერლებითა და მერიის კულტურის სამსახურის თანამშრომლებით მოილოცა ძირძველი ქართული ეკლესია-მონასტრები: დოლისყანის ეკლესია, ხახულის ეკლესია, ოშკის მონასტერი, იშხანის ეკლესია, ოთხთას მონასტერი, გზად მოინახულეს პარხალის ხეობა, თამარის თაღოვანი ხიდი და თორთომის ჩანჩქერი.

ქართული სულიერების კერის ისტორიული ტაო-კლარჯეთის ძეგლების სავალალო მდგომარეობამ გული დაუმძიმა ყველა ქართველ შემოქმედს, თუმცა იმედიც ჩაუსახა, რომ ოდესმე ჩვენი საქართველო დაიბრუნებს ძველ სახეს და აღსდგება ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და ხანძიოდან იაღბუბამდე.






მარიცა

წყაროშვილი

მარცა წყაროშვილი

შობლოს სიყვარულს. რას არ გაგაკეთებინებს. რა ძალებს იკრებს პატარა ადამიანი, რომ შეეხება მისთვის თითქმის დაუძლეველ სირთულეს, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, ამ



ოშკი

ქართველი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ ხდება ან არც ხდება, იმოგზაურო შენს მშვენიერ, ნალკოტად ქცეულ, მაგრამ ბედკრული სამშობლოს შორეულ წარსულში.

წარსულში, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა შენი წინაპარი, პირმშვენიერი, წარმოსადეგი, გონიერი, თავის მამულზე უზომოდ შეყვარებული და მისთვის მტლად დადებული. ენის, მამულის, სარწმუნოების თავგამოდებული ქომაგი. ბევრ ტანჯვაგამოვლილი, მაგრამ არნაქცეული, მომავალზე მაფიქრალი, რათა ქვეყნის დიდი მემკვიდრეობა არ შთაენთქა საუკუნეთა მსვლელობას.

რა დიდი ძალა აქვს ქვეყნისა და შენი სამ-

შემთხვევაში მე-9 საუკუნეზეა ლაპარაკი, როცა არ არსებობდა დამხმარე ძალა ე.წ. ტექნიკა, (თუმც ვინ იცის, იქნებ უკეთესიც იყო, ვიდრე დღეს არის) ნუთუ ადამიანი მხოლოდ საკუთარი გონიერებით, ფიზიკური ძალით, სიყვარულით, ერთგულებით იგერიებდა მომხვედურ მტერს, აგებდნენ ციხე-კოშკებსა და ეკლესია-მონასტრებს.

აგებდნენო, ადვილად ვიტყვით, მაგრამ ყოველივეს ნახვის შემდეგ მიხვდები, რა ბედნიერებაა იყო ისეთი წინაპრის მემკვიდრე,

სისხლის ყვილი მოსვენებას გიკარგავს და გეძახის, გიხმობს იქ, სადაც დიდი ხანია მდუმარედ დგანან ხანძისა და ოშკის მონასტრები, დოლისყანის, ხახულის, იშხანისა და ოთხთას ეკლესიები, ჯერ კიდევ დგანან და ელოდებიან ქართველთ მოდგმას.

შენც მიუხედავად ასაკისა, უძღურებისა თუ ხელმოკლეობისა, მიდიხარ, მიდიხარ, არღვევ ყოველგვარ დაბრკოლებას და მიიწვევნი, გეძახის, გელოდება, გეძახის, გელოდება...

იშხანი



რომელიც შენზე ზრუნვით აკეთებდა ყველაფერს, თუმც თან არაფერი მიჰქონდა, შენ გიტოვებდა.

სწორედ ის ტაძრებია განლაგებული მტრის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაზე ჩვენ ტაო-კლარჯეთში, რომელთა მოსანახლებლად სპეციალური ნებართვა გჭირდება, რომ ოდესღაც შენს მიწაზე ფეხი შედგა და ილოცო შენთვის აშენებულ ტაძრებში, მიეახლო და შენი ქვეყნის გაფანტული წარსული გონებაში დააღაგო ისევე, როგორც საქართველოს ისტორიის გაყვითლებული ფურცლები გათავაზობს.

ბედნიერია ყველა, ვინც ღირსი ხდება ეახლოს მოკრძალებული მონასტრებით წინაპრის ძვალთსამარხებს, რომელთაც გულზე ნუგეშად ქართული მინა აყრიათ და ამ ტაძართა გუმბათქვეშ მშვიდად განისვენებენ. იქ ჩასულები ანთებული სანთლის შუქზე ჩუმი ლოცვით ვებუტბუტებით. უცხო მიწაზე მაინც ჩვენად მიჩნეულებს...



ანსამბლი „მოძახილი“

ტაო ხანაჩათში ანსამბლი „მოძახილი“

აღბათ ყველა ქართველის ოცნებად ქცეული სურვილია გასხვისებულ ქართულ მიწაზე ნაშენ ტაძრებში ერთხელ მაინც მოხვდეს და გულწრფელი ღალადით გადაინერო პირველი და ყოვლისშემძლე ღმერთს შესთხოვოს თვალებში მომდგარი ცრემლით თხოვნის აღსრულება.

რატომ გვადგება ცრემლი, როცა ვეახლებით ხანძისა და ოშკის მონასტრებს, დოლისყანის, ხახულის, იშხანისა და ოთხთას ეკლესიებს.

თორმეტსაუკუნე განვლილი ტაძრები, მრავალჭირნახული, უცხო ტომთაგან შერისხული, ზოგი მათგანი კედლებჩამორღვეული, მაგრამ დიდება არ დაკარგული, ამაყად მდგარი და კვლავაც ქართველთა მოლოდინში განღეული, რომელიც გაფანტულ წარსულს, კვლავაც თავს უყრის ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებზე.

უტყვნი, მაგრამ ბევრის მთქმელნი, სულიერად ძლიერნი, ნირნაუმხდარნი, ყველა ქართველში სისხლის ყვირის ინვესს, ჟრუანტელსა გვგრის და შენი ქვეყნის წარსულში გაბრუნებს, სადაც არასოდეს გიცხოვრია, მაგრამ იქ ხომ შენს საამაყო წინაპარს ჩაუთვლემია და რომ არ დაურღვიო მყუდროება, ფეხაკრეფითა და მოკრძალებით, ჩაუქროლებ განვლილ საუკუნეებს.


რა ხელმა ააგო, რა ცოდნას ფლობდნენ, ასეთი სიზუსტით როგორ აგებდნენ, კლდოვანი ბილიკებით როგორ აღწევდნენ ცას მიბჯენილ, გოლიათი დევებივით აზიდულ პირქუშ სიმაღლეებს, მაგრამ ხომ აგებდნენ ღმერთის საუფლოდ და კაცის იმედად ტაძრებსა თუ ციხე-კოშკებს, რომლებიც დღეს შველას ითხოვენ, ვიდრე ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეუძლიათ.

თუ დღემდე ჩვენმა წინაპრებმა ისე მყარად ნაშენი სალოცავები ჩვენამდე მოიტანეს, ჩვენ რა პასუხი გავცეთ ჩვენს შთამომავლობას, რა ვუთხრათ, რატომ ვერ შემოგუნახეთ ოშკისა და ხახულის მონასტრები, იშხანისა და ოთხთას ეკლესიები. რაც გადაურჩა ქარტყილებს ქარს გავატანოთ? აღიგავონ მინის პირისგან საქართველოს ადრეული კულტურის დამადასტურებელი ნაგებობები?..

მოუთმენლად ველოდები 26 აგვისტოს ღამის 4-საათის მოახლოებას, შევცქერი საათის ისრებს და აი, დგება ნანატრი წუთი. ჩემთან ერთად ბედგალიმებული ადამიანები მივემგზავრებით ტაო-კლარჯეთში.

ვმადლობ უფალს, რომ შეგვაცდლებინა იმ ადამიანების დახმარებით, რომელთა სიტყვა და საქმეც ერთი ჰქონიათ, რომ უნდა გავუდგეთ იმ გზას, რომელიც ტაძრებამდე მიგვიყვანს.

რა ბედნიერებაა, როცა ადამიანები ერთიმეორეს სიხარულს ანიჭებენ. ამისათვის ბევრი არაფერია საჭირო, ვისაც რა შეგვიძლია, ის ვუკეთოთ ერთმანეთს და მაშინ ურთიერ-



ანსამბლი „მოძახილი“

თობებიც სასიკეთოდ გამოიკვეთება.

სამი ავტობუსი, ერთი-მეორის მიყოლებით გაუდგა შორეულ გზას ტაო-კლარჯეთისაკენ. ერთად მივემგზავრებით პოეტები, მომღერლები, კომპოზიტორები, მხატვრები და ქართული ცეკვის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ჩვენს ავტობუსში ლექსისა და სიმღერის პაექრობა იმართება, თემა კი ერთია, ჩვენი ქვეყნის ბედკრული წარსული თუ იმედიანი მრავალჟამიერი. — „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო.“ მღერიან ანსამბლ „მოძახილის“ ბიჭები და ემზადებიან ოდითგან ჩვენ მიწა-წყალზე, მაგრამ დღეს გასხვისებულ ტერიტორიაზე ნაგებ ტაძრებს, მონატრებული სიმღერა-საგალობლები ჩაუტანონ, რათა ერთხელ კიდევ აახმიანონ „მუშლი მუხასაო“, „შენ სისხლო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“, „მრავალჟამიერი“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

ოცნება რეალობად გვექცა.

ზანზარი გააქვს ტაძართა კედლებს, ქართველი ბიჭები სიმღერით უხმობენ წარსულს. რა შემართებით მღერიან, ბურთი აქვთ გაჩრილი ყელში, ცრემლებს სადავეს ვერ უჭერენ და ვაჟკაცურ ცრემლს ვაჟკაცური სიმღერა უკეტავს გზას.

ვდგავართ გარინდულნი, მთელი არსებით მიცემულნი ლოცვა-ვედრებას, რომელსაც ფონად ქართული სიმღერა გასდევს. სიმღერაც არის და სიმღერაც, როგორი ცოდ-


ნით, როგორი მოკრძალებით, როგორი სიყვარულით უმღერიან ქართველი ვაჟკაცები, „მოძახილად“ მონათლული ბიჭები, თავის სამშობლოს მონყვეტილ მხარეს.

თვალწინ გვიდგას საკურთხეველთან ჩვენი მეფე-დედოფლები, ნეფე-პატარძლები, რომელთა სიყვარულს მოძღვარის ხელი „შენ ხარ ვენახით“ აგვირგვინებს.

ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს



პარხალის მონასტერი



ვგრძნობთ და ემოციებს, რომელშიც ყველაფერია გაერთიანებული — წარსული თუ დღევანდელი, რასაც სიმღერა სულ სხვა დატვირთვას აძლევს, გულს გვიჩუყებს, ჟრუანტელი გვივლის. სიმღერამ და ჩვენმა მხურვალე ლოცვამ თავისი გაიტანა, დათო არჩვადის მიერ გადაღებულ სურათებში საოცარი რამ აღმოჩნდა: ყველგან ნათელი დაგვდევს თვალხილულად, რომელზეც ბევრი რამის ამოცნობა არის შესაძლებელი. ნამ-

დვილი სასწაულია: ფოტოზე ანგელოზი გამოისახა. ამ ყოველივემ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი დამოკიდებულება ნანახისადმი.

იმ დღეებში ქართულმა სიმღერამ ღმერთისაკენ გაკვალული ბილიკი დაგვანახა.

ობლად მდგომ ტაძრებს წარსულის ტკივილი ავუშაღეთ, თითქოს დრო-ჟამით დამძიმებულ კედლებს ცრემლად მირონი სდის. ჩვენთან ერთად ტირის და განშორების წუთებს მტკივნეულად განვიცდით.





ჩვენო ქართული სიმღერისათვის გაჩენილი ბიჭებო, ეს რა ცეცხლი ააგიზგიზეთ, სიხარულით თუ ტკივილით სავსე. ღმერთის მოცემული ნიჭით ღმერთსავე უგალობეთ, ისიც სად!

ეს რა მისია გარგუნათ ღმერთმა, რა გამოცდა მოგიწყობთ, რომელსაც დიდებულად გაართვით თავი.

ნარეული შთაბეჭდილებებით გულდამძიმებულნი ვბრუნდებით შინ, საქართველოში...

თქვენ კი, ჩვენო ქართველო, ქართულად ამღერებულ ბიჭებო, დალოცვილი სიმღერა ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების კეთილი მეგზური და მარადიული გადაძახილი მრავალუამიერისა ტაო-კლარჯეთში!

ოშკი





მანა თვზაძე

ვასო ყუშიტაშვილი

მისტერ კუშიტა!..

ამგვარად მიმართავდნენ ვასო ყუშიტაშვილს ევროპასა და ამერიკაში, ასე მოიხსენიებდნენ მეოცე საუკუნის ევროპულ თუ ამერიკულ პრესაში.

თბილისში კი იგი, უბრალოდ, ბატონი ვასო იყო. დღეს, სამწუხაროდ, ბევრმა არც იცის, რომ მის სახელს მხოლოდ ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცლები არ უკავშირდება...

ბავშვობაში, ოჯახში კარგად შეისწავლა რუსული და ევროპული ენები. როდესაც მამამ თბილისის გიმნაზიის კართან მიაცილა, უთხრა, — მე ცხოვრებამ არ მალირსა ამ კედლების ნათლით ამევსო გული, სამაგიეროდ შენ მოგიყვანე და აქედან ისეთი უნდა გამოხვიდე, რომ გზა შენით გაიკვლიო და თუ გამიჭირდა, მეც გამაკვლევინო. რაც არ უნდა გამოხვიდე, ვინც გინდა იყო, ეცადე ისე დაეუფლო შენს საქმეს, რომ მჯობნი არ გყავდეს და პირველობაში არავინ შეგეცილოსო!..

ასეთი დარიგებით დაადგა იგი ცხოვრების

დიდ გზას და ამ გზამ, მართლაც, ბევრი ატარა. საუნივერსიტეტო განათლება მოსკოვში მიიღო, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, სამი კურსი დაასრულა. ბავშვობისდროინდელმა გატაცებამ — თეატრის სიყვარულმა აქაც იჩინა თავი და პარალელურად, ვერა კომისარჟევსკაიას სტუდიაში ჩაირიცხა. ასწავლიდნენ ცნობილი რეჟისორი თედორე კომისარჟევსკი, მცირე თეატრის მსახიობი ოლგა მასალიტინოვა. გაიცნო და დაუახლოვდა მსახიობ მარია ანდრეევას. სალამობით, მცირე თუ სამხატვრო თეატრების სპექტაკლებს არ აკლდებოდა, უსმენდა კაჩალოვს, მოსკოვს, არტიომს, რუსული სცენის სხვა დიდ ოსტატებს. რუსულმა თეატრმა ჩამოაყალიბა მასში ესთეტიკური პრინციპები, გაადვივა ხელოვნების რეალისტური თვალთახედვა.

მსოფლიო ომმა პეტროგრადში მოუხსნო და ოდესაში ექვსთვიან სამხედრო სასწავლებელში განაწესეს, იქედან „პრაპორჩიკის“ ჩინით გამოვიდა. შემდეგ ტაშკენტში მოხვდა, ტაშკენტიდან — ლუგაში, ლუგიდან — პეტროგრადში. პეტროგრადში კი მონმე გახდა უდიდესი ისტორიული აქტისა — ოქტომბრის რევოლუციისა... იმ საღამოს დიდხანს იხეციალა ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში, ბოლოს ალექსანდრეს თეატრში შევიდა, იქაც სიცარიელე და შიში დახვდა. სპექტაკლის დამთავრებისას სროლებში მოხვდა, ქვეყანა ახალ ისტორიულ ერას იწყებდა...

ერთ ხანს ანდრეევამ მიიწვია სახალხო თეატრში სამუშაოდ. რევოლუციით აფორიაქებულმა მშობლებმა სთხოვეს, ჩამოდი, მოხუცები გვნახე და თუ გინდა, უკანვე გაბრუნდიო... მართლაც დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ რუსეთში წასვლა ველარ მოახერხა და თბილისის თეატრებს მიაკითხა სამუშაოდ. სახალხო უნივერსიტეტშიც კითხულობდა ლექციებს თეატრის ისტორიიდან, შეკრიბა სცენისმოყვარენი და სპექტაკლის სამზადისაც შეუდგნენ. მისი სახელი მალევე გახმაურდა თბილისში, სამსახიობო ოსტატობის კურსის წასაყვანად კერძო სტუდიაში მიიწვიეს. შალვა დადიანის მხარდაჭერითა და ინიციატივით სოფოკლეს „ანტიგონეს“ დადგმა დაევალა და 1918 წლის 10 იანვარს, სპექტაკლი, რომელშიც მთავარ როლებს ცნობილი ქართველი მსახიობები ნინო დავითაშვილი, გიორგი იმხნელი, ცაცა ამირეჯიბი, მიხეილ სარაული და სხვები თამაშობდნენ, წარმატებით გაიმართა სახელმწიფო თეატრში. მალევე ჯაბადარის სტუდიაში მიიწვიეს აქტიორის ოსტატობის შესახებ ლექციების წასაკითხად, გამოაქვეყნა საგაზეთო პუბლიკაციები სასცენო ხელოვნებაში ქართული ნიღბების გამოყენების შესახებ და ქართულ თეატრში დამკვიდრებასაც ფიქრობდა, მაგრამ... მოუსვენარმა ბედმა კვლავ მოგზაურის ხელ-ჯოხი ააღებინა და... ვასო ყუშიტაშვილი ევროპისკენ, საფრანგეთისკენ გაემურა. ეს იყო 1919 წელი.

საფრანგეთის გული — პარიზი!.. მსოფლიო კულტურის დედაქალაქი!..

მდიდარი ბებიის მიერ დაფინანსებული ვასო ყუშიტაშვილი „მეტი ქვეყნისა და მეტი განათლების“ მისაღებად გაემგზავრა ევროპა-

ში. ყველაზე მეტად დიდი ტრადიციების მქონე ფრანგული ხელოვნების, დიდროს, ვოლტერის, ბომარშეს, ლესაჟის ტრადიციებზე დამკვიდრებული ფრანგული თეატრი იზიდავდა.

— არ მქონდა თითქმის არც ერთი თავისუფალი საღამო, პარიზში სულ რამდენიმე თვით ვიყავი ჩასული და მინდოდა ეს დრო მაქსიმალურად გამომეყენებინა. დღეს — მუზეუმებში, ხოლო საღამოებს — თეატრებსა და კლუბებში ვატარებდიო...”, წერს იგი თავის მოგონებებში.

ალტაცებით თავალიერებდა გოთურ ტაძრებს, ვერსალის სასახლეებს, ლუვრის შედევრებს. შესწავლილი ჰქონდა ფრანგული თეატრის ისტორია, იმედოვნებდა, რომ ფრანგულ სცენაზე იმ ეპოქის ლანგრანჟსა და მიშელ ბარონს დაინახავდა, რეალისტური „მოლიერის სახლის” რკინის რაინდებს, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ცრუკლასიკური ტრაგედია და მანერულ-დეკლამაციური სენტიმენტალიზმის ნაცვლად დიდროსა და ვოლტერის სიმართლეს მისცეს გზა.

ჯერ კიდევ 1900 წელს კოტე მესხი პარიზში დაიწყო თავის მეულღეს — ნატოს: „წარმოადგინე, მე რომ აქაური გამოფენის არემარე ან თეატრების ამბავი მცოდნოდა, მანდვე გამოვანყობდი ამ საქმეს, რომ მანდედან წამომეყვანა ორი ქართულად ჩაცმული ქალი, რომ დამესვა პავილიონში და გამომეცხადებინა რეკლამა და შესვლისათვის ფასი დამედო, ფულის მიღებასაც ვეღარ მოვასწრებდი, ისე მოანვებოდა ხალხი, ისეთი უბრალო რამეებია, ისეთი უშნო და უხეირო, რომ მე ვაგვეკირდი, ამდენი ხალხი რამ გააშტერა, რაში იხდის ფულებს-მეთქი...” თუმცა, იქვე აღფრთოვანებით საუბრობს სარა ბერნარის ბრწყინვალე აქტიორულ ოსტატობაზე, მაგრამ გადაჭრით უარყოფს ფრანგული თეატრის კონსერვატიზმს, მანერულობასა და დეკლამაციურ მოძველებულ ხერხებს.

ვასო ყუშიტაშვილი საფრანგეთში კოტე მესხის ყოფნიდან 19 წლის შემდეგ ჩავიდა და უფრო მეტად განცვიფრდა. ყველაფერი, რაც ასე არ მოსწონდა კოტე მესხს, კვლავაც ძალაში დარჩენილიყო და უფრო დამახინჯებულიყო. უკანასკნელი მძლავრი ამოსუნთქვა ფრანგული აქტიორული სკოლისა — სარა ბერნარი უკვე ფეხებმოკვეთილი იხილა ვასო ყუშიტაშვილმა, სავარძელში მჯდომი ასრულებდა როლს.

პირველი, რამაც იგი გააოცა, პარიზის თეატრებში გამეფებული შემოქმედებითი ქაოსი იყო. თეატრალურ ცხოვრებას, ერთი მხრივ, „კომედი ფრანსეზ” და ნაციონალურ თეატრად აღიარებული „ოდეონი” წარმართავდა, რომელთაც „ძველი შინაარსისა და ფორმების დოგმატური დამკვიდრება” ახასიათებდათ და რომლებიც იმავე რეპერტუარითა და სამემსრულელებო მეთოდებითა და ხერხებით სარგებლობდნენ, როგორც 200 წლის წინ. მეორე მხრივ, პარიზის თეატრალურ ცხოვრებას ტონს აძლევდნენ ბულვარულ-კომერციული თეატრები, რომლებიც მელიოდრამებსა და მსუბუქ კომედიებს დგამდნენ და ძირითადად კარგ შემოსავალზე იყვნენ გათვლილი.

იყო მესამე უკიდურესობაც — ურიცხვ კლუბებსა და კაბარეებში იკრიბებოდნენ მოხეტიალე დასები, რომლებიც კორპორაციებს ქმნიდნენ და რომელიღაც ახალი „იზმის” მიმდევრად თვლიდნენ თავს. მართავდნენ მუსიკალურ ატრაქციონებს, საცირკო კლოუნდას, მარტივ თეატრალურ წარმოდგენებს. მაგრამ პარიზის თეატრალური ცხოვრების მრავალფეროვნება ამით არ ამოიწურებოდა, იყო „ინტელიგენტური” და „ნახევრად ინტელიგენტური”, ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიის საყვარელი თეატრები — „ვიე კოლომბიე” (ძველი სამტრედე) და „ანტუანი”.

„ვიე კოლომბიეს” ცნობილი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ჟაკ კოპო ხელმძღვანელობდა და გარკვეული პროგრამით წარმართავდა თავის საქმიანობას, ეძებდა ახალ ფორმებს, შინაარსს, ცდილობდა რეპერტუარი თანამედროვეობის ამსახველი პიესებით შეეცხო და კარს უღებდა მათ, რომლებიც ადგილს ვერ პოულობდნენ ტრადიციულ თუ ბულვარულ თეატრებში, მაგრამ ეკონომიკურ-ფინანსური სირთულეების გამო „ვიე კოლომბიე” დასურვის პირას იყო მიმდგარი.

შედარებით უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო თეატრი „ანტუანი”, რომელიც ცნობილმა ფრანგმა თეატრალურმა მოღვაწემ — ანტუანმა ჩამოაყალიბა. ისიც ასევე ცდილობდა თავის თეატრში მაღალი ხელოვნება დაემკვიდრებინა, მაგრამ თეატრიდან წასვლის შემდეგ, მისმა მოწაფემ, ფირმენ ჟემიემ თეატრს უფრო კომერციული ხასიათი მისცა.

ვასო ყუშიტაშვილი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს პარიზის თეატრალურ ცხოვრებას, სწორედ ამ თეატრებით დაინტერესდა. ფრანგულის კარგად ცოდნამ ხელი შეუწყო ფრანგ ხელოვანთა შორის გზის გაკვლევაში და სულ მალე ფირმენ ჟემიეს დაუახლოვდა, რომელმაც თეატრში, სპექტაკლების განსახილველად მიიწვია. აქვე გადაწყვეტინა თეატრთან სასწავლებელი-სტუდიის დაარსება. სახელისა და რეკლამის მოყვარულმა ჟემიემ მართლაც გახსნა „ანტუანთან” სტუდია, რომელიც ვასო ყუშიტაშვილის გავლენით, რუსული სტუდიების პრინციპებზე იყო აგებული. თავად ყუშიტაშვილი სტუდიაში მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა, ცნობილი ფრანგი მსახიობი, შარლ დიულენი კი — მეტყველებას.

სულ მალე ვასო ყუშიტაშვილი თეატრ „ანტუანშიც” მიიწვიეს სამუშაოდ და როგორც თავად იგონებდა, „პედაგოგის კარგით იგი ფრანგულ თეატრში შევიდა...” ახალგაზრდა რეჟისორის პედაგოგიური მეთოდებით ალტაცებულ შარლ დიულენს თურმე ხშირად უთქვამს, სწორედ ასეთ ხელოვნებაზე ვოცნებობდი, მაგრამ ასეთნაირად მაინც ვერ წარმომედგინა. ახლა ჩემთვის ნათელია, საით უნდა წავიდე, საით უნდა ვისწრაფოთო!..

დიულენი გამბედავი, მებრძოლი, ენერგიული ხელოვანი იყო, ახლისკენ ისწრაფოდა, ხელოვნებაში ახალი გზების მოძებნას ცდილობდა და ყუშიტაშვილს ჟემიეს სტუდიიდან წასვლა და თავის კლასთან ერთად ახალი თეატრ-



სტუდიის შექმნა შესთავაზა. ქართველმა კაცმა ამგვარი საქციელი უარყო, მაგრამ როდესაც დიულენმა უამბო თუ როგორ უღალატა ჟემიემ თავის მასწავლებელს, ანტუანს, რომელიც იმხანად ფრანგულ პრესაში მოღვაწეობდა, დიულენს დასთანხმდა, 24 მონაფესთან ერთად სტუდია დატოვა და ახალი ფრანგული თეატრის ჩამოყალიბებას მოჰკიდა ხელი. პარიზის მახლობლად, სოფელ დორდიეში დაიქირავეს აგარაკი და მუშაობა გააჩაღეს. დიულენი მთავარი რეჟისორი და ადმინისტრაციული საქმეების განმგებელი იყო, ყუშიტაშვილი — პედაგოგი და რეჟისორი. დასადგმელად ფრანგი კომედიოგრაფის — რენარის პიესა „გაყრა“ შეარჩიეს, პირველი წარმოდგენა იქვე, სოფელში გაიმართეს. პრემიერა ბევრს არავის შეუქმნევია, მაგრამ რეპერტუარში სულ მალე ახალი დასახელებები გაჩნდა და დაიწყო მოგზაურობა ქალაქიდან — ქალაქში. წარმოდგენებს ხალხმრავალ ადგილებში, სახელდახელოდ გადახურულ სცენებზე მართავდნენ — სასტუმროებში, ბაზრობებზე... ხალხი მათ სპექტაკლებს დიდი სიხარულით ხვდებოდა.

მერე პარიზსაც ეწვივნენ, ერთი დიდი, ძველი და მიტოვებული სახელოსნო სახელოსნო დაიქირავეს, რომელიც ვეებერთელა აბრით „telier“ (სახელოსნო) დაამშვენეს. ამ შენობაში დაიწყო ფორმირება ახალმა თეატრმა. იგი ჯერ ლათინურ კვარტალში, შემდეგ კი — მონმარტრზე დაბინავდა და სახელიც ბოლომდე შეინარჩუნა.

პოეტების, მხატვრების, არტისტების საყვარელ უბანში — მონმარტრზე, მცირე მოედანზე, დგას ძველებური თეატრი კლასიკური ფასადითა და გვერდითი პორტალებით. სანამ აქ თეატრი „ტელიერ“ მოთავსდებოდა, იაფფასიანი კინოთეატრი ყოფილა.

მძიმე ყოფილა ახალი თეატრის არსებობის

პირველი ხანა, იგი ბულვარულ თეატრებსა და მუზიკჰოლებს დაუპირისპირდა, რეპერტუარში ძირითადად დემოკრატიული შინაარსის პიესები დაამკვიდრა, თუმცა არც კლასიკურ პიესებს უარყოფდნენ, მაგალითად დადგეს კალდერონის „ცხოვრება სიზმარია“. საბოლოოდ თეატრი ჩამოყალიბდა, როგორც სოციალური ურთიერთობის კრიტიკის, მემარცხენე-ლიბერალური, რეალისტური თეატრი, რომელმაც გაუძლო პრესის პასკვილებს, მწარე რეპლიკებს...

ვასო ყუშიტაშვილმა, „Atelier“-ში თავის პირველ დადგმად, გოლდონის „მარაო“ აირჩია. თავად ანტუანმა გაზეთ „Informatio“-ში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც შესანიშნავი შეფასება მისცა ყუშიტაშვილის სპექტაკლს და თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. „მარაო“ წარმოადგენს იშვიათი გემოვნების სპექტაკლს და თუ იტალიელი მოლიერის თანამემამულეთ, შეიძლება ცოტათი ეხამუშოთ გათამაშების ეს მანერა, სამაგიეროდ იგი ნამდვილად ფრანგულად შესრულებული წარმოდგენაა თავისი ახალგაზრდობით, ბრწყინვალეობითა და არაჩვეულებრივი სიმსუბუქით, რომელიც გვხიბლავს და გვიტაცებს. ჩვენს წინაშე იშლება სამი ცხოველმყოფელი მოქმედება კომედიისა, ალსავსე ინტრიგით, ვოდვილით და ბალეტით, რომლებიც ერთიმეორეს ამკობენ. წარმოდგენა ძალზე ხალისიანია, დეკორაციისა და კოსტუმების ნაირფეროვნება აკაჟკაშებენ სცენას...“ ალსანიშნავია, რომ სპექტაკლის სცენოგრაფია და კოსტუმების მხატვრობა თავად ვასო ყუშიტაშვილს ეკუთვნოდა. ანტუანის საკმაოდ ვრცელი წერილი დაწვრილებით მიმოიხილავს სპექტაკლის ავ-კარგს და განსაკუთრებით აღნიშნავს მსახიობთა ორგანულ, ნიჭიერ ანსამბლურ თამაშს.

სპექტაკლის ამ მხარეზე ფრანგულ პრე-

საში სხვა რეცენზენტებსაც გაუმახვილებიათ ყურადღება. მაგალითად, კრიტიკოსი ჟაკ ტერი წერდა, რომ „სპექტაკლში ჩაქსოვილია მთელი მე-18 საუკუნის მომხიბვლელიობა, დადგმელის არაჩვეულებრივი სიფაქიზე იგრძნობა თვით დეტალებშიც კი. წარმოდგენა გვიჩვენებს არა ცალკეულ მსახიობებს, არამედ მთელ დასს, თეატრის სახეს...“ ხოლო გაზეთი „paris soir“ წერდა: „მიზანსცენები აწყოილია, როგორც საათის მექანიზმი, სახეები გახსნილია მოსწრებულად, ხანდახან დაყვანილია გროტესკამდე, მაგრამ რელისტურია. ჰარმონიული დეკორაციები კარგ ფონს წარმოადგენს სათამაშოდ...“ ფრანგ კრიტიკოსთა ამგვარი შეფასებები, პრესიდან ამონაჭრების სახით, საკმაოდ მრავლად შემონახული ვასო ყუშიტაშვილის პირად არქივში.

გოლდონის „მარაოს“ დადგმა იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თეატრალური პარიზის ცხოვრებაში, რომ მან გამოხმაურება ევროპის სხვა ქვეყნებშიც ჰპოვა. დადგმას სპეციალური წერილი მიუძღვნა ინგლისურმა გაზეთმა „Vogue“-მა.

ვასო ყუშიტაშვილმა „atelies“ სცენაზე ასეთივე წარმატებით დადგა შალომ ამის „შურისძიების ღმერთი“, მოლიერის „ჟორჟ დანდენი“, არისტოფანეს „ფრინველები“... „ვისაც სურს იხილოს თუ როგორ უნდა დაიდგას მოლიერი სცენაზე, ნახეთ „ჟორჟ დანდენი“ „ატელიემი“, მაგრამ წარმატებასთან და აღიარებასთან ერთად მომრავლდა თავდასხმები რეჟისორსა და მის შემოქმედებაზე. „როდის აუკრძალავენ ჩამოთრეულ ბარბაროსებს ჩვენი კლასიკოსების დამახინჯებას?...“ ასე უკვე ფრანგული მთავრობის ოფიციალური გაზეთი „L'Action Francaise“ წერდა. ყუშიტაშვილი არ შეუშინებია ამგვარ ცალკეულ გამოხტომებს, თეატრმა „atelies“ ფართოდ გაუხსნა კარი ახალგაზრდა ფრანგ დრამატურგებს, რომლებიც ყურადღებას სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებდნენ, დადგა ელ რეჟისა და დე ვენის პიესები „დიდი მარხვა“ და „სიყვარულის ვნებანი“, მაგრამ ყუშიტაშვილს ბრძოლების გადატანა მოუხდა თვით დიულენთანაც, რომელიც უკვე ანგარიშს უწევდა თეატრის მეცენატთა სურვილებს და პიესების არჩევისას, ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა.

პარიზის თეატრალურმა წრეებმა ძალიან მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლს „დიდი მარხვა“. მასში რაბლეს მივიწყებული სატირის ტრადიციების და მიუსეს ნაღვლიანი იუმორის აღდგენის ცდა დაინახეს. ცნობილი ფრანგი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ლე ნორმანი ამ სპექტაკლის გამო წერდა: „ვ. ყუშიტაშვილმა, როგორც რეჟისორმა და მხატვრული გაფორმების ავტორმა, თანამედროვე პიესას გამოუძებნა როგორც აქტიურული შესრულებების, ისე მხატვრული გაფორმების შესაფერი სტილი. ეს სპექტაკლი მოწმობს, რომ რეჟისორს აქვს სატირის გრძნობის იშვიათი უნარი“...

პარიზის საზოგადოება დიდი ნდობით მოეკიდა საფრანგეთში ხელოვნების შესასწავლად ჩასულ ქართველ რეჟისორს, ყურადღებით უსმენ-

და მის ყოველ საჯარო გამოსვლას, სწავლობდა მის რეჟისორულ მეთოდებს. ყუშიტაშვილს ცალკეულ დადგმებზე ინვევენ თეატრები — „ოდონი“, „სამხატვრო“, „ელისეს მინდვრები“, „პორტ სენ მარტენი“... ყუშიტაშვილის სახელი საფრანგეთის საზღვრებს გასცდა და მას რუსული დრამატურგიის ყენევაში დადგმა შესთავაზა ჟორჟ პიტოვემა. ყუშიტაშვილმა გორკის პიესა „ფსკერზე“ აირჩია... შვეიცარიულმა პრესამ სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა, ხოლო პიტოვეის თეატრის ფრანგული გასტროლის დროს, ფრანგი კრიტიკოსები გაკვირვებულნი დარჩენილან: „— რაში დასჭირდა ბატონ ყუშიტაშვილს სცენაზე ასე ცუდად ჩაცმული ხალხის გამოყვანა?...“

მას შემდეგ, რაც პიტოვეის თეატრი საფრანგეთში გადმოვიდა სამუშაოდ და თეატრ „ელისეს მინდვრებში“ დაიდო ბინა, ყუშიტაშვილმა კიდევ ორი სპექტაკლი განახორციელა მათთან: ბერნარდ შოუს „კანდიდა“ და „ანდროკლე და ლომი“.

შემდეგ ლონდონში, ოქსფორდის უნივერსიტეტში სტუდენტთა დრამატული დასის კონსულტანტად მიიწვიეს, სადაც არისტოფანეს „ფრინველებს“ დგამდნენ, ასევე კონსულტანტად მიიწვიეს ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, გოგოლის „რევიზორის“ დაგმისას.

როდესაც პარიზში საგასტროლოდ ჩამოვიდა ამერიკელი მსახიობი ქალი ევა ვან გალიენი, საგასტროლოდ მერსედეს დე აკოსტას პიესა „ჟანა დ'არკი“ აირჩია და სპექტაკლის რეჟისორმა ნორმან ბელ გედესმა, მასობრივი სცენები, დასაადგმელად, ყუშიტაშვილს მიანდო. სპექტაკლი „პორტ სენ მარტენის“ თეატრში წარმოადგინეს, მაგრამ მაყურებლის მოლოდინი არ გამართლდა და რეცენზენტებმა მის ერთადერთ წარმატებად მასობრივი სცენები მიიჩნიეს. „რეჟისორის დიდი გამომგონებლობაა მასის მოძრაობა, არაჩვეულებრივი დისციპლინა და სიმწყობრე შემსრულებელთა, გამიზვნა მასიური მოძრაობებისა, რაც მოქცეულია ისეთ მთლიანობაში, როგორსაც ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა თეატრებში.“

ყუშიტაშვილის პოპულარობამ ისეთ ზენიტს მიაღწია, რომ როდესაც გავრცელდა ცნობა მისი ამერიკაში მიწვევის შესახებ, გაზეთებმა „Comœdia“, „ou-veau mude“ და კიდევ სხვებმა დანვრილებით აღწერეს თუ რა კონტრაქტი დაიდო რეჟისორთან, რა დადგმებზე მიიწვია იგი ნიუ-იორკის კომიკური ოპერის თეატრმა, აქვეყნებდნენ მის ბიოგრაფიულ ცნობებს, მიმოიხილავდნენ საფრანგეთში მუშაობის პერიოდს და ასე შემდეგ...

ათი წლის მუშაობის შემდეგ ვასო ყუშიტაშვილმა საფრანგეთი დატოვა და იტალიის გავლით, ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის გადაცურვით, ამერიკაში ჩავიდა...

ეს უკვე დიდი ქართველი რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვა ისტორიაა...



ქართული
წიგნობა

სინათლით სავსე მხახპობა

ვერა ფალავა

ვერა ფალავა 1923 წელს, 14-15 წლისა, მშობლებთან ერთად ჩავიდა პარიზში, სამუდამოდ დარჩა უცხოეთში და საფრანგეთის მოქალაქე გახდა. ის ფრანგ მხატვრად ჩამოყალიბდა, რომელმაც 1966 წელს ვენეციის ბინალეზე საფრანგეთი წარმოადგინა. გასაგებია, რომ ემიგრანტისთვის პარიზში ასეთი სახელის დამკვიდრება ადვილი არ არის. ამ თვალსაზრისით მისთვის მიზნის მიღწევა გაცილებით უფრო რთული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი თანამედროვე ქართველი მხატვრებისთვის, რომლებიც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ. მაგრამ მისი უპირატესობა ის იყო, რომ შემოქმედებით არჩევანში ის სრულიად თავისუფალი იყო და ფორმალისტური ძიებებისთვის არავინ

სჯიდა. პირიქით!

ვერა ფალავამ რონსონის აკადემია 1939 წელს დაამთავრა, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ომის პერიოდში, გერმანიის მიერ ოკუპირებულმა პარიზმა დაკარგა წამყვანი ადგილი მსოფლიო ხელოვნების ასპარეზზე. მონინავე მხატვრული სტილები ახლა უკვე ნიუ-იორკში (ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი) და ლონდონში (პო არტი) იღებენ სათავეს. ამ პერიოდში ვერა ფალავა თანდათან ყალიბდება როგორც საკუთარი სტილის მქონე მხატვარი. მის მიერ 1950-იან წლებში შესრულებულ ნამუშევრებში, სადაც ობიექტები ნაკითხვას ექვემდებარებიან, ერთმანეთს ერწყმის მეტაფიზიკური მხატვრობის და ოპ არტის ნიშნები, რამაც მხატვარი მინიმალისტურ აბსტრაქციებამდე მიიყვანა. მისი აბსტრაქციები მის ინდივიდუალურ აზროვნებას ამჟღავნებენ. ამავე დროს, მისი შემოქმედება ომის შემდგომი პერიოდის აბსტრაქტული ხელოვნების ისტორიის ნაწილია. ფალავას კომპოზიციები ლოგიკასა და წესრიგზეა დაფუძნებული, რის გამოც ის ფრანგულ ხელოვნებაში პურიზმის კლასიციტური ხაზის გამგრძელებლად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ თუ პურიზმის მამამთავართა ნამუშევრებში პერსონალური ემოცია განზრახ არის უგულველყოფილი, ვერა ფალავასთან გამოსჭვივის განსაკუთრებული შინაგანი ლირიზმი, რომელიც მხატვარს მის მიერ შეთხზულ გეომეტრიულ ობიექტებთან აკავშირებს. თავდაჭერილი ემოცია გეომეტრიული ფორმების რიტმულ მონაცვლეობას შინაგან დინამიზმს ანიჭებს. ვერა ფალავას აბსტრაქციები ელევანტურია და დახვეწილი. ფერები ფაქიზია, საღებავი გამჭვივალე, კომპოზიციის წყობა ნათელი და მწყობრი. შედეგად, სურათები აღსავსეა სინათლით და სივრცით.

კომპოზიციის სიმწყობრე, ფორმებსა და ფერებს შორის საზღვრების სიმკვეთრე განაპირობებს ნამუშევრების დეკორატიულობას და მინიმალიზმს. ამ ნიშნებით ვერა ფალავა ტიპური 1960-იანელია. გასაკვირი არ არის, რომ ამგვარი აზროვნების მხატვარი წიგნებსაც აფორმებდა, ქსოვილის და ტანისამოსის დიზაინსაც ასრულებდა, ქსოვდა და ვიტრაჟებსაც ქმნიდა (დიჟონის ეკლესია).

თავისი ნიჭის, გახსნილი გონების, შემოქმედებითი პრინციპულობის და პირდაპირობის გამო (შემოქმედებაში გამოვლენილ ლირიზმს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ურთიერთობებში ნაკლებად ავლენდა), რითაც მაღალ პროფესიონალიზმს და შინაგანი მრწამსის ერთგულებას ავლენდა, ვერა ფალავა შედგა



როგორც შემოქმედი და ემიგრანტისთვის რთულად მისაღწევი წარმატება მოიპოვა.


1944 წლიდან ვერა ფალავა ჟან ბუშეს პრესტიჟულ გალერეაში იფინებოდა, ხშირად ეწყობოდა მისი ნამუშევრების გამოფენები სხვა ქვეყნებშიც. 1972 წლიდან მხატვარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თამარ ტარასაშვილის გალერეასთან „დარიალი“, რომელიც ერთადერთ ქართულ საგამოფენო გალერეას წარმოადგენდა პარიზში. ფალავას ნამუშევარი შესყიდული აქვს პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს. ის დაჯილდოებული იყო საფრანგეთის ლიტერატურის და ხელოვნების ოფიცრის მაღალი წოდებით და რომის პაპის იოანე XXIII-ის ოქროს მედლით (ქალაქ დიჟონის ეკლესიაში „ამაღლების“ თემაზე შექმნილი პანოსათვის).

ზეთის საღებავებით შესრულებული დიდი ზომის ტილოები – არქიტექტურული პეიზაჟები, ნატურმორტები პირობით-დეკორატიული ხასიათისაა. კოშკები, სარკმლები, სახლები, ქუჩები, სახურავები... ღვინის ჭიქები, ლარნაკები, ფინჯნები, თევზები... – მხატვარს არ აინტერესებს ნატურის რეალური ფაქტურა და შეფერილობა. ყველა მოცულობა ლოკალურ ფერადოვან ლაქებამდე დაყვანილი. სამკუთხედები, ტრაპეციები, ოვალები, კვადრატები... – ლაქები სიბრტყობრივია, გრაფიკული სიმკვეთრის. სიბრტყობრიობის მიუხედავად, სივრცის შეგრძნება მძაფრია. ამას განაპირობებს ფერადოვანი ლაქების განლაგება, ურთიერთმიმართება, მათი გამჭვირვალება, ზოგი გამოსახულების დიაგონალურად სიღრმეში შეჭრით ან უკანა პლანზე ჰორიზონტის აღმნიშვნელი ხაზით სიღრმის მინიშნება, ნეიტრალური ფონი და სუფთა, ნათელი ფერები. შავიც არ აღიქმება როგორც ბნელი ნათელ ფერებთან მეზობლობის და უშუალოდ მისი სიკრიალის გამო. ობიექტები სასურათე ჩარჩოს ფარგლებშია თავმოყრილი. კადრი არასოდეს არის გაჭედული. ყოველი გამოსახულება დასრულებულია საკუთარ თავში. ამასთან, ისინი ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირში არიან და რიტმულად მონაცვლეობენ. მთლიანად კომპოზიციის სტრუქტურა ნათელია, მყარად ორგანიზებული.

ფუნჯის მონასმები არ შეიმჩნევა. ტილოს ზედაპირი ყოველთვის თანაბარი სიმკვეთრით, მშვიდად არის დამუშავებული. მაგრამ ამ სიმშვიდეში შინაგანი ენერჯია და აქტიური დამოკიდებულება იკითხება. საღებავი არსად გადადის ან ირევა ერთმანეთში. ფერები მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს. ზეთის საღებავი ისეა გამოყენებული, აკრილის გეგონებით,

თუმცა, ჯერ აკრილის ეპოქა არ დამდგარა. სინათლის წყარო არ ჩანს. შუქ-ჩრდილის ეფექტი მოხსნილია. ტილო თანაბრად არის განათებული. მაგრამ პირობით ფერადოვან ლაქებამდე დაყვანილი გამოსახულებები სწორედ ამ ლაქების თამაშით იძენენ სიცოცხლეს. ლაქები ქმნიან მწყობრ რიტმს, შინაგან დინამიკას, გარკვეულ დრამატიზმსაც. სურათებში თითქმის არ ფიგურირებს ადამიანი. თუ ჩნდება, მხოლოდ ერთგვაროვანი სტილიზებული ფიგურების სახით, რომლებიც ასევე მწყობრ რიტმს ქმნიან.

1950-იანი წლების ნამუშევრებში სტილიზებული გამოსახულების უკან მუდამ იკითხება ბუნებრივი სანყისი, რეალური სტრუქტურა. 1960-იანი წლების დასაწყისიდან ნამუშევრები განყენებულ, სულ უფრო აბსტრაქტულ სახეს იძენენ. აქ თვით სურათის ფორმატი, ფერადოვანი ლაქების სიხშირე და შეფერილობა, ურთიერთმიმართება ქმნის განწყობას. განწყობა კი მუდამ ზუსტია. 1970-80 - იან წლებში ბოლომდე განყენებული, უსათაურო ნამუშევრები იქმნება, სადაც სასურათე სიბრტყეზე მხოლოდ სხვადასხვა ფერის რამდენიმე სწორკუთხედი შეიძლება იყოს მოცემული. ისინი ინარჩუნებენ ვერა ფალავას ნამუშევრებისათვის დამახასიათებელ რიტმს, ჰარმონიას, ირეკლავენ მის ტემპერამენტს. გეომეტრიული ფიგურების ურთიერთმიმართება, ასიმეტრიულად განლაგების შემთხვევაშიც, მკაცრად ორგანიზებულია, დამყარებულია ჰარმონიული წონასწორობა. ნამუშევრებში ხშირად ფიგურირებს კვადრატი. მალევეჩთან ასოციაციით, 1960-იან წლებში, მინიმალიზმის განვითარებასთან ერთად, კვადრატი ისევ მოექცა მხატვართა ყურადღების ცენტრში. ცნობილია გერმანელ-ამერიკელი მხატვრის ჯოზეფ ალბერსის გრძელი სერია – „კვადრატის საპატივცემულოდ“, რომელიც 1949-1976 წლებს მოიცავს. 1960-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში, კვადრატის თემამ განვითარება პოვა ალექსანდრე ბანძელაძის




შემოქმედებაში, მაგრამ ეს იატაკქვეშეთში ხდებოდა და ამის შესახებ სულ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. ვერა ფალავას გეომეტრიული აბსტრაქციები კი ვენეციის ბინალზე გამოიფინა და მათ ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ნამუშევრები წარმოაჩინენ ვერა ფალავას პიროვნებას, როგორც დახვეწილ, გონიერ, მოაზროვნე მხატვარს. ის ქმნის საკუთარ სამყაროს, – სუფთას, ნათელს, გასაგებს. პოეტურს. პოეტურობას განაპირობებს შინაგანი რიტმი, სიმწყობრე, განზოგადება, სისუფთავე და სისადავე.

ფერწერულ ტილოებთან ერთად განსაკუთრებით საინტერესოა ვერა ფალავას გრაფიკული ჩანახატები, რომლებიც მის მიერ შემუშავებული ორიგინალური ტექნიკით არის შესრულებული. ერთ-ერთი სერია 1965 წელს, მის პერსონალურ გამოფენასთან დაკავშირებით ცალკე წიგნად არის გამოცემული, პარიზში. ჩანახატები სამოგზაურო წიგნაკში შეუსრულებია მხატვარს.

თეთრ ქაღალდზე მხოლოდ წერტილების დასმით ის ქმნის მაქმანივით გამჭვირვალე, ჰაერით და სინათლით აღსავსე ნახატებს. ეს თავისებური გრაფიკული პუანტალიზმია. ფორმა იქმნება წერტილების სიხშირით და მათი ინტენსივობით. კონტური არ არსებობს. მქრქალი და მუქი, მრგვალი და გაკვრით შესრულებული წერტილები გადმოგვცემენ წელიწადის დროის განწყობილებას, ფოთლების შრიალის შეგრძნებას, შუქ-ჩრდილის თამაშს, ხანდახან ფერწერული ეფექტიც იქმნება. ალბომს თან ახლავს პიერ გრანვილის პოეტური ტექსტი:

„ადრიანი დილა... გაგრილებთ. რიჟრაჟი აფერადებს თქვენს სახეს და ათრთოლებულ ალვის ხეებს. შეხედეთ, ეს ხომ გრაფიტის მახვილი წვერია, რომელიც ახლა თითქოს ხასხასა მწვანე ფერს იძლევა და განთიადის მსუბუქ ჩრდილებს ფენს იგვლივ... ეს ალვები საუბრობენ იმ გზის პირას, ჩვენ რომ მივუყვებით. მათი ფოთლები თრთიან. ეს ხომ ხანია



სიყვარულის აყვავებისა, სინათლისა – მისი ჩასახვის დროს.”

„შემოდგომის ერთ დღეს, შემცივებული ხელით ამოტიფრავს ქაღალდზე მხატვარი მაღალ სქელ კედლებს, ოდესღაც ციხე-დარბაზის მფლობელს, დიასახლისს და რამდენიმე მსახურს რომ იფარავდა. დღეს ის სუროს დაუფარავს და დაღლილი მგზავრის თავმესაფრადაც აღარ გამოდგება. ეს არის მეფობის დასასრული!”

„ამ კედლებით დაცულ, ბალებიან, შიდა ეზოებიან, იდუმალ სახლებში გულითადი მეგობრობის გრძნობა უღებს კარს დაუდგრომელ მქარგავს (იგულისხმება მხატვარი), რომელიც თავისი უბრალო ფანქრით ამოფხაჭნის ქაღალდზე კუნელის ბუჩქებს, ჩხვლეტს, ხეთქავს მათ, უვლის, ჭრილობებს უხვევს, აპრიალებს, როგორც სახნისი ცხენის მკერდს, იცავს მის ზედაპირს... იმიტომ, რომ ის ფლობს პატარა შავი წინკლების ხელოვნებას და აქვს უნარი თავმდაბლურად წარმოაჩინოს მთელი სიკაშკაშე, ბრწყინვალეობა მზისა.”

ვერა ფალავას ნამუშევრები შინაგანი რიტმით და განწყობით ხშირად ოთარ იოსელიანის მიერ საფრანგეთში გადაღებულ ფილმებთან პოვებენ სიახლოვეს. ვგულისხმობთ ლირიზმს, გარინდებას, სისადავეს და შინაგან მედიტურობას; ადამიანის თანაარსებობას და არა მატერიალურ არსებობას, – ობიექტებში და სივრცეში გადანანილებულ თუ გაბნეულ ჰუმანიზმს.

მხატვარი გარდაიცვალა 1988 წელს, 80 წლის ასაკში.





ფოტო გადაღებულია პარიზში, 1957 წელს, „სუხიშვილების“ პირველი ჯონცერტის შემდეგ. პირველ რიგში, მარჯვნიდან: ნინო რამიშვილი, ლეილა ღუმბაძე, ივ მონტანი, სიმონა სინიორე, ჟუჟენა ართმელაძე, თენგიზ სუხიშვილი. მეორე რიგში: ომარ მხეიძე, ილიკო სუხიშვილი, ნოლარ მასისურაძე

ფოტო მოგვანოდა ბატონმა თენგიზ უთმელიძემ

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:

სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;

„ელვასერვისი“, იოსებძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“ – ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43

6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი

ლექსო ოთარაშვილი

ოპერატორები:

თამარ ტყაბლაძე

ნინო ნეკერიშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

Web: www.litandart.com.ge

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



ვერა ვაღავა





ქართული
ლიბრარი

ISSN 1512-3189

ფანი 3 წიხი



სომეხი დაიბეჭდა თბილისის მერიის თანადგომით